ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების ფაკულტეტი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ლილი ქორიძე

სკოლის დემოკრატიული მმართველობის სფეროები და პრინციპები

დისერტაცია

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა - განათლების ფილოსოფია

მეცნიერ ხელმძღვანელი:

პროფესორი - გ. შერვაშიძე

ბათუმი

2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლილი ქორიძე

17.01.2018.

შინაარსი

შესავალი..... 5

თავი I. დემოკრატიული სკოლა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შენების წინაპირობა - ფილოსოფიურ-პედაგოგიური კამათი…… 19

თავი II. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპები…….....35

§1. ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპი……..... 38
§2. ნდობის პრინციპი……..... 51
§3. ეთიკური ქცევის პრინციპი……... 59
§4. დისკრიმინაციისა და ძალადობის დაუშვებლობის პრინციპი……..... 82

თავი III. სასკოლო ცხოვრების ძირითადი სფეროები…… 92

§1. მმართველობა/მართვა……92
§1.1. სკოლის ღირებულებები……. 94
§1.2. სკოლის პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტები……. 98
§1.3. ლიდერობა…… 104
§1.4. მონაწილეობა/ჩართულობა…… 112

§2. სასკოლო გარემო…… 128
§2.1. სკოლის სოციოემოციური გარემო…… 128
§2.2. სკოლის ფიზიკური გარემო…… 133

§3. სასკოლო ურთიერთობები…… 139
§3.1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობები…… 140
§3.2. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ურთიერთობები.. 144
§3.3. მოსწავლეთა ურთიერთობები…….. 145
§3.4. თანამშრომელთა ურთიერთობები…… 145
§3.5. სკოლას, მშობლებსა და ფართო საზოგადოებას შორის ურთიერთობები…… 146
§3.6. პარტნიორობა - ადგილობრივი და გლობალური ურთიერთობები ……148

§4. კურიკულუმი…… 152

თავი IV. ემპირიული კვლევა - თანამედროვე ქართული სკოლები დემოკრატიული მმართველობის ჭრილში……..158

დასკვნები და რეკომენდაციები…… 213

გამოყენებული ლიტერატურა…… 219

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველოს თანამედროვე სოციოკულტურულ პირობებში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას მისი ეფექტიანი მართვა განსაზღვრავს. სკოლის მიერ დასახული მიზნების განხორციელება ერთი მხრივ, მისი მმართველობის ფუნქციური სისტემის ადეკვატურ გაგებასა და ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი სკოლის მართვა/მმართველობის სფეროში უახლესი მეცნიერულ-პედაგოგიური ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვასა და განხორციელებაზე.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულია რა განათლების მთავარი მიზნები და ამოცანები, ნათქვამია, რომ „ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“ (საქართველოს.....2005: მუხლი 2, პუნქტი მ, გვ.2).

ამავე კანონის მესამე მუხლის პირველ ქვეპუნქტში მოყვანილია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა (საქართველოს.....2005: მუხლი 3, პუნქტი 1, გვ.5).

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს, უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა, ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა, საჯარო სკოლის რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან, ხოლო კერძო სკოლის პოლიტიკური გაერთიანებებისგან დამოუკიდებლობა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა; ინკლუზიური სწავლების დამკვიდრება და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა სკოლებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და განხორციელებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, სკოლის პრიორიტეტებს შორის უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებში დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დაცვას.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის 12.1-ე მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ: „საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად“ (UNICEF, n.d.: 14).

ამავე კონვენციის 29-ე მუხლში ნათქვამია, რომ “ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რაც მას ამზადებს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით“(UNICEF, n.d.).

კონვენციის აღნიშნული ორი დებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ სკოლა გადავიდეს მმართველობის დემოკრატიულ სისტემაზე, რაც უპირველესად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უფლებას გულისხმობს.

პროგრამა „პესტალოცის“ წარმომადგენლებმა 2014 წელს მოამზადეს მანიფესტი: „განათლება ცვლილებებისთვის - ცვლილებები განათლებისთვის“, რომელიც წარმოადგენს განათლების პრაქტიკოსების ღია წერილს განათლების პოლიტიკის მმართველების მიმართ, რომ XXI საუკუნის სკოლებმა ახალგაზრდები უნდა მოამზადონ დემოკრატიული და აქტიური ცხოვრებისათვის, ამიტომ თანამედროვე სკოლები უნდა ითვალისწინებდნენ აღნიშნული მანიფესტის რეკომენდაციებს და ზრუნავდნენ ისეთი ადამიანების აღზრდაზე, რომელთაც შეეძლებათ აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ახალგაზრდებს კარგად უნდა ჰქონდეთ

განვითარებული ისეთი კომპეტენციები, როგორებიცაა ინოვაციური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და ა.შ. ამ მიზნების მისაღწევად სკოლა უნდა ახორციელებდეს დემოკრატიულ მმართველობას, სადაც სკოლის ყველა წევრი გამოცდილებაში ისწავლის დემოკრატიას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიზნებისა და ამოცანების გაფართოებამ სასკოლო სისტემის დემოკრატიზაცია უნდა გააძლიეროს. სკოლის თანამედროვე ხელმძღვანელთა და პედაგოგთა წინაშე დგას მეტად რთული და მრავალფეროვანი ამოცანა, რომელიც მოითხოვს სკოლის მმართველობის მიდგომების რესტრუქტურიზაციას, სასკოლო სისტემაში სრულიად ახალი მმართველობის მეთოდების თეორიულ კვლევას და მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმატებული მმართველობა დამოკიდებულია მმართველების (დირექტორების), პედაგოგების და მთელი სასკოლო საზოგადოების წევრების გადამზადებაზე, თეორიული და პრაქტიკული განათლებით აღჭურვაზე, რაც მათ დაეხმარება შეინარჩუნონ და შემოქმედებითად განავითარონ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ისტორიულ-კულტურული გამოცდილება, ასევე ჩვენი წინაპრების მიერ გადმოცემული პედაგოგიკის მეცნიერულ-თეორიული მემკვიდრეობა. აქედან გამომდინარე, დღეს აქტუალურია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შიდა მმართველობის სისტემის პრაქტიკის ღრმა თეორიული კვლევა და ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მამართველობის სისტემის შემოღება, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო კულტურასაც მოერგება და საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და საჭიროებებზეც იქნება მორგებული.

1990 წლამდე განათლების სისტემა ხასიათდებოდა საბჭოთა კავშირისთვის დამახასიათებელი სკოლის მმართველობის ბრძანება-კონტროლზე დაფუძნებული სტილით და მისი შეზღუდული ვერტიკალური ცენტრალიზაციით. იგი გამორიცხავდა განათლების მართვაში ფართო და ეფექტიან თანამონაწილეობას; იგნორირებული იყო რეგიონების სოციალურ-პედაგოგიური დამოუკიდებლობა, მათი ეროვნულ-კულტურული მახასიათებლები და სკოლის მოთხოვნები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაზე გადასვლა განათლების სფეროში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებების გათანაბრებასა და სკოლის პარიტეტულ (მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებულ) მმართველობასთან ერთად ღრმად ფესვგადგმულ ბიუროკრატიულ მსოფლმხედველობაზე უარის თქმასაც გვთავაზობს. ეს ნიშნავს სახელმწიფოს/მთავრობის და საზოგადოების გაერთიანებას სასკოლო პრობლემების მოსაგვარებლად; სახალხო განათლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებების გაფართოებას; ერთგვაროვანი და მონოლითური (შემჭიდროებული, ერთსულოვანი) მმართველობის სისტემის სტერეოტიპების აღმოფხვრას და საპირისპიროდ, ახალი, მოქნილი, მრავალფეროვანი და ცვალებადი დემოკრატიული მმართველობის სისტემის შექმნას.

განათლების სისტემა უნდა გათავისუფლდეს სკოლის მმართველობის ავტოკრატიული/მბრძანებლობითი იდეოლოგიისგან და გადავიდეს სრულიად ახალი ტიპის - დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე. იგი გულისხმობს:

ა) სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრის სკოლის მმართველობაში რეალური და აქტიური მონაწილეობის მიღების უფლებას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დეცენტრალიზაციას, ავტონომიას და იურიდიულ ხელშეუხებლობას;

გ) სკოლის მმართველობის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ხასიათს;

დ) მოსწავლის უფლებას, აირჩიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო პროგრამა, პროფილი, სწავლების მიდგომები და მეთოდები, მასწავლებელი და სკოლის ლიდერი/დირექტორი;

ე) სკოლის საზოგადოების წევრების მიერ სკოლაში ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის წესების შემუშავებას და დაცვას;

ვ) მბრძანებლობიდან და მორჩილებიდან თანამშრომლობაზე, დისკუსიაზე, სიახლეების ძიებაზე გადასვლას; კვლევას, შექმნას, ლიდერობას;

ზ) მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვას;

თ) ადამიანთა უფლებების დაცვას და პატივისცემას;

ი) სკოლაში ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას;

კ) ნდობაზე, თანამშრომლობასა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს;

ლ) განათლების ხასიათის უმაღლეს ჰუმანურობას;

მ) სასკოლო ცხოვრებაში საერთო საკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტების დანერგავას და გათვალისწინებას;

ნ) მოსწავლეთა თავისუფალ და პასუხისმგებლიან პიროვნებებად ჩამოყალიბებისათვის ზრუნვას;

ო) სასწავლო მასალის/პროგრამის მოსწავლეთა ხელმისაწვდომობას, თავისებურებათა გათვალისწინებით ადაპტირებას და რეალურ სამყაროსთან დაკავშირებას;

პ) მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის, ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლის სკოლის მმართველობაში რეალურ და აქტიურ მონაწილეობას (უზნაძე, 1995; დიუი, 1916; ბეკმენი... 2013; გოლობი, 2013).

მნიშვნელოვანია, სკოლის დემოკრატიზაცია მიმდინარეობდეს შემდეგ პროცესებთან ერთად:

ა) შიდა სასკოლო მმართველობის სისტემის ჰუმანიზაცია - გულისხმობს მოსწავლის სრულ ნდობას, მისი პიროვნების დაფასებას, მისი მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებას, თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედების უნარის განვითარების ხელშეწყობას. გარდა იმისა, რომ სკოლამ უნდა იზრუნოს სამომავლო ცხოვრებისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, მისი დღევანდელი ცხოვრებაც აღმოაჩინოს და გაითვალისწინოს.

ბ) სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამების ჰუმანიზაცია - ეს ნიშნავს, სასკოლო- საგანმანათლებლო პროგრამების გარდაქმნას კაცობრიობის უმთავრესი პრობლემის - დეჰუმანიზაციის წინააღმდეგ მოქმედებით, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის გაძლიერებით; მონობასა და ჩაგვრაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების, მეთოდების, მიდგომების თუ პროცესების გაუქმებას და მის ჰუმანიზაციას; შემოქმედებით თავისუფლებაზე, ადამიანთა უფლებების დაცვასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდებისა და მიდგომების შემოღებას; სასწავლო პროგრამების სოციალიზაციას, და სასწავლო თემების საზოგადოებისა და სამყაროს რეალურ მოთხოვნებთან

დაკავშირებას; დაზეპირებაზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდებისა და მიდგომების თანამედროვე მეთოდებითა და მიდგომებით შეცვლას; პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლას, კვლევა-ძიებას, მსჯელობას, ფიქრს, დიალოგს, შემოქმედებას; მასწავლებლის მიერ პრობლემისა და საკვლევი თემის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ერთად დისკუსიისა და ხმის მიცემის გზით არჩევის შედეგად კლასზე შეთავაზებას, მოსწავლეთა საჭიროებების, გამოცდილებების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით გაკვეთილის დაგეგმვას და ჩატარებას, შეფასებას, რეფლექსიას, თვითრეფლექსიას; სასკოლო კურიკულუმის მოსწავლეთა სოციალურ განვითარებაზე, აქტიურ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და თვითრეალიზაციაზე ორიენტირებას.

გ) სასკოლო - საგანმანათლებლო გარემოს ჰუმანიზაცია - გულისხმობს, ისეთი სასკოლო-საგანმანათლებლო ფიზიკური და მორალური გარემოს შექმნას, სადაც სკოლის საზოგადოების თითოეული წევრი თავს ღირსეულ და თავისუფალ პიროვნებად იგრძნობს, სადაც ყველას საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზება შეეძლება, სადაც მას ენდობიან, პატივს სცემენ, თავს საჭირო ადამიანად გრძნობს.

დ) სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემის ლიბერალიზაცია - ესაა მოსწავლეთა შეფასების სისტემის ხელახალი გააზრება და შეფასების კრიტერიუმების თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგება, შეფასების სისტემის ინდივიდუალიზაცია; მოსწავლეთა თვითშეფასების უნარების გამომუშავებაზე ზრუნვა და საკუთარ მიღწევებზე პასუხისმგებლობის აღების წახალისება.

სკოლის მმართველობა არის საქმიანობა, როდესაც სკოლის კოლექტივი ერთობლივად გეგმავს სასკოლო პროცესის განვითარებას, ორგანიზებას, ხელმძღვანელობას, კონტროლსა და შეფასებას.

სკოლის მმართველობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მართველობის სისტემის ყოველ სფეროსა და ელემენტზე და მოითხოვს სკოლის მმართველობის ღირებულებების, მიზნების, ფუნქციების, სტრუქტურის, ტექნოლოგიების და მეთოდების ხელახლა ფორმირებას.

სკოლის მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია არის დინამიკური და რთული პროცესი. წარმატება დამოკიდებულია სკოლის ყოველ შემადგენელ ერთეულზე, ერთის ცვლილება - მეორის ცვლილებაზე. სწავლების ტექნოლოგიების და მეთოდების შეცვლასა და მოსწავლეთა თვითმმართველობის შესაფერისი პედაგოგიური სისტემის შექმნისათვის საჭიროა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის ხასიათის შეცვლა; მთელი სასკოლო ცხოვრების დემოკრატიზაცია; მოსწავლის პიროვნების ეპიცენტრში დაყენება; პედაგოგიური პროცესის პარადიგმის ძირფესვიანად შეცვლა, მისი მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირება და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის ხელშეწყობა, მოსწავლეთა საქმიანობის სტიმულირებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის ზრუნვა; სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის დემოკრატიზაცია; მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა; სასკოლო საზოგადოების წევრების პიროვნებების დაფასება და მათი ინტერესების გათვალისწინება.

სკოლის დირექტორი, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები ერთობლივად უნდა განიხილავდნენ სკოლის მმართველობის ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს და ზრუნავდნენ ძალადობაზე დამყარებული ადმინისტრაციულ-პედაგოგიური მეთოდების აღმოფხვრასა და მათ ნაცვლად სასკოლო მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებაზე, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების ინტერესების ჰარმონიზაციასა და მოსწავლეებში დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

დისერტაციაში განხილული და გამოყენებულია გამოჩენილი პედაგოგების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების და სწავლულების ნაშრომები, კერძოდ:

1. **ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის (427-347) „სახელმწიფო“**- მასში ახსნილია სამართლიანობის პრინციპის რაობა, განხილულია მოქალაქეთა აღზრდის პრინციპები და ოთხი სათნოების საკითხი, აღზრდის ორგანიზება, როგორც სახელმწიფოს სტრუქტურაში ადამიანის ადგილის განსაზღვრის საშუალება, სახელმწიფოს სახეები, მეფობისათვის ფილოსოფოსობის აუცილებლება, სახელმწიფო, როგორც სათნოების განხორციელების ერთადერთი საშუალება.

2. **ძველი ბერძენი ფილოსოფოსის და მეცნიერის არისტოტელეს (ძვ.წ. 384 - 322) „პოლიტიკა“ (ძვ. წ. 350) და „ნიკომაქეს ეთიკა“**. არისტოტელე საფუძველს უყრის

ეთიკას, როგორც მეცნიერებას და განიხილავს მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად ადამიანის არსს, ადამიანის დანიშნულებას, გონების და აზროვნების, სულის, სათნოების, ბედნიერება-უბედურების, ეგოიზმის და ალტრუიზმის, სიამოვნების, სინდისის, თავშეკავება-თავშეუკავებლობის, სამართლიანობის, ზომიერების და სხვა საკითხებს. არისტოტელეს ზემოხსენებულმა ნაშრომებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის აზროვნების და ზნეობის განვითარებაზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების გააზრებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

3. უდიდესი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837–1907) ნაშრომები: „პედაგოგიის საფუძვლები“ (1888); „წერილები სახალხო განათლების საკითხებზე“; „ჩვენი ხალხი და განათლება“; „ისევ განათლების საკითხებზე“. ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა მასწავლებლებს მოსწავლეებისთვის ესწავლებინათ სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემა, კანონიერებისა და სიმართლის დაცვა, მოყვასის, ოჯახის და ქვეყნის სიყვარული.

4. ჯონ დიუის (1859-1952) ნაშრომები: „დემოკრატია და განათლება“ (1916); „განათლება და გამოცდილება“ (1938); „ჩემი პედაგოგიური კრედო“ (1897); „Moral Principles in Education“ (1909); “The Child and the Curriculum” (1902). ჯონ დიუის სჯეროდა, რომ სწავლა აქტიურია, სწავლება კი - ფუჭი და შეზღუდული. მისი აზრით, ბავშვებს სკოლაში რეალური გარემო უნდა შევუქმნათ, ვუხელმძღვანელოთ მათ გამოცდილებას და წავახალისოთ საზოგადოებაში ჩართულობის მათეული უნარი. ავტორის საგანმანათლებლო ფილოსოფიამ ხელი შეუწყო და საფუძველი ჩაუყარა „ემპირიული განათლების“ პროგრამას და ექსპერიმენტებს.

4. ბრაზილიელი ფილოსოფოსის და პედაგოგის პაულო ფრეირის (1921-1997) „ჩაგრულთა პედაგოგიკა“ (1970) წარმოადგენს ავტორის აზროვნებისა და კვლევის შედეგს. აქ ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ სიტუაციებზე და განიხილავს დემოკრატიული განათლების დამკვიდრების პრინციპებს და სახელმწიფოს როლს ასეთი განათლების ხელშეწყობაში. იგი აღწერს მასწავლებელთა და მოსწავლეთა დიალოგის მნიშვნელობას დემოკრატიული განათლების მიღების პროცესში.

5. თანამედროვე განათლების პრაქტიკოსები და სწავლულები ელისაბეთ ბეკმენის (დირექტორი ტულინგის გიმნაზიისა, რომელიც წარმოადგენს საჯარო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას სტოკჰოლმის სამხრეთ ნაწილში, სადაც ირიცხება 16-დან 19 წლამდე ასაკის 660 მოსწავლე) **და ბერნარდ ტრაფორდის** (დირექტორი უოლვერჰამპტონის ჰუმანიტარული სკოლისა, რომელიც წარმოადგენს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ინგლისში, სადაც ირიცხება 10-დან 18 წლამდე ასაკის 670 მოსწავლე) „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“ (2013). ეს სახელმძღვანელო ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ „ინსტრუმენტთა ნაკრებს“ წარმოადგენს და სკოლებს თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ხელშეწყობასა და განვითარებაში ეხმარება.

აღნიშნული სახელმძღვანელო მკითხველს იმის გაცნობიერებაში ეხმარება, თუ რა წვლილი შეაქვს სკოლას მოსწავლეებისათვის დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლებაში და, საბოლოო ჯამში, მათი ზრდასრულ, დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, რაც ხორციელდება სკოლის ყოველდღიურ საქმიანობასა და ადამიანების ქცევაზე დაკვირვების საშუალებით. სახელმძღვანელოს მეშვეობით შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ რამდენად წინ არის წასული სკოლა დემოკრატიისაკენ სავალ გზაზე, ამასთან, გვაწვდის პრაქტიკულ რჩევებს და რეკომენდაციებს, როგორ დავადგეთ ამ გზას, როგორ მოვიპოვოთ წინსვლა და წარმატება იმ მიღწევების ადეკვატური შეფასების საშუალებით, რომელიც ამ მიმართულებით იქნა განხორციელებული.

6. როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ოლაფ ოლაფსდოტირი, ვილტრუდ ვეიდინგერის „განათლება დემოკრატიისათვის“ (2013). სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში ჩართულ მასწავლებელთა და სხვა პირთა (მასწავლებელთა ტრენერები, მეთოდისტები, დამკვირვებლები, სახელმძღვანელოთა ავტორები და რედაქტორები) ხელშეწყობა. მასში ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ძირითად ასპექტებზე.

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და ფოლოსოფიური ლიტერატურის გაცნობამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ შიდა სასკოლო მმართველობის დემოკრატიზაციის

პრინციპები და მიდგომები, მიზნები და ამოცანები, სასკოლო კოლექტივის ინტერესები არ არის საკმარისად შესწავლილი.

თანამედროვე განათლების სპეციალისტები ჯ. დიუი (1916), რ. რორტი (1979) და პ. ფრეირი (1968), ამტკიცებენ, რომ ბავშვები დემოკრატიას სკოლაში უნდა ეზიარონ. სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა სოციალიზაციაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქართული სკოლა ჯერ კიდევ ავტორიტარული სტილით იმართება. სკოლაში დემოკრატიული მმართველობის დანერგვას უამრავი წინააღმდეგობა ეღობება. სკოლების დემოკრატიული მმართველობის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა გამოვკვეთოთ ბარიერები და სკოლების დემოკრატიზაციის საუკეთესო გზების საპოვნელად შევიმუშაოთ რეკომენდაციები. მაშასადამე, არსებობს შიდა სასკოლო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების შესწავლის საჭიროება. სწორედ ამ პრობლემის არასაკმარისი კვლევა აქტუალურს ხდის ჩვენს სადისერტაციო თემას.

კვლევის მიზანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრებაში არსებული ბარიერების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების შესწავლა. შესაბამისად, **კვლევის ამოცანებია:**

I. სკოლებში დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესწავლა;
II. მცირე ემპირიული კვლევით სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებებისა და დამოკიდებულების შესწავლა;
III. ქართული სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ამ ბარიერების გადალახვის პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზება.

კვლევის ობიექტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

კვლევის საგანია შიდა სასკოლო მმართველობის დემოკრატიზაციის პედაგოგიური პრინციპები, ფორმები და მეთოდები.

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგია: შიდა სასკოლო მმართველობის ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის პედაგოგიური პრინციპები ოპტიმალური იქნება, თუ

- შიდა სასკოლო მმართველობის ჰუმანიზაციის და დემოკრატიზაციის პროცესს სკოლის კოლექტივი ხელახლა გაიაზრებს;
- მნიშვნელოვნად შეიცვლება მთელი პედაგოგიური პროცესის მონაწილეთა ურთიერთობები;
- პედაგოგიური პროცესის მონაწილეთა შემოქმედებითობის აქტივაცია და საქმიანობის დადებითი მოტივაციის გაძლიერება მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება შიდა სასკოლო მმართველობის პედაგოგიურ პროცესში თითოეული მათგანის ინდივიდუალური ჩართულობით;
- მოხდება სკოლაში მოქმედი სასწავლო პროგრამების ჰუმანიზაცია, დემოკრატიზაცია და სოციალიზაცია.

ნაშრომის **კვლევის ძირითადი მეთოდებია:** წყაროების ანალიზი, გამოკითხვა, დაკვირვება, ლოგიკური ანალიზი, შეჯამება, თეორიული კვლევა, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის მეცნიერული სიახლე შემდეგია: თანამედროვე ეპოქაში სამყარო გამუდმებით იცვლება, ამიტომ საჭირო გახდა ახალი ტიპის მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეეძლება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, სწორი და თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თანაცხოვრება, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაფასება, ცვალებად სამყაროში ცხოვრება და ამ ცვალებადობის მართვა. შესაბამისად, სასკოლო განათლების სპეციალისტების უმთავრესი ამოცანაა, შექმნან სკოლის მმართველობის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სწორედ ასეთი ადამიანის აღზრდას. დისერტაციაში ჩვენ განვიხილავთ სკოლის დემოკრატიული მმართველობის სრულიად ახლებურ მოდელს, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებში ისეთი სიახლეების დანერგვას, როგორიცაა სკოლის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მართვაში მოსწავლეთა და მშობელთა აქტიურ და რეალურ ჩართულობას, როგორიცაა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება, სკოლის ფიზიკური და სოციო-ემოციური გარემოს მოწყობა, სასკოლო ურთიერთობების მართვა, სასკოლო კურიკულუმის, თემატურ კალენდარული გეგმების მომზადებაში ჩართვა და ა.შ.

უამრავი შრომა და კვლევა (უზნაძე, 1995; დიუი, 1916; ფრეირი, 1970; ბეკმენი, 2013; გოლობი, 2013 და ა.შ) ეძღვნება სკოლებში დემოკრატიული პრინციპების

დამკვიდრებას, იწერება რეკომენდაციები, მაგრამ საკითხის პრაქტიკაში განხორციელება ჯერ კიდევ მიუწვდომელია საზოგადოების ზოგიერთი წევრისთვის და უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს. საქართველოს ზოგიერთ სკოლაში დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შემოღების მცდელობა ჯერჯერობით ქაღალდზე რჩება. წინამდებარე დისერტაციაში მოცემული რეკომენდაციები სასკოლო საზოგადოების წევრებს სკოლებში დემოკრატიული მმართველობის პროცესების წარმართვაში შეუწყობს ხელს.

სადისერტაციო ნაშრომს აქვს როგორც **თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება,** რაც შემდგომში მდგომარეობს: ჩვენი თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციებით ჩამოვაყალიბეთ სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპები, შევისწავლეთ სკოლებში მათი დამკვიდრების და პრაქტიკული განხორციელების პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორები, შევიმუშავეთ თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც გამოადგებათ სასკოლო საზოგადოების დაინტერესებულ პირებს (სკოლის დირექციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს თუ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს), რაც, თავისთავად, სკოლებში გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწოფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, პირადი ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსები, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, ხორვატიის, საფრანგეთის, ლატვიის, რუსეთის და უკრაინის კერძო და საჯარო სკოლები.

დასაცავადაა გამოსატანი შემდეგი დებულებები:

სკოლებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის საჭიროა:

1. ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება და მუდმივი განვითარება;
2. ეთიკური ქცევის წესების ჩამოყალიბება და დამკვიდრება;
3. ერთპიროვნული მმართველობის დემოკრატიული მმართველობის ფორმით შეცვლა;
4. სკოლის მმართველობაში ამავე სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური ჩართულობა;

5. ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპის აღიარება, სასწავლო გარემოში დამკვიდრება და მუდმივი განვითარება;
6. სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვის არა მარტო ცალკე საგნებად, არამედ მთელ სასწავლო პროგრამაში ინტეგრირება;
7. ადამიანთა უფლებების დაცვით სწავლება/სწავლა;
8. ადამიანთა უფლებების დაცვის გარემოს შექმნა სკოლაში;
9. სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
10. მოსწავლეებში შემოქმედების, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებისათვის ზრუნვა;
11. სასწავლო პროგრამების სოციალიზაცია, ზეპირობის და თხრობის მეთოდის დიალოგით, კვლევა-ძიებით, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით შეცვლა;
12. პედაგოგის მიერ მოსწავლის შინაგანი სამყაროს აღმოჩენა და მისი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით გაკვეთილის დაგეგმვა, მოსწავლეთა გამოცდილების გათვალისწინება და უქონლობის შემთხვევაში მისი შექმნა.

ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის (8 პარაგრაფის, 16 ქვეპარაგრაფის) და დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის ობიექტი, მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და თავების მიხედვით წარმოდგენილია ნაშრომის მოკლე შინაარსი.

პირველ თავში - ,,დემოკრატიული სკოლა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შენების წინაპირობა - ფილოსოფიურ-პედაგოგიური კამათი“ განხილულია დემოკრატიული სკოლის ჩამოყალიბების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისათვის. მოყვანილია ცნობილი პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ფილოსოფოსების (პლატონი, ძვ.წ. აღ. 380; არისტოტელე, ძვ. წ. აღ. 350; დიუი, 1916; ფრეირი, 1970; ჭავჭავაძე, 1888; უზნაძე, 1995 და სხვა) შეხედულებები.

მეორე თავი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან, რომლებშიც თეორიულად დამტკიცებულია საქართველოს სკოლებში დემოკრატიული მმართველობის შემდეგი პრინციპების დამკვიდრების საჭიროება: ადამიანის უფლებების დაცვის, ნდობის, ეთიკური ქცევის, დისკრიმინაციის და ძალადობის დაუშვებლობის პრინციპები.

მესამე თავი შედგება ოთხი პარაგრაფისა და 12 ქვეპარაგრაფისაგან. აქ განხილულია სასკოლო ცხოვრების შემდეგი ძირითადი სფეროები: სკოლის მმართველობა/მართვა, სასკოლო ურთიერთობები, სასკოლო კურიკულუმი, სასკოლო გარემო.

აქვე მოცემულია თითოეულ სფეროში სკოლის დემოკრატიული მმართველობის დანერგვის შესაძლო რეკომენდაციები.

მეოთხე თავში აღწერილია ჩვენ მიერ სკოლებში ჩატარებული ემპირიული კვლევის მიზნები, ამოცანები, ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია, მეთოდები, შერჩევა და ემპირიული კვლევის შედეგები, რასაც მოსდევს შედეგების ინტერპრეტაცია, ახსნა-განმარტება, თუ რა კავშირი აქვს მოპოვებულ ინფორმაციას დისერტაციის დასაწყისში დასახულ მიზნებთან.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილების, დიაგრამების, სახით, რაც ზრდის მათი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს. დისერტაციის ბოლოს მოცემულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

აპრობაცია: დისერტაცია მომზადდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. ნაშრომი საბოლოოდ განხილულია პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სხდომაზე (2017 წლის 18 ივლისი, ოქმი N12). მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და რეკომენდაციები გავაცანით სასკოლო საზოგადოების წევრებს. ნაშრომის გარკვეული ნაწილი აპრობირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებათა სახით. თემასთან დაკავშირებული 7 სტატია გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში.

I თავი

დემოკრატიული სკოლა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შენების წინაპირობა - ფილოსოფიურ-პედაგოგიური კამათი

დემოკრატიული სახელმწიფოს შენება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. თანამედროვე სამყაროში, სადაც ასე აქტუალური გახდა კონფლიქტების მშვიდობიანად და ძალადობის გარეშე მოგვარება, საჭიროა დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება, რაშიც უდიდესი წვლილი განათლებამ, სკოლამ უნდა შეიტანოს. სწორედ განათლებული, დემოკრატიული უნარ-ჩვევების, ქცევებისა და ღირებულებების მქონე საზოგადოება ქმნის დემოკრატიულ კულტურას სახელმწიფოში. იმის მიუხედავად, რომ დემოკრატია არ არის სრულყოფილი მმართველობის ნიმუში, მას მინიმუმამდე დაჰყავს ძალადობა და ადამიანთა უფლებების დარღვევა. დემოკრატიული ცხოვრება გულისხმობს კრიტიკულ ცნობიერებას, გადაწყვეტილებების კოლექტიურად მიღებას, სამოქალაქო ჩართულობას და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვას.

დემოკრატიული ქცევა და აზროვნება ადამიანმა, უწინარესად, სკოლაში უნდა ისწავლოს. სკოლა უდიდეს როლს ასრულებს დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებაში. დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია დემოკრატიული სკოლების/ზოგადი განათლების გარეშე. სკოლამ უნდა მოამზადოს აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეები, გააუმჯობესოს სოციალური მდგომარეობა, წაახალისოს კულტურული მთლიანობა, დაეხმაროს ადამიანებს, გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაემარება მათ, გახდნენ ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი და ა.შ. სწორედ ამიტომ დემოკრატიული სკოლა არის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შენების წინაპირობა.

სკოლამ უნდა აღზარდოს მოქალაქეები, რომლებიც შექმნიან ძლიერ სახელმწიფოს. მოქალაქეთა ღირებულებებსა და ქცევებზეა დამოკიდებული სახელმწიფოს დემოკრატიულობა - მხოლოდ სამართლიანი მოქალაქეები შექმნიან სამართლიან სახელმწიფოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სკოლის მმართველობა, სტრუქტურა, კურიკულუმი და ცხოვრება უნდა იყოს დემოკრატიის იდეალური მოდელი.

სასკოლო განათლების მიზნები და ამოცანები სწორად რომ განვსაზღვროთ, საამისოდ განვიხილოთ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსი და მისი კავშირი აღზრდა-განათლებასთან.

დემოკრატია ბერძნული სიტყვაა, δήμος „დემოს“ ნიშნავს ხალხს, ხოლო κράτος „კრატოს“ – ძალაუფლებას, კანონს, ძალას. შესაბამისად, დემოკრატიას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც „ხალხის ბატონობას.“ ეს არის სისტემა, სადაც ხალხი აწესებს კანონებს და ემორჩილება მათ.

სამართლებრივი სახელმწიფოს რაობა ყოველთვის იყო ფილოსოფოსთა მსჯელობის საგანი. პლატონის აზრით, ადამიანების მცდელობას ყოველთვის თან ახლავს სამართლიანობის განმკარგველი, ღრმად გამჯდარი მითური აზროვნება. მისი აზრით, დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი „სიკეთე“ თავისუფლებაა, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ ზედმეტი თავისუფლება ადამიანისათვისაც და სახელმწიფოსათვისაც მავნებელია. პლატონი თავისუფლებას სამართლიანობასა და პასუხისმგებლობასთან აიგივებს- თავისუფლება არ ნიშნავს თავაშვებულობას.

პლატონის აზრით, სახელმწიფო არის ზნეობრივი ორგანიზმი, რომელიც უნდა შედგებოდეს „მხოლოდ ღირსეული ადამიანებისაგან“ (პლატონი, 2003: 30). პლატონი სამართლიანად ბრძენ და ღირსეულ ადამიანს თვლის. ადამიანი არის სახელმწიფოს ნაწილი, ამიტომ სახელმწიფო სამართლიანი რომ იყოს, მოქალაქეებიც სამართლიანნი უნდა იყვნენ, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან სახელმწიფოს. პლატონის აზრით, მოქალაქე ზნეობრივ და სამართლიან ცხოვრებას უნდა ეწეოდეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს აღზრდამ, „რადგანაც სათანადო აღზრდა და სწავლა-განათლება აკეთილშობილებს ბუნებას, სწორედ ამიტომ სახელმწიფო მოხელეებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ „სწავლა-განათლებას, მათ შეუჩნევლად ხრწნილება არ შეეპაროს“ (პლატონი, 2003: 71).

პლატონის აზრით, „მოქალაქეთა ერთი ნაწილი კი არ უნდა იყოს ბედნიერი, არამედ ყველა“ (პლატონი, 2003: 67). ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამართლებლივ სახელმწიფოში ადამიანები თანასწორუფლებიანნი უნდა იყვნენ. ფილოსოფოსი ნამდვილ ბედნიერებად მიიჩნევს ადამიანის გათავისუფლებას სხეულებრივი ვნებებისა თუ სურვილებისაგან და ისეთი სიბრძნის დაუფლებას, რომელიც დაეხმარება მას, იცხოვროს უმანკოდ. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაემსგავსება

ადამიანი ღმერთს, მხოლოდ უფალთან მიმსგავსება მოუტანს მას ნამდვილ ბედნიერებას. შესაბამისად, სკოლის დანიშნულებაც აქედან გამომდინარეობს, დაეხმაროს მოსწავლეებს, მიაღწიონ ამ მიზანს, აღსაზრდელებს განუვითაროს ის ელემენტარული უნარ-ჩვევები, რაც მათ დაეხმარება, გახდნენ კარგი მოქალაქეები და საზოგადოების ღირსეული წევრები.

პლატონი თვლის, რომ კარგი საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მკაცრი კონტროლი. სანიმუშო დისციპლინა ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, რადგანაც დისციპლინიანი ადამიანი კარგად შეასრულებს თავის სამოქალაქო როლს.

პლატონი თვლიდა, რომ საზოგადოების ფენები, რომლებიც კანონს არ ემორჩილებოდნენ და არღვევდნენ დისციპლინას, კარგ სახელმწიფოს ვერ შექმნიდნენ. ვერც მმართველი მართავს ქვეყანას, თუ კარგად დისციპლინირებული არ რის. პლატონი გვასწავლის, რომ ბავშვის დისციპლინის მართვა რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან, 3 წლამდე დავიწყოთ.

პლატონი ასევე ეხება სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებას. მისი აზრით, ის რაც ერთისთვის სამართლიანია, მეორისთვის შეიძლება უსამართლო იყოს. გონებამ უნდა გადაწყვიტოს, რა არის სამართლიანი და რა - უსამართლო: „გონება რომელიც არჩევს, რა არის უკეთესი და რა – უარესი, გადაჭრით ჰგმობს უგუნურსა და ბობოქარ საწყისს“ (პლატონი, 2003: 89). აქედან გამომდინარე, სკოლა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, ერთმანეთისგან გაარჩიონ სამართლიანობა და უსამართლობა, სიკეთე და ბოროტება, ზნეობა და უზნეობა.

არისტოტელეს განმარტებით, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპი თავისუფლებაა, რომელიც ადამიანთა თანასწორობას ემყარება. არისტოტელე აკრიტიკებს დემოკრატიული სამართლიანობის პრინციპს და მიიჩნევს, რომ უმრავლესობის თვალსაზრისით გადაწყვეტილების მიღება თანასწორობასაც შეიცავს და უსამართლობასაც. „თუ საკითხს წყვეტს უმცირესობა, მაშინ სახელმწიფო ტირანული ყოფილა და, თუ ერთ კაცს აქვს ყველაზე მეტი ქონება, მაშინ ეს კაცი უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში. თუ უპირატესობა ეძლევა უმრავლესობას, მაშინ უსამართლობაა მდიდარი უმცირესობის ქონების კონფისკაცია...“ (არისტოტელე, 1996: თავი II, გვ. 13-14).

არისტოტელეს აზრით, ადამიანთა კეთილდღეობისა და სოციალური წყობილების შესანარჩუნებლად სახელმწიფომ შესაბამისი განათლების სისტემის დანერგვა უნდა უზრუნველყოს. დემოკრატიული სახელმწოფოს შექმნისა და შენარჩუნებისთვის დემოკრატიული განათლება უნდა დაინერგოს. ეს კი, როგორც არისტოტელე გვასწავლის, ყოველი ინდივიდისთვის საკუთარი ტალანტისა და შესაძლებლობების განვითარების შესაძლებლობას ნიშნავს.

იგი თვლის, რომ განათლების მიზანი იყო არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ ადამიანისთვის ბედნიერებისა და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

გამოჩენილი რომაელი პოლიტიკური მოაზროვნის, მარკუს ტულიუს ციცერონის (ძვ.წ.აღ.106-43 წწ) მოსაზრებით, სახელმწიფო არის ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული კავშირი, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობაზე. განათლების ელიტიზმი, მ. ციცერონისა და სხვა რომაელი მოაზროვნეებისათვისაც ისევე იყო მისაღები, როგორც პლატონისა და არისტოტელესათვის.

ფილოსოფოსი ნაშრომში De Officiis (მოვალეობების/ვალდებულებების შესახებ) განიხილავს ახალგაზრდა ადამიანების მორალურ მოვალეობებს და ამტკიცებს, რომ ეთიკური ქცევა გადარჩენის ერთადერთი გზაა ცხოვრებაში. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, სკოლაში ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეთა მორალურ განვითარებას“ (Marcus Tullius Cicero, October-November 44 BC).

გერმანელი კლასიკური ფილოსოფიისა და იდეალიზმის დამაარსებლის – იმანუელ კანტის (1724-1804) აზრით, სახელმწიფო მნიშვნელოვნად ლიმიტირებული უნდა იყოს სამართლის ნორმებით, რათა არ მივიდეს დესპოტიზმამდე და განუკითხაობამდე; სახელმწიფო უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების მსახური და არა ბატონი (კანტი, 1979).

ი. კანტის მოსაზრებას თუ დავეყრდნობით, სკოლის ძირითადი მიზანია, მოსწავლეს ასწავლოს, სხვისი ზედამხედველობის გარეშე გამოიყენოს საკუთარი გონება, საკუთარი განსჯა და დაუჯეროს მას.

პაულო ფრეირი თავის ნაშრომში – „ჩაგრულთა პედაგოგიკა“ (1970) განიხილავს განმათავისუფლებელი განათლების დამკვიდრების პრინციპებს და სახელმწიფოს

როლს ასეთი განათლების ხელშეწყობაში. ფილოსოფოსი „ჩაგრულებს“ უწოდებს „გაორებულ, არაავთენტურ“ მოსწავლეებს/ადამიანებს, რომელთა ერთ-ერთი თვისებაა-საკუთარი თავის უპატივცემულობა: „მათ ისე ხშირად ესმით, რომ სრულიად გამოუსადეგარნი არიან, არაფერი იციან და არც არაფრის სწავლა შეუძლიათ, ავადმყოფები, ზარმაცები და უსაქმური არიან, რომ საბოლოოდ საკუთარ უვარგისობას თავადაც იჯერებენ“ (ფრეირი, 2005:34).

პ. ფრეირი ამტკიცებს, რომ ჩაგრულები საკუთარ თავს არ ენდობიან და ვერც კი ხვდებიან, რომ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და სამყაროზე დაკვირვებიდან თავადაც შეიძინეს ცოდნა.

პ. ფრეირის ჩაგრულთა პედაგოგიკა „ავთენტურ, ჰუმანისტურ კეთილშობილების მიერ ხორცშესხმულ, კაცობრიობის პედაგოგიკას წარმოგვიდგენს. პედაგოგიკა, რომელიც მჩაგვრელთა ეგოისტური (პატერნალიზმის ყალბი კეთილშობილებით შენიღბული) ინტერესებით იწყება და ჩაგრულებს თავისი ჰუმანიტარიანიზმის ობიექტებად აქცევს, თავად განასახიერებს და ინარჩუნებს ჩაგვრას.ის დეჰუმანიზაციის ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომაა, რომ ... ჩაგრულთა პედაგოგიკა ვერ ჩამოყალიბდება და ვერც განხორციელდება მჩაგვრელთა მიერ, რადგანაც თუ მჩაგვრელები არა მხოლოდ მხარს დაუჭერენ, არამედ რეალურად უზრუნველყოფენ განმათავისუფლებელ განათლებას, მაშინ ისინი საკუთარ თავს დაუპირისპირდებიან“ (ფრეირი, 2005: 25).

პ. ფრეირი გამოყოფს განმათავისუფლებელი პედაგოგიკის ორ საფეხურს:

- პირველ რიგში, ჩაგრულები ფარდას ხდიან ჩაგვრის რეალობას და პრაქტიკული ქმედებების გზით საკუთარ თავს მისი შეცვლის ვალდებულებას აკისრებენ.
- მეორე საფეხურზე, რომელზეც ჩაგვრის რეალობა უკვე შეცვლილია, ეს პედაგოგიკა აღარ ეკუთვნის მხოლოდ ჩაგრულებს და გადაიქცევა მუდმივი განთავისუფლების პროცესში მყოფი ყველა ადამიანის პედაგოგიკად (ფრეირი, 2005: 26).

პ. ფრეირი განმარტავს, რომ პირველ საფეხურზე უნდა გადაიჭრას ჩაგრულის (მოსწავლის) და მჩაგვრელის (მასწავლებლის) ცნობიერების პრობლემა, სადაც გასათვალისწინებელია ამ ადამიანების ქცევა, მსოფლმხედველობა და მორალი. იგი

ამბობს: „ჩაგრულებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ ....მხოლოდ შიმშილისგან გათავისუფლებისთვის კი არ იბრძვიან, არამედ შექმნისა და შენების, ფიქრისა და მოქმედების თავისუფლებისთვის. ასეთი თავისუფლება მოითხოვს, რომ ინდივიდი აქტიური და პასუხისმგებელი იყოს და არა მონა...“ (ფრეირი, 2005: 39). როცა ადამიანები მიხვდებიან, რომ საჭიროა შეცვალონ არსებული „მონური“ მდგომარეობა და გათავისუფლდნენ, განათლება გახდება დემოკრატიული პროცესი, რომელშიც მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა ადამიანის უფლებების დასაცავად და სამყაროში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

პედაგოგი და განმანათლებელი აკრიტიკებს დაზეპირებაზე ორიენტირებულ განათლებას, რომელიც ხელს უშლის შემოქმედების, ცვლილებებისკენ სწრაფვისა და ცოდნის მიღების უნარის განვითარებას. მისი აზრით, ცოდნის მიღების და პრაქტიკის გარეშე ინდივიდი სრულყოფილი ადამიანი ვერ გახდება: „ცოდნა ჩნდება მხოლოდ აღმოჩენების, ხელახალი აღმოჩენების, ცოდნისადმი უწყვეტი სწრაფვის შედეგად, რომელიც ადამიანებს სამყაროსთან და ერთმანეთთან აკავშირებს“(ფრეირი, 2005: 43,).

პაულო ფრეირი ამბობს, რომ მოსწავლეები რაც უფრო მეტს შრომობენ (იგულისხმება მასწავლებლის მიწოდებული მასალის დაზეპირება), მით უფრო ნაკლებად უვითარდებათ კრიტიკული ცნობიერება, რომელიც „მხოლოდ მაშინ ყალიბდება თუ ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობას, მისი შეცვლის მიზნით იწყებს. რაც უფრო ადვილად მიიღებენ მათთვის თავსმოხვეულ პასიურ როლს, მით უფრო მეტად შეეგუებიან არსებულ სამყაროს და მათში ჩადებული რეალობის ფრაგმენტულ ხედვას“ (ფრეირი, 2005: 44).

პ. ფრეირი მოგვიწოდებს დიალოგისა და კრიტიკული აზროვნებისაკენ: „კრიტიკული აზროვნება - ჭეშმარიტი აზროვნება - ქმედებას იწვევს, მეორე მხრივ, როცა სიტუაცია ქმედებას მოითხოვს, ეს ქმედება მხოლოდ მაშინ იქნება ავთენტური, როცა მისი შედეგები კვლავ კრიტიკულ განხილვას დაექვემდებარება“ (ფრეირი, 2005: 37).

პ. ფრეირი ასევე საუბრობს ნდობის მნიშვნელობაზე: „პრაქტიკული შედეგის მისაღწევად აუცილებელია ნდობა ჩაგრულებისა და მათი აზროვნების უნარისადმი“ (ფრეირი, 2005: 37-39). იგი მიიჩნევს, რომ განმათავისუფლებელი განათლების

(ჩვენს შემთხვევაში, დემოკრატიული სკოლის) მთავარი მიზანია, მოსწავლეებს საკუთარი თავის პატივისცემა და რწმენა ჩამოუყალიბოს, შექმნას ნდობაზე დაფუძნებული სწავლება/სწავლის პროცესი, ხელი შეუწყოს კრიტიკულ აზროვნებას და შემოქმედებას და მუდმივი თავისუფლების ძიებას. ასეთი ტიპის განათლების უზრუნველყოფა კი მოითხოვს პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელიც ჩაგრულებს (მოსწავლეებს) არ აქვთ, ამიტომ ასეთი განათლების უზრუნველყოფაში მათ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) აღიარებდა სასკოლო განათლების მნიშვნელობას სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. იგი სკოლებს მოუწოდებდა ეზრუნათ მოსწავლის სამართლიან და პასუხისმგებელ პიროვნებად აღზრდისათვის.

ილია ამბობს: „სკოლა ერთსა და იმავე დროს სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“ (ჭავჭავაძე, 1888: 55-56).

„წურთვნას“ ილია განიხილავს, როგორც ადამიანის ზნე-ხასიათის ზრდა-განვითარებას, ხოლო სწავლას – გონების გახსნასა და გაძლიერებაზე ზრუნვას.

ილია ჭავჭავაძე სკოლის მთავარ დანიშნულებად სწავლასთან ერთად ადამიანის ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვას მიიჩნევს: „საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობათა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი“ (ჭავჭავაძე, 1888: 56).

ილია გვასწავლის, რომ „კაი-კაცობა“ მხოლოდ ადამიანის ზნეობრივი აღზრდის შედეგია, მხოლოდ სწავლით ვერაფერს გახდება ადამიანი ცხოვრებაში და ასეთი ტიპის სწავლება საშიშიც კი შეიძლება იყოს საზოგადოებისათვის, რადგანაც, თუ ადამიანი მხოლოდ სწავლულია და მისი ზნე-ხასიათი არ არის გაწვრთნილი, მაშინ იგი ადამიანი შეიძლება მავნებელიც იყოს, მან თავისი გონება შეიძლება ბოროტი თვალსაზრისით გამოიყენოს, ამიტომაც, მნიშვნელოვანია, სკოლამ მოსწავლეებს

მისცეს ჭეშმარიტი განათლება, რაც ილიასთან განმარტებულია, როგორც გონებისა და ზნე-ხასიათის ერთდროული განვითარება.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ზნე-ხასიათის წვრთნა არის ადამიანის „სულიერი ვინაობისა, სულიერი ბუნების“ გარკვევა. იგი თვლის, რომ სკოლის მთავარი მიზანი მოსწავლის პიროვნებად ქცევაა, „ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა“ (ჭავჭავაძე, 1888: 58).

ილია ამტკიცებს, რომ სკოლამ მოსწავლე უნდა მოამზადოს ქვეყნის სასარგებლო საქმიანობისათვის, მისცეს ის „ღონე, ხერხი და წყურვილი,“ რაც პატიოსან ცხოვრებაში გამოადგება. განმანათლებელი წუხს, რომ „ეხლანდელი სკოლა კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წვრთნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის, ამიტომაც არც კაცად ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც, სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ“ (ჭავჭავაძე, 1888: 59).

ილია ჭავჭავაძე ემხრობა იმ მეცნიერებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოსწავლეები კი არ უნდა გადავღალოთ ზედმეტი „ციფრების, სახელების, წელიწადებისა, სამათემატიკო ფიგურების, საგრამატიკო ფორმების“ დამახსოვრებით, არამედ მათ უნდა დავეხმაროთ, გამოარკვიონ საკუთარი თავი სამყაროში, გახდნენ პატრიოტი მოქალაქეები, მოსწავლეებს, პირველ რიგში, უნდა ჩამოვუყალიბოთ სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის გრძნობები, რადგანაც თუ ადამიანი სამართლიანია, ცხოვრებაში ყველაფერს შრომით და ოფლით მოიპოვებს, ხოლო თუ კაცთმოყვარეა, ბოროტებას არ ჩაიდენს. ილიას აზრით, სკოლის დევიზი უნდა იყოს - „შეძლებისამებრ იშრომე და იმოქმედე კეთილი“ (ჭავჭავაძე, 1879).

ილია ჭავჭავაძე სკოლის დანიშნულებად მიიჩნევს, მოსწავლეებს ასწავლოს „პატივისცემა სხვისა და საკუთარი თავისა, პატივისცემა კანონიერებისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა“ (ჭავჭავაძე, 1879: 11). სწორედ ასეთი განათლება გამოიტანს შედეგს და მოსწავლეს ჩამოაყალიბებს ადამიანად, პიროვნებად.

ილია ჭავჭავაძისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პიროვნების და კარგი მოქალაქის აღზრდა. ეს კი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობაა.

ილია მიიჩნევდა, რომ განათლება ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასათვის და ყოველი საზოგადოებრივი კლასისათვის, რადგანაც „სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“ (ჭავჭავაძე, 1879: 9).

„ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ისე არავინ აპარპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის, ხალხს ჯერ კუჭი გავუძღოთ და მერე ვისწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებულა, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაიგო-რა, ისევ-ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია“ (ჭავჭავაძე, 1879: 21-22).

თვალსაჩინო ქართველი პედაგოგი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი დიმიტრი უზნაძე (1886-1950) განიხილავს კავშირს დემოკრატიულ სახელმწიფოსა და დემოკრატიულად ორგანიზებულ სასკოლო განათლებას შორის. მისი აზრით, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარება დამოკიდებულია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე. „დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის, აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ,

პირველ ყოვლისა, მოქალაქე, ამიტომ ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბაასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში. მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად? პირველ ყოვლისა, აუცილებელია, ბავშვებს მივცეთ გარკვეული ცოდნა მოცემულ საკითხზე; სახალხო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოსაზრება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობასა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას“ (უზნაძე, 1995: 50).

დ. უზნაძის აზრით, დემოკრატიული განათლება არის გამოცდილებაზე ორიენტირებული ცოდნის მიღება, პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ბავშვებში აღძრავს თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას და რომელიც მოამზადებს მათ ცხოვრებისათვის. „დემოკრატიის შესახებ პროგრესული განათლების ფილოსოფია გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის განათლებას“ - ამბობს დიმიტრი უზნაძე (უზნაძე, 1916: 38).

დემოკრატიულია სახელმწიფო, რომელსაც მართავს ხალხი, ამავე სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე კენჭისყრის გზით ირჩევს მის წარმომადგენელს მმართველობის სფეროში. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანები უნდა იყვნენ აქტიურნი, მათ ზემოქმედება უნდა მოახდინონ სახელმწიფოს მართვის პროცესზე. იმისათვის, რომ ბავშვებს ჩამოუყალიბდეთ ნამდვილი დემოკრატიული მმართველობის ჩვევები და დემოკრატიული ღირებულებები, სკოლამ მათზე ადრეული ასაკიდან უნდა იზრუნოს.

დ. უზნაძე კარგად ხედავდა, დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებისთვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება: „თვითმმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივე ეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივი და წარუვალის შექმნის მზაობის შეგნებით“ (უზნაძე, 1995: 50).

ჯონ დიუი (1859-1952) თავის ნაშრომში – „განათლება და დემოკრატია“ განიხილავს დემოკრატიას და განათლებას შორის კავშირს. ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული საზოგადოება დაინტერესებული უნდა იყოს, ზედმიწევნით კარგად ჰქონდეს დაგეგმილი განათლების სისტემა. მისი აზრით, დემოკრატიული საზოგადოება უარყოფს გარეშე ავტორიტეტის პრინციპს, მან უნდა იპოვოს შემცვლელი, კერძოდ, თავისუფალი განლაგება და ინტერესი, ამის განხორციელება კი მხოლოდ განათლების საშუალებითაა შესაძლებელი“ (დიუ, 2010: 90).

დემოკრატია არის ცოდნის თავისუფალი გამოხატვა და გავრცელება, იდეების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ღია სიმართლის მიმდევრობა. როგორც დიუი ამბობს, საზოგადოება იმდენადაა დემოკრატიული, რამდენადაც იგი შესაბამის პირობებს ქმნის, რომ მისმა ყველა წევრმა ისარგებლოს თანასწორუფლებიანობის პრინციპით, რამდენადაც უზრუნველყოფს თავისი ინსტიტუტების თავისუფალ და მოქნილ გადაწყობას შეკავშირებული ცხოვრების სხვადასხვა ფორმის ერთმანეთთან დაკავშირებით. ასეთ საზოგადოებას ისეთი საგანმანათლებლო სისტემა უნდა ჰქონდეს, რომელიც ინდივიდებს პირად ინტერესს აღუძრავს სოციალური ურთიერთობებისა და კონტროლის საშუალებების და ისეთი გონებრივი თვისებების ჩამოყალიბების მიმართ, რომლებიც სოციალურ ცვლილებებს საზოგადოებრივი არეულობის გარეშე უზრუნველყოფს.

ჯ. დიუი მიიჩნევს, რომ დემოკრატია „უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მმართველობის ფორმა. იგი უმთავრესად ერთმანეთთან დაკავშირებული ცხოვრების, ურთიერთდაკავშირებული გამოცდილებისა და ცოდნის მდგომარეობაა“ (დიუი 2010: 90). ეს არის დემოკრატიის სოციალური კონცეფციის შემოღება, ეს არის იმის გაცნობიერება, რომ დემოკრატია არ არის მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკაში. დიუი დემოკრატიას სოციალურ საქმიანობაში ინკლუზიურ თანამონაწილეობასთან აიგივებს. ეს არის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების კონსტრუქცია, შენარჩუნება და ტრანსფორმაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიის სოციალური კონცეფცია არის სოციალური და პოლიტიკური საქმიანობის ინკლუზიურ ხერხს გულისხმობს.

ჯ. დიუი აღიარებს, რომ განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და არა მხოლოდ ელიტისთვის, ხოლო სკოლა წარმოადგენდეს სახალხო ადგილს მომავალი მოქალაქეობისთვის, იყოს დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი „მინიატურული საზოგადოება, ემბრიონი“ (Dewey, 1902).

სწავლული ამტკიცებდა, რომ ყველაზე საუკეთესო და გონივრული, რაც შეიძლება მშობელმა საკუთარი შვილისათვის მოინდომოს, არის ის, რაც მთელ საზოგადოებას სურს თავიანთი შვილებისთვის. ჩვენი სკოლების სხვა დანარჩენი იდეალები ვიწრო და არასასიამოვნოა, ასეთი ქცევა ანადგურებს დემოკრატიას, მხოლოდ და მხოლოდ ყოველი ინდივიდის მართებული აღზრდა, შექმნის სამართლიან საზოგადოებას (Dewey, 1900)

ჯ. დიუის ფილოსოფია აწინაურებს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობას. მას სჯეროდა, რომ ინდივიდებს შეეძლოთ, განესაზღვრათ, თუ რა არის კარგი, მართებული, სანდო და უტყუარი, რადგანაც თუ არ არსებობს უფრო მაღალი ავტორიტეტი, რომელსაც პიროვნება ემორჩილება, ჩვეულებრივი მოქალაქე თავისუფლდება ყოველგვარი გარედან თავსმოხვეული იდეისაგან და პროგრესსა თუ ცვლილებებში პირდაპირ მონაწილეობს.

განათლების წამყვანი მეთოდი ბავშვისა და გამოცდილების ფოკუსირებაა, - წერს ჯ. დიუი და დასძენს, რომ განათლებას აქვს პრაქტიკული ფუნქცია. მეცნიერის მტკიცებით, ცოდნის სოციალური თვისების აღიარება და განვითარება არის

დემოკრატიის მომავლის მთავარი გასაღები. ცოდნა არის ძალაუფლება, იგი მიიჩნევს, რომ ყოველი ინდივიდი მონაწილეობს ცოდნის განვითარებაში. მისი აზრით, ყოველგვარი ცოდნა (ცდა, ექსპერიმენტი, კვლევა, რეფლექსია და კომუნიკაცია), იქნება ეს მეცნიერული თუ პრაქტიკული, სოციალურია, გამოცდილებასთან ურთიერთმოქმედების ნაყოფია.

ჯ. დიუის აზრით, ყველას შესწევს ცოდნის შექმნაში მონაწილეობის მიღების უნარი და ეფლება. მისთვის განათლების მეშვეობით სამყაროს ცვლილება არის ეფექტური საშუალება, რომელიც გამოიწვევს პოლიტიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციას.

ჯ. დიუი მის მიერვე წამოყენებული პრობლემის გადაჭრის გზებსაც გვთავაზობს. მას სჯერა, რომ საზოგადოების ყოველი წევრისათვის განათლების მიცემა გადაარჩენს კაცობრიობას. მისთვის დემოკრატიის საიმედოობა დევს საზოგადოებრივ კეთილგანწყობილებაში.

ჯ. დიუის დემოკრატიულ საზოგადოებაში სკოლა განიხილება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ყოველ ინდივიდს, თავისი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, შეუძლია, ჩაერთოს საერთო სახალხო ცხოვრებაში, რადგანაც განათლებას ცენტრალური ადგილი უჭირავს დემოკრატიის განხორციელებაში. განათლება გულისხმობს ინფორმირებულ მოქალაქეობას და სოციალური თანასწორობის ოცნების რეალიზაციას.

ჯ. დიუი განათლებას განმარტავს, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური უთანასწორობის შედეგად წარმოქმნილი კლასობრივი სხვაობების გამათანაბრებელ საშუალებას და მიიჩნევს, რომ იგი საყოველთაო გათანასწორებისათვის საუკეთესო საშუალებაა.

ჯ. დიუი დემოკრატიას განმარტავს, როგორც თანაცხოვრების გაერთიანებულ ასოციაციას და საერთო პასუხისმგებლობის მქონე სოციალურ სივრცეს, რომელსაც მართავს საერთო სახალხო საქმიანობა. დემოკრატიული საზოგადოების მომავალს, მეცნიერი სკოლასა და კლასში დემოკრატიული იდეალის დამკვიდრებაში ხედავს.

ჯ. დიუის აზრით, ადამიანი სხვებისგან და გაზიარებული გამოცდილებებით სწავლობს, რაც ნიშნავს დემოკრატიულად ცხოვრებას. საზოგადოებრივი თანასწორობა დემოკრატიული საზოგადოების თავიდათავია. თანასწორობას რომ

მიაღწიონ, ინდივიდებმა უნდა ისწავლონ სოციალური თანაცხოვრება, განსხვავებულობის დაფასება და გამოსცადონ ტოლერანტობა.

ჯ. დიუის პედაგოგიკა სკოლებში არსებული საქმიანობისა და სკოლის მიღმა არსებული სამყაროს დაკავშირებას ისახავს მიზნად. მის სკოლა-ლაბორატორიაში მოსწავლეები სწავლობდნენ გამოცდილებით. მაგალითად, სტუმრობდნენ ფერმას, ბაღს, საწარმოებს, ბიზნესკომპანიებს. აკვირდებოდნენ, შემდეგ სკოლაში ქმნიდნენ საკუთარ ფერმას თუ საწარმოს. ამ ყველაფრის დაგეგმვას სჭირდებოდა მათემატიკური საზომი ერთეულების ცოდნა, იმის შესწავლა, თუ როგორ კეთდებოდა ფქვილი, გულისხმობდა ქიმიურ კვლევას, რომელიც ხელს უწყობდა პროდუქციის წარმოებას, კლიმატური და გეოგრაფიული ტიპების შესწავლას, სადაც მცენარეები და სხვა კულტურები იზრდებოდა; გზები, რომელთა მეშვეობითაც პროდუქცია ბაზარზე გაჰქონდათ და ასე შემდეგ. ბავშვები სკოლის გარეთ ყოველდღიურ საქმიანობაში იყვნენ ჩართული და მუდმივად მუშაობდნენ იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც მიესადაგებოდა მთელ საზოგადოებას, აკვირდებოდნენ ადგილობრივი საქმიანობის შედეგებს და კავშირებს საზოგადოების შორეულ ოპერაციებთან. მოსწავლეებს თავად მოჰყავდათ ხორბალი, ამასთან სწავლობდნენ პროდუქციის ბაზრებამდე ტრანსპორტირების და საცალო ვაჭრობის სისტემას, რომელიც ანაწილებდა პროდუქციას ინდივიდუალურ ოჯახებში, აგრეთვე სამზარეულო პროცესებს, რომლებიც აქცევდა პროდუქტს პურად.

ჯ. დიუის მტკიცებით, ,,სკოლამ უნდა დააკავშიროს ბავშვის ყოველდღიური ცხოვრება მის გარშემო არსებულ ბიზნესგარემოსთან და ამ საკითხების ლიბერალიზაციით აღზარდოს დემოკრატიულ პროცესებში ჩართული, კვლევის მუდმივ პროცესებში მყოფი, „დამგეგმავი“, შემოქმედი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცვალებად გარემოში შეძლებენ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ დემოკრატიულ სკოლაში, ჯ. დიუის აზრით, ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობასა და ერთობლივ კვლევაზე დაფუძნებულ სწავლას“ (დიუი, 1991).

განათლების მთავარი მიზანია, ახალგაზრდობა მოამზადოს მომავალი პასუხისმგებლობისა და ცხოვრებაში წარმატების მიღწევისათვის, რაც გულისხმობს სასწავლო მასალით ნაკარნახევი ორგანიზებული ინფორმაციის დაუფლებას და

განსაზღვრული უნარების განვითარებას გულისხმობს. წიგნებში, განსაკუთრებით სახელმძღვანელოებში, გადმოცემულია წარსულის სიბრძნე, რომელიც მასწავლებლის მეშვეობით გადაეცემა მოსწავლეს. მხოლოდ მასწავლებელია მასალისა და მოსწავლის ეფექტური დამაკავშირებელი. მასწავლებლები არიან აგენტები, რომლებიც გადასცემენ ცოდნასა და უნარებს.

ჯ. დიუის სკოლა-ლაბორატორიაში ჯგუფური მუშაობა ერთ-ერთი წამყვანი სწავლება/სწავლის მეთოდი იყო. მასწავლებელი, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, დასვამდა პრობლემას, რომლის წარმატებას კოლექტიური მუშაობა და თითოეული მოსწავლის შემოქმედებითი მუშაობა განსაზღვრავდა. თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო და გაეზიარებინა შეძენილი გამოცდილება და ხელთ არსებული ინფორმაცია. ჯგუფური მუშაობა მოსწავლეებს ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და ახალი უნარების თუ შესაძლებლობების გამოვლენაში ეხმარებოდა, სწავლობდნენ ურთიერთობის გაღრმავების გზებს და საშუალებებს, მასწავლებელი კი მთლიანი ჯგუფის წარმატებას რომ აფასებდა, თითოეული წევრის წვლილზე ამახვილებდა ყურადღებას. სწორედ ასეთი ტიპის ჯგუფური მუშაობა მიგვაჩნია ერთობლივი, დემოკრატიული და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება/სწავლის საუკეთესო ნიმუშად.

ყურადსაღებია ჯ. დიუის სკოლა-ლაბორატორიაში ისტორიის სწავლების პედაგოგიური მეთოდი. ამ სასწავლებელში ისტორიას უდიდესი ყურადღება ეთმობოდა, რადგანაც ამ საგნის სწავლება მორალური განვითარების საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ისწავლებოდა ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორია, საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ განვითარდა კაცობრიობის მოთხოვნა თავისუფლების მიმართ. გაკვეთილებზე მოსწავლეები წარმოიდგენდნენ თავს იმ ისტორიულ ეპოქაში, რომლის შესწავლასაც აპირებდნენ, ბავშვები აზოგადებდნენ სიტუაციას, იკვლევდენენ, დგამდნენ პიესებს, დრამატულ სცენებს.

უმცროსები ისტორიის სწავლას აწმყოს ,,ოკუპაციური“ კვლევით იწყებდნენ. მოზრდილები წარმოიდგენდნენ, რომ ისინი იყვნენ პირველყოფილი ადამიანები, შიშვლები, მატერიალური ნივთების გარეშე. მათ ცარიელი ხელებით უნდა გადაელახათ დაბრკოლებები, საამისოდ კი გარშემო არსებული ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსები უნდა გამოეყენებინათ. შემდეგ ბავშვები

წარმოიდგენდნენ, რომ ისინი იყვნენ „ფინიკიელები“, რომლებიც თავიანთი საცხოვრისის მწირი პირობების გამო, იძულებული იყვნენ განევითარებინათ სავაჭრო ურთიერთობები სხვა ხალხებთან. „ისტორიის“ ამგვარი კვლევის დროს ბავშვები გარემო პირობების შესაბამისად, იგონებდნენ ახალ იარაღებს, ამზადებდნენ ქვის ცულებს, მშვილდ-ისრებს, საზომ ერთეულებს, ახალი ტიპის გემებს და სიმბოლოების სისტემებს ვაჭრობის დასაჩქარებლად.

ასაკის მატებასთან ერთად ისწავლებოდა კონკრეტული ადამიანების ქმედებები, პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები. მოსწავლეები თავს ამა თუ იმ ეპოქაში წარმოიდგენდნენ, იწყებდნენ მსჯელობას და პრობლემებს ლოგიკურად და კონსტრუქტიულად განიხილავდნენ.

ჯ. დიუის სკოლა მიაჩნდა საგანმანათლებლო დაწესებულებად, სადაც მოსწავლეები სწავლობდნენ, თუ როგორ შეეცვალათ საზოგადოება/სამყარო და ისეთი სოციალური უნარ-ჩვევები განევითარებინათ, სკოლის დამთავრების შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სარგებლიანი მონაწილეობისათვის რომ გამოადგებოდათ.

რა თქმა უნდა, ჯ. დიუი ხვდებოდა, რომ სკოლა არ იყო ის ძირითადი და ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ააშენებდა დემოკრატიულ საზოგადოებას, მაგრამ მან შესანიშნავად დაგვიხატა დემოკრატიული განათლების ერთ-ერთი მოდელი.

ამრიგად, სწავლულთა ზემოთ განხილული შეხედულებები ნათლად ადასტურებს სკოლებში დემოკრატიული მმართველობის განვითარების აუცილებლობას და მიუთითებს ამგვარად ორგანიზებული სკოლის მნიშვნელობაზე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესში, რადგანაც სწორედ დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებული სკოლის მმართველობა შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას და თავისუფალი, სამართლიანი, შემოქმედებითი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას.

II თავი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპები

წინა თავში დემოკრატიული სახელმწიფოს შენებაში სკოლების დემოკრატიული პრინციპებით მმართველობის/მართვის მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ, განვიხილეთ ცნობილი პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ფილოსოფოსების შეხედულებები.

წინამდებარე თავში კი განვიხილავთ, XXI საუკუნეში მოღვაწე პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და სკოლის მმართველების/დირექტორების შეხედულებებს სკოლის დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპების შესახებ, შევაჯამებთ მათ ნააზრევს და ჩამოვაყალიბებთ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის აუცილებელ იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სკოლების დემოკრატიზაციის პროცესში.

ელისაბეთ ბეკმენი და ბერნარდ ტრაფორდი, მეთოდისტები შვედეთიდან და გაერთიანებული სამეფოებიდან, გამოყოფენ სკოლის დემოკრატიული მმართველობის სამ ძირითად პრინციპს:

- უფლებები და მოვალეობები;
- აქტიური მოქალაქეობა;
- მრავალფეროვნების დაფასება (ბეკმენი…2013).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების, ნორმების და ინსტრუმენტების მიხედვით შემუშავებულია სკოლის დემოკრატიული მმართველობის 10 გლობალური პრინციპი:

1. დემოკრატიულ სკოლაში ხელი ეწყობა დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანასწორობის, თანასწორუფლებიანობის, ღირსების პატივისცემისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ღირებულებების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოების წევრებში;
2. დემოკრატიულ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოება, სამართლიანობა და ღირსების დაცვა;

3. დემოკრატიული სკოლა ღია და კეთილგანწყობილია განსხვავებულობის მიმართ. ხელი ეწყობა ინკლუზიურ განათლებას და შესაბამისი სასკოლო გარემოს შექმნას. სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრი, სქესის, სოციალური სტატუსის თუ სხვა სახის განსხვავებულობის მიუხედავად, თანაბარი უფლებებით სარგებლობს;
4. დემოკრატიული სკოლის თითოეული წევრი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობს სასწავლებლის შინაგანაწესის, პოლიტიკის, ნორმატიული დოკუმენტების შედგენის და გადაწყვეტილებების მიღების ყველა პროცესში, რომლებიც მათ ეხება/პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია მათთან;
5. დემოკრატიულ სკოლაში საზოგადოების ყოველი წევრისათვის უზრუნველყოფილია ინფორმაციის და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა;
6. დემოკრატიული სკოლა ნდობასა და ანგარიშვალდებულებაზეა დაფუძნებული. მას მართავენ სამართლიანობის, პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობისა და ადამინთა უფლებების დაცვის პრინციპებით;
7. დემოკრატიულ სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო, სკოლა ზრუნავს დაუცველი ჯგუფების უსაფრთხოებაზე და სკოლის საზოგადოების ყოველი წევრი პასუხისმგებელია სასწავლო გარემოს უსაფრთხოების დაცვაზე;
8. დემოკრატიულ სკოლაში ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესისა და სასწავლო გეგმის/კურიკულუმის ყოველ ასპექტში; გარდა იმისა, რომ, ადამიანთა უფლებები განიხილება სასკოლო კურიკულუმის კონტექსტსა და დამატებით აქტივობებში, სწავლების მეთოდოლოგია და მიდგომა აგებულია ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპებზე;
9. დემოკრატიულ სკოლაში თითოეულ მოსწავლეს, მისი სოციალური მდგომარეობის, სქესის, რელიგიის თუ სხვა ტიპის განსხვავების მიუხედავად, თანაბარი წვდომა აქვს განათლებაზე და ხელი ეწყობა მისი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლინებას;

10. დემოკრატიულ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ყოველ წევრს შორის იქმნება თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, ცოდნის გაზიარებისა და გლობალურ საზოგადოებაში აქტიური ჩართულობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშემწყობი პირობები (**Amnesty .. 2012).**

ზემოთ დასახელებული თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების შეხედულებების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის შედეგად ჩვენ გამოვყოფთ სკოლების დემოკრატიული მმართველობის შემდეგ პრინციპებს:

1. ადამიანთა უფლებების დაცვა;
2. ნდობა;
3. ეთიკური ქცევა;
4. დისკრიმინაციის და ძალადობის დაუშვებლობა.

    განვიხილოთ თითოეული პრინციპი.

§1. ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპის გათვალისწინება. იგი გულისხმობს სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის უფლებების დაცვას. სკოლის საზოგადოების წევრები არიან: მასწავლებლები, მოსწავლეები, სკოლის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაცია, მშობლები, სკოლის დაცვა და ნებისმიერი პირი, რომელსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეხება აქვს სკოლასთან.

სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვა ნიშნავს სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის მიერ ადამიანთა უფლებების შესახებ ცოდნას, გაგებას და ყველანაირ სიტუაციაში მათ გამოყენებას. სკოლის საზოგადოების თითოეული წევრი „უნდა იცნობდეს ადამიანთა უფლებებს, სწორი წარმოდგენა ჰქონდეს ადამიანთა უფლებების შესახებ, პატივს სცემდეს მათ და საკლასო გარემოში წვრთნისა და საკლასო ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით თავდაჯერებულად სარგებლობდეს აღნიშნული უფლებებით“ (გოლობი....., 2013: 12).

ისტორიულად ადამიანები უფლებებს და პასუხისმგებლობას იძენდნენ მათ ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნების მიხედვით - იქნებოდა ეს ოჯახი, დომინანტური ერი, რელიგია, კლასი, საზოგადოება თუ სახელმწიფო. ინდური ვედები, ბაბილონის ჰამურაბის კოდექსი, ბიბლია, ყურანი და კონფუცის აფორიზმები - ხუთი უძველესი წერილობითი წყაროა, რომლებიც ადამიანთა მოვალეობების, უფლებების და პასუხისმგებლობების საკითხებს შეეხება.

ინკებისა და აცტეკების ქცევისა და მართლმსაჯულების კოდექსები და იროკეზების კონსტიტუცია მე-18 საუკუნეზე კარგა ხნით ადრე არსებობდა.

1215 წელს ინგლისში მიიღეს თავისუფლებათა დიდი ქარტია, დოკუმენტი, რომელმაც აიძულა მონარქი, მიეცა შეპირება, რომ დაიცავდა კანონებს და თავისუფლებას. შემდგომი ნაბიჯები იყო Habeas Corpus - 1697 წელს მიღებული აქტი,1787 წლის აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულა, 1776 წლის 4 ივლისის აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის დეკლარაცია, დოკუმენტი, რომელშიც აისახა განმანათლებლობის ჰუმანური იდეები, თავისუფლება, თანასწორობა, ეროვნული სუვერენიტეტი,

საზოგადოებრივი ხელშეკრულება, კანონის უზენაესობა და ადამიანის თავისუფლება.

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მისი დასრულებისთანავე მსოფლიო საზოგადოების გადაწყვეტილებით შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია - გაერო, რომელიც 1945 წლიდან ზრუნავს მსოფლიო მშვიდობაზე. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

„მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა მსოფლიო მომხდარი ჰოლოკოსტის შიშით იყო შეპყრობილი, დაყოფილი იყო კოლონიალიზმისა და გამეფებული უთანასწორობის გამო, პირველი გლობალური მასშტაბის დეკლარაციის მიღება, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას - განურჩევლად კანის ფერისა, წარმოშობისა თუ მრწამსისა, წარმოადგენდა უდავოდ გაბედულ წამოწყებას, რომლის წარმატება იმ დროს სერიოზული კითხვის ქვეშ იდგა. ფაქტი, რომ დეკლარაციის შედეგად შეიქმნა თითოეული ჩვენგანის ძირეულ ფასეულობათა დაცვის მასშტაბური ინფრასტრუქტურა, აღიარებს დეკლარაციის ავტორთა ხედვის სისწორეს და მრავალი ადამიანის უფლებათა დამცველის სამოცწლიანი ბრძოლის მნიშვნელობას, აღნიშნული ხედვა რეალობად ექციათ. ბრძოლა დღესაც გრძელდება და სწორედ ამით არის დეკლარაცია ძალმოსილი: იგი ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც კვლავ იქნება მომავალი თაობების შთაგონების წყარო“ - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესავალ ნაწილში წერს ადამიანის უფლებებათა უმაღლესი კომისარი ლუის არბორი (ადამიანის.....2008: 4).

მართლაც, ადამიანის უფლებათა საყოველთა დეკლარაცია, დოკუმენტი რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და რომელიც აღიარებს ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას განურჩევლად კანის ფერისა, წარმოშობისა თუ მრწამსისა, დღესაც ცოცხალი და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია კაცობრიობისთვის და, შესაბამისად, სკოლისთვის.

სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპის შემოტანა და აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის, სკოლის საზოგადოების წევრთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების, სკოლის წარმატების, სოციალური პროგრესისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შედგება 30 მუხლისაგან.

პირველი მუხლი იწყება სიტყვებით: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“ (ადამიანის.....2008: 7).

სწორედ თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, ღირსება, სინდისი და ძმობა უნდა იყოს დემოკრატიული სკოლის დევიზი.

სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვა ბავშვთა უფლებების დაცვით უნდა დავიწყოთ, რადგანაც დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული სკოლისათვის პრიორიტეტი მოსწავლეა და უპირველეს ყოვლისა, მისი უფლებები უნდა აღიაროს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. იგი ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბრიდან. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა.

ბავშვთა უფლებების კონვენციის შექმნის მიზანია ბავშვთა, მათი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საზოგადოების ყველაზე დაუცველ წევრთა უფლებების დაცვა, მათი კეთილდღეობისათვის, პიროვნული და ჰარმონიული განვითარებისათვის ზრუნვა, - როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ (ბავშვის.....1994: 2).

ბავშვთა უფლებები არ გაიგივდება მის ძირითად მოთხოვნებთან. მაგალითად, არ არსებობს სიყვარულის და ბედნიერ ოჯახში აღზრდის უფლება. იმის მიუხედავად, რომ ეს ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამას, მაგრამ ამ თვალსაზრისით სკოლას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. სიყვარული ყველა ბავშვს სჭირდება, ამიტომ სკოლაში ისინი თავს უნდა გრძნობდნენ,როგორც საკუთარ ოჯახში, სადაც ისინი ძალიან უყვართ. იმ ბავშვებს, რომელთაც არა აქვთ ბედნიერი ოჯახი, ეს სიცარიელე სწორედ სკოლამ უნდა ამოუვსოს.

ბავშვთა უფლებები არ არის დამოკიდებული დაკისრებულ მოვალეობებზე. ბავშვები თავიანთ მოვალეობებს თუ არ ასრულებენ, ისინი შეიძლება დაისაჯონ, ჩამოერთვათ პრივილეგიები, მაგრამ არა უფლებები.

სკოლა, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ არის დემოკრატიულად ორგანიზებული, ვალდებულია, პატივი სცეს ადამიანთა და, კერძოდ, ბავშვთა ყველა უფლებას და დაიცვას ისინი „ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური, გონებრივი მდგომარეობისა, ბავშვის, მისი მშობლისა და კანონიერი მეურვის ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობისა ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად“ (ბავშვის.....1994: მუხლი 2. გვ. 2).

დემოკრატიულმა სკოლამ ბავშვი მისი კეთილდღეობისთვის აუცილებელი დაცვითა და მზრუნველობით უნდა უზრუნველყოს. კერძოდ, დაიცვას მისი უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, პატივი სცეს მის მშობლებს და ადათ-წესებს, ხელი შეუწყოს, ნებისმიერ საკითხზე თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და ა.შ.

სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებები უნდა ეყრდნობოდეს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც, შეიძლება, შემდეგნაირად დავყოთ:

- პირადი უფლებები;
- სოციალური უფლებები;
- კულტურული უფლებები;
- პოლიტიკური უფლებები.

პირად უფლებებში იგულისხმება: სიცოცხლის და განვითარების უფლება - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ (ადამიანის....2008: 8).

როგორ უნდა დაიცვას სკოლამ ადამიანთა ეს უფლება? ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში წერია, რომ სკოლა ვალდებულია, შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლის და საკუთრების უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საქართველოს.....2005: მუხლი 9. 9 გვ.11). ეს სკოლას პასუხისმგებლობას აკისრებს, უზრუნველყოს სკოლის საზოგადოების წევრთა უსაფრთხოება სკოლაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

▪ **ინფორმაციისა და მასალების მიღების უფლება** - სკოლის საზოგადოების წევრებისათვის ინფორმაციის მიღების უფლება გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმაციის ფლობის უფლებას; პროცესუალური უფლებების გამოყენების შესაძლებლობას; სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების უფლებას; მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს თუ ხელმძღვანელობის ნებისმიერ წევრს, მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, აგრეთვე სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას და ა.შ.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის და მასალების ბავშვებისთვის მისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. საამისოდ სკოლამ უნდა წაახალისოს შესაბამისი ინფორმაციის და მასალების მოპოვება, მომზადება, გაცვლა და გავრცელება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას (ბავშვის...1994: მუხლი 17, გვ. 7).

სკოლა ხელს უნდა უწყობდეს ინფორმაციის გავრცელებას უნარშეზღუდული ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციური მკურნალობის თვალსაზრისით, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით. ეს ინფორმაციები გააცნოს სკოლის საზოგადოების წევრებს, განსაკუთრებით კი პედაგოგებს, რათა გაიფართოონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება (ბავშვის....1994: მუხლი 23, გვ. 10).

სკოლამ უნდა უზრუნველყოს განათლების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომობა (ბავშვის...1994: მუხლი 28, დ, გვ 11).

▪ **ინდივიდუალურობის უფლება** - ადამიანის ინდივიდუალური უფლებები განეკუთვნება სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კატეგორიის უფლებებს, რადგან ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ ცალკეულ ადამიანს აქვს. ამჟამად აღიარებულია ადამიანის უფლებათა მესამე თაობაც, რომელსაც „კოლექტიურ უფლებებს" უწოდებენ. ამ კატეგორიისაა, მაგალითად, განვითარების უფლება (Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2016). შესაბამისად, სკოლაში ინდივიდუალური უფლებების დაცვაში შეიძლება ვიგულისხმოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რწმენის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება და ა.შ.

▪ **დამცირების, სასტიკი მოპყრობის, დასჯისა და დისკრიმინაციისაგან თავის დაცვის უფლება** გულისხმობს სკოლის საზოგადოების წევრების მიმართ ნებისმიერი სახის (ფიზიკური თუ მორალური/ფსიქოლოგიური) ძალადობის აკრძალვას, მათი ღირსების პატივისცემას; ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეცამეტე მუხლის მესამე და მეოთხე ქვეთავებში ვკითხულობთ: „დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია სკოლაში მიღებისას.... დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია (საქართველოს ....2005: მუხლი 13. 3,4. გვ. 12).

სკოლა ვალდებულია, ბავშვი დაიცვას „მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით." ასეთი შემთხვევის დროს სკოლამ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ზომებს, გადასცეს ინფორმაცია სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებს და ა.შ. (ბავშვის.....1994: მუხლი 19, 1. , გვ. 7).

სკოლა საამისოდ უნდა იყოს მოწოდებული, რომ „არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი“(ბავშვის.....1994: მუხლი 37, ა., გვ. 14).

მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევისას სკოლის სადამსჯელო ღონისძიებები ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მეობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებების და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში, მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობას. მოსწავლეს, რომელმაც დაარღვია სკოლის წესები და კანონები, ან ჩაიდინა რაიმე დანაშაული, ბრალი მხოლოდ მისი დანაშაულის დამტკიცების შემდეგ უნდა დაედოს. ჩადენილი დანაშაულის შესახებ აუცილებელია მშობლის ან კანონიერი მეურვის ინფორმირება. საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე სკოლამ პატივი უნდა სცეს მოსწავლის პირად ცხოვრებას (ბავშვის...1994: მუხლი 40, გვ. 15-16).

▪ **საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება** - ამ უფლებაში იგულისხმება საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად აზრის გამოთქმა სწავლების პროგრამებისა და მეთოდების მიმართ, ასევე სკოლის ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების, კლასის, თვითმმართველობის შესახებ; სხვადასხვა საკითხის მიმართ გარკვეული ხედვის გამოხატვა. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სკოლაში ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიონ, მიიღონ, შექმნან, შეინახონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად - საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით (საქართველოს....2005: მუხლი 14. 1,2., გვ. 13).

ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად (ბავშვის...1994: მუხლი 12, 1., გვ. 5).

მოსწავლეს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, მოსწავლის არჩევანისამებრ. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისთვის;

ბ) სახელმწიფოს უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის (ბავშვის....1994: მუხლი 13, გვ. 6).

▪ **აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება** ნიშნავს საკუთარი რელიგიური და მსოფლმხედველობითი რწმენის გამჟღავნება/არგამჟღავნების შესაძლებლობას; თანაბარ დამოკიდებულებას რელიგიისა და რწმენის მიუხედავად; ტოლერანტობას კულტურული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ; საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ ვკითხულობთ: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ“ (საქართველოს....2005: მუხლი 13. 2., გვ. 12).

ამავე კანონის მეთვრამეტე მუხლში ხაზგასმულია, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი აქვთ რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენის თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება.

სინდისის თავისუფლება იცავს ინდივიდის მიერ სინდისის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს (ე.წ. „სინდისის გადაწყვეტილება“). „სინდისის გადაწყვეტილება“ არის ყოველი მნიშვნელოვანი ზნეობრივი, ანუ „კარგსა“ და „ცუდზე“ ორიენტირებული გადაწყვეტილება, რომელსაც ინდივიდი კონკრეტულ სიტუაციაში შინაგანად მისთვის სავალდებულოდ თვლის. არსებობს, ერთი მხრივ,

შინაგანი სინდისი და, მეორე მხრივ, ამ სინდისის გარეგანი გამოხატულება/მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები (civil ენციკლოპედიური ლექსიკონი 2016: www.nplg.ge).

,,სინდისი ადამიანის ზემეა, რომელიც მას ქცევის სწორ გზას უჩვენებს, იწონებს ან გმობს მის საქციელს, ამ გრძნობას კი სინდისის ქენჯნით სჯის“ (ბარბაქაძე, 2014).

რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შეზღუდვებს დაექვემდებაროს და არ იყოს საზიანო სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებების და თავისუფლების დაცვისათვის (ბავშვის.....1994: მუხლი 14, 3., გვ. 6).

სოციალურ უფლებებში იგულისხმება:

- **სათანადო ცხოვრების დონის უფლება** - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტში საუბარია იმაზე, რომ მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები (საქართველოს.....2005: მუხლი 21. 2 , გვ. 16).

სათანადო ცხოვრების დონის უფლებაში ასევე იგულისხმება გონებრივად და ფიზიკურად უნარშეზღუდული მოსწავლისთვის სკოლაში ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაუძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და გაუადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. უნარშეზღუდული ბავშვი უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და ჰქონდეს სათანადო რესურსები. სკოლამ უნდა იზრუნოს სასკოლო ცხოვრებაში მის სრულად ჩართვაზე და ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების განვითარებას, რაც კულტურული და სულიერი თვალსაზრისით მის ზრდასაც მოიცავს (ბავშვის....1994: მუხლი 23, გვ. 9).

ამას გარდა, სკოლაში ნებისმიერი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასკოლო ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის (ბავშვის ...1994: მუხლი 27, გვ.11).

▪ **ჯანმრთელობის დაცვის უფლება** - სკოლა ვალდებულია, სკოლასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობის დაცვისათვის შესაბამისი გარემო, ზრუნავდეს და ატარებდეს ღონისძიებებს, რათა ბავშვებმა უკანონოდ არ მოიხმარონ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში (ბავშვის ....1994: მუხლი 33, გვ.13).

▪ **სოციალური უზრუნველყოფის უფლება** - სოციალური უზრუნველყოფის უფლებებში იგულისხმება სამედიცინო დახმარება, კვება და ა. შ. საქართველოში სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების წევრების სრულყოფილ სოციალურ დაცვას, მაგალითად, უფასო კვებას, რაც, ჩვენი აზრით სკოლის დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გავიხსენოთ ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია, სადაც მოთხოვნილებათა 5 კლასი გამოიყოფა:

1. ფიზიოლოგიური;
2. უსაფრთხოება;
3. სოციალური (მეგობრობა, თანამშრომლობა, სიყვარული, მიკუთვნებულობა);
4. დაფასება;
5. თვითრეალიზაცია.

ადამიანს გადარჩენისთვის უწინარესად ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სჭირდება (მაგალითად, რაც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული - საკვები, წყალი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო). ამის შემდეგ მას უჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება. როცა უსაფრთხოების მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულია, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება. ესაა მოთხოვნილება, გიყვარდეს და უყვარდე, ეკუთვნოდე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება, თავი აარიდო მარტოობასა და გარიყვას. მომდევნოა დაფასების მოთხოვნილება; მოთხოვნილება, მოგწონდეს საკუთარი თავი (გქონდეს დადებითი თვითშეფასება); სხვების მიერ აღიარების, პატივისცემისა და მოწონების, წარმატების, კომპეტენტურობისა და

დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. ამას მოსდევს თვითრეალიზების ანუ საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზების მოთხოვნილება.

თუ მოსწავლე არ არის შესაბამისად გამოკვებილი და არა აქვს დაკმაყოფილებული პირველადი მოთხოვნილებები, მაშინ სწავლასაც არ ექნება შედეგი. მაგალითად, ფინეთში ამ კუთხით ყველაფერი მოგვარებულია, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო ჯანსაღი კვებით, რაც აისახება მათ წარმატებებზეც.

▪ **დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება** - ოფიციალური დასვენების დღეებში სკოლის საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ დაისვენონ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გაკვეთილებს შორის ჰქონდეთ 5-10 წუთიანი შესვენებები. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ხშირად მინახავს, რომ ზოგიერთი მასწავლებელი გაკვეთილს შესვენებებზეც განაგრძობს და მოსწავლეებს დასვენების და გასეირნების საშუალებას უზღუდავს. ეს არის მათი უფლებების დარღვევის ერთ-ერთი მაგალითი. გაკვეთილებს შორის შესვენება მარტო უფლება არ არის, ის საჭიროა ჯანსაღი აზროვნებისთვის.

სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვს აქვს უფლება დაისვენოს, ჰქონდეს თავისუფალი დრო, მონაწილეობდეს ასაკისთვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში, აგრეთვე თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას და ა.შ. (ბავშვის...1994: მუხლი 31, 1, 2., გვ. 13).

▪ **განათლების უფლება** - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეცხრე მუხლში განმარტებულია, რომ ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისათვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. მოსწავლეს და მშობელს უფლება აქვთ აირჩიონ საგანმანათლებლო დაწესებულება, მაგრამ მშობელს არა აქვს უფლება, შვილი აარიდოს სავალდებულო

განათლების მიღებას ან აირჩიოს ისეთი განათლება, რომელიც ხელს შეუშლის ამავე კანონის მიზნების მიღწევას (საქართველოს...2005: მუხლი 9. 1,2,6., გვ.10).

ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს, აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც უფლებამოსილია, 6 წელიწადში ერთხელ მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შევებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით (2.03.2007.#4412).

სასკოლო დისციპლინის დაცვის პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის ადამიანური ღირსების პატივისცემას და ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 29-ე მუხლში ვკითხულობთ:

ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;

ბ) ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ;

გ) ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობებისადმი პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; განსხვავებული ცივილიზაციისადმი ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ;

დ) თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;

ე) გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ (ბავშვის...1994: მუხლი 29, გვ. 12).

განათლების უფლება ირღვევა მაშინ, როდესაც ბავშვები მუშაობენ და ამის გამო ვერ დადიან სკოლაში, როცა სკოლა შორსაა და ბავშვი ვერ ახერხებს მისვლას და ა.შ.

კულტურულ უფლებებში იგულისხმება:

▪ **მშობლიური ენისა და კულტურული კუთვნილების უფლება** - სკოლის საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება (საქართველოს....2005: მუხლი 13. 1. , გვ. 12).

პოლიტიკურ უფლებებში იგულისხმება:

▪ **პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლება** - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზებას, მაგრამ ეს იმას არ გულისხმობს, რომ სკოლაში არ შეიძლება მსჯელობა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, საკუთარი აზრის გამოხატვა, დისკუსია. სწორედ ასეთი სახის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში. სწავლა უნდა იყოს ცოცხალი პროცესი და რეალური მაგალითებით გამდიდრებული, ამიტომ პოლიტიკის სწავლება და პოლიტიკური მოვლენების განხილვა, თავისუფალი აზრის გამოხატვა, აუცილებელი პირობაა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და მათ აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.

ასე და ამგვარად, სკოლის დემოკრატიული მმართველობის დროს ადამიანთა უფლებების დაცვა მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრების პირადი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური უფლებების დაცვას; სკოლის მმართველობაში სკოლის საზოგადოების წევრებისათვის თანაბარ ჩართულობას; გამჭვირვალობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას; სწავლება/სწავლის პროცესის ადამიანთა/ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით წარმართვას; მრავალფეროვნების დაფასებას და ა.შ.

§2. ნდობის პრინციპი

ნდობა სკოლის წარმატებისა და ეფექტურობის მთავარი კრიტერიუმია. რას ნიშნავს ნდობა სკოლაში? ნდობა უპირველესად გულისხმობს ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, აზრის თავისუფლად გამოხატვას, წარმატებისა და წარუმატებლობების შესახებ ღია და გულწრფელ მსჯელობას, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას, ცვლილებების გატარებას, ტრანსფორმაციას.

სკოლაში უპირველესად ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები უნდა დამყარდეს. ეს ურთიერთობები მოიცავს რისკს, დაუცველობის განცდას და მოლოდინს. სკოლაში რისკი და მოლოდინი უხვად გვაქვს. მასწავლებლების, მოსწავლეების და, მთლიანად, სკოლის საზოგადოების კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობებს. მაგალითად, მოსწავლის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი საგანს.

ნდობა არ ნიშნავს უბრალო ან ზედმეტად დამოკიდებულებას/დაყრდნობას. იგი გულისხმობს რწმენას, იმედს. ენდო პიროვნებას, ნიშნავს, გჯეროდეს მისი კეთილშობილების, გქონდეს მისი იმედი. მაგალითად, უსულო საგნებს შეიძლება დავეყრდნოთ, მაგრამ არ ვენდოთ.

პიტსბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი ანეთ ბაიერი (Annette Claire Baier 11.10.1929 - 02.11.2012) ერთმანეთისგან განასხვავებს წმინდა ნდობასა და უბრალო მინდობას/დაყრდნობას (Baier, 1986). მაგალითად, ჩვენ ვეყრდნობით უსულო საგნებს, მაგრამ არ ვანიჭებთ ნდობას. უსულო საგანი შეიძლება იყოს საიმედო (reliable), მაგრამ არა სანდო (trustworthy). უფრო მეტიც, ჩვენი რეაქციები, როდესაც ვეყრდნობით რაღაცას, განსხვავდება იმ რეაქციებისაგან, რომლებსაც განვიცდით ნდობის დაკარგვის შემდეგ. მე შენ გენდობი, რომ გაუფრთხილდე ვაზას, მაგრამ თუ გატეხ, შეიძლება გავბრაზდე, თავი ვიგრძნო ნაღალატევად და შეიძლება მოვითხოვო ბოდიშის მოხდა. მაგრამ მე თუ თაროზე დავდებ ვაზას, უბრალოდ ვეყრდნობი თაროს. თუ ის არ ჩამოიმტვრა და გატყდა ვაზა, ეს ჩემს იმედგაცრუებას, გულგატეხილობას გამოიწვევს და შესაძლოა წონასწორობიდანაც გამოვიდე, მაგრამ შეუფერებელი იქნება, რომ თავი ვიგრძნო ნაღალატევად (თითქოს

თარომ მიღალატა) ან თაროს პასუხი მოვთხოვო. უსულო საგნებს შეიძლება დავეყრდნოთ, მაგრამ არ ვენდოთ (Hawley, 2012).

თანამედროვე ინგლისელი რაციონალისტი ფილოსოფოსი ჯეიმს მარტინ ჰოლისი 1998 წელს თავის სტატიაში „ნდობის საფუძველი“ (Trust Within Reason) გამოყოფდა ნდობის შეფასების ორ ტიპს - ნორმატიულს და პროგნოზირებადს. ნორმატიული შეფასება არის ნდობის მნიშვნელოვანი კატეგორია. ნდობა, დაყრდნობისგან (მინდობისგან) განსხვავებით, დაკავშირებულია ღალატთან. უფრო მეტიც, სანდოობა არის მომხიბლავი თვისება, რომლისკენაც ჩვენი ბავშვები უნდა მიისწრაფოდნენ. კეთილგანზრახვა, ნდობა არის სათნოება/ღირსება და, შეიძლება ეთიკაზე უფრო ღირებულად ჩავთვალოთ. უბრალო მინდობა/დაყრდნობა კი ასეთი არ არის. საიმედო (reliable) არის პროგნოზირებადი. მაგალითად, თუ ჩემი კლასელი ყოველთვის წერს დავალებებს და მე დასვენებებზე მისგან ვიწერ, ის ჩემთვის არის საიმედო, მაგრამ თუ ერთ დღეს დავალებას არ დაწერს და მე ვერ გადავიწერ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო მას პასუხი მოვთხოვო იმისათვის, ან მეწყინოს. ეს არ ნიშნავს, რომ მან მიღალატა (Hollis, 1998).

სკოლაში ნდობის მნიშვნელობის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით მინეაპოლისის წმინდა თომასის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს **სტეფან ბრუქფილდს** (Dr. Stephen D. Brookfield, 1990), წამყვან ამერიკელ ექსპერტს ჰუმანისტურ და კლინიკურ ფსიქოლოგიაში **კლარკ მოუსტაკასის (**Clarck Moustakas, 1996), თანამედროვე სწავლულებს: პროფესორ **მეგან ჩანენ მორანს** (Dr. Megan Tschannen Moran, 1999) და ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორ **უაინ ჰოის** (Wayene K. Hoy, 1999), ასევე ამერიკელ სწავლულებს: **კორი ბრიუსტერს და ჯენიფერ რეილსბექს** (Cori Brewster and Jennifer Railsback, 2003); თანამედროვე განათლების ამერიკელ სპეციალისტებს: **დონალდ ბრაუნს და დიზაირი სკინერს** (Donald Brown and Desiree A. Skinner, 2007); თანამდეროვე პედაგოგს, ლექტორსა და ტრენერს - **ჯეკი თერნბულის** (თერნბული, 2009). ისინი ასაბუთებენ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების მნიშვნელობას სასკოლო გარემოში და მის ზეგავლენას მასწავლებელთა პროფესიონალიზმზე, სკოლასა და მოსწავლეთა მიღწევებზე.

ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერების და მკვლევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით და საქართველოში ჩვენი პედაგოგიური მოღვაწეობისა და უცხოეთის სკოლებზე დაკვირვების შედეგად გამოვიკვლიეთ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და შევიმუშავეთ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობის მოპოვების შესაძლო რეკომენდაციები.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობის მოპოვების შემაფერხებელი ფაქტორებია:

- **ავტოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება** - რაც გულისხმობს სკოლაში სკოლის ხელმძღვანელის, მასწავლებლის თუ სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის მიერ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულ მიღებას;
- **არაეფექტური კომუნიკაცია** - არაეფექტური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კონფლიქტის წარმოშობის საფუძველია და შესაბამისად ხელს უშლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც;
- **ადამიანთა უფლებების დარღვევა** - რაც ნიშნავს სასკოლო საზოგადოების წევრების პირადი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური უფლებების დარღვევას (იხ, თავი II, პარაგრაფი 1);
- **ეთიკური ნორმების დარღვევა**, რაც გულისხმობს სკოლაში ეთიკური ქცევის წესების უგულებელყოფას და მისგან გადახვევას (დეტალურად იხ. თავი II, პარაგრაფი 3);
- **არაპროფესიონალიზმი და დაბალი აკადემიური მიღწევები** - სკოლის თანამშრომელთა არაპროფესიონალიზმი და მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მიღწევები იწვევს სკოლის მიმართ უნდობლობას.

გთავაზობთ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობის მოპოვების ჩვენ მიერ შემუშავებულ შემდეგ პრინციპებს:

1. **სამართლიანობა, პატიოსნება და გულწრფელობა** - სასკოლო საზოგადოების წევრები, განსაკუთრებით კი სკოლის დირექტორები და მასწავლებლები უნდა იყვნენ სამართლიანნი, პატიოსანნი და გულწრფელნი, რაც ნიშნავს სკოლაში

ადამიანთა უფლებების დაცვას, პატიოსნებას, პირდაპირობას და ავთენტურობას. პირფერობა ვერ დაამყარებს ნდობას.

2. **პროფესიონალიზმი/კომპეტენტურობა** - საქმის კარგად ცოდნა ხელს უწყობს საზოგადოების მიერ სკოლისადმი ნდობის ჩამოყალიბებას. მაგალითად, მშობლებს მასწავლებელთა მიმართ აქვთ ნდობა, რომ მათი შვილები პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლების ხელში არიან, რომ ისინი შეძლებენ ასწავლონ მათ შვილებს და დაეხმარონ, მაგალითად, ეროვნული თუ საატესტატო გამოცდების ჩაბარებაში. მაგრამ როდესაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ აბარებს გამოცდებს, მშობლებს ეპარებათ ეჭვი მასწავლებლების პროფესიონალიზმში.

საზოგადოება კარგავს მასწავლებლის ნდობას, როდესაც ტელევიზიით აცხადებენ, რომ მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ვერ ჩააბარა სასერტიფიკატო გამოცდები და ვერ დაადასტურა პროფესიული უნარ-ჩვევები.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, სკოლაში ჩატარდეს სამართლიანი კონკურსი და შეირჩეს პროფესიონალი კადრები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მოსწავლეთა სწავლასა და მათ აკადემიურ მიღწევებზე.

საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილი რეპეტიტორებთან დადის საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ სკოლა შეძლებს მათ გამოცდებისთვის მომზადებას, რომ სკოლაში მიღებულ ცოდნასა და საატესტატო და ეროვნული გამოცდების მოთხოვნებს შორის დიდი სხვაობაა.

საქართველოში კერძო მასწავლებელთან დადიან არა მარტო მაღალი კლასის მოსწავლეები, რომლებიც გამოცდებისთვის ემზადებიან, არამედ დაწყებითი კლასის მოსწავლეებიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით, უცხოეთის სკოლებში ჩვენი ვიზიტის დროს გამოვკითხეთ მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყნიდან (ლატვია, საფრანგეთი, ხორვატია, ესპანეთი, ნორვეგია და თითქმის მთელი ევროპისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები) და გავარკვიეთ, რომ რეპეტიტორთან თითქმის არავინ დადის. მათთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა იაროს მოსწავლემ რეპეტიტორთან,

რადგანაც სკოლა, მათი აზრით, სწორედ ამისთვის არსებობს და ვერ ხედავენ კერძო მასწავლებელთან მოსწავლეების სიარულის საჭიროებას.

ჩვენი აზრით, საქართველოს ზოგიერთი სკოლის ანტიდემოკრატიული მმართველობის ფორმის გამოხატულებაზე სწორედ რეპეტიტორობის პოპულარულობაც მიუთითებს. დღეს მოსწავლეები სამ-ოთხ საგანშიც კი ემზადებიან და მშობლებს თითოეულ საგანში მომზადება მინიმუმ 50 ლარი უჯდებათ. არსებობენ მშობლები, რომლებიც თვეში 500-600 ლარს მხოლოდ ერთ შვილს უხდიან რეპეტიტორებთან მომზადებაში, მაგრამ არავინ ფიქრობს იმ მოსწავლეებზე, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ საშუალება, რომ შვილები ატარონ რეპეტოტორებთან. ორივე შემთხვევაში საზოგადოებამ დაკარგა სკოლის ნდობა, სკოლა გახდა უთანასწორობის და უსამართლობის ხელისშემწყობი დაწესებულება.

3. თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, ჩართულობა გადაწყვეტილებების დემოკრატიული გზით მიღება ის კრიტერიუმებია, რომლებიც აუცილებელია სკოლაში ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების განვითარებისთვის. თუ გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია მასწავლებელი, დირექტორი, მოსწავლე, მშობელი, მაშინ მათ კარგად იციან, თუ რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება და ერკვევიან სასკოლო საქმიანობაში. შესაბამისად, ისინი პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ გადაწყვეტილებებზე და უვითარდებათ ნდობა სასკოლო საზოგადოების წევრების მიმართ.

ზოგიერთ მასწავლებელს მიაჩნია, რომ თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დადებითი ურთიერთობებით, კარგი დამოკიდებულებებით, მეგობრობით შემოიფარგლება. სინამდვილეში, თანამშრომლობა არის გამოცდილებების გაზიარება, ახალგაზრდა კოლეგების დაფასება და ცოდნის გაცვლა-გამოცვლა, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების გაზიარება და გადაჭრის გზების ერთად მოძიება და ა.შ.

ხშირად მასწავლებლები, მშობლები, დირექტორები ერთმანეთთან არაკოლეგიალურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ, რაც ვერ განავითარებს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. ისინი უნდა შეეცადონ დაეხმარონ ერთმანეთს, გაუზიარონ გამოცდილება და იზრუნონ საერთო ღირებულებების თუ

ინტერესების ჩამოყალიბებაზე, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს ნდობის ჩამოყალიბებას და გზას გაუკაფავს სკოლის დემოკრატიზაციას.

ავთენტური ურთიერთობები ყალიბდება დიალოგის, პირადი კონვერსაციების, საქმიანობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების პირობებში. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ სკოლის გარეთაც, მაგალითად, ექსკურსიებზე, რესტორნებში, ოჯახებში და ა.შ.

4. **ეფექტიანი კომუნიკაცია** - ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიების ცოდნა სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია. ხშირად სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაცია შემოიფარგლება მასწავლებლის მხრიდან მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებით. ეფექტიანი კომუნიკაცია კი გულისხმობს მშობელთა მოსმენას, მათი შენიშვნების გათვალისწინებას, მათი იდეების განხორციელების ხელშეწყობას.

ხშირად მშობელს სკოლიდან ურეკავენ და შვილის ცუდი ყოფაქცევის თუ დაბალი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას აწვდიან. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მანამდე მასწავლებელს ან სკოლის დირექტორს თუ მშობელთან არანაირი დადებითი ურთიერთობა არ ჰქონია, მშობელი დაკარგავს სკოლის ნდობას. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დასაწყებად მშობლებს მათი შვილის შესახებ თავდაპირველად შეძლებისგვარად, ხშირად პოზიტიური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს.

მნიშვნელოვანია, რომ მშობელთან ან მოსწავლესთან კომუნიკაციის დროს მასწავლებელმა თავი მათ ადგილას წარმოიდგინოს, პატივი სცეს მათ მოსაზრებებს, ამოიცნოს მათი ფიქრები და განცდები.

ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების ცოდნა მასწავლებლებს და სკოლის ხელმძღვანელებს დაეხმარება თანამშრომლობასა და გუნდურ მუშაობაშიც. ხშირად სკოლაში ერთი მასწავლებელი ზემოდან უყურებს მეორე მასწავლებელს და მბრძანებლური ტონით ელაპარაკება მას, რადგანაც მიიჩნევს, რომ მას მეტი გამოცდილება ან ავტორიტეტი აქვს. ასეთი ურთიერთობა გამოიწვევს დაძაბულობას და ხელს შეუშლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად დემოკრატიული სკოლის დამანგრეველი ძალაც შეიძლება გახდეს.

ეფექტიანი კომუნიკაციისთვის აუცილებელია სკოლის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის სკოლის საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომობა. სკოლის დირექტორი ყოველთვის მზად უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებთან სასაუბროდ.

ეფექტიანი კომუნიკაციის დასაწყებად აუცილებელია სკოლის ხელმძღვანელმა და მასწავლებლებმა ზეპირად იცოდნენ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა და მშობელთა სახელები, გულთბილად ხვდებოდნენ, უღიმოდნენ მათ. ბათუმის სკოლებში ხშირად მინახავს ისეთი დირექტორები, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ნდობის მოპოვების ზოგიერთ სტრატეგიას, მაგალითად, ისინი ყველა მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კარგად იცნობენ, სახელით მიმართავენ მათ, გულთბილად ხვდებიან სკოლაში და ყოველთვის მზად არიან დასახმარებლად.

სახელით მიმართვა ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია ნდობის ჩამოსაყალიბებლად, რადგანაც, როდესაც დირექტორმა იცის ყველა მოსწავლის და მშობლის სახელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის საჭიროდ თვლის მათ და სკოლის მნიშვნელოვან წევრებად აღიარებს. მოსწავლეებიც და მშობლებიც ასეთ შემთხვევაში თავს სკოლის ნაწილად გრძნობენ.

5. **მრავალფეროვნების დაფასება** - ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამკვიდრებისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებმა უნდა დააფასონ განსხვავებული შეხედულებები და დამოკიდებულებები. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ყოველგვარი დაცინვისა და შიშის გარეშე გამოხატოს განსხვავებული აზრი, რაც ასევე ხელს შეუწყობს სკოლაში უსაფრთხო ემოციური გარემოს შექმნას და სკოლის მმართველობაში სასკოლო საზოგადოების წევრთა გულწრფელ ჩართულობას.

6. **ეთიკური ქცევა** - ქცევის ამ პრინციპის დაცვა ნიშნავს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ ეთიკური ქცევის წესების განსაზღვრას, დაცვას, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებას, გამჭვირვალობას, კორუფციის აღმოფხვრას, კეთილსინდისიერებას, სამართლიანობას, ადამიანთა უფლებების დაცვას და ა.შ. (ვრცლად იხ. თავი II, პარაგრაფი 1.3).

ამრიგად, სკოლაში არ არსებობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარების ერთი/რომელიმე უნივერსალური ვარიანტი/მეთოდი. ყოველმა სკოლამ უნდა ითანამშრომლოს იმ საზოგადოებასთან, რომელსაც ემსახურება და მოიძიოს ნდობის მოპოვების საუკეთესო/შესაფერისი სტრატეგიები. სასურველია, სკოლაში ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის ნდობის განსაზღვრა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და ა.შ. შეკრებილი ინფორმაცია უნდა გაეცნოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და სამომავლო მიზნები ერთად დასახონ, რადგანაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები ის ფუნდამენტია, რომელიც აყალიბებს დემოკრატიულ სკოლას.

§3. ეთიკური ქცევის პრინციპი

ეთიკური ქცევის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სკოლის დემოკრატიული მმართველობის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა დემოკრატიული არ იქნება თუ მისი წევრები არაეთიკურად და ანტიდემოკრატიულად იქცევიან.

რას ნიშნავს ეთიკურ-დემოკრატიული ქცევა და როგორ უნდა დავიცვათ ეს პრინციპი?

ეთიკა ბერძნული სიტყვაა (ἠθικόν) და ზნეს, ჩვევას, ჩვეულებას ნიშნავს. ეთიკას, როგორც სისტემატიურ მეცნიერებას არისტოტელემ ჩაუყარა საფუძველი. მისი ნაშრომები „დიდი ეთიკა“, „ნიკომაქეს ეთიკა“ და „ევდემოსის ეთიკა“ დღესაც საინტერესოა XXI საუკუნის დემოკრატიული ნორმებისა და ქცევების გააზრებისათვის.

არისტოტელეს აზრით, ეთიკა არის პრაქტიკული მეცნიერება, რომელიც ეხება ადამიანის ქცევის წესებს და ნორმებს, ესაა მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები, ანუ მოძღვრება კარგი ქცევის შესახებ.

არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა“ იწყება სიტყვებით: „როგორც ჩანს, ყოველი პრაქტიკული ცოდნა და ყოველი მეთოდი, ისე როგორც მოქმედება და არჩევანი, რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად. მაშ, სწორედ გვითქვამს, რომ, სიკეთე არის ისეთი მოვლენა, რომლისკენაც მიისწრაფვის ყველა“ (არისტოტელე, 2003: წიგნი I, თავი I, გვ.25). არისტოტელე ყველაში გულისხმობს როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს. აქედან გამომდინარე, ცოცხალი და არაცოცხალი არსებები მიისწრაფვიან სიკეთისაკენ, სიკეთე კი ფართო გაგებით, არის კეთილდღეობა, ბედნიერება, სარგებლობა და სხვა.

არისტოტელეს აზრით, გონებამ უნდა ასწავლოს ადამიანს თავისი მოქმედება წარმართოს სიკეთისა და კეთილდღეობისაკენ. იგი უპირატესობას ანიჭებდა არა პირად, არამედ აბსოლუტურ სიკეთეს.

არისტოტელეს აზრით, ეთიკა ეფუძნება აზროვნებას, სიკეთეს, სათნოებას, თავისუფლებას, სიმამაცეს, თავშეკავებულობას, ხელგაშლილობას,

დიდსულოვნებას, მეგობრობას, ზრდილობიანობას, სიმშვიდეს, სინდისს, თანასწორუფლებიანობასა და ბუნებრივ სამართლიანობას.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? როგორ დავნერგოთ და დავიცვათ სკოლაში ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის პრინციპები?

სკოლაში ეთიკური პრინციპების დაცვა გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის წესების განსაზღვრას და დაცვას, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებას, ეფექტიან კომუნიკაციას, თანამშრომლობას, თანამონაწილეობას და გამჭვირვალობას, კორუფციის აღმოფხვრას, კეთილსინდისიერებას, ნდობას, სამართლიანობას, ადამიანთა უფლებების დაცვას და ა.შ.

სკოლაში უნდა არსებობდეს ეთიკურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ქცევის კოდექსი, რომელიც სკოლის საზოგადოების წევრისათვის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის გზამკვლევი იქნება.

ამ კოდექსის შემუშავებისა და დანერგვის მიზნებია:

- სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- სკოლის საზოგადოების წევრებისათვის მაღალი ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის მოლოდინების დამკვიდრება;
- ინკლუზიური, ტოლერანტული და მეგობრული სასკოლო საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრება;
- ადამიანთა/ბავშვთა უფლებების დაცვა;
- ღიაობა და გამჭვირვალობა.

ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის გზამკვლევი მიზნების და ამოცანების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს სკოლის საზოგადოების სხვადასხვა წევრისათვის. მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ:

ა) მასწავლებლის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის კოდექსი

მასწავლებლებს, როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საზოგადოებაში. ისინი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მოსწავლეთა ცხოვრებასა და ქცევაზე. აქედან გამომდინარე, დიდია მოლოდინი მასწავლებელთა ეთიკური ქცევის მიმართ, ამიტომ ისინი საზოგადოების ნდობით უნდა სარგებლობდნენ.

მასწავლებლის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის კოდექსი უნდა ეფუძნებოდეს საჯარო სამსახურში მუშაობის შემდეგ ხუთ პრინციპს:

- ხალხის სამსახურში ყოფნას;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების გათვალისწინებას;
- პასუხისმგებლობა/ანგარიშვალდებულებას;
- ღიაობა, სამართლიანობა და პატიოსნებას;
- ეფექტიანობას(teachers…2006).

ეს პრინციპები არის მასწავლებლის ეთიკური და დემოკრატიული ქცევის გადამწყვეტი პრინციპები. სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს, თუ რა არის „ცუდი“ და „კარგი“ საქციელი, ამ პრინციპებით უნდა მართოს მასწავლებელმა კონფლიქტური თუ პრობლემური სიტუაციები და მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები.

განვიხილოთ თითოეული პრინციპი:

პრინციპი I. ხალხის სამსახურში ყოფნა გულისხმობს საზოგადოების ნდობის მოპოვებას; საზოგადოებაზე ზრუნვას; მოსწავლეების, მშობლებისა და კოლეგებისადმი თავაზიან მოპყრობას და მათი უფლებების დაცვას; მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვას; მოსწავლეებსა და მათ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას; სასწავლო პროცესის წარმართვას მრავალფეროვანი სოციალური, კულტურული თუ სწავლების შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის; მშობლებსა და მეურვეებთან პარტნიორობას, ძალადობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლას და ა.შ.

აღნიშნული პრინციპის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია:

1. **პატივი სცეს სხვა ადამიანების ღირსებას, უფლებებს და მოსაზრებებს**, რაც გულისხმობს კულტურული, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის პატივისცემას, სხვისი აზრის მოსმენას და დაფასებას. მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სკოლის დირექციას, მასწავლებლებს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;
2. **სწავლება/სწავლაში მოახდინოს მაღალი პროფესიული სტანდარტების დემონსტრირება**, რაც თავისთავად მოიცავს მოსწავლის სასწავლო

საქმიანობაში ჩართვას; მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევას; სასწავლო პროცესზე მასწავლებლის დაკვირვებას და საზოგადოების ინფორმირებას; რეფლექსიას; პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას; თანამშრომელთა დახმარებას და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას; კოლეგებისთვის კონსტრუქციული შენიშვნების მიცემას; დამწყებ მასწავლებლებზე დახმარებას და მენტორობას; საკუთარ პროფესიულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღებას;

3. **იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე** - მოსწავლეებს აქვთ უფლება, განათლება მიიღონ უსაფრთხო გარემოში. მასწავლებელი კარგად უნდა ერკვეოდეს უსაფრთხოების დაცვის წესებში და იცავდეს მოსწავლეებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობისაგან;
4. **მშობლებთან და მეურვეებთან ჰქონდეს კონსტრუქციული პროფესიული ურთიერთობები** - მასწავლებელი მშობლებთან უნდა იყოს გულახდილი, მშობლებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია მათი შვილის სწავლის შესახებ, გაითვალისწინოს მშობელთა საღი შენიშვნები და თხოვნები;
5. **გამოიჩინოს ეფექტური ლიდერობა,** რაც მნიშვნელოვანი კომპეტენციაა მასწავლებლის საქმიანობაში. ლიდერობა ნიშნავს პოზიტიურ მოდელირებას, თანამშრომელთა საქმიანობის დაფასებას და აღიარებას, თანამოსაქმეთა ინიციატივის და ლიდერობის წახალისებას, განსხვავებული შეხედულებების დაფასებას და პატივისცემას, გუნდურ პასუხისმგებლობას, გუნდური გადაწყვეტილებების მიღებას, სკოლაში თანასწორობისა და მრავალფეროვნების წახალისებას, მონიტორინგს, ცვლილებების დანერგვას;
6. **იბრძოლოს სკოლაში დისკრიმინაციისა და ძალადობის ყოველგვარი გამოვლინებების წინააღმდეგ.** მასწავლებელი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციას და ძალადობას, იცოდეს მათი აღმოფხვრის მეთოდები და სტრატეგიები.

პრინციპი II: საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების გათვალისწინება - მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს იმ სახელმწიფოს კანონებით, რომელსაც ემსახურება. მოსწავლის საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა შეუსაბამოს საზოგადოების მოთხოვნებს, აღზარდოს აქტიური და საზოგადოებისთვის მისაღები

ეთიკური ქცევების მქონე ადამიანები. აქედან გამომდინარეობს მისი ვალდებულებები:

1. **საგანმანათლებლო საქმიანობა შეუსაბამოს ზოგადი განათლების მიზნებსა და პრიორიტეტებს;**
2. **შექმნას დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემო ყველა მოსწავლისათვის, მიუხედავად მათი განსხვავებული სოციალური, ეთნიკური, კულტურული თუ გონებრივი შესაძლებლობებისა;**
3. **დანერგოს და განავითაროს ეფექტიანი პედაგოგიკა;**
4. **წაახალისოს სწავლა, ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება და პოპულარიზაცია გაუწიოს მასწავლებლის პროფესიას;**
5. **ეფექტიანი სწავლების ხელშესაწყობად ითანამშრომლოს პროფესიონალებთან, მშობლებთან/მეურვეებთან, კოლეგებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან,** ზრუნავდეს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდეს კოლეგებს და თანამშრომლებს, თანამშრომლობდეს სკოლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეჰქონდეს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

   მასწავლებელი უნდა თანამშრომლობდეს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში აწყობდეს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში სასწავლო გეგმის და მის მიერ არჩეულ სწავლების მეთოდებს უნდა განუმარტავდეს, ამასთან, მათთან ერთად ადგენდეს სასწავლო გეგმას და ითვალისწინებდეს მათ შეხედულებებს. მასწავლებელი დროულად და ინდივიდუალურად უნდა აწვდიდეს მშობლებს ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრების, დისციპლინური დარღვევისა თუ მოსწავლის ჯანმრთელობის ან პირადი უსაფრთხოების საშიშროების შესახებ;
6. **თავი აარიდოს არაავტორიზებულ საჯარო კომენტარებს, რომლებიც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ოფიციალური კომენტარი;**
7. **მასწავლებელი თავისი საქმიანობისას მუდამ უნდა იყოს პუნქტუალური და მოწესრიგებული.**

პრინციპი III: ანგარიშვალდებულება - მასწავლებელი ანგარიშვალდებულია წაახალისოს მოსწავლეები მაღალი სტანდარტების და ღირებული განათლების მიღებისათვის, მოსწავლეთა ინტერესები დააყენოს პირად ინტერესებზე წინ, ითანამშრომლოს კოლეგებთან, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი პროფესიული უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე.

შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია, პასუხისმგებლობა აიღოს მაღალი ხარისხის სწავლებაზე, ანუ:

1. ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, სწავლაში გამოავლინონ მაქსიმალური შესაძლებლობები და გაითვალისწონოს ინდივიდუალური თავისებურებები;
2. შეაფასოს მოსწავლეები რეგულარულად და კონსტრუქციულად;
3. შეისწავლოს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და ის ფაქტორები, რომლებიც მოსწავლეთა სწავლაზე ახდენენ გავლენას;
4. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამებში და განავითაროს საკუთარი უნარები და კომპეტენციები;
5. პასუხისმგებლობა აიღოს მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე;
6. იცოდეს საგანი, რომელსაც ასწავლის და იცნობდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, სწავლება შეუსაბამოს სკოლისა და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

პრინციპი IV. სამართლიანობა და პატიოსნება - მასწავლებელი სარგებლობს საზოგადოებრივი ნდობით. პედაგოგს ხელი მიუწვდება სკოლის რესურსებზე, მოსწავლეთა, თანამშრომელთა სკოლის ინფორმაციაზე. ეს ნდობა მასწავლებლისგან მოითხოვს, გულწრფელობას, სამართლიანობას, პატიოსნებას და წესიერებას, ზრდილობას. მისი სამართლიანი და პატიოსანი ქმედება გულისხმობს მოსწავლეთა, თანამშრომელთა თუ სხვა პირთა უფლებების და ღირსების დაფასებას, ინტერესთა პროფესიული და პირადი კონფლიქტების თავიდან აცილებას, თანამდებობის ბოროტად ან პირადი ინტერესებისათვის გამოყენებაზე თავის არიდებას, პატიოსან და მიუკერძოებელ ქცევას.

მასწავლებლის პატიოსანი და მიუკერძოებელი ქცევა გულისხმობს:

1. **ის ფლობდეს მოსწავლეთა სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ მონაცემებს და ითვალისწინებდეს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს** - მასწავლებელი თანაბარ ყურადღებას იჩენდეს ყველა მოსწავლის მიმართ (განურჩევლად სქესის,

რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ნიშნისა) და ზრუნავდეს, რომ მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, მიიღონ ხარისხიანი განათლება. მასწავლებელს თუ კლასის დამრიგებელს უნდა ჰქონდეს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შეძლოს მასთან დაკავშირება;

2. **გაითვალისწინოს თანამშრომლების და მოსწავლეთა შეხედულებები იმ საქმიანობაზე, რომელიც პირდაპირ მოქმედებს მათზე** - მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა და თანამშრომელთა შენიშვნები, შეხედულებები, რჩევები;
3. **მოსწავლეები შეაფასოს შეფასების მიღებული და დამტკიცებული, გამჭვირვალე კრიტერიუმების მიხედვით** - მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა აფასებდეს შეფასების გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით. მათ ჩამოყალიბებაში აუცილებლია მოსწავლეთა ჩართვა, რათა მათთვის გასაგები იყოს, თუ რისთვის და როგორ აფასებს მას მასწავლებელი;
4. **კონფლიქტები გადაჭრას სახალხო ინტერესების გათვალისწინებით** - მასწავლებელს ხშირად უწევს ურთიერთობა პრობლემურ მოსწავლეებთან და მშობლებთან, შესაძლოა, თანამშრომლებთანაც. იგი ვალდებულია, მათ მშვიდად განუმარტოს შესაბამისი საკითხები, არ აჰყვეს პროვოკაციულ და უხამს დამოკიდებულებას, დაიცვას ზნეობრივი ნორმები. მასწავლებელს, როგორც საჯარო მოსამსახურეს, აქვს თმენის ვალდებულება. კონფლიქტურ სიტუაციებში უნდა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს, უსმენდეს მოსწავლეთა აზრს და იღებდეს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
5. **არ მიიღოს დამატებითი ანაზღაურება ან თანხა იმ საქმიანობის განსახრციელებლად, რაც ისედაც ევალება** - მასწავლებელი არ უნდა უწევდეს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
6. **პირადი ურთიერთობები ისე განავითაროს, რომ უარყოფითად არ იმოქმედოს თავისი საქმიანობის ან სკოლის რეპუტაციაზე** - დემოკრატიულ სკოლაში სკოლის საზოგადოების რომელიმე წევრი პირადი მიზნებისათვის არ უნდა

დაუპირისპირდეს სკოლის/სასწავლებლის საერთო ინტერესებს, ღირებულებებს, წესებს და ეთიკის ნორმებს. მეგობრობის და თანაგრძნობის ფაქტორი არ უნდა გახდეს სკოლაში ღირებულებების გადაფასების მიზეზი;

7. **თანამდებობა არ გამოიყენოს ბოროტად, პირადი ინეტერსების განსახორციელებლად** - მასწავლებელი პირადი მიზნებისათვის არ უნდა იყენებდეს მოსწავლის, მშობლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს;
8. **არ მიიღოს შეუსაბამო საჩუქრები ან სარგებელი** - დემოკრატიულ სკოლაში აუცილებელია საჩუქრების მიღების შეზღუდვასთან დაკავშირებული ნორმების შემუშავება და მათი დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის დაწესება. სკოლის მასწავლებლების ან ხელმძღვანელებისათვის გაგზავნილი საჩუქრები, შესაძლოა, უარყოფითად აღიქვას საზოგადოებამ, ეჭვი შეიტანოს საჩუქრის გადაცემის მიზეზებში და სკოლამ დაკარგოს საზოგადოების ნდობა;
9. **არ უნდა იყოს ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ ან არ უნდა მოიხმარდეს არალეგალურ ნარკოტიკებს** - მასწავლებელი მაგალითს უნდა აძლევდეს და ეხმარებოდეს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი ღირებულებების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. არ მიიღოს ალკოჰოლი მაშინ, როდესაც მოსწავლეებს ემსახურება, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ, ისეთ მომენტებში, როგორიცაა ექსკურსია და ა.შ.;
10. **გადაწყვეტილებების მიღების დროს იყოს ღია და სამართლიანი** - არ მიიღოს მიკერძოებული და უსამართლო გადაწყვეტილებები.

პრინციპი V. ეფექტიანობა - მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ეფექტურად უნდა იყენებდეს პედაგოგიური საქმიანობისათვის განკუთვნილ დროს, უფრთხილდებოდეს სკოლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებდეს რესურსებს.

დემოკრატიული სკოლის ეთიკის კოდექსი ასევე უნდა აწესრიგებდეს სკოლაში მისაღები ჩაცმულობის და მოწესრიგებულობის წესებს. არასათანადოდ ჩაცმულმა მასწავლებელმა, სკოლის დირექტორმა თუ მოსწავლემ შეიძლება შელახოს სკოლის იმიჯი და დაუკარგოს საზოგადოების ნდობა. ჩაცმულობა არ უნდა იყოს

დისკრიმინაციული კონტექსტის მატარებელი, არ არყევდეს სასწავლებლის ავტორიტეტს. სკოლის მმართველობაში მონაწილე პირებმა ჩაცმულობის ნორმების გადაცდომისას დროულად უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები. დაუშვებელია სასკოლო დისციპლინის დაცვა ისეთი მეთოდებით, რომლებიც ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

ბ) მშობელთა ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის კოდექსი

დემოკრატიულად ორგანიზებულ თითოეულ სკოლას, თავისი მიზნებისა და ღირებულებების მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს მშობელთა ეთიკური ქცევის განსხვავებული კოდექსი. ამ კოდექსის ძირითადი მიზნებია, მშობელს მიაწოდოს:

1. სკოლის საზოგადოების სხვადასხვა წევრთან (მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია და ა.შ) ურთიერთობის ძირითადი პრინციპების გზამკვლევი;
2. ინფორმაცია სკოლის მოლოდინის შესახებ;
3. ინფორმაცია სკოლაში მიღებული ეთიკური ქცევის წესების შესახებ.

ქცევის კოდექსში ყოველ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის წესების შეტანა შეუძლებელია, ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე.

მშობელი მაგალითს აძლევს მოსწავლეს/შვილს, შესაბამისად, სკოლა მისგან ეთიკურ-დემოკრატიულ ქცევას ელოდება, რომ ის კარგად უნდა იქცეოდეს.

მშობელთა ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის სხვადასხვა კოდექსში შეიძლება შევხვდეთ შემდეგ წესებს:

<u>პირადი ქცევა:</u>

1. მშობელმა სკოლის ტერიტორიაზე თავი უნდა შეიკავოს აგრესიული, შეურაცხმყოფელი, უხეში და დამამცირებელი საუბრისა და ქცევისაგან, ასევე სკოლაში დისკრიმინაციის მატარებელი ტანსაცმლის ტარებისაგან;
2. მშობელი სკოლის ტერიტორიაზე უნდა გამოცხადდეს შესაბამისად ჩაცმული. მაგალითად, არაეთიკურია მაისურის, პერანგის ან შარვლის გარეშე სკოლაში გამოცხადება და ა.შ.;
3. დაუშვებელია და არაეთიკურია სკოლაში მშობლის მიერ სიგარეტის მოწევა და მოსწავლეთათვის არაჯანსაღი ცხოვრების წესის მაგალითის მიცემა;

4. მიუღებელია სკოლაში ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ გამოცხადება

<u>სკოლის კოლექტივთან, სხვა მშობლებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობები:</u>

1. მშობლები ვალდებული არიან, სკოლის საზოგადოების ყველა წევრთან ჰქონდეთ ცივილური და ეთიკურ-დემოკრატიული ურთიერთობები. დამამცირებელი საუბარი, ხმის ამაღლება, შეურაცხყოფა, ძალადობა შეუსაბამოა სკოლის ტერიტორიაზე;
2. მშობლისთვის არაეთიკურია მოსწავლეთა ურთიერთობებში უხეში ჩარევა და რომელიმე ბავშვის დასჯა. სკოლის ტერიტორიაზე დაუშვებელია ფიზიკური თუ მორალური ძალადობა. კონფლიქტების წარმოქმნის შემთხვევაში მშობელმა უნდა მიმართოს კლასის დამრიგებელს ან მასწავლებელს;
3. სწავლასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში მშობელი უნდა შეხვდეს მასწავლებელს და ასე გაარკვიოს მისთვის საინტერესო თუ მნიშვნელოვანი საკითხები. დაუშვებელია მასწავლებლის შეწუხება სამუშაო დროს.

<u>კომუნიკაცია და შესაძლო კონფლიქტები</u>

სკოლაში მშობელი უნდა იქცეოდეს კანონიერად, კონფლიქტების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებს, სასამართლოს, დირექციას თუ პასუხისმგებელ პირებს. მიმაჩნია, რომ დემოკრატიულ სკოლაში უნდა იყოს სკოლის სასამართლო ან საბჭო, რომელიც მართავს კონფლიქტებს. ასეთ შემთხვევაში მშობელმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სკოლის სასამართლოს/საბჭოს, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში დაეხმარება.

<u>რას უნდა ელოდებოდეს სკოლა მშობლისაგან?</u>

1. მშობელმა სკოლას უნდა მიაწოდოს დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონის ნომრები, მისამართი და ა.შ., რათა საჭიროების შემთხვევაში სკოლამ შეძლოს მასთან დაკავშირება;

2. მშობელმა სკოლას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ამით სკოლას შესაძლებლობა მიეცემა, მოსწავლეს შესაბამისი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის გარემო შეუქმნას;
3. წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
4. მშობელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სოციალურ, საგანმანათლებლო და კურიკულუმის დაგეგმვასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რაც სკოლის იმიჯის ამაღლება-პოპულარიზაციაში დაეხმარება, საამისოდ:
   - მშობელი უნდა იყოს სკოლაში არსებული საბჭოს აქტიური წევრი;
   - სოციალურ აქტივობებში მიიღოს აქტიური მონაწილეობა;
   - აქტიურად ჩაერთოს საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაციაში, დაგეგმვასა და სხვა საორგანიზაციო საკითხებში;
   - სპეციალური გზამკვლევის გათვალისწინებით დაეხმაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს.
5. მშობელმა პატივისცემა უნდა გამოხატოს მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის, სხვა მშობლების თუ სკოლის წევრების მიმართ, საამისოდ იგი ვალდებულია:
   - მოსწავლეთა თანდასწრებით არ განიხილოს საჩივრები მასწავლებლის, თუ სკოლის ადმინისტრაციის მიმართ;
   - იყოს პუნქტუალური;
   - პატივი სცეს სკოლის და სხვა მოსწავლეების პირად საკუთრებას, ქონებას;
   - რეგულარულად ესწრებოდეს შეხვედრებს;
   - არ გაუგზავნოს დამამცირებელი, ღირსების შემლახველი წერილები თუ ტექსტური შეტყობინებები სკოლის საზოგადოების რომელიმე წევრს, არ გააკეთოს დამამცირებელი კომენტარები სოციალურ სივრცეში(მაგალითად, facebook-ზე,) და ა.შ.;
   - არ იყენებდეს დამამცირებელ და ღირსების შემლახველ სიტყვებს საკუთარი შვილის მიმართ.

<u>რა ხდება, როდესაც ვინმე არღვევს ეთიკის კოდექსს?</u>

კრიმინალური დარღვევების შემთხვევაში სკოლამ უნდა მიმართოს პოლიციას. კრიმინალურ დარღვევებში იგულისხმება ფიზიკური ძალადობა, კიბერბულინგი, მუქარა და ა.შ.

თუ ქცევის წესების დარღვევა საგანგაშო არ არის და შეიძლება ადგილზევე მოგვარდეს, მაშინ სკოლამ უნდა გაუგზავნოს ოფიციალური წერილი მშობელს/ან მეურვეს და მოიწვიოს კრებაზე, სადაც სკოლის საბჭო საკითხს მისი თანდასწრებით განიხილავს და პრობლემის გადაჭრის გზებს გამონახავს.

<u>გ) სკოლის დირექტორის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის კოდექსი</u>

დირექტორი პასუხისმგებელია, იყოს კარგი ლიდერი, სკოლაში დაიცვას ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის წესები, ქცევის წესების დაცვის კარგი მაგალითი მისცეს სკოლის საზოგადოების წევრებს, მთელი წლის განმავლობაში დანერგოს და აკონტროლოს შესაბამისი კოდექსის დაცვა. სკოლის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სკოლის საზოგადოების ყოველი წევრი, განსაკუთრებით კი მოსწავლეები ჩართული იყონ სკოლის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის წესების შემუშავებში, გადახედვაში, კორექტირებასა და დაცვაში, გაუგებრობების შემთხვევაში სკოლის საზოგადოების წევრებს მიაწოდოს შესაბამისი გზამკვლევი, რომელიც, ასევე, სასურველი და აუცილებელიცაა, შემუშავებული იყოს სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის ჩართულობით.

სხვადასხვა სკოლაში შეიძლება შევხვდეთ სკოლის დირექტორის განსხვავებულ ეთიკის კოდექსს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ვალდებულებებს:

<u>პროფესიული კომპეტენტურობა</u>

1. სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.

2. სკოლის დირექტორი იცავს საქართველოს კანონმდებლობას და ამ კოდექსით დადგენილ ნორმებს.

3. სკოლის დირექტორი ხელს უწყობს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევას და ამ პოლიტიკის შესაბამისი სიახლეებისა და ცვლილებების განხორციელებას.

4. სკოლის დირექტორი თავისი საქმიანობის შესრულებისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითია.

5. სკოლის დირექტორი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

6. სკოლის დირექტორი იჩენს თანაბარ ყურადღებას მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ - განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სხვა ნიშნისა.

7. სკოლის დირექტორი სასკოლო დისციპლინის დაცვას უზრუნველყოფს ისეთი მეთოდების საშუალებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლების და ღირსების პატივისცემას.

8. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას სკოლაში.

9. სკოლის დირექტორი არჩევს სკოლის პერსონალს კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მიხედვით.

10. სკოლის დირექტორი იცავს მოსწავლესთან, მშობელთან, მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სკოლის დირექტორი ხელს უწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას.

12. სკოლის დირექტორი არ ეწევა რელიგიურ საქმიანობას (გარდა იმ სკოლების სკოლის დირექტორებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.

13. სკოლის დირექტორი პირადი მიზნებისათვის არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს.

14. სკოლის დირექტორი პირადი მიზნებისათვის არ იყენებს მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს.

15. სკოლის დირექტორი უფრთხილდება და კეთილსინდისიერად განკარგავს სკოლის ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ გამოყენებას.

16. სკოლის დირექტორი არ ავრცელებს/აკეთებს მცდარი ინფორმაციის შემცველ საჯარო განცხადებებს სკოლის საქმიანობის ან/და მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თაობაზე.

17. სკოლის დირექტორი კონფლიქტურ სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს, ისმენს დაპირისპირებულ მხარეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

18. სკოლის დირექტორი არ აყენებს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს შეურაცხყოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.

19. სკოლის დირექტორი ზრუნავს თავისი თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე.

20. სკოლის დირექტორი ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად.

21. სკოლის დირექტორი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით.

<u>მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა</u>

1. სკოლის დირექტორი თანასწორად, პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;

2. სკოლის დირექტორი თანამშრომლობს ყველა მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან, ითვალისწინებს მათ აზრებს სკოლის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

3. სკოლის დირექტორი ითავსებს მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადასალახად და, საჭიროების შემთხვევაში,

ინდივიდუალურად აწვდის თავის შენიშვნებსა და შეთავაზებებს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს;

4. სკოლის დირექტორი მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაში;

5. სკოლის დირექტორი დამწყებ მასწავლებლებს სასკოლო გარემოში ინტეგრაციისთვის უქმნის ყველა პირობას;

6. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს მასწავლებლების დროულად ინფორმირებას ზოგადი განათლების სფეროში სიახლეების, დამხმარე პროფესიული ლიტერატურისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ;

7. სკოლის დირექტორი ხელს უწყობს მასწავლებლებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში;

8. სკოლის დირექტორი თანამშრომლობს სკოლის მანდატურთან, ითვალისწინებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და რეაგირებს მასზე.

<u>მოსწავლეებთან ურთიერთობა</u>

1. სკოლის დირექტორი ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება.

2. სკოლის დირექტორი მოსწავლეს ხელს უწყობს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

3. სკოლის დირექტორი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, მათ ყველა პირობას უქმნის იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისთვის.

4. სკოლის დირექტორი მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში.

5. სკოლის დირექტორი მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

6. სკოლის დირექტორი საკუთარი სკოლის მოსწავლეს არ უწევს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. სკოლის დირექტორი ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოების და საკუთრების დაცვაზე სასწავლო პროცესის დროს.

<u>მშობლებთან ურთიერთობა</u>

1. სკოლის დირექტორი ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასწავლო პროცესში;

2. სკოლის დირექტორი, მშობლის სურვილის შემთხვევაში, მას განმარტებებს აძლევს სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ;

3. სკოლის დირექტორი თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;

4. სკოლის დირექტორი მშობელთან ურთიერთობას თავაზიანად და თანამშრომლობის ფორმით წარმართავს;

<u>პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევაზე</u>

სკოლის დირექტორის მიერ ეთიკის კოდექსის უხეში ან სისტემატიური დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) მოსწავლის ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის კოდექსი

მოსწავლეთა ქცევის კოდექსის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თვითდისციპლინის და სხვათა პატივისცემის დამკვიდრებას;
- თავიდან აიცილოს ყველა სახის კონფლიქტი მოსწავლეებს, დირექციასა და სკოლის სხვა თანამშრომლებს შორის;
- უზრუნველყოს მოსწავლეთა მისაღები ქცევები;
- სკოლაში შექმნას ურთიერთგაგების, ჰარმონიის და ზრუნვის ატმოსფერო;
- უზრუნველყოს სკოლის თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის კეთილდღეობა და ხელი შეუწყოს მათში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას;
- განსაზღვროს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად მართვის მექანიზმები;
- გამოიკვეთოს სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებანი.

ყველა მოსწავლე ვალდებულია: გაეცნოს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს და დაემორჩილოს მას, როდესაც იგი

- იმყოფება სკოლის ტერიტორიაზე;
- ესწრება გაკვეთილებს;
- სკოლის სახელით მონაწილეობს რაიმე ღონისძიებაში;
- მონაწილეობს სკოლის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში.

<u>მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან დამოკიდებულება</u>

1. მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ და არ აყენებს მათ შეურაცხყოფას;
2. მოსწავლე ემორჩილება სკოლის დირექტორის, მასწავლებლის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირის კანონიერ მითითებებს.

<u>მოსწავლეებთან დამოკიდებულება</u>

1. მოსწავლე თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს ძალადობის, მუქარის, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ შეურაცხყოფას.

<u>მოსწავლის ჩაცმის წესი</u>

1. მოსწავლე სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსით და აქსესუარებით - იკრძალება ყველანაერი სამოსი და აქსესუარი, რომლებიც ხელს შეუშლის საგანმანათლებლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას, კერძოდ:

- სამოსი, რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი სიტყვები ან გამოსახულია ვულგარული სურათი/კარიკატურა;
- სამოსი, რომელიც რეკლამირებას უკეთებს არაკანონიერი ნივთიერებების გამოყენებას. იგულისხმება: თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და სხვა; სამოსზე არ უნდა იყოს გამოსახული მათი ლოგოები და საფირმო მარკები;
- აკრძალულია ქუდის, კეპის, ბენდენის, შარფის და ნებისმიერი სახეობის თავსახვევის ტარება;
- ჯაჭვები ან ნებისმიერი სახეობის ბასრი ნივთები, რომლებიც შესაძლოა იარაღად იქნეს გამოყენებული.

<u>მოსწავლის ქცევა სკოლის ტერიტორიაზე, სასწავლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების დროს</u>

ა) მოსწავლე დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე;

ბ) გაკვეთილზე ყოფნისას მოსწავლეს აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები;

გ) მოსწავლე გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე;

დ) მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით;

ე) მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;

ვ) მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად;

ზ) მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;

თ) მოსწავლე მასწავლებლის ნებართვის გარეშე არ ტოვებს გაკვეთილს;

ი) მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას;

კ) მოსწავლე იცავს სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

<u>სკოლაში აკრძალული ნივთები</u>

მოსწავლე არ ცხადდება სკოლაში შემდეგი ნივთებით:

ა) თამბაქოს ნაწარმი;

ბ) ყველანაირი სახეობის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლების გამოყენებაც შეიძლება იარაღად;

გ) ანთებელა ან ასანთი;

დ) ალკოჰოლური საშუალებები;

ე) ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;

ვ) ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული;

ზ) აზარტული თამაშის საშუალებები;

თ) უხამსობის ამსახველი ნივთები;

ი) ნარკოტიკული საშუალებები;

კ) ასაფეთქებელი და მომწავლავი ნივთიერებები;

ლ) ფსიქოტროპული საშუალებები ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

<u>წამლები:</u>

მოსწავლეს ეკრძალება სკოლაში წამლების მოტანა, თუ მას არა აქვს ექიმის მიერ გამოწერილი ცნობა, რომ წამალი უნდა მიიღოს სკოლის პერიოდში:

- წამალი უნდა გადაეცეს სკოლის ექთანს (მისი არყოფნის შემთხვევაში დამრიგებელს), მშობლის მიერ დაწერილ წერილთან ერთად;
- ყველა წამალი უნდა ინახებოდეს თავის ორიგინალ ყუთში;
- წამლის მიღება დასაშვებია ექთანის ან სხვა კომპეტენტური პირის ზედამხედველობით.

<u>პასუხისმგებლობა ქცევის კოდექსის დარღვევისათვის</u>

მოსწავლის მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევაში დადგენილი წესით.

დისციპლინური სახდელები მოსწავლეთა ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში:

I. სიტყვიერი შენიშვნა - შენიშვნა შეიძლება მიეცეს მოსწავლეს ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის/ნორმების დარღვევის შემთხვევისას სკოლის ნებისმიერი თანამშრომლის მიერ და აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით ეცნობება დისციპლინურ კომიტეტს. თავის მხრივ დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს გადაცდომის მოსწავლეთა მონაცემთა ბაზაში განთავსება. დისციპლინური ნორმის განმეორებით დარღვევისას (თუნდაც დაფიქსირდეს სხვა ნორმის დარღვევა) მოსწავლეს დისციპლინური კომიტეტი წერილობით საყვედურს აძლევს.

II. **საყვედური (წერილობითი ფორმით)** - დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია, შეიმუშაოს დოკუმენტის ფორმა (იხ. დანართი) სადაც მითითებული

იქნება მოსწავლის სახელი და გვარი, გადაცდომის სახე, გადაცდომის დრო და ხელმოწერილი უნდა იყოს მოსწავლის, მშობლის და დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენლის ან გადაცდომის დამფიქსირებლის მიერ. გადაცდომის განმეორებისას მოსწავლეს დაეკისრება სკოლისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება. აღნიშნული სახდელი ვრცელდება გადაცდომის ყველა ფორმაზე, გარდა ,,ნულოვანი ტოლერანტულობის" მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სახდელით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმისას მოსწავლეზე გავრცელდება ,,ნულოვანი ტოლერანტობის"მუხლით გათვალისწინებული სახდელი.

III. **სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება (ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის სხვა ნაწილის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობა არასაგაკვეთილო პერიოდში** - გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდეგ); კონკრეტული გადაცდომის განმეორებისას მოსწავლე დაითხოვება საგაკვეთილო პროცესიდან 5-იდან 10 დღის ვადით.

IV. **საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა 1-იდან 5 დღემდე ვადით** - აღნიშნული სახდელი მოსწავლეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასკოლო საზოგადოების კომპეტენტური წევრებისაგან შემდგარი სკოლის საბჭო საჭიროდ ჩათვლის, რომ მისი გაკვეთილზე ყოფნა საფრთხეს უქმნის სხვა მოსწავლეებს. ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლე ვალდებულია, გამოცხადდეს სკოლაში სწავლის დაწყებისას. სკოლამ ასეთი მოსწავლეებისათვის უნდა გამოყოს სპეციალური ოთახი/ბიბლიოთეკა. მეთვალყურეობა ეკისრებათ (1) დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში და (2) დამრიგებელს. მოსწავლის გამოუცხადებლობა ჩაითვლება არასაპატიო გაცდენად.

V. **საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა 5-დან 10 დღემდე ვადით** - დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით და ფარული კენჭისყრით; აღნიშნული სახდელი მოსწავლეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის დირექცია და დისციპლინური კომიტეტი საჭიროდ ჩათვლის, რომ მისი ყოფნა საფრთხეს უქმნის სხვა მოსწავლეებს. ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლე ვალდებულია გამოცხადდეს სკოლაში სწავლის დაწყებისას. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ასეთი მოსწავლეებისათვის სპეციალური ოთახის/ბიბლიოთეკის

გამოყოფა. მეთვალყურეობა ეკისრება (1) დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში და (2) დამრიგებელს. მოსწავლის გამოუცხადებლობა ჩაითვლება არასაპატიო გაცდენად.

VI. **გაკვეთილიდან გაძევება** - გაკვეთილის ჩაშლის მცდელობის გამო საგნის მასწავლებელი მოსწავლეს გზავნის დირექტორთან ან დირექტორის მოადგილესთან აღმზრდელობით დარგში. მოსწავლე ამ კონკრეტული გაკვეთილის დასრულებამდე რჩება დირექციაში და გაკვეთილების შემდგომ, ბიბლიოთეკაში, ე.წ. სარეაბილიტაციო კლასში, ერთი საათით განმავლობაში ამზადებს მომდევნო დღის გაკვეთილებს. მოსწავლის მხრიდან უარის თქმისას გაკვეთილიდან გაძევება ჩაითვლება არასაპატიო გაცდენად. მას ზედამხედველობას უწევს ბიბლიოთეკარი ან მორიგე მასწავლებელი. ამის შესახებ ეცნობება მშობელს და დისციპლინურ კომიტეტს. ეს უკანასკნელი ვალდებულია, აღნიშნული ფაქტი შეიტანოს მოსწავლის დოსიეში; დარღვევის განმეორებისას კი მოსწავლეს ევალება სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება (ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის სხვა ნაწილის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობა არასაგაკვეთილო პერიოდში - გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდგომ); მომხდარის შესახებ ეცნობება მშობელს;

VII. **ზარალის ანაზღაურების დაკისრება.** ეს სახდელი მოსწავლეს დაეკისრება სკოლის ან სხვა მოსწავლის, მასწავლებლის საკუთრების ხელყოფის ან დაზიანების შემთხვევაში. აღნიშნული ფაქტის დაფიქსირებისას სკოლაში უნდა გამოიძახონ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, როგორც ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლი პირი (ზარალი ანაზღაურდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994, 995, 996 და 998 მუხლებით დადგენილ შემთხვევებში და წესით);

VIII. **სასკოლო კლუბებში, წრეებში, სკოლის მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის პრივილეგიის ჩამორთმევა.** აღნიშნული სახდელი დაეკისრება ქცევის კოდექსის დამრღვევ მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის ყველა შემთხვევაში დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე. სახდელის მოქმედების ვადას დაადგენს დისციპლინური კომიტეტი. იგი არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს;

IX. **ალტერნატიულ სკოლაში გადაყვანა.** ალტერნატიულ სკოლაში გადავა მოსწავლე, რომელმაც ჩაიდინა ,,ნულოვანი ტოლერანტობის“ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ალტერნატიული სკოლა იქნება კანონში გათვალისწინებული, ხოლო მანამდე ამ სახდელს ვერ გამოიყენებენ).

ნულოვანი ტოლერანტობა არის დასჯის ფორმა, როდესაც დარღვევის სიმძიმის გამო ვერანაირად ვერ შემსუბუქდება და მოსწავლე ირიცხება სკოლიდან ან გადავა ალტერნატიულ სკოლაში.

დარღვევათა სახეობები, რომლებიც განეკუთვნება ნულოვანი ტოლერანტობის კატეგორიას:

- მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა;
- ცივი იარაღის ტარება (პირველ ჯერზე 500-ლარიანი ჯარიმის დაკისრება და განმეორების შემთხვევაში სკოლიდან გარიცხვა ან ალტერნატიულ სკოლაში გადაყვანა);
- ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შენახვა.

ნებისმიერი დისციპლინური დარღვევა უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს.

დისციპლინური სახდელის გასაჩივრება სააპელაციო კომიტეტში:

- სასურველია, სკოლამ შექმნას სააპელაციო კომიტეტი, რათა მოსწავლეს საშუალება მიეცეს, გაასაჩივროს დისციპლინური კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება;
- მოსწავლეს უფლება აქვს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად დაესწროს სააპელაციო კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას;
- სააპელაციო კომიტეტი ვალდებულია, მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად გამოუყოს ოპტიმალური დრო.

ამგვარად, ყოველ დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (დირექტორი, მასწავლებელი, მოსწავლე და სხვა) ჩართულობით უნდა შემუშავდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ეთიკის კოდექსი, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნის კანონმდებლობის და

საგანამანათლებლო კულტურიდან, რომელშიც იწერება და რომელზეც პასუხისმგებელია მთელი სკოლა. თითოეულმა სკოლამ რეგულარულად უნდა გადახედოს სკოლის ეთიკის კოდექსს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს, რადგანაც ის არის ცოცხალი დოკუმენტი და მუდმივ გადახედვას მოითხოვს.

§4. დისკრიმინაციის და ძალადობის დაუშვებლობის პრინციპი

სკოლის დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპია დისკრიმინაციის და ძალადობის დაუშვებლობა.

ტერმინი **დისკრიმინაცია** სიტყვასიტყვით განსხვავებას ნიშნავს. იგი გულისხმობს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკური ნიშნით, რელიგიურ ან სხვაგვარ შეხედულებათა, აგრეთვე ქონებრივი, ასაკობრივი, სოციალური ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით.

სკოლაში დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს:

- რომელიმე წევრის მიმართ უსამართლო მოპყრობით. ამაში იგულისხმება პირადი შეურაცხყოფის მიყენება რასის, სქესის, ეთნიკური ნიშნისა თუ სხვა განსხვავებულობის გამო. ამას უწოდებენ **პირდაპირ დისკრიმინაციას;**
- ისეთი წესების და კანონების შემუშავებით და დამკვიდრებით, რომელიც ეწინააღმდეგება სკოლის რომელიმე წევრის პირად უფლებებს. ასეთ დისკრიმინაციას არაპირდაპირი ეწოდება, რომელიც, ზოგჯერ, გაუთვალისწინებლადაც შეიძლება დაფიქსირდეს. მაგალითად, ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის დროს ერთ-ერთმა მასწავლებელმა განაცხადა, რომ თავის პედაგოგიურ საქმიანობაში შეემთხვა ასეთი ინციდენტი: ყოველი გაკვეთილის დასაწყისში სთხოვდა მოსწავლეებს, წაეკითხათ სწავლის წინ წასაკითხი ლოცვები. ჯგუფში აღმოჩნდა ისლამის მიმდევარი მოსწავლე, რომლისთვისაც მართლმადიდებლური ლოცვა მიუღებელი იყო. ამის გამო ბავშვის მშობელმა უსაყვედურა და მოითხოვა განემარტა, რატომ აიძულებდა მის შვილს მართლმადიდებლურ ლოცვას. პედაგოგმა აღიარა, რომ დაუფიქრებლად ეწეოდა გარკვეული სახის დისკრიმინაციას;
- უნარშეზღუდულობის გამო დისკრიმინაციით - ეს მაშინ ხდება, როდესაც სკოლა უარს ამბობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიღებაზე;
- დაცინვით;
- გარიყვით;

- ძალადობით;
- დაშინება-მუქარით;
- რასიზმით - ეს არის წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი ადამიანთა ჯგუფების შესახებ: ადამიანების განსხვავება და შეზღუდვა რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ნაციონალური ან ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, მათთვის გამონაკლისის ან უპირატესობის მინიჭება. რასობრივი დისკრიმინაციის დროს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს და თავისუფლებას, თანასწორობის პრინციპის აღიარებასა და მისი განხორციელების შესაძლებლობებს უარყოფენ, აკნინებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში;
- რეპრესიებით - ანუ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით.

დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზებია: ნეგატიური სტერეოტიპები, წინასწარშეგონებები და ეთნოცენტრიზმი.

ეთნოცენტრიზმი არის ეთნიკური ჯგუფის მიერ საკუთარი ტრადიციებისა და ფასეულობების გადაჭარბებული შეფასება და საკუთარი ჯგუფის უპირატესად წარმოდგენა. ეთნოცენტრიზმი ეთნოსებს შორის კონფლიქტს იწვევს.

წინასწარშეგონება, წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებები, ხელს გვიშლის, რეალურად დავინახოთ და შევაფასოთ ადამიანები და მიმდინარე მოვლენები. ეს არის მეორე ადამიანის გაცნობამდე ან მოვლენის გააზრებამდე შექმნილი მცდარი აზრი, რადგანაც შემფასებელი საერთოდ არ იცნობს ან ცუდად იცნობს განსახილველ საკითხს.

სტერეოტიპები არის შეხედულებები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გვიყალიბდება ადამიანებზე, მოვლენებზე, ადამიანთა ჯგუფზე. ,,სტერეოტიპი" ბერძნული სიტყვაა. სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება. „სტერეო" ნიშნავს მყარს, „ტოპოს" კი - ანაბეჭდს. ის არის ადამიანის მიერ ქცევის ნორმების, ტრადიციების, სხვა ღირებულებების უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებებით შეფასება.

სტერეოტოპების დასაძლევად უნდა შეავაგროვოთ შესაბამისი მაგალითები, უარი ვთქვათ ნეგატიურ სტერეოტიპზე, უკეთ გავიცნოთ იმ ადამიანთა ჯგუფის ტრადიციები, კულტურა და ა.შ., ვისზეც არის შექმნილი სტერეოტიპი.

დისკრიმინაციის კიდევ ერთი მიზეზია **სტიგმა.** სტიგმა ძველ საბერძნეთში მონის ან დამნაშავის სხეულზე დასმულ დამღას ეწოდებოდა. ადამიანებს ნიშნავდნენ უარყოფითი დამღით.

დღესდღეობით სტიგმას ასე განმარტავენ: ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს აქტორის (მოქმედი პირის) ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. სტიგმა შეიძლება იყო სხეულებრივი ნიშანი (მაგ., ფიზიკური სიმახინჯე), ან სოციალური მახასიათებლები - ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია ან ჯგუფის განსაზღვრული რასისადმი მიკუთვნება (მაგ., შავკანიანთა რასისადმი). შესაძლოა, სტიგმა იყოს ხილული (აშკარა დისკრედიტაცია), ან ფარული (პოტენციურად დისკრედიტებული). ფარული სტიგმა მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ ინდივიდმა მართოს საკუთარი თავი და ადაპტირდებოდეს გარემოსთან, თუმცა, როგორც აშკარა, ისე პოტენციური დისკრედიტაციის შემთხვევაში აქტორის/პიროვნების პრობლემა ისაა, მოძებნოს ადეკვატური საშუალებები, რათა შეამციროს თავისი მდგომარეობის მავნე შედეგები და იგი სასარგებლოდაც კი აქციოს.

სტიგმატირებული ადამიანის დისკრიმინაციას ხშირად მოსდევს კონფლიქტი და ძალადობა. სტიგმის შედეგად ადამიანი განიდევნება საზოგადოებიდან. სტიგმა გვხვდება სკოლაშიც. მისი „მსხვერპლი“ შეიძლება აღმოჩნდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები (ადამიანები), გარკვეული დაავადების მქონე პირები, სოციალურად დაუცველი მოსწავლეები (პირები), დევნილები, ლტოლვილები და სხვ. ამის დასაძლევად სკოლაში უნდა დავამყაროთ ჯანსაღი ურთიერთობები და დამოკიდებულება.

ბულინგი არის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა. განარჩევენ მის სამ ტიპს: ემოციურს, სიტყვიერს და ფიზიკურს. ბულინგის დამახასიათებელი ქცევებია: დამამცირებელი ზედმეტსახელების დარქმევა, დაცინვა, ჯგუფიდან ან საერთო საქმიანობიდან გარიყვა, უცენზურო სიტყვებით მიმართვა, ნივთების წართმევა, წერილობითი და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, დაშინება, ხელის კვრა, მუშტებით ან ფეხით ცემა, ცილისწამება, ,,მსხვერპლის“ უხერხულ, არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაგდება, წამება, იძულება იმოქმედოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ (ბასელია..., 2015).

არ არსებობს სასკოლო ბულინგის უნივერსალური განმარტება, მაგრამ ფაქტია, რომ იგი აგრესიული ქცევის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

სკოლაში ხშირია მოსწავლეთა შორის ბულინგის გამოვლინებები, რომელიც იყოფა ხუთ ტიპად:

- **სიტყვიერი** - აქ მოიაზრება სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი მეტსახელების შერქმევა, ვინმეს მიმართ ნეგატიური კომენტარი, წყევლა, დაცინვა, გაჯავრება და ა.შ.
- **ფიზიკური** - ფიზიკური ბულინგის გამოვლინებებია: დარტყმა, წიხლის კვრა, მუშტებით ცემა, ბიძგი, შეუსაბამოდ ხელის მოკიდება, ღიტინი, ნივთების ან სასროლი იარაღის სროლა, თმების დაქაჩვა.
- **ფსიქოლოგიური/ემოციური** - ამგვარ ბულინგს წარმოადგენს ავი ჭორების გავრცელება, ჯგუფიდან განდევნა, მასხრად აგდება, იგნორირება, იზოლირება, პროვოკაცია, „მსხვერპლად“ თავის მოჩვენება, დამუქრება.
- **კიბერბულინგი** - ეს არის ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ადამიანზე ძალადობა, შეურაცხყოფა, მუქარა. ასეთი ტიპის ბულინგი ძალიან გახშირდა XXI საუკუნეში. ინტერნეტზე წვდომა აქვს თითქმის ყველა მოსწავლეს. ისინი ხშირად ერთმანეთს უგზავნიან ფარულ შეტყობინებებს, დებენ შეურაცხმყოფელ ვიდეოებს და ა.შ.
- **ფარული/შენიღბული** - ფარული ბულინგი გულისხმობს „მსხვერპლის“ ზურგს უკან მოქმედებას მისი დამცირების ან შეურაცხყოფის მიზნით.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს ბულინგის მსხვერპლი ბავშვის ემოციური და ქცევითი მახასიათებლები, რათა დროულად აღმოფხვრას ძალადობა. ნებისმიერი მოსწავლე შეიძლება ბულინგის მსხვერპლიც იყოს და მოძალადეც.

მოძალადე ბავშვის ძირითადი ფსიქოლოგიური/ემოციური და ქცევითი მახასიათებლებია:

- ჭარბი ენერგია;
- ხშირად ებმება ფიზიკურ თუ სიტყვიერ შელაპარაკებებში;
- ჰყავს მოძალადე მეგობრები;
- ჩვეულებრივ სიტუაციებში ხშირად მომატებულად აგრესიულია;
- ხშირად გზავნიან დირექტორის კაბინეტში;

- საკუთარ თავზე აქვს მაღალი წარმოდგენა;
- შეუძლია სხვებზე ზეგავლენის მოხდენა და სხვა ადამიანების გამოყენება;
- ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, თანაკლასელებს, დედმამიშვილებს;
- ძალის გამოყენებით ცდილობს კონფლიქტის გადაჭრას;
- არის იმპულსური და ხშირად ბრაზდება;
- არ გამოხატავს თანაგრძნობას;
- უყვარს სხვებზე ბატონობა;
- არ არის მეგობრული;
- არა აქვს დანაშაულის გრძნობა და სხვისი განცდების გაგების უნარი.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ემოციური და ქცევითი მახასიათებლებია:

- დეპრესია;
- სტრესი;
- ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი მიდრეკილება;
- თვითმკლელობის მცდელობები;
- ხშირად ტირის და შფოთავს;
- აქვს ძილთან და კვებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ადვილად ეცვლება გუნება-განწყობა;
- დილით ცუდ ხასიათზე იღვიძებს;
- არაადეკვატურად იქცევა;
- გამუდმებით კარგავს ფულს ან იწყებს მოპარვას;
- აქვს აუხსნელი სისხლჩაქცევები, ნაკაწრები და სხვა იარები;
- სახლში დაზიანებული ნივთებით და დახეული ტანსაცმლით ბრუნდება;
- არ უნდა სკოლაში სიარული;
- სკოლაში წასვლის ეშინია;
- საგრძნობლად უარესდება აკადემიური მოსწრება;
- ხშირად აცდენს სკოლას;
- ხშირად მარტოა, სხვა ბავშვებისგან გარიყულია;
- აქვს დაბალი თვითშეფასება;
- უჭირს გაბედულად საუბარი.

დემოკრატიულ სკოლაში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის შემთხვევები უნდა გამოვლინდეს დროულად, რათა მათ აღმოსაფხვრელად გატარდეს სათანადო ღონისძიებები. მოძალადე ბავშვების ეგრეთ წოდებული „დასჯა“ მიუღებელია დემოკრატიულად ორგანიზებული სკოლისათვის.

2017 წლის 17 ოქტომბრის საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებში საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი განხორციელების მხრივ, საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახეზეა ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფორმები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების მხრიდან. ამასთან, გამოიკვეთა სტერეოტიპული და დისკრიმინაციული აზროვნება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში; პრობლემად რჩება სკოლის თანამშრომლების მიერ ძალადობის პრევენცია, შემთხვევის გამოვლენა და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული რეაგირება.

შესაბამისად, სკოლებში მინიმალურია ძალადობის იდენტიფიცირებული ფაქტები და არ ასახავს ძალადობის გავრცელების სრულ სურათს. არათანმიმდევრულია მოსწავლეების ცნობიერება თავიანთი უფლება-მოვალეობებისა და ძალადობის არსის შესახებ; სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა.

აღნიშნული ანგარიში ნაწილობრივ ეხმიანება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებსაც (ვრცლად იხ. თავი IV), რის საფუძველზეც საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესაძლო გზების მოძიება, დავაკვირდით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, გავითვალისწინეთ უცხოური გამოცდილებაც და შევიმუშავეთ სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის შემდეგი ეტაპები:

ა) ძალადობის დროული იდენტიფიცირება/დაკვირვება - მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და ძალადობის აღმოფხვრაზე. საამისოდ საჭიროა ძალადობის შემთხვევის დროული მიგნება. პედაგოგი უნდა დააკვირდეს

თითოეული მოსწავლის ქცევას, მის ემოციურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას თუ შეამჩნევს, დროულად მიმართოს მისი აღმოფხვრის ხერხებს; ყველა მასწავლებელმა ძალადობის იდენტიფიცირება და მისი აღმოფხვრა რომ შეძლოს, სახელმწიფომ მას შესაბამისი ტრენინგი უნდა ჩაუტაროს.

ბ) სიტუაციის/პრობლემის შესწავლა - თუ ეჭვობთ, რომ თქვენს სკოლაში ან კლასში ძალადობის მსხვერპლია, გადაამოწმეთ ინფორმაცია, შეისწავლეთ სიტუაცია. პირველ რიგში, უშუალოდ გაესაუბრეთ ბულინგის მსხვერპლს და გაარკვიეთ, რამდენად შეესაბამება თქვენი ეჭვი სიმართლეს. სავსებით შესაძლებელია, ამ თემაზე დაზარალებულმა თქვენთან საუბარი არ მოინდომოს. თუ დააძალებთ, ეს პრობლემას კიდევ უფრო გაართულებს. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ნდობის მოპოვებას შეეცადეთ, რათა იგი გულახდილად ალაპარაკდეს. ამას, შეიძლება, გარკვეული დრო დასჭირდეს. თუ ბავშვის ალაპარაკება შეძელით, საჭიროა მისი აქტიური მოსმენა, არ არის მიზანშეწოლილი გამოხატოთ ემოციები, თუნდაც აღშფოთება, რადგანაც ამან შეიძლება ბავშვის ემოციური მდგომარეობა გააუარესოს. მოსწავლემ ამომწურავი ინფორმაცია თუ ვერ მოგაწოდათ, მხოლოდ საუბრის დასრულების შემდეგ დაუსვით შეკითხვები, გაარკვიეთ, სად და როდის მოხდა ბულინგის შემთხვევა, ვინ იყო ჩართული მასში, რამდენად ხშირად ხდება ეს ქმედება, იმყოფებოდა თუ არა ვინმე შემთხვევის ადგილზე. არ ჰკითხოთ „რატომ?“.

თუ ვერ შეძელით მოსწავლის ალაპარაკება, შეეცადეთ სიტუაცია შეისწავლოთ ირიბი გზით. დააკვირდით მის ქცევას გაკვეთილსა და შესვენებებზე, თანატოლებთან ურთიერთობს, თუ ამჯობინებს განმარტოებას. ინდივიდუალურად გაესაუბრეთ „მსხვერპლის“ თანაკლასელებს, ჰკითხეთ, ხომ არ იცნობენ მოძალადე ბავშვებს სკოლაში. გამოჰკითხეთ მშობლები, სთხოვეთ, გიამბონ შვილის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის შესახებ, ხომ არ შეუმჩნევიათ ბულინგის შემთხვევები და ა.შ.

პრობლემის შესწავლაში აუცილებად ჩართეთ სკოლის დირექცია, ფსიქოლოგები და კოლეგები. სთხოვეთ დაგეხმარონ, რათა უკეთ შეისწავლოთ სიტუაცია.

მასწავლებლის მოვალეობაა, აღმოაჩინოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მოსწავლეებიც და ამის შესახებ ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებს აცნობოს.

პრობლემის შესწავლა „მოძალადის“ ქცევის გამომწვევი მიზეზების ძიებასაც გულისხმობს. შეიძლება ბავშვი მოძალადედ ოჯახში ძალადობამ აქციოს. მისი აგრესიული ქცევა გამოწვეული იყოს რაღაც ფაქტორებით, ამიტომ, პირველ რიგში ამ ფაქტორების გამოკვეთაა აუცილებელი. სკოლაში ბულინგის შემთხვევა თუ გამოვლინდა, უნდა გავიაზროთ, რომ პასუხისმგებელი პირი მარტო „მოძალადე“ ბავშვი კი არ არის, არამედ მასწავლებელიც და მთლიანი სასკოლო საზოგადოებაც.

ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს „ფავორიტიზმი“, როდესაც მასწავლებელს კლასში ჰყავს გარკვეული ფავორიტი ბავშვები, „ათოსანი მოსწავლეები“, „კარგი ოჯახის შვილები“, თუ რაიმე სხვა ნიშნით გამორჩეული ბავშვები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია „ფავორიტი“ მოსწავლეები გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი, ამიტომ მასწავლებელს სიფრთხილე მართებს, პროფესიონალმა მასწავლებელმა არ უნდა განასხვაოს მოსწავლეები ერთმანეთისგან და არ უნდა შეუწყოს ხელი ძალადობის გამოვლინებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენ ბავშვებს ექმნებათ უსამართლობის საფუძვლიანი განცდა, სამართლიანობის აღდგენას შეეცდებიან და, შესაძლოა, მოძალადედ, თავად იქცნენ.

მასწავლებელმა უნდა გაითავისოს, რომ ყველა ბავშვი მიუხედავად აკადემიური მოსწრების თუ სოციალური მდგომარეობის განსხვავებულობისა, თანასწორია.

გ) პრობლემის გადაჭრის გზების ძიება - თუ ნამდვილად დაადგენთ, რომ თქვენი მოსწავლე ძალადობის მსხვერპლი ან მჩაგვრელი/მოძალადეა, მის წინააღმდეგ დასჯის მეთოდი არ გამოიყენოთ. ეს არ გამოასწორებს სიტუაციას, მთავარია ძალადობის პრევენცია. სკოლას შესაბამისი სტრატეგია უნდა ჰქონდეს შემუშავებული, თუ არ აქვს, პროფესიონალი მასწავლებელი ვალდებულია, დირექციას და კოლეგებს აღნიშნული დოკუმენტის შედგენის საჭიროებაზე მიანიშნოს. სკოლის ყველა წევრმა ერთად უნდა იკვლიოს ეს საკითხი და მოძებნოს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზები, იზრუნოს ძალადობის სისტემურ აღმოფხვრაზე.

სკოლაში სასწავლო პროგრამები უნდა გადაიხედოს და საჭიროა ამ პროგრამების ადაპტირება და ადამიანთა უფლებების შესახებ სწავლების ინტეგრირება ყოველ საგანში. ბავშვებმა უნდა ისწავლონ პრობლემების მოგვარება არაძალადობრივი და მშვიდობიანი გზით.

სამოქალაქო განათლება ადამიანის უფლებები სკოლამდელ დაწესებებულებშიც უნდა ისწავლებოდეს, და, რა თქმა უნდა, პირველი კლასიდანაც. მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე უნდა იცნობდნენ თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს, იღებდნენ საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობას.

მასწავლებელმა ის მომეტიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოძალადე ბავშვის მშობლის სკოლაში დაბარება და მისი შვილის საქციელზე საუბარი არ არის პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გამოსავალი. რა თქმა უნდა, მშობელს შვილის საქციელი უნდა ეცნობოს და პრობლემის მოგვარებაშიც ჩაერთოს, მაგრამ ხშირად მშობელი შვილის გამოსწორების გზად მის ფიზიკურ დასჯას არჩევს, თანაც ზოგი ამას მასწავლებლის ან სხვა ბავშვების წინაშე აკეთებს. ამით ბავშვი თავს დამცირებულად იგრძნობს და შეიძლება უკუშედეგი მივიღოთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ბავშვი გახდება „მონა“, ხოლო ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ არა „მონები,“ არამედ თავისუფალი ადამიანები, რომლებმაც იციან საკუთარი უფლებები და აფასებენ სხვის უფლებებსაც.

დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრაზე ზრუნვა მხოლოდ მასწავლებელს არ ევალება. სკოლაში საჭიროა ჩამოყალიბდეს დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის(ჩარევის) გუნდი, რომელსაც უხელმძღვანელებს დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენციაზე პასუხისმგებელი პირი/კოორდინატორი. ასეთ გუნდში გაწევრიანებული უნდა იყოს ასევე სკოლის ფსიქოლოგი, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

აღნიშნული გუნდის მიზანი უნდა იყოს სკოლაში დასაქმებული პირების დისკრიმინაციასა და ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვა, დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოვლინების დროული მიგნება, საქმის გამოძიება, აღმოფხვრა და დოკუმენტირება. გუნდმა უნდა შეიმუშაოს დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოვლინებისა და პრევენციის დოკუმენტის ასლი, რაც მათ და სხვა

მასწავლებლებსაც გაუადვილებს მუშაობას. ასეთი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს: ა) დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევის აღწერას (მოსწავლეთა საქციელის აღწერა, მდებარეობა, თარიღი, თვითმხილველების შესახებ ინფორმაცია); ბ) „მოძალადე“ და „მსხვერპლი“ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას (კლასი, ჯგუფი, კლუბის წევრობა თუ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა); გ) გამოძიების ფაქტებს; დ) რეკომენდაციებს; დ) „სხვერპლი“ და „მოძალადე“ ბავშვის მიმართ განხორციელებულ საპასუხო ქმედებებს (იქნება ეს დისციპლინური სახდელი, თავშესაფრის უზრუნველყოფა და ა.შ); ე) რეფლექიას.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული გუნდის განხილვების და დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა. ადმინისტრატორმა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა შეინახოს უსაფრთხო ადგილას, კაბინეტში, რომელიც გასაღებით იკეტება ან კომპიუტერში, რომელსაც ადევს კოდი/ფასვორდი. ზოგიერთ სიტუაციაში შეიძლება შემთხვევის კოდირებაც იყოს საჭირო, რათა მოსწავლის სახელი გვარი არ გამჟღავნდეს. საჩივრების შესახებ დოკუმენტაცია ცალკე უნდა ინახებოდეს, ხოლო დისკრიმინაციისა და ძალადობის შესახებ გამოძიების ამსახველი დოკუმენტები ცალკე ფაილში უნდა ინახებოდეს და იყოს კონფიდენციალური.

გთავაზობთ სერიოზული ინციდენტის დროს სკოლის ძალადობის პრევენციის პასუხისმგებელი პირის საჭირო მოქმედებათა ჩამონათვალს:

1. დააცალკევეთ „მოძალადე“ და „მსხვერპლი“ მოსწავლეები ერთმანეთისგან;
2. ცალ-ცალკე გაესაუბრეთ მათ და თვითმხილველებს;
3. დაუკავშირდით მშობლებს (მეურვეებს);
4. სერიოზული ინციდენტის დროს ჩართეთ საკანონმდებლო ორგანოები;
5. მიაწოდეთ ინფორმაცია „მსხვერპლ“ მოსწავლეს მისი უფლებების შესახებ;
6. დაეხმარეთ „მსხვერპლ“ მოსწავლეს, შეიმუშაოს უსაფრთხოების გეგმა.

ამრიგად, სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებმა ერთად უნდა იზრუნონ დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოვლინების დროულ იდენტიფიკაციასა და აღმოფხვრაზე, რადგანაც სკოლაში, სადაც დისკრიმინაციისა და ძალადობის ხშირი გამოვლინებებია, რთულია დემოკრატიული მმართველობის დანერგვა და განვითარება.

III თავი

სასკოლო ცხოვრების ძირითადი სფეროები

სასკოლო ცხოვრებაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი სფერო: მმართველობა, ურთიერთობები, კურიკულუმი და სკოლის გარემო. დემოკრატიული მმართველობის დროს აუცილებელია დემოკრატიული პრინციპიების დაცვა სასკოლო ცხოვრების ოთხივე სფეროში. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

§1. მმართველობა / მართვა

სკოლაში დემოკრატიული პროცესების დანერგვასა და განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის მმართველობის სფეროს.

,,მართვა" ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებისა და ცხოვრებაში გატარების პროცესს. ტრადიციულად, სკოლას მხოლოდ დირექტორი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მართავდნენ. ჩვენი აზრით, კი უნდა მართავდეს სკოლის საზოგადოების თითოეული წევრი თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით. სკოლა უნდა იმართებოდეს ჩართულობისა და გუნდური მუშაობის პრინციპით. დემოკრატიულად ორგანიზებულმა სკოლამ უნდა იზრუნოს, რომ საზოგადოების თითოეული წევრი ჩართული იყოს სასწავლებლის მმართველობის საკითხებში, მაგალითად, სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, სტრატეგიული გეგმის, პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებაში, ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვაში და ა.შ.

სკოლების დემოკრატიული მმართველობის პრინციპებზე გადასვლის შესახებ ჩატარებულია კვლევები აფრიკაში (Harber, 1999; Mabovula, 2009, 2010; Mestry.. 2009), აზიაში (Bryant…2011; Gurova…2015; Lo… 2008; Mykhaylyshyn… 2017; Ng…2008; Sui-chu Ho, 2006), ავსტრალიაში/ოკეანეთში (Robinson…2005; Torney-Purta…2005), და ევროპაში (Boyask, 2015; Harber..1999; Kirkpatrick, 2000; Sorensen, 1998; Torney-Purta… 2005; Vieno.. 2005). ყველა ეს კვლევა დემოკრატიული პროცესების მნიშვნელობას

წარმოაჩენს და დაინტერესებული მხარეების მიერ განათლების პროცესებში ჩართულობით საგანმანათლებლო შედეგების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

სკოლის მმართველობის ძირითადი ელემენტებია:



§1.1. სკოლის ღირებულებები

დემოკრატიული სკოლა უნდა იცავდეს ადამიანთა უფლებების ძირითად ღირებულებს. ესენია: სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, პატივისცემა, ღირსება და ა.შ.

ღირებულებები სკოლის მორალურ კოდექსს წარმოადგენს და სასკოლო საქმიანობაში გადაწყვეტილებების ძირიტადი გზამკვლევია, ის ასევე მოიცავს ინდივიდის ურთიერთობებს სკოლის საზოგადოების სხვა წევრებთან.

დემოკრატიული სკოლის ღირებულებები შეიძლება იყოს:

- ადამიანთა უფლებების დაცვა;
- პროფესიონალიზმი;
- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- საქმის ერთგულება;
- უსაფრთხოება და ა.შ.

დემოკრატიულ სკოლას უნდა ჰქონდეს თავისი ხედვა და მისია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანთა უფლებების დაცვას.

რა არის სკოლის მისია? სკოლის მისია არის მისი დანიშნულება და ძირითადი მიზანი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის იურიდიულ სტატუსს/დასახელებას, მიზნებს, ფასეულობებს, ღირებულებებს, პრიორიტეტებს და ძირითად საქმიანობას.

სკოლის ხედვა ასახავს სკოლის განვითარების სასურველ მომავალს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება სკოლის მისია, ანუ დაარსების მიზნები და დანიშნულება, მიმდინარე პრიორიტეტები და ძირითადი საქმიანობის მიმართულებები. მისიის განმსაზღვრელი დოკუმენტი ასევე ასახავს ორგანიზაციის ღირებულებებს - რწმენას და ეთიკას, რომელიც სკოლის ფუნქციონირების მამოძრავებელ ძალას და ფუნდამენტს წარმოადგენს.

როგორ ჩავრთოთ სკოლის საზოგადოების წევრები სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში?

სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბება სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის დიდი საზრუნავია. ყოველ სკოლას აქვს მიზანი, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია მოსწავლეთა

ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ, მორალურ, პირად და სულიერ განვითარებაზე.

სკოლის საზოგადოების ყოველი წევრი სასკოლო საქმიანობის ყოველდღიური დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს სასწავლებლის მიზნებს, ხედვას, მისიას და ღირებულებებს. სკოლის მისია უნდა იყოს ყველასთვის გასაგებ ენაზე დაწერილი და ხელმისაწვდომი. თუ სკოლაში გვყავს სხვა ენაზე მოსაუბრე მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი ან ნებისმიერი სხვა წევრი, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მათ მშობლიურ ენაზე უნდა ითარგმნოს, სასურველია, სკოლის მისია გამოქვეყნდეს სკოლის ვებგვერდზე.

ხედვა არის სკოლის მიზანი, როგორიც გვინდა, რომ გახდეს ჩვენი სკოლა მომავალში. მისია კი არის დაგეგმილის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები, ხედვის გარეშე სკოლას არ აქვს მიმართულება, როგორც ძველი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა (ძვ.წ. აღ. 4 -65) ამბობდა: “If a man knows not what harbor he seeks, any wind is the right wind” („თუ ადამიანმა არ იცის, რა უნდა გააკეთოს, მაშინ ნებისმიერი გზა, საითაც ქარი წაიყვანს, სწორი გზაა“).

სკოლის საზოგადოების წევრებს საერთო და შეთანხმებული მიზნები და მიმართულება თუ არა აქვთ, მაშინ ყველა თავისთვის მუშაობს და სკოლა ვერ მიაღწევს მაღალ აკადემიურ შედეგებს.

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს აყალიბებს ერთი ადამიანი ან სკოლის საზოგადოების მხოლოდ რამდენიმე წევრი. ასეთ შემთხვევაში სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის ბუნდოვანი რჩება და შესაბამისად, მას არ ითვალისწინებენ. ასეთი ტიპის მმართველობა არის ზემოდან თავსმოხვეული და ავტორიტარული, რაც ხელს უშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ჩვენ თავიდან უნდა ავირიდოთ ასეთი გზით სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბება.

დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებულ სკოლაში სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის აქტიური მონაწილეობით დგება.

თანამედროვე სკოლის გამოცდილი მმართველები: ჯონ გაბრიელი და პაულ ფარმერი (John G. Gabriel and Paul C. Farmer 2009) გვთავაზობენ სკოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების შედგენის შემდეგ ეტაპებს:

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, რომლის წევრებიც პასუხისმგებელი იქნებიან სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში სკოლის საზოგადოების წევრების ჩართულობაზე. გუნდის წევრებს შესაბამისი ტრენინგი უნდა ჩაუტარდეთ. გუნდის წევრები შეიძლება იყვნენ მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრები, მოსწავლეები და ა.შ.
2. გუნდს წარუდგინეთ სკოლის ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები, წინარე ცოდნა, რომელიც მათ და სკოლის საზოგადოების სხვა წევრებს სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბებასა თუ კორექტირებაში დაეხმარება.

   ინფორმაციაში უნდა აისახოს:

   - მოსწავლეთა სწრებადობა;
   - თანამშრომელთა სწრებადობა და მონაცემები გაცდენების შესახებ;
   - სხვადასხვა სასკოლო საქმიანობაში მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა მონაწილეობის მაჩვენებლები;
   - მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები;
   - სტანდარტული ტესტირების შედეგები და ა.შ.
3. მოიწვიეთ სკოლის საზოგადოების წევრები, დაყავით ჯგუფებად და სთხოვეთ, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

   ა) ვინ ვართ ჩვენ? რა სტატუსი გვაქვს?

   ბ) გვჭირდება თუ არა სკოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების გადახედვა და გადაფასება?

   გ) როგორი სკოლა გვინდა, რომ გვქონდეს?

   დ) რა უნდა იყოს ჩვენი სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები?

   ე) რა უნდა შევცვალოთ სკოლაში, რათა მივაღწიოთ მიზანს?

   ვ) რითი განვსხვავდებით სხვა სკოლებისგან?

4. ჯგუფის წევრები აყალიბებენ წინადადებებს. მიეცით ჯგუფს დრო, დაახლოებით 30-150 წუთი, როცა დრო ამოიწურება, ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები.
5. აირჩიეთ ერთი წევრი, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის აზრს დააფიქსირებს დაფაზე. არ არის სავალდებულო, გავიმეოროთ ერთი და იგივე ფრაზები, ან ისინი ერთ ხაზზე დავწეროთ.
6. ჯგუფის თითეული წევრი საკუთარ ხედვას, მისიას და ღირებულებებს, რომ წარმოადგენს, პასუხისმგებელი გუნდი ამოწერს ძირითად კონცეფციებს და საბოლოოდ ჩამოაყალიბებს სკოლის საერთო ხედვას, მისიას და ღირებულებებს;
7. შემდეგ სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები იბეჭდება და ურიგდება საზოგადოების ყოველ წევრს. სასურველია იგი გამოქვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე (Gabriel...2009).

ამ რეკომენდაციების გამოყენება სკოლაში ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების ნებისმიერ შემთხვევაშიც შეიძლება. სწორედ ასეთი ტიპის მმართველობა არის დემოკრატიული, რომელშიც ჩართულია სკოლის საზოგადოების ყოველი წევრი და პასუხისმგებელია საკუთარ გადაწყვეტილებებზე.

§1.2. სკოლის პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტები

დემოკრატიულ სკოლაში უნდა არსებობდეს ამავე პრინციპების საფუძველზე შედგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა მიზანია სკოლის განვითარებაზე, სასწავლო გარემოსა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ნორმატიული დოკუმენტები უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

სკოლის ნორმატიულ დოკუმენტებში შედის:

ა) სკოლის საზოგადოების წევრების კეთილდღეობის დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა;
2. ანტიკიბერბულინგის პოლიტიკა;
3. უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა;
4. ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკა;
5. სკოლის საზოგადოების წევრების ქცევის წესები და დისციპლინა;
6. სასკოლო ექსკურსიების ორგანიზების პოლიტიკა;
7. სკოლაში სტუმრების მიღების პოლიტიკა;
8. მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის პოლიტიკა;
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ხელშეწყობის პოლიტიკა;
10. პრობლემური მოსწავლეების მართვის პოლიტიკა;
11. სოციალური მედიის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა.

ბ) კანონმდებლობაზე დაფუძნებული დოკუმენტები:

1. კოლექტიური კეთილდღეობის პოლიტიკა;
2. საჩივრების მიღებისა და განხილვის პოლიტიკა;
3. პირადი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა;
4. დისციპლინური პროცედურების პოლიტიკა;
5. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკა;
6. სკოლის ვებგვერდის მართვის პოლიტიკა;
7. მასწავლებელთა დასაქმების, ხელფასის გაცემის, დაწინაურების პოლიტიკა;

გ) უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. უბედური და სასწრაფო შემთხვევების მართვის პოლიტიკა;

2. სამედიცინო და პირველადი დახმარების პოლიტიკა;
3. მოწევის, ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების მიღების საწინააღმდეგო პოლიტიკა;
4. ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა;
5. ვირუსებისა და გადამდები დაავადებებისაგან სკოლის საზოგადოების წევრების დაცვის პოლიტიკა;
6. ბუნებრივი კატასტროფებისაგან სკოლის საზოგადოების დაცვის და ევაკუაციის პოლიტიკა.

დ) სკოლის განვითარების და წარმატებების მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. შეფასების პოლიტიკა;
2. კურიკულუმის პოლიტიკა;
3. სკოლის მართვის პოლიტიკა;
4. სკოლის საზოგადოების წევრების სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის ხელისშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვის პოლიტიკა;
5. მოსწავლეთა წახალისებისა და დაჯილდოების პოლიტიკა;
6. ხარისხის მართვის პოლიტიკა;
7. სკოლის ეფექტურობის მართვის პოლიტიკა;
8. სკოლის განვითარების პოლიტიკა;
9. სწავლება/სწავლის პოლიტიკა;
10. ლიდერობის და პასუხისმგებლობების განაწილების პოლიტიკა;
11. დროის ეფექტიანი მართვის პოლიტიკა;
12. მონიტორინგის და შეფასების პოლიტიკა;
13. გარე სამყაროსთან/პარტნიორებთან ურთიერთობების მართვის პოლიტიკა.

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო საქმიანობაში ჩართვის პოლიტიკა:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიღების/ ჩარიცხვის პოლიტიკა;
2. დისლექსიის მქონე მოსწავლეების დახმარების პოლიტიკა;
3. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პოლიტიკა;
4. ობოლი ბავშვების ინტეგრირების პოლიტიკა.

ვ) სასწავლო გეგმების და კურიკულუმის მართვის პოლიტიკა:

1. ხელოვნება;
2. სამოქალაქო განათლება;
3. ისტორია;
4. გეოგრაფია;
5. ლიტერატურა;
6. უცხო ენები;
7. სპორტი;
8. მუსიკა;
9. მეცნიერება;
10. ბიოლოგია;
11. კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ.;
12. ინტერესების მიხედვით შექმნილი კლუბების, წრეების მუშაობის მარეგულირებელი პოლიტიკა.

ზ) სკოლის გარემოს დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. ეკოლოგიური სკოლის პოლიტიკა;
2. რეცირკულაციის/სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების პოლიტიკა;
3. სკოლაში სისუფთავის დაცვის პოლიტიკა;
4. ენერგიის დაზოგვის პოლიტიკა;
5. არახელსაყრელი ამინდისგან თავის დაცვის პოლიტიკა;
6. მდგრადი განვითარების პოლიტიკა.

თ) სკოლის ფინანსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა;
2. კორუფციისა და თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკა;
3. სკოლის ბიუჯეტირებისა და ფინანსური მართვის პოლიტიკა;
4. სკოლის ვალდებულებების, ნებაყოფლობითი შესაწირების და დაფინანსების პოლიტიკა;
5. შესყიდვების პოლიტიკა.

ი) სხვა ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. წარმატების და დაჯილდოების პოლიტიკა;
2. კომუნიკაციის პოლიტიკა;
3. საავტორო უფლებების დაცვის პოლიტიკა;
4. სკოლის წესების და კანონების შემუშავების პოლიტიკა;
5. თანამშრომლობის და პრაქტიკის გაზიარების პოლიტიკა.

კ) სკოლის მმართველობის მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. სკოლის ადმინისტრაციის შეხვედრების ორგანიზების პოლიტიკა;
2. სკოლის მართვის პოლიტიკა;
3. სკოლის შინაგანაწესი და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის პროცედურების მართვის პოლიტიკა.

ლ) მშობლებთან ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. საჩივრების პოლიტიკა;
2. კონფიდენციალურობის - მშობელთა ჩართულობის პოლიტიკა;
3. მშობელსა და სკოლას შორის ვალდებულებების პოლიტიკა;
4. მშობელთა პასუხისმგებლობების პოლიტიკა.

მ) უძრავი ქონების მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. აქტივების მართვის პოლიტიკა;
2. დასუფთავების პოლიტიკა;
3. სკოლის გასაღებების მფლობელობის პოლიტიკა;
4. სკოლის ავტომობილით სარგებლობის პოლიტიკა.

ნ) სკოლის მოსწავლეთა მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. ჯანმრთელობის პრობლემების გამო გაცდენების მართვის პოლიტიკა;
2. ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობის პოლიტიკა;
3. მოსწავლეთა დასაქმების და გართობის პოლიტიკა;
4. მოსწავლეთა ჩართულობის და ინტეგრაციის ხელშეწყობის პოლიტიკა;
5. მოსწავლეთა დაჯილდოების პოლიტიკა;
6. სკოლის საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის პოლიტიკა;

7. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების პრევენციული ღონისძიებების წარმართვის პოლიტიკა;
8. წარჩინებული სწავლითა და ღირსეული ყოფაქცევით გამორჩეული მოსწავლეების წახალისების მექანიზმების მართვის პოლიტიკა;
9. სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეების დახმარების მექანიზმების დაგეგმვის და მართვის პოლიტიკა.

ო) სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვის პოლიტიკა;
2. საუზმის კლუბის პოლიტიკა;
3. ჯანსაღი კვების და ფიტნესის პოლიტიკა;
4. პედიკულოზის თავიდან აცილების პოლიტიკა;
5. ჰიგიენის დაცვის პოლიტიკა;
6. ფიზიკური აღზრდის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
7. სუფთა წყლის მოხმარების პოლიტიკა;
8. სტრესის მენეჯმენტის პოლიტიკა.

პ) სკოლის თანამშრომელთა მარეგულირებელი დოკუმენტები:

1. სკოლის ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობების მართვის პოლიტიკა;
2. ბულინგის და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა;
3. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა;
4. კონტრაქტის დადების, გაგრძელების - ფიქსირებული ვალდებულებების მართვის პოლიტიკა/შტატში ჩასმის პოლიტიკა;
5. დროებითი ხელშეკრულებების მართვის პოლიტიკა;
6. სკოლის დრესკოდის მართვის პოლიტიკა;
7. სკოლის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის პოლიტიკა;
8. ახალბედა მასწავლებელთა სკოლაში ინტეგრირების და ხელშეწყობის პოლიტიკა;
9. სახლიდან მუშაობის პოლიტიკა;
10. დროის ეფექტური მართვის პოლიტიკა;

11. თანამშრომელთა გაცდენების და შვებულებების პოლიტიკა;
12. სკოლის თანამშრომელთა ქცევის მართვის პოლიტიკა;
13. სკოლაში თანამშრომელთა შორის ურთიერთობების პოლიტიკა;
14. მასწავლებელთა წახალისების მექანიზმების პოლიტიკა (წყარო: http://www.policiesforschools.co.uk/list-of-school-policies/).

დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოთვლილი დოკუმენტები. მათ სხვადასხვა ქვეყანაში თუ სკოლაში შეიძლება განსხვავებული დასახელება ჰქონდეს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს დოკუმენტები გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის გზით და ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპებით, თანაც სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის აქტიური ჩართულობით იყოს შემუშავებული. აღნიშნული დოკუმენტები ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები უნდა იყოს, დაუშვებელია ბუნდოვნება და ორაზროვნება. დაინტერესების შემთხვევაში სკოლის საზოგადოების ყოველი წევრი უნდა იღებდეს ამ დოკუმენტებს და იცოდეს, რა შემთხვევაში რას უნდა ელოდეს სკოლისაგან; მას სკოლის მიმართ რა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აკისრია.

§1.3. ლიდერობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სკოლას კარგი ლიდერი მართავდეს. სკოლის ლიდერებს, კერძოდ, დირექტორებს, გადამწყვეტი როლი აკისრიათ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში.

ლიდერობა არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად გაძღოლის ცოდნა და უფლება, სხვების მუშაობის პროცესის მართვის და კოორდინაციის ფორმალური თუ არაფორმალური ავტორიტეტის ფლობა.

დემოკრატიულ სკოლაში ლიდერობა უნდა განვსაზღვროთ, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერაქცია (ურთიერთქმედება) და არა სასკოლო საზოგადოების წევრებზე მოქმედება. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერაქცია ნიშნავს სკოლის მმართველობაში ამ საზოგადოების წევრების ჩართვას და მათთან ერთად სკოლის მართვას, თანამშრომლობას და ინოვაციების ერთად გატარებას.

საერთაშორისო კვლევები (Leithwood...1999; Silins..2002; Day et.al, 2009; Hallinger..2012; Hallinger..1996; Marzano…2005; Leithwood..2005; Leithwood…2008; Robinson…2009; Halinger…2010; Louis..2010; Day..2010; Teddle..2000; Sammons, 2007), მოწმობს, რომ ლიდერობა დიდ გავლენას ახდენს სკოლის კულტურაზე, მასწავლებელთა საქმიანობაზე, სკოლის განვითარებაზე თუ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

დემოკრატიული სკოლის ლიდერობის გამოწვევებია: სწავლება/სწავლის პროცესის გაუმჯობესების, სასწავლო პროგრამაში/კურიკულუმში დემოკრატიული მოქალაქეობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების ინტეგრირების, სკოლის ფსიქოლოგიური და ფიზიკური გარემოს სტრატეგიული მართვის, პროფესიული სასწავლო საზოგადოების განვითარების, პარტნიორების მოზიდვის, სხვა დაწესებულებებთან/სკოლებთან თანამშრომლობის, სასწავლო საქმიანობაში და სკოლის მართვაში მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

დემოკრატიული სკოლის ლიდერი უნდა იყოს ლიდერთა ლიდერი, ვისი ეფექტური საქმიანობაც შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი ფაქტორებით:

- **სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის შეჭიდულობისა და ნდობის განვითარება** - სასკოლო საზოგადოების წევრებს სჭირდებათ იმის შეგრძნება, რომ მათი სასკოლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა დაფასებულია და შეტანილი წვლილი სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია.
- **სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიებების ხელშეწყობა** - ადამიანებს, ჩვეულებრივ, აქვთ საკუთარი თავის პატივისცემის, მოწონების, აღიარების მოთხოვნილება; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობებმა შეიძლება ყოველივე ეს დააკმაყოფილოს, ან საერთოდ უგულებელყოს. ლიდერმა, შეძლებისგვარად უნდა სცადოს მათი დაკმაყოფილება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის იმის ჩვენებით, რომ მათი მონაწილეობა აუცილებელი და დაფასებულია; წაახალისოს ისინი, აღიარონ და დააჯილდოონ ერთმანეთის წვლილი. ამ ტიპის აღიარებას და წახალისებას ლიდერი პერიოდულად მიმართავდეს და არა ხანდახან. წინააღმდეგ შემთხვევაში დროთა განმავლობაში შედეგი მცირდება.

კარგმა ლიდერმა იცის, თუ რა ხდება სკოლის შენობაში, როგორი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს თუ სკოლის საზოგადოების წევრებს, იცის მათი პრობლემების და საჩივრების შესახებ. ასეთი ლიდერი ფარულ პრობლემებსაც კი ხედავს და ცდილობს, სკოლის საზოგადოების წევრებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს.

- **სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის განწყობის ჩამოყალიბება, თანამშრომლობითი ურთიერთქმედების განვითარება, როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება** - სასკოლო საზოგადოების ინდივიდუალურ წევრებს უნდა ესმოდეთ მთავარი გადასაწყვეტი პრობლემა, ან ამოცანა; იცოდნენ, რა წვლილი შეაქვს თითოეულ მათგანს სკოლის მმართველობაში, პრობლემის გადაწყვეტაში, მიზნის მიღწევაში, უნდა იცოდნენ ჯგუფის სხვა წევრების პოტენციური წვლილის და კოორდინაციის საჭიროების შესახებ, უნდა ესმოდეთ და იყვნენ სხვა წევრების პრობლემების მიმართ ყურადღებიანი, უნდა იცოდნენ და უნდა გაიაზრონ მიზნის მიღწევაში თანამშრომლობის საჭიროება (Johnson 2003: 104-105).

კარგი ლიდერი მუშაობს სხვებთან ერთად და არა სხვებისათვის, პასუხისმგებლობას უნაწილებს სკოლის წევრებს, თანამშრომლობს მათთან, ყველას სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად თვლის და პატივს სცემს მათ. ასეთი ლიდერი სკოლაში რეფორმებსაც ადვილად ატარებს და რეფორმების გატარების დროს ინარჩუნებს სტაბილურობას.

- **ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება** - სკოლაში მხოლოდ ინფორმაციის გაცემა საკმარისი არ არის, საჭიროა უკუკავშირის მიღებაც. ლიდერმა ხშირად უნდა მიმართოს პირად კომუნიკაციას. მხოლოდ ელექტრონული ფოსტა და ოფიციალური მითითებები არ არის საკმარისი. კომუნიკაციის უნარების ფლობა ეფექტური ლიდერობის საფუძველია. ხშირია შემთხვევა, როდესაც სკოლის საზოგადოების წევრები უჩივიან ხელმძღვანელის კომუნიკაციის დაბალ დონეს, ვერ იგებენ ინსტრუქციებს და მიზნის საწინააღმდეგო ქცევები უვითარდებათ. ლიდერი უნდა ფლობდეს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, უსმენდეს სკოლის საზოგადოების წევრებს და სასკოლო საქმიანობაში მონაწილეობისთვის ახალისებდეს.
- **მოსმენა** - ლიდერი უნდა უსმენდეს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ინტერესის გამოსახატავად უსვამდეს შეკითხვებს და პატივს სცემდეს საწინააღმდეგო აზრს და ახალი იდეების მიმართ იყოს ღია და მიმღები. კარგი ლიდერი ყურადღებით უსმენს თანამშრომლებს და სკოლის საზოგადების დანარჩენ წევრებს, იგებს მათ პრობლემებს, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, ესაუბრება არა როგორც კოლეგებს თუ მასზე დაქვემდებარებულ პირებს, როგორც ადამიანებს/პიროვნებებს და მათ მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლინებაში ეხმარება.
- **სკოლის მისიის, ხედვისა და საერთო ღირებულებების განსაზღვრა** - ლიდერი ხელს უნდა უწყობდეს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობით განსაზღვრას და ჩამოყალიბებას.
- **სწავლება/სწავლის პროცესის და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა** - ეფექტური ლიდერი უნდა ზრუნავდეს მასწავლებლის პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, სკოლისგარე საზოგადოებასთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაზე, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე და ა.შ.

- **შთაგონება, სტიმულირება** - კარგი ლიდერი სტიმულს უნდა აძლევდეს და ახალისებდეს სასკოლო საზოგადოების წევრებს, რათა აქტიურად ჩაერთონ სასკოლო საქმიანობაში.
- **სკოლის საზოგადოების წევრების ლიდერობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა** -დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, მომავალ თაობას ჰქონდეს ეფექტური ლიდერობის უნარ-ჩვევები. კარგმა ლიდერმა უნდა იზრუნოს, რომ არცერთი მასწავლებელი, მოსწავლე თუ მშობელი არ დარჩეს ყურადღების მიღმა და უზრუნველყოს მათი სასკოლო საქმიანობაში ჩართულობა.
- **სკოლის კულტურის დარეგულირება** - სკოლაში დემოკრატიული კულტურის შექმნა მნიშვნელოვანი გამოწვევაა კარგი ლიდერისთვის. მან უნდა უზრუნველყოს ეთიკური და დემოკრატიული ქცევის კულტურის ჩამოყალიბება, ღიაობა, ადამიანთა უფლებების დაცვა, გამჭვირვალობა, თანამშრომლობა, პროფესიული განვითარება და ა.შ.
- **ხილვადობის შენარჩუნება** - ხშირია შემთხვევა, როდესაც სკოლის დირექტორები მხოლოდ საჭირბოროტო საკითხების მოგვარების დროს გამოჩნდებიან ან მაშინ, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი, ან ძალიან ცუდი რაღაც ხდება. ლიდერი რეგულარულად უნდა ხვდებოდეს სკოლის საზოგადოების წევრებს, კარგად იცნობდეს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, იცოდეს მათი სახელები და ხშირად პოულობდეს მათთან სასაუბრო დროს.
- **დიაგნოზირება** - კარგ ლიდერს უნდა ჰქონდეს დიაგნოსტირებისა და პრობლემის დროული აღმოჩენის უნარ-ჩვევები და იყოს შორსმჭვრეტელი.
- **ზეიმი/დაჯილდოება** - დღეს სკოლაში უამრავი საქმეა გასაკეთებელი, რაც იწვევს, ლიდერის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა თუ სკოლის სხვა წევრთა გადაღლილობას, სტრესს, ამიტომ საჭიროა განტვირთვა. კარგი ლიდერი ყოველთვის უნდა პოულობდეს მიზეზს ზეიმის, დაჯილდოების და დღესასწაულების აღსანიშნავად. იგი უმნიშვნელო მიღწევებს, გამარჯვებებს კარგი ქცევის მაგალითებსაც კი, უნდა ზეიმობდეს, სკოლის წევრებს მიღწეული წარმატებებისა და კარგი საქციელისათვის მადლობას უხდიდეს.
- **შეცდომების აღიარება** - სკოლის საზოგადოების წევრებს იმ პიროვნებასთან სურთ მუშაობა, რომლისთვისაც არც შეცდომებია უცხო და აღიარებს მათ.

ეფექტური ლიდერი შეცდომებზე უნდა სწავლობდეს და ასწორებდეს მათ. შეცდომების აღიარება მას არ უკარგავს საიმედოობას, უტყუარობას, პირიქით, მატებს კიდეც. შეცდომების მაღიარებელი ლიდერი თავმდაბალია, აჩვენებს სკოლის წევრებს, რომ მზადაა ისწავლოს შეცდომებზე და გამოასწოროს, განვითარდეს, თუმცა მარტო შეცდომების აღიარება საკმარისი არ არის, კარგმა ლიდერმა უნდა დასახოს მიზნები და აქტივობები შეცდომის გამოსასწორებლად და განახორციელოს.

- **მოდელირება** - ეფექტური ლიდერი კარგ მაგალითს აძლევს სხვებს და თავისი საქციელით ასწავლის სხვებსაც, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. იგი საკუთარ ხედვას და ღირებულებებს ქცევაში განამტკიცებს.
- **პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება / საკუთარი თავის კომპრომიტირება** - კარგი ლიდერი ყოველთვის უნდა ასრულებდეს დანაპირებს, რაც ნდობის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა. სკოლის საზოგადოების წევრებს უნდა სჯეროდეთ, რომ მისი სიტყვები არ არის „ცარიელი,“ამიტომ მიზნის მისაღწევად და საერთო ხედვის და ღირებულებების განსამტკიცებლად გაორკეცებული ენერგიით იღწვიან.
- **შეგუება და ადაპტირება** - კარგი ლიდერი მზად უნდა ხვდებოდეს მოულოდნელობებსა და წინააღმდეგობებს, როცა ყველაფერი მიზანს ეწინააღმდეგება, ეძებდეს პრობლემის გადაჭრის გზებს; იცოდეს, რომ მიზნები და ამოცანები დროთა განმავლობაში იცვლება და საჭიროა მათი ადაპტირება, ხელახალი დაგეგმვა.
- **ინიციატივა და ინოვაცია** - კარგი ლიდერი უნდა იყოს სიახლეების და ინოვაციების ინიციატორი, ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უნარი, მართავდეს ხალხთან ერთად, წინ უძღოდეს, არწმუნებდეს მათ.

როგორ გავიგოთ, ვართ თუ არა კარგი ლიდერი და რა უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ, კარგ ლიდერად ვიქცეთ?

1. შეაფასეთ საკუთარი თავი - გამონახეთ თვითშეფასების დრო. საკუთარ თავს დაუსვით შემდეგი კითხვები:
   ა) მივაღწიე თუ არა დასახულ მიზანს?
   ბ) იყო თუ არა ჩემი შედეგი ყველაზე საუკეთესო?

გ) რამდენად ეფექტური იყო ჩემი მეთოდი?

დ) რას შევცვლიდი მომავალში?

2. ჩაატარეთ გამოკითხვა - სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად შეადგინეთ ანკეტები და სთხოვეთ სკოლის საზოგადოების წევრებს, შეაფასონ თქვენი ლიდერობის უნარ-ჩვევები. ასეთი კითხვარის ანონიმურობა აუცილებელია ჭეშმარიტი და უტყუარი პასუხების მისაღებად. კრიტიკა მიიღეთ, როგორც განმავითარებელი შეფასება. სასურველია ღია კითხვარების შედგენა, ამით თავიდან აიცილებთ პირფერობას.
3. დაახარისხეთ თქვენი განვითარების გეგმა, დაისახეთ ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი სამი ძირითადი მიზანი და შესაბამისი აქტივობები დაგეგმეთ.
4. სკოლის საზოგადოების წევრებს გაუზიარეთ თქვენი გეგმა - თქვენი მიზნების სხვებისთვის გაზიარება ხელს შეუწყობს ღია და გულწრფელი ურთიერთობების დამყარებას.
5. ხშირად გადაამოწმეთ საკუთარი თავი - საკუთარ თავს დაუსვით შეკითხვა: ვაკეთებ თუ არა იმას, რაც დავგეგმე?
6. პასუხისმგებლობა გაუნაწილეთ სხვებსაც - სკოლის ლიდერი ძლიერი მაშინ იქნება, თუ მას გარშემო ჰყავს ლიდერები, რომლებიც ინაწილებენ პასუხისმგებლობას. ზოგადად ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ მართავენ. ლიდერი უნდა ზრუნავდეს სკოლის საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობაზე. ყველას არ აქვს განვითარებული ლიდერობის ყველა უნარი და არც ყველა საქმეში ლიდერობის დრო აქვს. შესაბამისად, მას სჭირდება დახმარება.
7. ჩამოაყალიბეთ ლიდერთა გუნდი - ეს პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ვერტიკალური ლიდერობის სტრუქტურის პრობლემების გასანეიტრალებლად. დაარქვით გუნდს სახელი. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის საზოგადოების დანარჩენი წევრები კარგად ხედავდნენ ამ გუნდის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების მიზანს, რადგანაც შეიძლება იფიქრონ, რომ ეს არის პრივილიგირებული გუნდი, რომელიც მათ ყოველდღიურ პროფესიულ ცხოვრებაზე სათანადოდ არ მოქმედებს. ასე რომ არ იფიქრონ,

გუნდმა სკოლის საზოგადოების სხვა წევრებს ხშირად უნდა გაუზიაროს მიზნები და ამოცანები, გააცნოს საქმიანობის შედეგები, რეფლექსიები და ა.შ. გაზიარება გუნდის წევრების მიმართ ჩამოაყალიბებს ნდობასა და პატივისცემას.

8. შეარჩიეთ და ჩართეთ შესაბამისი ხალხი, გაითვალისწინეთ, რომ გამოცდილება და ასაკი არ არის ლიდერთა გუნდის წევრების შერჩევის საუკეთესო ხერხი. ისინი სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეირჩეს. მათ უნდა ჰყავდეთ მიმდევრები, ჰქონდეთ ლიდერობის უნარ-ჩვევები.
9. შემოიკრიბეთ გამოცდილი ადამიანები - ზოგიერთ მასწავლებელს და ხელმძღვანელს არ სურს მათზე გამოცდილ ადამიანებთან ურთიერთობა. ეს იწვევს მასწავლებელთა იზოლირებას. ამის სანაცვლოდ, უმჯობესია სკოლაში წახალისდეს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების კულტურა.
10. გქონდეთ მაღალი მოლოდინი ლიდერთა გუნდის მიმართ - ლიდერებისგან უნდა ელოდოთ კარგ შედეგებს.
11. დაეხმარეთ ლიდერთა გუნდს, მიაღწიოს მიზანს - მიაწოდეთ ინფორმაცია, რესურსები, გამონახეთ დრო ლიდერთა გუნდის დასახმარებლად, მათთან სასაუბროდ და პრობლემების განსახილველად.
12. ლიდერები გამოიყენეთ მაქსიმალურად - ერთი ლიდერი ყველაფერზე ვერ იქნება პასუხიმგებელი. მაგალითად, სკოლის კურიკულუმის მონიტორინგი, საკლასო პროცესზე მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. საჭიროა პასუხისმგებლობის გადანაწილება და მონიტორინგი. (Gabriel...2009).

ამრიგად, დემოკრატიულ სკოლას უნდა მართავდეს ლიდერთა ლიდერი, რომელსაც შეეძლება ახალი ლიდერების დროულად შემჩნევა და დაჯილდოება, წახალისება. სკოლის ლიდერი მაგალითს უნდა აძლევდეს სკოლის საზოგადოების წევრებს და ზრუნავდეს გუნდის გაუმჯობესებაზე, რათა მისმა თითოეულმა წევრმა როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით პოტენციალის უმაღლესი გამოვლენა შეძლოს. სკოლის ლიდერს უნდა სჯეროდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ღირსების და შესაძლებლობების, მას უნდა შეეძლოს

ცვლილებები შეიტანოს სხვების ცხოვრებაში, აღიაროს საკუთარი შეცდომები, ოპტიმისტურად განეწყოს წარმატების მიმართ და შექმნას ნდობითა და გულღიაობით გამსჭვალული სასწავლო გარემო.

§1.4. მონაწილეობა/ჩართულობა

როგორც აღვნიშნეთ, სკოლის დემოკრატიული მმართველობის პროცესი გულისხმობს სკოლის ერთობლივ მართვას/მმართველობას ამავე სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის აქტიური მონაწილეობით, მათი აზრის დაფასებას და შეძლებისგვარად გათვალისწინებას.

წარსულში გადაწყვეტილებების მიღება, ძირითადად, სკოლის ადმინისტრაციის და ხელმძღვანელობის უფლება-მოვალეობა იყო. დღეს ეს თანამშრომლობას უნდა ეფუძნებოდეს და მასში სკოლის საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი უფლებებით და პასუხისმგებლობით უნდა იყოს ჩართული.

„გადაწყვეტილებების მიღება“ არის ფიქრის პროცესი, რომელშიც ალტერნატივების გათვალისწინების დროს, სხვადასხვა მენტალური აქტივობაა ჩართული, როდესაც გარკვეული პრობლემის თუ საკითხის ირგვლივ მიმდინარეობს მსჯელობა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

გადაწყვეტილებები მიიღება ღირებულებების, ფაქტების და ვარაუდების საფუძველზე.

არსებობს გადაწყვეტილებების მიღების ორი სტილი: დემოკრატიული და ავტოკრატიული. უკანასკნელი გულისხმობს, რომ მასში სკოლის საზოგადოების წევრები არ არიან ჩართული და, შესაბამისად, დავალებას აღიქვამენ, როგორც ზემოდან თავს მოხვეულ ბრძანებას.

დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებაში კი სკოლის საზოგადოების ყველა წევრს თანაბრად შეუძლია ჩაერთოს.

მასწავლებელთა ჩართულობა სასკოლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

თანამედროვე სკოლებში სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში მასწავლებელთა ჩართულობა დიდ როლს თამაშობს სკოლის წარმატებაში.

„მასწავლებელთა ჩართულობა“ არის პროცესი, რომელშიც მასწავლებელთა მთელი უნარები სკოლის წარმატების მისაღწევად, მიზნების, ამოცანების და აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად გამოყენება.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მასწავლებელთა ჩართულობის სფეროებია:

1. სკოლის მმართველობა - სკოლის მმართველობაში მასწავლებელთა ჩართულობა წარმატების მიღწევის წინაპირობაა;
2. კურიკულუმი და ინსტრუქციები - მასწავლებლებმა უნდა გამოსცადონ საკუთარი პროფესიული ავტონომია კურიკულუმისა და ინსტრუქციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ეს ხელს შეუწყობს სწავლება/სწავლის პროცესის ეფექტურობას;
3. სკოლის წესები და რეგულაციები - წარსულში სკოლის წესებს და რეგულაციებს ადგენდა დირექცია. დღეს ამ პროცესში მასწავლებლის ჩართვაც აუცილებელი გახდა, რადგანაც წესები და რეგულაციები მასაც პირდაპირ ეხება. მასწავლებლის ჩართულობა ამ წესებისა და რეგულაციების დაცვის მიმართ გაზრდის მის პასუხისმგებლობას;
4. სკოლის ბიუჯეტი და შემოსავლება - მასწავლებელი უნდა მონაწილეობდეს სკოლის ფინანსური მართვის ყველა სფეროში. ფინანსების მართვა უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე;
5. სკოლის შენობა - სასწავლებლის დიზაინის, კონსტრუქციის თუ რეკონსტრუქციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მასწავლებელთა მონაწილეობა გაზრდის მათ პასუხისმგებლობას, გაუფრთხილდნენ შენობაში და ამ შენობას თავი კომფორტულად იგრძნონ;
6. მოსწავლეთა საქმიანობა და სკოლის დისციპლინა - სკოლა შექმნილია მოსწავლეთა განათლების და განვითარების უზრუნველსაყოფად - სკოლის ასაკში მოსწავლეები ადვილად მიმბაძველები არიან, ამიტომ ხშირია დისციპლინური პრობლემები, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათ აკადემიურ მიღწევებზე. სწორედ ამიტომ საჭიროა მათი ქცევის მართვა. საამისოდ მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმი და წაახალისოს დადებითი ქცევა, რისთვისაც თავად უნდა ფლობდეს ცოდნას და უნარებს კლასის მართვის შესახებ.

სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში მოსწავლეთა ჩართულობა

თანამედროვე პედაგოგიური კონცეფცია ამტკიცებს, რომ სასკოლო მმართველობაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი თვით მოსწავლეს აკისრია. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის დანერგვა ზოგიერთ სკოლში რატომღაც უგულებელყოფილია. სკოლა ოჯახთან ერთად უდიდეს როლს თამაშობს ინფორმირებული, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქეების აღზრდაში.

ამ კონტექსტში სკოლას აქვს შემდეგი ოთხი ამოცანა:

- მომავალი მოქალაქეობისთვის მოსწავლეთა მომზადება;
- დემოკრატიული სწავლების უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა სასკოლო საქმიანობაში აქტიური ჩართვის და პასუხისმგებლობის გაზიარებისადმი ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისა და საკუთარი უფლებების დაცვისადმი წახალისება.

მოსწავლეთა სკოლაში ჩართულობა, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად სურთ ამ მოთხოვნის განხორციელება მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, სკოლის ზედამხედველებსა და განათლების ექსპერტებს. მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი განათლების სისტემის ცვლილებების გასატარებლად მზაობაზე. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს ისტორიული გამოცდილება, კულტურა, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, ტრადიციები და საზოგადოების ზეგავლენა.

მოსწავლეთა მრავალმხრივი ჩართულობა არის პროცესი, როდესაც მოსწავლეები, როგორც სკოლის პარტნიორები, მონაწილეობენ განათლების, საზოგადოების და დემოკრატიის გასაძლიერებლად გათვალისწინებულ ყოველ ცვლილებაში.

სამწუხაროდ, ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში მოსწავლეთა ჩართვას სკოლის მმართველობაში, საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ცალმხრივი ხასიათი აქვს. ეს გამოიხატება ერთი მოსწავლის შეხვედრაზე (საბჭოზე) მიწვევაში „მოსწავლეთა ხმის“ სიმბოლური გათვალისწინების მიზნით, სინამდვილეში კი დემოკრატიული სკოლა გულისხმობს მოსწავლეთა მრავალმხრივ მიწვევას, გამოთქვან თავიანთი

მოსაზრებები, იდეები, ცოდნა და სხვებს გაუზიაროს გამოცდილება, რომელიც სკოლის განვითარებას შეეხება.

სკოლის თვითმართველობაში მოსწავლეთა ჩართულობა ნაყოფიერია იმ შემთხვევაში, თუ

- სკოლაში არიან ზრდასრულთა პარტნიორები;
- აქვთ შესაძლებლობა და უფლებამოსილება, მიიღონ ნამდვილი გადაწყვეტილება სწავლებაში, სწავლასა და ლიდერობაში არსებულ გამოწვევებში;
- როდესაც სკოლა, განმანათლებლებითა და ადმინისტრაციით, ანგარიშვალდებულია მომხმარებლების - მოსწავლეების მიმართ;
- როდესაც მოსწავლე-ზრდასრულთა პარტნიორობა არის წამყვანი პირობა სკოლის ტრანსფორმაციის ყოველი სისტემატური მიდგომის დროს (Fletcher 2005).

არსებობს მოსწავლეთა ჩართულობის 8 ძირითადი სფერო:

❖ პირადი საქმიანობა - ცალკეული საკითხი და კონფლიქტი, რომლებიც მოიცავს მოსწავლეების ინდივიდუალურ ინტერესებს და პრობლემებს.;

❖ წყვილებში მუშაობა - საკითხები და კონფლიქტები, რომლებიც ეხება ცალკეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების ურთიერთობებს;

❖ საკლასო საქმიანობა - საკითხები და კონფლიქტები, რომლებიც ეხება კლასს და მის მასწავლებელს, ასევე აქტივობებს, პროექტებს და წყვილებში წარმოქმნილი კონფლიქტის რეზოლუციას;

❖ სასკოლო საქმიანობა - კონფლიქტები მოსწავლეებს, სასკოლო საზოგადოებასა და სკოლის დირექციას შორის; სკოლის პროექტები; ადგილობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაცია; ფესტივალები; სასკოლო გარემო;

❖ ორგანიზაციული და საშტატო საქმიანობა – საკითხები და კონფლიქტები, რომლებიც ეხება სასკოლო ცხოვრების რეგულაციას, თანამშრომლებთან ურთიერთობას, სკოლის შენობას, ადმინისტრაციას და სატრანსპორტო პრობლემებს;

❖ შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური საკითხები - საკითხები და კონფლიქტები, რომლებიც ეხება გაკვეთილის შინაარსის არჩევას, სწავლების მეთოდებს და აქტუალურ პროექტებს;

❖ კურიკულუმის და განათლების პოლიტიკის საკითხები - საკითხები და კონფლიქტები კურიკულუმის რეგულაციის, მათი ინტერპრეტაციის, თემების არჩევის და მოსწავლეთა შეფასების შესახებ;

❖ კავშირები და სკოლის გარე აქტივობები - საკითხები და პრობლემები, რომლებიც ეხება სკოლის ურთიერთობას გარე საზოგადოებასთან, სკოლის გარე აქტივობებს (კლასგარეშე), თანამშრომლობას სკოლის გარეთ არსებულ სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან (Fletcher 2005).

დემოკრატიულ სკოლაში მიმდინარე სწავლება გულისხმობს სოციალურ, პოლიტიკურ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას. წარმატებულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოიყოფა მოსწავლეთა ჩართულობის შემდეგი ფორმები:

➢ საპარლამენტო ჩართულობა - ეს არის ფართოდ გავრცელებული ფორმალური და იერარქიული სტრუქტურა საკლასო, სასკოლო, რეგიონული და ნაციონალური წარმომადგენლებით. იგი ეფუძნება სპიკერების არჩევას, დელეგაციას და წარმომადგენლებს;

➢ ღია ჩართულობა (მონაწილეობა) - ეს არის არაფორმალური ჩართულობის ფორმა, რომელიც შესაძლებელია გადაუდებელი შემთხვევების დროს, რათა მოხდეს პრობლემის დეფინიცია და დიაგნოზი, ინფორმაციის შეგროვება, პრიორიტეტების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;

➢ პროექტზე დაფუძნებული ჩართულობა - გულისხმობს ერთ კონკრეტულ პროექტში მონაწილეობას, ხშირად ეს აქტუალურ საკითხებსა და სასწავლო პროცესს ეხება;

➢ სიმულაციურ თამაშებში ჩართულობა - მაგალითად, სიმულირება „სკოლის სახელმწიფო“ პრეზიდენტით, მთავრობით, პარლამენტით, მედიით და ა.შ.;

➢ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჩართულობა - მაგალითად, სასკოლო ან საკლასო კონფლიქტი გვარდება თვითონ მოსწავლეების ორგანიზებით, მედიაციით (შუამდგომლობით), მოსმენით, გადაწყვეტილებების მიღებით და სხვა (Fletcher 2005).

მოსწავლეთა ჩართულობა განისაზღვრება თითოეული ინდივიდის სხვადასხვა სტრუქტურაში ჩართვით, სკოლის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობით და

სკოლის გარეთ სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან ურთიერთობით. ამ თემას სქემატურად თუ დავალაგებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. მონაწილე სტრუქტურები:

- კლასის ინფორმაციის მიმწოდებელი;
- კლასის საბჭო/თვითმმართველობა;
- მოსწავლეთა წარმომადგენლები;
- სკოლის პარლამენტი;
- რეგიონული და ნაციონალური მოსწავლეთა წარმომადგენლობა.

2. მონაწილეობითი სწავლა:

- პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე;
- თანამშრომლობით სწავლაზე პასუხისმგებლობა;
- ინდივიდუალურ საგნებში მონაწილეობითი სწავლება;
- კურიკულუმის შერჩევაში ჩართულობა;
- საკლასო პროექტები.

3. სკოლის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა:

- სოციალური სწავლა;
- ინტეგრაცია;
- კონფლიქტის მართვა;
- ძალადობის აღმოფხვრა;
- ფესტივალები და დღესასწაულები;
- სასკოლო პროექტები.

4. ჩართულობა სკოლის გარეთ არის ურთიერთობები:

- სხვა სკოლებთან;

-სხვა სასკოლო დაწესებულებებთან (საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები);

- საწარმოებთან და ფირმებთან;

-ადგილობრივ მთავრობასთან;

-სხვა გარე პარტნიორებთან;

-საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, პროექტებში მონაწილეობა, ინტეგრაცია (Fletcher 2005).

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, სოციალური უნარ-ჩვევების, პოზიტიური ქცევის განვითარებასა და თვითრეალიზაცისთვის. ეს დადებითად აისახება სწავლის პროცესზე, სკოლის კულტურას და სკოლაში დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებაზე.

ტერმინი „მშობელი“ გულისხმობს ყველა ზრდასრულ პირს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდასა და კეთილდღეობაზე: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, დედინაცვალი, მამინაცვალი, მეურვე, ძიძა თუ სხვა (მშობელთა...2015: 4).

ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებს და მასწავლებლებს, რათა ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

მშობლებისთვის „მშობლის ჩართულობა“ შეიძლება გულისხმობდეს:

- შეძლებისგვარად მეტ სასკოლო ღონისძიებაზე დასწრებას;
- ბავშვის მიერ კარგად შესრულებული სამუშაოს წახალისებასა და ქებას;
- სკოლისთვის რეალური მოთხოვნების დასახვას;
- მასწავლებლებთან რეგულარულ შეხვედრებს და შვილის პროგრესის განხილვას;
- საშინაო დავალების შესრულებაში მოსწავლისადმი დახმარებას (მშობელთა...2015).

დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა ნიშნავს:

- მშობლების უზრუნველყოფას შესაბამისი ინფორმაციით მათი შვილების პროგრესის შესახებ;
- მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სკოლის ღონისძიებების თაობაზე;
- მოსწავლეების პროგრესის განხილვის მიზნით რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას (მშობელთა...2015).

როდესაც მშობლები ერთვებიან სასკოლო საქმიანობაში, მათ უკეთ ესმით, თუ რა ისწავლება სკოლაში, მეტად ინფორმირებული არიან საკუთარი შვილების ცოდნისა და შესალებლობების შესახებ, მეტი თავდაჯერებული ხდებიან და სწამთ, რომ მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ შვილების განათლებაში.

მშობელთა ჩართულობა ასევე მნიშვნელოვანია სკოლისთვისაც. მასწავლებლები მშობელთა აქტიური ჩართულობის შედეგად უფრო კარგად იცნობენ მოსწავლეებს, იციან მათი ცხოვრების შესახებ და მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ხელი შეუწყონ მოსწავლეებმა საკლასო ოთახში ნასწავლი ცოდნა სკოლის გარეთაც გამოიყენონ.

სამწუხაროდ, ზოგიერთ სკოლაში მშობლები არ არიან აქტიურად ჩართული, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო საქმიანობაზე. სასკოლო საზოგადოების წევრები უნდა ცდილობდნენ გამოიკვლიონ, თუ რა უშლის ხელს სკოლაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას და ერთად უნდა გეგმავდნენ მშობელთა ჩართულობის ხელისშემწყობ ღონისძიებებს.

მშობელთა ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება ბევრი რამით იყოს განპირობებული. ზოგიერთი ბარიერი შეიძლება დაკავშირებული იყოს რესურსების შეზღუდვასთან, რწმენებთან, დამოკიდებულებებთან და აღქმასთან. მაგალითად:

1. მასწავლებელთა დროის ნაკლებობა - ხშირად მასწავლებლები ვერ ნახულობენ დროს იზრუნონ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობაზე.
2. კომუნიკაციის ხერხების უცოდინრობა - ხშირად მშობელი და მასწავლებელი ვერ ამყარებენ კომუნიკაციას, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს კულტურული და ენობრივი განსხვავებულობის გამო ან, შესაძლოა, ისინი არ ფლობენ ეფექტური კომუნიკაციის უნარებს;
3. მასწავლებელთა არასწორი წარმოდგენები მშობელთა შესაძლებლობების შესახებ - ზოგიერთი მასწავლებელი თვლის, რომ მშობლებს არ შეუძლიათ მათი შვილების დახმარება, რადგან არა აქვთ შესაბამისი განათლება. მიუხედავად ამისა, უამრავი ნაკლებად განათლებული ოჯახი ეხმარება შვილებს სწავლაში შემდეგნაირად: სკოლის შესახებ შვილებთან საუბრით, საშინაო დავალებების მონიტორინგით, იმის ახსნით, რომ განათლება მნიშვნელოვანია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მაღალი მოლოდინი

აქვთ საკუთარი შვილების მიმართ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის;

4. ოჯახური რესურსების ნაკლებობა - დროის, ტრანსპორტირების და ბავშვზე მზრუნველობის პრობლემა ასევე ხელს უშლის მშობელთა ჩართულობას;
5. მშობელთა არაკომფორტულობა - ზოგიერთ მშობელს აშინებს სკოლასთან ურთიერთობა, ისინი თავს ვერ გრძნობენ კომფორტულად. მათზე მოქმედებს წარსული ნეგატიური გამოცდილებებიც;
6. მასწავლებელთა და მშობელთა შორის დაძაბული ურთიერთობა;
7. მშობლები ფიქრობენ, რომ მასწავლებლები დროულად არ ატყობინებენ პრობლემების შესახებ და ისინი ეკონტაქტებიან მხოლოდ მაშინ, როცა ცუდი ამბავი აქვთ. ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ ძნელია, მათ შვილებს ზოგიერთ მასწავლებელთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა. ისინი ხშირად მშობლებს ადანაშაულებენ მათი შვილების პრობლემების გამო. ხშირად სკოლაში მხოლოდ სკოლა აწვდის მშობელს ინფორმაციას, მშობლებს იშვიათად აქვთ საშუალება, გაუზიარონ სკოლას შეხედულებები და გამოცდილებები;
8. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მშობლები არ აფასებენ მათ, ეჭვობენ მათ კომპეტენტურობას და არ არიან დარწმუნებული გადაწყვეტილებების სისწორეში. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მშობლები ხელს უწყობენ მათ შვილებს, არ სცენ პატივი მასწავლებლებს;
9. მობილობა - ზოგიერთი მოსწავლე ხშირად იცვლის სკოლას, საცხოვრებელ ადგილს, რაც ხელს უშლის სკოლასა და ოჯახებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას;
10. ინტერესის ნაკლებობა - ზოგიერთი ოჯახი ვერ ხედავს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის საჭიროებას/ მნიშვნელობას;
11. მაღალ კლასებში ჩართულობის სიძნელე - ჩვეულებრივ, მშობლები ნაკლებად არიან ჩართული მაღალი კლასების სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეები იბრძვიან ავტონომიის და მშობლებისგან დამოუკიდებლობისათვის;
12. ზოგიერთი სკოლის თანამშრომლებს არ უტარდებათ ტრენინგები მშობელთა ჩართულობის ხელისშეწყობისათვის;

13. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ფიქრობენ, მათ დიდ დროს წაართმევს, რომ მშობლები ჩართონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
14. ზოგიერთი ოჯახი არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში.

გამოყოფენ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ეფექტურ ჩართულობაში არსებული პრობლემების გადაჭრის სამ გზას:

1) კომუნიკაციის გაუმჯობესება. სკოლამ უნდა დაამყაროს ორმხრივი და რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლეთა მშობლებთან.კომუნიკაციის სტრატეგიები მშობლებისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები უნდა იყოს.

კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია შევთავაზოთ შემდეგი აქტივობები:

დაკიდეთ მშობელთა ჩართულობის ბანერი ან დროშა. მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან მათი ლოგო, მაჩვენებელი იმისა, რომ მათი სკოლა არის აქტიური ოჯახის ჩართულობის კუთხით.

- ✓ **შეხვდით და გულთბილად მიესალმეთ მშობლებს**. ხელი შეუწყვეთ მშობლებისთვის თბილი და კონსტრუქციული გარემოს შექმნას სკოლაში, რაც უწინარესად სკოლის თანამშრომელთა მხრიდან მშობლებისადმი კარგ დამოკიდებულებაში უნდა გამოიხატოს. მშობლებთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ გულღია და დადებითად განწყობილნი. სკოლაში დამკვიდრებული მისალმებისა და დახვედრის კულტურა ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის ერთობის გაძლიერებას, ეხმარება მშობლებს იმის გაცნობიერებაში, რომ თვითონაც სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიანი და დაფასებული წევრები არიან. ასეთი დახვედრით ექმნება მშობელს პირველი შთაბეჭდილება სკოლაზე. თუ ეს შთაბეჭდილება პოზიტიურია, სასკოლო გარემოში, ლაღად იგრძნობენ თავს სკოლისადმი კეთილგანწყობილი და ნდობით აღსავსე დამოკიდებულება სამომავლოდაც გაჰყვებათ. ბუნებრივია, ამაში მარტო სასიამოვნო ფიზიკური გარემო, ანუ გარეგნული შთაბეჭდილება არ იგულისხმება, ისიცაა ნიშანდობლივი, როგორ მასპინძლობს სასკოლო საზოგადოება მშობელს, როგორი ატმოსფერო ხვდება მას.
- ✓ **ორიენტაციის გასაიოლებლად გამოაკარით შენობის გეგმა.** სასურველია, სკოლის შესასვლელში გამოკრული იყოს შენობის გეგმა, რომელიც შენობაში

ორიენტაციას გააიოლებს, მასზე აღნიშნული უნდა იყოს, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის კაბინეტი, რაც დაეხმარება მშობელს ადვილად მიაგნოს სასურველ კლასს.

- ✓ **შეეგებეთ ახალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს**. სასურველია, სკოლაში დამკვიდრებული იყოს ახალი მოსწავლეების და მათი მშობლების მიღების წესი/რიტუალი. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, ძველი მოსწავლეების მშობლები საგანგებო შეხვედრას უწყობენ ახალგადმოსულ ბავშვებს და მათ მშობლებს, აცნობენ მათ სკოლას. შეიძლება, გადასცენ სკოლის გზამკვლევიც (თუ იგი არსებობს), რომელშიც აღწერილი იქნება მოსწავლეთა და მშობელთა უფლებება-მოვალეობები, სკოლის ტრადიციები, ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა (მათ შორის, - მშობელთა მონაწილეობით), რომლებიც დაგეგმილი აქვს სკოლას მთელი წლის განმავლობაში და ა.შ.
- ✓ **წაახალისეთ მოხალისე მშობლები**. გამოხატეთ პატივისცემა და მადლიერება სკოლის ცხოვრებაში ჩართული მოხალისე მშობლებისადმი: აღნიშნეთ მათი წვლილი სკოლის წარმატებაში, გაუგზავნეთ მადლობის წერილები ან სხვადასხვა შეხვედრაზე /ღონისძიებაზე ხაზი გაუსვით მათ დამსახურებას; დაგეგმეთ ყოველწლიური შეხვედრები, ოფიციალური სადილები თუ პრეზენტაციები, რომლებზეც განიხილავთ მშობელთა მიღწევებს; აქტიურ მოხალისე მშობელებს გადაეცით პრიზები ან „ყველაზე აქტიური მშობლის“ სერტიფიკატი/დიპლომი.
- ✓ **განსაზღვრეთ კომუნიკაციის ფორმა**. სასურველია ეს მოხდეს კითხვარით, რომელშიც მშობელი თავად მიუთითებს მისთვის სასურველი კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი და ა.შ). კითხვარის დასაწყისში მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა, მისი დადებითი მხარეები და ის, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს ბავშვის განათლებაზე.
- ✓ **დაურიგეთ მშობლებს კითხვარი, რომ გაიგოთ მათი ინტერესის სფერო.** მოამზადეთ კითხვარი მშობლებისათვის, რომელიც დაგეხმარებათ დაადგინოთ: მშობლების ინტერესის სფერო, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართვის მზაობა. ასევე შესაძლებელია, ამ კითხვარით მიიღოთ ინფორმაცია ოჯახში არსებული პრობლემის შესახებ, რომლის გამო მშობელი ვერ/არ ერთვება სასკოლო ცხოვრებაში.

✓ **დაურიგეთ მშობლებს კითხვარი ბავშვისა და ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით**. სწავლის დაწყებიდან ორი ან სამი კვირის შემდეგ მასწავლებელმა, შეიძლება, შინ გაუგზავნოს მშობელს კითხვარი, რომელიც მოიცავს შეკითხვებს: როგორი იყო თქვენი შვილი უფრო ადრეულ ასაკში? რა არის თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები? რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს? ეს ინფორმაცია მასწავლებელს დაეხმარება კარგად გაიცნოს თითოეული ბავშვი, როგორც პიროვნება და მოსწავლე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ამოწმებენ/აკონტროლებენ მშობლები შვილებს და მათი სწავლის პროცესს. მოუცლელობის მიუხედავად, მასწავლებლებიც და მშობლებიც სავარაუდოდ, დიდი მონდომებით დაუთმობენ დროს შვილების შესახებ ინფორმაციის დაწერას. კითხვარის დახმარებით მშობელს შეეძლება გაუზიაროს სკოლას ინფორმაცია ოჯახური ტრადიციებისა და ღირებულებების, ასევე ოჯახში არსებული პრობლემების შესახებ (ავადმყოფობა, ასაკოვანი მშობლები, ფინანსური პრობლემები და სხვა).

✓ **განცხადებების დაფა.** განცხადებების დაფა ჩამოკიდეთ შენობის შესასვლელთან და მასზე განათავსეთ მშობლებისთვის საინტერესო ინფორმაცია. ის უნდა იყოს თვალში საცემი, კარგად ორგანიზებული და განახლებადი. ხშირად მოხალისე მშობლები უზრუნველყოფენ განცხადებების დაფაზე განთავსებული ინფორმაციის რეგულარულად განახლებას. ის შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას მოახლოებული შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ; რჩევებს სწავლის პროცესში მოსწავლეების ხელშეწყობისათვის; მოსწავლეთა თხზულებებს, მათ ნამუშევრებს ხელოვნების სფეროებში და ა.შ. .

✓ **დაგეგმეთ ღია კარის დღე / მშობლის დღე.** კარგი იქნება მასწავლებელმა/დამრიგებელმა დანიშნოს ერთი დღე (კვირაში ან თვეში), რათა ყველა მშობელს შესაძლებლობა მიეცეს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში მივიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელს, შეხვდეს საგნების მასწავლებლებს და ბავშვის შესახებ, მიიღოს დეტალური ინფორმაცია.

✓ **შეაფასეთ მშობლებთან შეხვედრების ეფექტიანობა** . შეფასების ფორმის მომზადება თითოეული შეხვედრის ან ღონისძიების შესაფასებლად, სასურველია, მომზადდეს მარტივი ფორმა.

✓ **გაავრცელეთ მშობლებისთვის „დადებითი ინფორმაცია“**. რეგულარულად აცნობეთ მშობლებს კარგი ამბები (მშობელთა...2015).

1) მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ სკოლის პერსონალის და ოჯახის ცნობიერების ამაღლება. სკოლამ უნდა იზრუნოს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. სასურველია ამ თემაზე ჩატარდეს ტრენინგები, სემინარები და სხვა ღონისძიებები.

მშობელთა და სკოლის პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად პროდუქტიული თანამშრომლობის გასაძლიერებლად მიმართული შემდეგ აქტივობებს:

✓ **შესთავაზეთ მასწავლებლებს ტრენინგები.** ტრენინგები სისტემატურად უნდა ტარდებოდეს თემებზე, როგორ უნდა შექმნან კეთილგანწყობილი გარემო, როგორ დაამყარონ სწორი კომუნიკაცია მშობელთან, როგორ გახდნენ მშობლებთან კომუნიკაციის დამყარების ინიციატორები და სხვა. ტრენინგის მასალები რეკომენდაციების სახით უნდა მოიცავდეს შესაძლებელი ღონისძიებების ნუსხასაც, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესებას და მათ გააქტიურებას.

✓ **იყავით ინიციატორები მშობელთან კომუნიკაციაში.** ზოგიერთი მშობელი დარწმუნებულია, რომ აქვს მოსწავლესთან ურთიერთობისთვის საჭირო გარკვეული კვალიფიკაცია და განათლება, მაგრამ არ იცის, როგორ შეიძლება გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები. ნუ დაელოდებით მშობლებს, თავად სთხოვეთ მათ დახმარება მოსწავლესთან მუშაობაში. შეადგინეთ მშობელთა საქმიანობის ჩამონათვალი, აღწერეთ მათი კვალიფიკაცია. შეხვდით და გამოჰკითხეთ მშობელს, რითაც გაარკვევთ, თუ რა დახმარება სჭირდებათ მათ, რათა მოსწავლის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესში ეფექტიანად ჩაერთონ..

✓ **მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია.** ეს ინფორმაცია უნდა იყოს დეტალური და მოიცავდეს სკოლაში უკვე განხორციელებულ ღონისძიებებსა და სამუშაოებს, ასევე სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებსაც. მშობლებს ასევე მიაწოდეთ ინფორმაცია წლიური სამოქმედო გეგმის თაობაზე, სასწავლო პროგრამების შინაარსზე, შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებზე, მოსწავლეთა მომსახურების

პროგრამებზე; სკოლის მთავარ პრინციპებზე, იმაზე თუ როგორ შეიძლება ბავშვებს დაეხმარონ შინ მეცადინეობის დროს, თუ ეს შესაძლებელია, მიაწოდონ საგნობრივი ტესტები მარტივი ნიმუშების სახით.

- ✓ **მიაწოდეთ მშობლებს მასალები.** სკოლამ (მასწავლებელმა) მშობელს უნდა მიაწოდოს მრავალფეროვანი ინფორმაციული მასალა, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვის განვითარებასთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. მნიშვნელოვანია, მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სპეციალური განათლების, სოციალური მომსახურების სააგენტოების შესახებ. შესაძლებელია, სკოლამ მშობლებს გადასცეს სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები წერილობითი ფორმით, ვიდეო-აუდიო მასალა, შესაბამისი ვებ-გვერდის მისამართები და ა.შ. (მშობელთა...2015).

2) პერსონალიზაცია – (ფსიქოლოგია) (ლათ. persona – პიროვნება) პროცესი, რომლის შედეგად სუბიექტი იღებს იდეალურ წარმოდგენას სხვა ადამიანთა ცხოველქმედებაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუძლია გამოვიდეს, როგორც პიროვნება (სამედიცინო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი).

- ✓ **შექმენით ვებგვერდი**. სასურველია, მასწავლებლების / დამრიგებლების დახმარებით შეიქმნას მოსწავლეების ბლოგები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლისთვის; თუ ვებგვერდის შესაქმნელად სკოლას სახსრები არ აქვს, სკოლას ან მასწავლებლებს შეუძლიათ სოციალურ ქსელში, ვთქვათ, Facebook-ში შექმნან გვერდი, რომელზე განთავსებული მასალები მასალების ვებგვერდზე განთავსებული მასალების მსგავსი იქნება.
- ✓ **გაუგზავნეთ მშობელს წერილი ან E-mail-ი (წერილი ელექტრონული ფორმით)** - ზოგიერთ მშობელს არ აქვს შესაძლებლობა, ხშირად მივიდეს სკოლაში. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა მისწეროს საინფორმაციო წერილი, რომელიც მშობელს მიაწოდებს ინფორმაციას მისი შვილის შესახებ. მაგალითად, ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ბავშვის ინდივიდუალურ პროგრესს, რას მიაღწია, რას ვერა და რატომ, მოსწავლის გასაძლიერებლად რა შეიძლება გააკეთონ მასწავლებელმა და მშობელმა ურთიერთთანამშრომლობით. შეიძლება მშობელს ვურჩიოთ, რა გაკეთდეს მოსწავლის ამა თუ იმ ნიჭის გამოსავლენად. მასწავლებლებმა ასევე უნდა

გამოიმუშაონ ჩვევა, გაუგზავნონ მშობელს მოსწავლის საქებარი წერილი. ხშირად უფრო მეტი დრო დაბალი აკადემიური მოსწრების ან ცუდი ყოფაქცევის მოსწავლეებს ეთმობა, ბეჯითები კი ყურადღების მიღმა რჩებიან არ იღებენ დამსახურებულ ქებას. მშობლები ბედნიერი რჩებიან, როცა მასწავლებელი უგზავნის წერილს და შვილს უქებს.

- ✓ **ესაუბრეთ ტელეფონით.** თუ მშობელი ვერ მოდის მასწავლებელთან, აუცილებელია, კომუნიკაცია ტელეფონით მაინც შედგეს. როცა მშობელს ბავშვისთვის დამატებითი დახმარების საჭიროებაზე ვატყობინებთ, არც მისი წარმატებები და დადებითი უნარები უნდა გამოგვრჩეს. რეგულარულად აცნობეთ მშობლებს კარგი ამბები, საჭიროების შემთხვევაში შეუქეთ შვილი. მშობლები რჩებიან კმაყოფილი და ხშირად გაკვირვებულებიც, როცა მასწავლებელი ურეკავს და ამბობს: „ძალიან სასიამოვნოა, რომ ნიკა ჩემს კლასში სწავლობს“.
- ✓ **გაუგზავნეთ ტექსტური შეტყობინება.** მობილური ტელეფონი გვაძლევს შესაძლებლობას, გავაგებინოთ მშობლებს, თუ რა არის მათი ბავშვისთვის საჭირო.
- ✓ **გამოიყენეთ სოციალური ქსელი**. სასურველია, მშობლებთან შეხვედრაზე ან სოციალურ ქსელში განიხილებოდეს სხვადასხვა გადაწყვეტილება (წესები, რეგულაციები, შეფასების სისტემა, დავალების ტიპები/სირთულე/მოცულობა, დავალების შესრულების პროცესში ბავშვის დახმარების მეთოდი); ასევე, სოციალური ქსელის დახმარებით შესაძლებელია მშობლების/ბავშვების საჭიროებების კვლევა/გამოკითხვა. ვებვერდს თუ ვერ შევქმნით, შესაძლებელია, ეს სოციალური ქსელებით (ფეისბუკი) მოვახერხოთ.
- ✓ **შეხვდით მშობლებს.** შეხვედრები უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას და უნდა წარიმართოს დიალოგის ფორმით. შეხვედრა უნდა იყოს კონსტრუქციული და ემსახურებოდეს ინფორმაციის და იდეების ურთიერთგაზიარებას. მას არ უნდა ჰქონდეს ლექციის სახე. ასევე გასათვალისწინებელია შეხვედრების ადგილი და მონაწილეთა კომფორტული განთავსება. სასურველია, შეხვედრები იმართებოდეს სხვადასხვა დროს, რომ ყველა მშობელს მიეცეს დასწრების საშუალება. მასწავლებელმა/დამრიგებელმა მშობელი უნდა შეახვედროს დირექტორს, რომელიც მას გააცნობს იმ მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებს/პროექტებს, რომლებშიც მშობლების ჩართულობა უმთავრესი იქნება.

✓ **დააარსეთ მშობელთა კლუბები – მოუსმინეთ მშობლებს!** სასურველია, შეიქმნას მშობელთა კლუბი და დაკომპლექტდეს სხვადასხვა სქესის, ასაკის, პროფესიის თუ ეთნიკური წარმოშობის მქონე მშობლებისგან. მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე მშობლების ჩართვა (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი აზრის გათვალისწინება. მშობელთა კლუბი შეიკრიბება დადგენილი პერიოდულობით, გაიცვლება აზრები სკოლის პრობლემების შესახებ, შემუშავდება საინტერესო პროექტები, დაიგეგმება ღონისძიებები. კარგი იქნება, კლუბებში საკონსულტაციოდ მოიწვიონ ფსიქოლოგები, შეხვდნენ ექსპერტებს და ა.შ. მშობლებს შეუძლიათ, მრავალი მიმართულებით ჩაერთონ კონსულტაციის გაწევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში: რეგულარულად დაესწრონ შეხვედრებს, სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარონ საკუთარი შეხედულებები სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მათვე შეუძლიათ სხვა მშობლებს ინფორმაცია მიაწოდონ კონკრეტულ საკითხებსა თუ კანონებზე, რაც დადებით გავლენას იქონიებს მათ შვილებზე.

✓ **მიაწოდეთ ინფორმაცია არაქართულენოვან მშობლებს.** საჭირო მასალები არაქართულენოვან მშობლებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მივაწოდოთ, რათა ხელმისაწვდომი ფორმით მიიღონ ყველა ინფორმაცია (მშობელთა...2015).

ამრიგად, სკოლის მმართველობაში მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა სკოლის დემოკრატიზაციის წინაპირობაა. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთად უნდა ზრუნავდნენ გამოკვეთონ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა სასკოლო მმართველობაში აქტიური ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები და ერთად მოიძიონ პრობლემის მოგვარების გზები.

§2. სასკოლო გარემო

სკოლის დემოკრატიულობას მისი გარემოც განსაზღვრავს. სკოლაში ერთი მისვლითაც შეიძლება დავინახოთ, თუ რამდენად დემოკრატიულია სასკოლო გარემო, რადგანაც სასკოლო გარემოს მოწყობა მისი მმართველობის ფორმაზეც მიუთითებს.

ტერმინი „დემოკრატიული სასკოლო გარემო“ მოიცავს სკოლის ფიზიკურ/ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოს და კულტურას. ფიზიკურ გარემოში მოიაზრება სკოლის შენობა და მისი არემარე, ბიოლოგიური და ქიმიური ფაქტორები, ტემპერატურა, ხმაურის დონე, განათება და ა.შ. ფსიქოლოგიურ გარემოში კი იგულისხმება ფიზიკური, ემოციური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების სხვა წევრთა კეთილდღეობაზე.

დემოკრატიული სასკოლო გარემო შეიძლება დავყოთ შემდეგ კომპონენტებად: ა) სოციოემოციური გარემო; ბ) ფიზიკური გარემო.

§2.1. სკოლის სოციოემოციური გარემო

ჯანსაღი სასკოლო გარემო ეფექტური და დემოკრატიული სკოლის კულტურის ჩამოყალიბების წინაპირობაა. პოზიტიური, სანდო სასკოლო კლიმატი აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ავითარებს პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ქცევებს. მოსწავლეები, რომლებიც თავს სკოლის კუთვნილებად გრძნობენ (იგულისხმება უსაფრთხოება, უფროსების დაფასება, ბედნიერება, მეგობრობა), ნაკლებ სტრესს განიცდიან და ცუდ ქცევებსაც ნაკლებად ავლენენ (Blum, 2002, 2005).

ტერმინი „სკოლის კლიმატი“ ხშირად გამოიყენება სკოლის ემოციური და სოციალური ასპექტების გამოსახატავად. მისი საზომი განისაზღვრება მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და სკოლისადმი მიკუთვნებადობის მიხედვით.

ჯანსაღი და პოზიტიური სასკოლო კლიმატის დროს მოსწავლეები სკოლის საზოგადოების წევრების მხრიდან ახლო კავშირს გრძნობენ, ისინი ბედნიერი არიან მათთან ერთად, თავს სკოლის ნაწილად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ მასწავლებლები სამართლიანად ექცევიან და აფასებენ მათ პიროვნებას, გრძნობენ პიროვნულ უსაფრთხოებას, რაც მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ და ინტელექტუალურ უსაფრთხოებას. ეს უკანასკნელი ნიშნავს მოსწავლეთა კომფორტს კითხვების დასმის, კომენტარების გაკეთების, ჯგუფებთან შეერთების, რთული სასწავლო მასალის არჩევის და სხვა ინტელექტუალური რისკების დროს.

განათლების სისტემაში შემუშავებულია სკოლაში სოციოემოციური გარემოს გაუმჯობესების შემდეგი სტრატეგიები და რეკომენდაციები:

1. **თითოეული მოსწავლე მიანდეთ მზრუნველ და პასუხისმგებლიან ზრდასრულს**. როდესაც მოსწავლეს იმედი აქვს, რომ ვიღაცა მას აკადემიური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება, თავს უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნობს. ასეთ ადამიანს ის თავისუფლად უზიარებს ინფორმაციას, აცნობს პრობლემებს, მიღწევებს როგორც პირად, ისე სასკოლო საკითხებში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსწავლე დარწმუნებული იყოს ზრდასრული მეგობრის სანდოობაში და მათი საუბრები სკოლისთვის კონფიდენციალური იყოს. მოსწავლეს უნდა სწამდეს, რომ „ზრდასრული მეგობარი“ არასოდეს განსჯის და დასცინებს მას შეცდომების დაშვების გამო. საამისოდ სკოლამ უნდა შექმნას გუნდი, რომლის წევრებიც გულითადად იმეგობრებენ მოსწავლეებთან;

2. **ჩამოაყალიბეთ სკოლის ნათელი პოლიტიკა და პროცედურები.** აქ იგულისხმება ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკისა და პროცედურების ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბება და პრაქტიკაში დანერგვა იგი ეფექტური არ იქნება, თუ სკოლის საზოგადოების წევრები ვერ იგებენ მის შინაარსს, ის უნდა იყოს ყველასთვის გასაგები და ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ ტერმინების დეფინიციასა და წესების ჩამოყალიბებაზე სკოლის საზოგადოების წევრებმა ერთად იმუშაონ. სკოლის მხრიდან დისციპლინური ჩარევა უნდა იყოს განმავითარებელი და ნაკლებად სადამსჯელო. კარგი იქნება, თუ ასეთ პროცედურებს გაეცნობა

სკოლის საზოგადოების თითოეული წევრი და თანხმობის ნიშნად ხელს მოაწერს. ასევე მნიშვნელოვანია, ეს პროცედურები გამოქვეყნდეს სკოლის ვებგვერდზე;

3. **დროულად ჩაერიეთ და მოახდინეთ ძალადობის და ბულინგის პრევენცია.** ნულოვანი ტოლერანტობა უნდა დაწესდეს სკოლის ნებისმიერი წევრის მიმართ, იქნება ეს ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები თუ სხვა ვინმე, ვინც სხვებს ცუდად მოექცევა და სკოლის წესებსა და კანონებს დაარღვევს;

4. **ადმინისტრაციული ლიდერობა.** ადმინისტრატორები უნდა იყვნენ კარგი ლიდერები და სკოლაში უნდა ქმნიდნენ პოზიტიურ კლიმატს, რათა საზოგადოების ყველა წევრმა თავი დაფასებულად და საჭიროდ მიიჩნიოს. სკოლის ლიდერები საზოგადოების დანაჩენ წევრებს მაგალითს უნდა აძლევდნენ, მათ უსმენდნენ. ისინი უნდა იყვნენ სამართლიანნი, გულწრფელნი და აფასებდნენ მრავალფეროვნებას;

5. **ჩამოაყალიბეთ ქცევის კოდექსი**. სკოლაში აუცილებელად უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის უფლებების დაცვისა და ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის პრინციპებზე დაფუძნებული ქცევის კოდექსები, რომლებსაც ერთად უნდა ადგენდნენ სკოლის საზოგადოების წევრები და პასუხისმგებლობას იღებდნენ მის დაცვაზე. ეს კოდექსი ყოველწლიურად უნდა გადახალისდეს, განვითარდეს, საჭიროების შემთხვევაში შევიდეს ცვლილებები და გაეცნოს სკოლის ახალ წევრებს;

6. **მშობლები ჩართეთ სასკოლო საქმიანობაში.** მშობელთა და მეურვეთა სასკოლო საქმიანობაში მონაწილეობა კიდევ უფრო აძლიერებს და აჯანსაღებს სოციოემოციურ გარემოს და აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. მართალია მშობლები განათლების ექსპერტები, არ არიან, მაგრამ კარგად ახერხებენ, იყვნენ თავიანთი შვილების ცხოვრების ექსპერტები. მათ კარგად ესმით შვილების საჭიროებები და შესაძლებლობები. მშობლებთან სატელეფონო, წერილობითი თუ სხვა სახის კომუნიკაციის დამყარება პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნის წინაპირობაა;

7. **მოსწავლეებს მიაწოდეთ მათთვის შესაბამისი აკადემიური პროგრამა.** სკოლამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი საკლასო და კლასგარეშე აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება მათ პირად განვითარებაზე. მოსწავლეებს ინდივიდუალურად უნდა მოვარგოთ სასკოლო პროგრამა, არც

სწავლით ძალიან გადავტვირთოთ და არც იმდენი თავისუფალი დრო მივცეთ, რომ მათთვის ყველაფერი მოსაბეზრებელი იყოს. საამისოდ საჭიროა მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული გაკვეთილების ჩატარება;

8. **სკოლაში 1200-ზე მეტი მოსწავლე არ უნდა სწავლობდეს.** სასურველია სკოლაში 1200-ზე მეტი მოსწავლე არ სწავლობდეს, რადგანაც დიდ სკოლებში რთულია პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბება;

9. **პროფესიული განვითარება.** სკოლის თანამშრომლები რეგულარულად უნდა გადამზადდნენ კონფლიქტების მართვის, მედიაციის, ძალადობის პრევენციის, პოზიტიური სასკოლო გარემოს დამკვიდრების, სოციოემოციური სწავლების და განათლების სხვა საკითხებში;

10. **ჩამოაყალიბეთ სკოლის კლიმატის შეფასების კომიტეტი/კომისია.** რომელიც იზრუნებს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებაზე, მონიტორინგს გაუწევს სასკოლო აქტივობებს, ჩაატარებს გამოკითხვებს, გააანალიზებს და ჩამოაყალიბებს სკოლის კლიმატის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას;

11. **განსაზღვრეთ/ჩამოაყალიბეთ სკოლის მისია.** რომელშიც ხაზი გაესმება სკოლაში ჯანსაღი ემოციური, ფიზიკური და ინტელექტუალური გარემოს შექმნას;

12. **ზედამხედველობა.** სკოლის ყოველ სფეროში უზრუნველყავით ადეკვატური ზედამხედველობა. სასურველია, ვიდეოთვალის დამონტაჟება სკოლის ეზოსა და სადარბაზოებში (Guidelines...2007).

საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავებული სკოლის სოციოემოციური გარემოს გაუმჯობესების შესაძლო აქტივობებია:

- სკოლაში მოაწყვეთ ე.წ. „სხვა სასწავლო“ (learning walk) აქტივობები. მოსწავლეები, მასწავლებლები თუ სკოლის სხვა წევრები შემოივლიან სკოლას, შეისწავლიან და შეაფასებენ, რომელ ადგილებში (სფეროებში) არის პრობლემა და რომელ სფეროს სჭირდება დახმარება. პრობლემების გამოკვეთის შემდეგ კი ამ პრობლემების გადაჭრის გზების საძიებლად შეიკრიბებიან.
- იმ ადგილებში, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს ხშირად ხვდებიან (მაგალითად ბუფეტი, სკოლის ეზო და სხვა), გააუმჯობესეთ სკოლის გარემო,

ჩამოკიდეთ განცხადებები, მინიშნებები, გააფერადეთ მკაფიო ფერებით. ამან, შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს მოსწავლეთა ქცევაზე.

- სადილისა და სკოლის კლუბებში მუშაობის დროს უზრუნველყავით დაუცველი ბავშვების მხარდაჭერა ან გამოყავით ჯგუფი მათ დასახმარებლად.
- დაისახეთ სკოლის ატმოსფეროს გაუმჯობესების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები(Amnesty ….2012).

ამრიგად, დემოკრატიულ სკოლაში სოციოემოციური გარემო უნდა იყოს დადებითი, სანდო და უსაფრთხო, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს ბედნიერად გრძნობს.

§2.2. სკოლის ფიზიკური გარემო

დემოკრატიულ სკოლაში სასკოლო ფიზიკური გარემო დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით უნდა იყოს მოწყობილი. თანამედროვე ქართველი პედაგოგი და განათლების ექსპერტი სიმონ ჯანაშია (2012) თვლის, რომ სკოლა საკუთარი ფიზიკური გარემოს მოწყობით გარკვეულწილად უნდა შეესაბამებოდეს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიას. ჩვენს შემთხვევაში სკოლის ფილოსოფიური ხედვა არის მისი დემოკრატიზაცია, რაც გულისხმობს სკოლის ფიზიკური გარემოს ისე მოწყობას, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს ამავე საზოგადოების სრულუფლებიან/სრულფასოვან წევრად გრძნობდეს.

ფიზიკური გარემო მოიცავს სკოლის შენობის ფიზიკურ და ესთეტიკურ იერსახეს, რაც შეიძლება იყოს სკოლის სიძველე, არქიტექტურა, არემარე, ბიოლოგიური და ქიმიური გარემო, ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები: ტემპერატურა, ხმაური, განათება და ა. შ.

სკოლის ფიზიკური გარემო დადებით გავლენას უნდა ახდენდეს სასკოლო საზოგადოების წევრთა ქცევაზე, ჯანმრთელობაზე, სკოლის განვითარებასა და წარმატებაზე.

ჯანსაღი სასკოლო ფიზიკური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების სხვა წევრთა პროდუქტიულობას, კომფორტს, ჯანმრთელობის შენარჩუნებას და უსაფრთხოებას, ქმნის კომფორტულ სამუშაო და სასწავლო გარემოს. იგი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტებს, არ ლახავდეს ადამიანთა უფლებებს, ამიტომ საჭიროა მისი სწორად მოწყობა.

სასკოლო გარემოს მოწყობის ძირითადი პრინციპებია:

- **სისტემურობა** - იგულისხმება სასკოლო გარემოს განხილვა, როგორც ერთი დიდი სისტემისა, სადაც გარემოს მოწყობაში უმცირეს დეტალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს (ჯანაშია, 2012).
- **ინკლუზიურობა** - ნიშნავს სასკოლო გარემოს მოწყობაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურ ჩართვას, ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის მიცემას. ამას გარდა, მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოს ადაპტირება სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეებისთვის (ჯანაშია, 2012).

მაგალითად, თუ სკოლას ჰყავს მოსწავლე, რომელსაც უჭირს გადაადგილება, მაშინ სკოლა ვალდებულია პანდუსები დააგოს, ტუალეტები მოაწყოს, შესაბამისი მერხი და სხვა ინვენტარი აღჭურვოს. ინკლუზიურობაში ასევე მოიაზრება საპირფარეშოების კეთილმოწყობა, მაგალითად, გოგონების და ბიჭების საპირფარეშოები აუცილებელია ცალ-ცალკე მდებარეობდეს და საკლასო ოთახებთან ახლოს იყოს, რათა მასწავლებლებს შეეძლოთ მათთვის ყურადღების მიქცევა და კონფლიქტის თავიდან აცილება, რადგანაც საპირფარეშო ხშირად ხდება ხოლმე კონფლიქტის განვითარების ადგილი. (Unicef, 2009).

❖ **ღირებულებებზე ორიენტირება** - სკოლის ფიზიკური გარემო ასევე სკოლის ღირებულებებს და სკოლის მმართველობის ფორმას წარმოაჩენს (ჯანაშია, 2012). მაგალითად, მკითხველს მინდა გავუზიარო საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ჩემს მიერ ნანახი კედელზე გამოკრული შემდეგნაირი განცხადებები: „მასწავლებლების საყურადღებოდ! ვინც სილაბუსებს 25 დეკემბრამდე არ მოიტანს, ხელფასი არ დაერიცხება!"; ,,ნაგავი არ დაყაროთ!"; „დახურეთ კარები!" და ა.შ. ასეთი განცხადებები შესაძლოა გამაღიზიანებელიც კი იყოს საზოგადოების ზოგიერთი წევრისთვის. ევროპის ერთ-ერთ სკოლაში კარებზე შევნიშნე შემდეგი განცხადება: „გმადლობთ, რომ დახურეთ კარები." ასეთი განცხადება გამოხატავს პატივისცემას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც მივმართავთ და ზრდის ალბათობას, რომ გამსვლელი კარს დახურავს; ასევე, გამოხატავს სკოლის ღირებულებებს, კერძოდ, ადამიანთა პიროვნების დაფასებას, პატივისცემას, დემოკრატიულობას და ა.შ. განცხადებების მბრძანებლური ტონი კი მიუთითებს სკოლის ავტოკტრატიული მმართველობის სტილზე.

❖ **გარემოზე ზრუნვა** - იგულისხმება სკოლის სისუფთავესა და მოწესრიგებულობაზე სასკოლო საზოგადოების წევრების ერთობლივი ზრუნვა (ჯანაშია, 2012). სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები უნდა ზრუნავდნენ, რომ საკლასო ოთახები, კორიდორები, სკოლის ეზო, საპირფარეშოები იყოს მოწესრიგებული, არ იყოს მძაფრი სუნი და უხერხულობას არ უქმნიდეს ამავე სკოლის საზოგადოების წევრებს. მოსწავლეებს ადრეული ასაკიდან უნდა ვასწავლოთ სკოლის ბაღის მოვლა, სკოლის ინვენტარზე მოფრთხილება და ა.შ.

❖ **სასკოლო პატრიოტიზმი** - ნიშნავს მოსწავლეების სკოლასთან მჭიდრო კავშირს, მაგალითად, სხვებისგან განსხვავებული სახელის, დევიზის, მისიის, ლოგოს, სიმბოლოს შემუშავებას (ჯანაშია, 2012).

❖ **ტოლერანტობა** - იგულისხმება განსხვავებული მოსაზრებების, წარმომავლობის, კულტურის, ტრადიციების პატივისცემის გამოხატვა სკოლის ფიზიკურ სივრცეშიც (ჯანაშია, 2012). დემოკრატიულ სკოლას სასურველია, ჰქონდეს სკოლის გაზეთი, ვებგვერდი, ბლოგი და სხვა ტიპის სივრცე, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები შეძლებენ თავისუფალი აზრის დაფიქსირებას, კომუნიკაციას, ინფორმაციის გაზიარებას და ა.შ.

❖ **ჰიგიენა და ჯანმრთელობა** - ეს პრინციპი მოიცავს მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრებისთვის მომზადებას. მაგალითად, საკლასო ოთახების განიავება, ხელების ხშირი დაბანა, ტუალეტების სისუფთავის უზრუნველყოფა და ა.შ (ჯანაშია, 2012).

❖ **სოციალიზაცია** - ნიშნავს მოსწავლეების მომზადებას სოციალური ცხოვრებისთვის, ზრდასრულებთან ურთიერთობის სწავლას, ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას, მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობას და ა.შ (ჯანაშია, 2012). მაგალითად, სკოლის ეზოში სკამების დადგმა მოსწავლეთა დამეგობრების და ურთიერთობების ხელშესაწყობად.

❖ **სასკოლო საზოგადების ჩართვა** - ეს პრინციპი გულისხმობს, სკოლის განვითარებაში სკოლადამთავრებულების, მშობლების, სკოლის მეზობლად მცხოვრებთა ჩართვას. სასურველია სკოლაში სკოლის განვითარებაში წვლილის მქონე ადამიანების სპეციალური დაფის გაკეთება, სადაც ჩამოთვლილი იქნება მათი სახელები და გვარები (ჯანაშია, 2012).

საგანმანათლებლო სივრეში შემუშავებულია სკოლაში ჯანსაღი ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების შემდეგი სტრატეგიები:

1. **დაიცავით სკოლის შიდა და გარე ტერიტორია რადიოაქტიური ალერგენებისაგან**. სკოლაში უნდა კონტროლდებოდეს ჰაერის შემადგენლობა. ჰაერი არ უნდა იწვევდეს თავის ტკივილს, ღებინებას, ალერგიას, თვალთახედვის შესუსტებას, დაცული იყოს ტენიანობა, არ იყოს აუტანელი სუნი და ა.შ. არ უნდა არსებობდეს გაზით მოწამვლის, ელექტროდენის ზემოქმედების საფრთხე და ა.შ.

2. **ჩამოაყალიბეთ უსაფრთხოების დაცვის ჯგუფი/კომისია.** სკოლაში აქტიურად უნდა მუშაობდეს ჯგუფის კომისია, რომელიც გააკონტროლებს უსაფრთხოების წესების დაცვას, მაგალითად, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას, ხანძრის თავიდან აცილების სტრატეგიების დანერგვას, სასწრაფო დახმარების დროულ გამოძახებას, სკოლის შენობის სისუფთავის დაცვას, აბაზანების, საპირფარეშოების თუ სხვა ადგილების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას, სკოლის ეზოსა და შენობის მოპირკეთებას და ა.შ.

3. **სკოლის პოლიტიკასა და პროცედურებში**. გაწერილი უნდა იყოს სკოლის გარემოს უსაფრთხოების დაცვის ზომები, შეუსაბამობების დროული აღმოფხვრის ვადები, დაფინანსება და ა.შ.

4. **ტრანსპორტირება.** სატრანსპორტო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის საზოგადოების ყველა წევრისთვის, სკოლა ზრუნავდეს ექსკურსიებსა თუ სხვა ღონისძიებებზე მოსწავლეთა / მასწავლებელთა უსაფრთხო გადაადგილებზე. გასათვალისწინებელია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება (Guidelines…2007).

მეცნიერები (Earthman, 2002; Neilson, 2014; Theunynck, 2009) გვთავაზობენ სკოლის ფიზიკური გარემოს მოწყობის შემდეგ რეკომენდაციებს:

- სკოლის ადგილმდებარეობა - სასურველია სკოლა 3 კილომეტრზე მეტი მანძილით არ იყოს დაშორებული მოსწავლეთა სახლებისაგან. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სწრებადობას;
- საკლასო ოთახების მოცულობა და დიზაინი - საკლასო ოთახში ერთ მოსწავლეზე დაახლოებით 1.2 კვადრატული მეტრი უნდა იყოს განკუთვნილი და ერთ საკლასო ოთახში 40-45 მოსწავლეზე მეტი არ უნდა იყოს. დიდი საკლასო ოთახები, სადაც ერთ მოსწავლეზე გათვლილია 1.4 კვადრატული მეტრი, მეტად მოსახერხებელია მოსწავლეთათვის. მნიშვნელოვანია, რომ უკიდურესად გაუთვალისწინებელ შემთხვევებში (მაგალითად, ხანძრის თუ სხვა უბედური შემთხვევების დროს) მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ კლასიდან გასვლა;
- შესაბამისი ავეჯით მოწყობა - სკოლის ავეჯი საკმარისი უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მაგალითად, მერხები, სკამები, კარადები და ა.შ.

ავეჯი ასევე უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს. ძველი და დაზიანებული ავეჯი ახლით დროულად უნდა შეიცვალოს;

- ➢ ადეკვატური განათება - საკლასო ოთახები კარგად უნდა იყოს განათებული. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წერა, კითხვა, მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება. ფანჯრების ზომა მინიმუმ საკლასო ოთახის 20%-ს უნდა შეესაბამებოდეს;
- ➢ ტემპერატურა და ვენტილაცია - სწავლისათვის მნიშვნელოვანია ოთახის ტემპერატურა არ აღემატებოდეს 20-23 გრადუსს. საჭიროა საკლასო ოთახების ხშირი განიავება და ვენტილაციის უზრუნველყოფა;
- ➢ ხმაურის დონე - მნიშვნელოვანია სკოლა შორს მდებარეობდეს რკინიგზის, ავტოსადგურების, ხმაურიანი საწარმოებისაგან. ასევე მნიშვნელოვანია საკლასო ოთახები ერთმანეთისგან დაყოფილი იყოს ისეთი კედლით, რომ ხმაურმა ნაკლებად შეუშალოს ხელი სკოლის წევრებს;
- ➢ ჰიგიენა, სანიტარია და ჯანმრთელობა - სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დასალევი წყალი, ხელის დასაბანი საშუალებები, საპონი, ტუალეტის ქაღალდი და ა.შ. 3 კლასზე დაახლოებით 5 ტუალეტი/საპირფარეშო უნდა იყოს განკუთვნილი. საკვები ნივთიერებები შესაბამისად უნდა იყოს შენახული. ასევე მნიშვნელოვანია სკოლაში იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუმენტები/კომპლექტი.

სასწავლო პრაქტიკაში კარგად მუშაობს სკოლის ფიზიკური გარემოს დემოკრატიზაციის შემდეგი აქტივობები:

- სკოლის ფორუმის შექმნა. სკოლის ყოველ წევრს საშუალება უნდა მიეცეს, იმსჯელოს სკოლის ფიზიკური გარემოს შესახებ, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და სკოლის ფიზიკური გარემოს დემოკრატიზაციის და ადამიანთა უფლებების პრინციპების გათვალისწინებით მოსაწყობად დაისახოს მიზნები.
- გამოკითხვის ჩაატარებს იმაზე, არის თუ არა სკოლის ფიზიკური გარემო ყველასათვის უსაფრთხო და კომფორტული;
- შეჯიბრების მოწყობა ხატვაში, ხელოვნებაში. მოსწავლეები მოამზადებენ პოსტერებს, ნახატებს, ფოტოკოლაჟებს სკოლის ფიზიკური გარემოს დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობასთან დაკავშირებით.

- სკოლის ფიზიკური გარემოს დემოკრატიზაციის მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა (Amnesty...2012).

ამრიგად, სკოლის მმართველობის ფორმაზე მისი ფიზიკური გარემოც მიუთითებს, ამიტომ საჭიროა მისი დემოკრატიზაცია და იმ ადამიანებზე მორგება, რომლებიც ამავე სკოლაში მოღვაწეობენ. სკოლის ფიზიკური გარემო უნდა პასუხობდეს ამავე სკოლის ფილოსოფიურ ხედვას, ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო პრინციპებს და ხელს უწყობდეს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჯანსაღ ურთიერთობებს.

§3. სასკოლო ურთიერთობები

ადამიანური ურთიერთობების ხელოვნებას ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩაეყარა საფუძველი. ზარატუსტრას, ლაო ძის, კონფუცის, ბუდას, იესოს, პლატონის, სოკრატესა და არისტოტელედან მოყოლებული დღემდე მიმდინარეობს მსჯელობა პოზიტიური ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ.

დღეს ადამიანური ურთიერთობების სივრცე გაიზარდა. ის მხოლოდ პირისპირი ან სატელეფონო ურთიერთობებით აღარ შემოიფარგლება. სასკოლო საზოგადოების წევრებმა შეიძლება ერთმანეთთან იურთიერთონ ინტერნეტით, ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით და ა.შ. ყოველივე ეს კი ადამიანური ურთიერთობების ხელოვნების დახვეწას და განვითარებას მოითხოვს.

დემოკრატიულად ორგანიზებული სკოლის საზოგადოების წევრებს შორის უნდა იყოს პოზიტიური ურთიერთობები, ისინი ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ მეგობრული და კეთილგანწყობილი. სკოლის საზოგადოების წევრები, განსაკუთრებით კი პედაგოგები, უნდა ფლობდნენ ადამიანური ურთიერთობების მართვის უნარებს.

ინდიანას უნივერიტეტის განათლების ფაკულტეტზე მოღვაწე ემერიტუს პროფესორმა ლიი ჰ. ეჰმანმა (1980) კვლევისას ერთმანეთს შეადარა დოგმატური (ავტორიტარული) და ნაკლებად დოგმატური მასწავლებლები და მოსწავლეების მიერ პოლიტიკური საკითხებისადმი გამოთქმულ მოსაზრებებში გარკვეული განსხვავებები აღმოაჩინა. ავტორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეებს მასწავლებლებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, სამოქალაქო თავისუფლებებზე მათი და მთლიანი ჯგუფის ცნობიერება მაღალია.

სკოლის საზოგადოების ურთიერთობების ელემენტებია:



§3.1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობები

მასწავლებელთა და მოსწავლეთა დადებითი ურთიერთობები ეფექტიანი სწავლებისა და სკოლის დემოკრატიზაციის მთავარი გასაღებია. მოსწავლე მასწავლებელთან დღეში 5-7 საათს, წელიწადში კი 9-10 თვეს ატარებს. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობები გაგებასა და პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. მათ შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარება ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია სკოლის დემოკრატიზაციის პროცესში.

ზოგიერთი მოსწავლე სწავლითაა დაინტერესებული და ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, ზოგიერთს კი სწავლა არ აინტერესებს და ერთობა გაკვეთილზე, დადის, იცინის, ცდილობს გააბრაზოს მასწავლებელი და ა.შ. ხშირად, ამის გამო ფერხდება სწავლება/სწავლის პროცესი და რთულდება კლასის მართვა. ერთ-ერთი გამოსავალი მასწავლებლებლებსა და მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაშია.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების დასამყარებლად მნისვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

1. **მოერიდეთ კრიტიკას, გაუგეთ და დააფასეთ მოსწავლეები**. დაიმახსოვრეთ, რომ ყველა ბავშვს აქვს ღირსება, ამიტომ მაქსიმალურად მოერიდეთ მოსწავლეთა კრიტიკას. ამით მოსწავლეს დანაშაულში ვერ დაარწმუნებთ.

ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეს დავალების შეუსრულებლობის, შეუსაბამო ქცევის, თუ სხვა დარღვევების გამო აკრიტიკებს და ხშირად მის ოჯახსაც და საგვარეულოსაც უარყოფითად მოიხსენიებს: „შენ უზრდელო, ვის ოჯახში ხარ გაზრდილი, უჯიშო, ცინიკოსო, გაეთრიე....“ და ა.შ. მასწავლებლის ასეთი ქცევა არაეთიკურია და არღვევს ადამიანის უფლებებს, ამასთან, წერტილს უსვამს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებას.

მასწავლებელი უნდა შეეცადოს, გაუგოს მოსწავლეს და მიუტევოს, ამისათვის კი მან საჭიროა გამოიმუშაოს ნებისყოფა და თვითკონტროლი, მოსწავლეს მოუძებნოს დადებითი თვისებები და მასზე ააგოს პოზიტიური ურთიერთობა.

2. **გულწრფელად დააფასეთ და გულუხვად შეაქეთ მოსწავლეები.** მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობების დასამყარებლად აუცილებელია გამოუცხადოთ ნდობა, დააფასოთ მისი პიროვნება და დროულად შეაქოთ ისინი, ყველა მოსწავლე ხომ რაღაცას კარგად აკეთებს. აღნიშნეთ მისი დადებითი მხარე, აგრძნობინეთ მას, რომ ის მნიშვნელოვანი ადამიანია. ბათუმის ერთ-ერთ კერძო სკოლაში ერთმა მოსწავლემ თანაკლასელებს, რომლებიც თურქული სერიალის გმირებზე საუბრობდნენ, შენიშვნა მისცა: „მაგის მაგიერ დათა თუთაშხიას უყურეთო“. ამ საუბარს შემთხვევით შეესწრო სკოლის დირექტორი და სიტუაცია არ დატოვა უყურადღებოდ. აღნიშნულ საკითხთან დაკავსირებით დისკუსია გამართა კლასში. განიხილეს თურქული სერიალის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა მაყურებლებზე და ა.შ. შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დირექტორმა გააკეთა, ის იყო, რომ ეს მოსწავლე მთელ სკოლას მოაზროვნედ წარუდგინა. ამ ხერხს დირექტორი სხვა დროსაც იყენებდა. მაგალითად, სკოლაში ახალგადმოსული მოსწავლე, რომელსაც არ უყვარდა სწავლა და ზოგადად, სკოლების მიმართ

უარყოფითად იყო განწყობილი, წარადგინა თანატოლთა წინაშე და დამსახურება და ღირსება შეუქო. მოსწავლის მშობელი გაოცებული იყო, როცა ბავშვი აღფრთოვანებული და სკოლაზე შეყვარებული დაბრუნდა სახლში. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში დირექტორი კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოსწავლის ღირსების პატივისცემა.

3. **დაიმახსოვრეთ მოსწავლეთა სახელები და მიმართეთ სახელით**. საკუთარი სახელი ყველა ადამიანს უყვარს. მოსწავლეებს სახელით თუ მივმართავთ, ამით მათდამი პატივისცემას გამოვხატავთ;

4. **ჩაინიშნეთ მოსწავლეთა დაბადების დღეები და მიულოცეთ**. მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში სულმოუთქმელად ელოდებიან საკუთარ დაბადების დღეს. ჩაინიშნეთ მათი საიუბილეო თარიღები და მიულოცეთ. არ არის სავალდებულო საჩუქრის ჩუქება, გააკეთეთ მისალოცი ბარათი, მოკლე მისალოცი ტექსტით, ყურადღება გაამახვილეთ, რომ გულწრფელად აფასებთ მის პიროვნებას, მოიყვანეთ რამდენიმე მათი ღირსეული საქციელის ამსახველი მაგალითი. ამით თქვენს მის გულს სამუდამოდ დაიპყრობთ;

5. **მოსწავლეებს გულთბილად მიესალმეთ.** მოსწავლეებს მიესალმეთ ყველგან, სკოლის ეზოში, ქუჩაში, კორიდორში. ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი შედის კლასში და ერთიანად ესალმება ყველას. მანამდე კი, მათ თითქოს ვერ ამჩნევს - ვერც სკოლაში და ვერც მის გარეთ. კლასში ადრე შესულ მასწავლებელს შეიძლება რამდენიმე მოსწავლე დახვდეს. სასურველია, მასწავლებელი სათითაოდ მიესალმოს თითოეულ მოსწავლეს, ჰკითხოს, როგორ გრძნობს თავს, დახმარება ხომ არ სჭირდება და ა.შ. ასე გაიმეოროს ყველასთან. გაკვეთილებს შორის შესვენებების დრო მასწავლებელმა ურთიერთობების დასალაგებლად ეფექტიანად უნდა გამოიყენოს.

უცხოეთში ტრენინგებზე დასწრების დროს დავაკვირდით, რომ ამ მეთოდს ტრენერები წარმატებით იყენებდნენ. სესიებს შორის, შესვენებების დროს, დარბაზში ცოტა ადრე ბრუნდებოდნენ და სანამ ტრენინგი დაიწყებოდა, სათითაოდ ყველა მაგიდას ჩამოივლიდნენ და გვეკითხებოდნენ, თუ როგორ ვგრძნობდით თავს, ვიყავით თუ არა კმაყოფილი, გვეკითხებოდნენ ჩვენი ოჯახების, შვილების, კოლეგების, ამინდის, სამშობლოს თუ ნებისმიერი თემის შესახებ. ამას აკეთებდა

ყველა ტრენერი. ძალიან ბუნებრივად, მაგრამ აშკარად ეს ერთ-ერთი მათი სასწავლო მიდგომა იყო, პოზიტიური და ჯანსაღი ურთიერთობების დასამყარებლად. შედეგიც ნათელი იყო. ტრენერებსა და მონაწილეებს შორის არ იყო ურთიერთობების ბარიერები და იგრძნობოდა დადებითი, ბედნიერი გარემო.

6. **ხშირად გაუღიმეთ მოსწავლეებს.** თქვენი ღიმილი უნდა აგრძნობინებდეს, რომ მოგწონთ და გიხარიათ მისი დანახვა. ღიმილი არ უნდა იყოს ყალბი და ხელოვნური. ამას ნებისმიერი მოსწავლე მიხვდება. ღიმილი კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

7. **გაკვეთილზე შესვლის წინ შეიქმენით კარგი განწყობა.** „ქმედება არის განწყობის შედეგი," კარგი განწყობა წარმატების მომტანი იქნება, ის გადაედება მთელ კლასს. ვიდრე კლასში შეხვიდოდეთ, გაიხსენეთ რაიმე, რითიც ბედნიერი ხართ და ღიმილი მოგეფინებათ, შემდეგ გულახდილი ღიმილით შედით გაკვეთილზე. გახსოვდეთ, რომ მასწავლებელი უნდა იყოს ლაღი, გულითადი, გაბედული, გულწრფელი და ხალისიანი.

8. **შექმენით პოზიტიური კლიმატი.** მოსწავლეებს უჩვენეთ კარგი ქცევის მაგალითი. ისინი ადვილად ხვდებიან, მათ მიმართ „თბილად" ხართ განწყობილი თუ „გულგრილად". დაიმახსოვრეთ, რომ მოსწავლეები ხშირად ბაძავენ მასწავლებლებს, ამიტომ არასოდეს გაკიცხოთ კოლეგა ან მოსწავლე, არ დასცინოთ მოსწავლეების თანდასწრებით, იყავით დადებითად განწყობილი სხვათა მიმართ.

9. **იყავით მომთმენი.** დაიმახსოვრეთ, რომ დადებითი ურთიერთობები ერთ დღეში არ ვითარდება, მის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. გული არ გაიტეხოთ.

10. **შეისწავლეთ მოსწავლეთა ინტერესები და სურვილები.** მაგალითად, თუ მოსწავლეს უყვარს კალათბურთი და ის თქვენთან მოდის მათემატიკურ საკითხებზე შეკითხვით, მათემატიკური პრობლემა ადვილად რომ გაიგოს, მოიშველიეთ მაგალითი კალათბურთიდან, ამით მოსწავლეს აგრძნობინებთ, რომ იცით მისი ძლიერი მხარეების შესახებ და აფასებთ მისი ინტერესების სფეროს.

11. **მიეცით მოსწავლეებს დადებითი და განმავითარებელი უკუკავშირი.** უკუკავშირის მიღების დროს ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა შეასრულა მოსწავლემ კარგად და რისი განვითარება იყო საჭირო.

12. **ყურადღებით მოუსმინეთ მოსწავლეებს.** კარგი მოსაუბრე, კარგი მსმენელიც უნდა იყოს. აღსაზრდელებს დაუთმეთ დრო, გესაუბრონ საკუთარ თავზე.

13. **პატივისცემით მოეკიდეთ მოსწავლეთა აზრებს და შეხედულებებს**. მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რომ განსხვავებული იდეების გამო მათ არავინ გააკრიტიკებს და დასცინებს.

14. **აღიარეთ შეცდომები.** მასწავლებელიც ადამიანია და ყოველთვის მართალი ვერ იქნება. დაანახვეთ მოსწავლეებს, რომ შეცდომების გამოსასწორებლად მზად ხართ.

15. **ილაპარაკეთ მეგობრული ტონით.** ეს მოსწავლეებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში დაგეხმარებათ. დაუშვებელია, მოსწავლეს მბრძანებლური ტონით მიმართოთ.

§ 3.2. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ურთიერთობები

სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დადებითი ურთიერთობები ეფექტიანი სწავლების მთავარი გასაღებია. სკოლაში თითოეული წევრი თავს დაცულად და მნიშვნელოვნად უნდა თვლიდეს. ურთიერთობები გაგებას და პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს.

სასკოლო საზოგადოების წევრები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს, ერთად ავითარებდნენ ქცევის წესებს, კონფლიქტის მართვის მექანიზმებს, ახალისებდნენ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას.

შესაძლო აქტივობები:

- სკოლის ვებგვერდზე შექმენით ფორუმი, სადაც განიხილავთ მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საკითხებს;
- შეიმუშავეთ მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა შორის კონფლიქტის მედიაციის მექანიზმი, შექმენით კონფლიქტის მართვის გუნდი, პროცესში ჩართეთ ორივე მხარე;

- მასწავლებლები და მოსწავლეები დაატრენინგეთ კომუნიკაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხში;
- სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შორის, წაახალისეთ პოზიტიური ურთიერთობები, გამოიყენეთ შექების და დადებითი ქცევის მართვის მიდგომები (Amnesty...2012).

§3.3. მოსწავლეთა ურთიერთობები

დემოკრატიულმა სკოლამ მოსწავლეებს შორის კარგი ურთიერთობები უნდა უზრუნველყოს, შექმნას იმის პირობები, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებმა არ დაჩაგრონ ერთმანეთი, მოისპოს დისკრიმინაცია, პატივი სცენ და არ შელახონ ერთმანეთის ღირსება, დააფასონ მრავალფეროვნება.

შესაძლო აქტივობები:

- მოიფიქრეთ, მოსწავლეთა თვითმმართველობამ როგორ მოაგვაროს მოსწავლეთა შორის კონფლიქტები;
- შექმენით სივრცე მოსწავლეთათვის (თუნდაც კლასში ან სპეციალურ სემინარებსა თუ წვეულებებზე), სადაც მოსწავლეები განიხილავენ კონფლიქტურ სიტაუციებს, ბულინგს;
- გაკვეთილში ჩართეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს კომუნიკაციის, პატივისცემის და პასუხისმგებლობის გაზიარების უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარება;
- შექმენით ჯგუფები, რომლებიც მოსწავლეთა შორის წარმოქმნილ პრობლემებს მოაგვარებს (Amnesty...2012).

§3.4. თანამშრომელთა ურთიერთობები

დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში ყველა თანამშრომელი თავს მნიშვნელოვან პირად უნდა გრძნობდეს. ისინი უნდა იცავდნენ ადამიანთა უფლებებს, ყოველთვის პატივს სცემდნენ ერთმანეთს.

შესაძლო აქტივობები:

- თანამშრომლებისთვის შეიმუშავეთ კითხვარი და როცა პრობლემები წარმოიქმნება, იმოქმედეთ შესაბამისად.
- შექმენით ფორუმი, რომელზეც თანამშრომლები შეძლებენ პრობლემების წამოჭრას და განხილვას, მოაწყვეთ შეხვედრები.
- ჩართეთ სკოლის თანამშრომლები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და დარწმუნდით, რომ ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობებს.
- ერთად შეიმუშავეთ თანამშრომელთა შორის კონფლიქტის მართვის პროცედურები.
- კარგი იქნება, თუ დაგეგმავთ ისეთ კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც თანამშრომელთა ურთიერთობებს შეუწყობს ხელს (Amnesty...2012).

§3.5. სკოლას, მშობლებსა და ფართო საზოგადოებას შორის ურთიერთობები

დემოკრატიულმა სკოლამ უნდა გააცნობიეროს, რომ იგი ფართო საზოგადოების ნაწილია. ფართო საზოგადოებაში იგულისხმება მშობლები, ადგილობრივი მობინადრეები, ექიმები, სოციალური მუშაკები, პოლიცია, მედია, კომერციული დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა ადგილობრივი სკოლები, სამთავრობო ხელისუფლება და ა.შ.

სკოლები, რომლებიც ფართო საზოგადოებასთან პოზიტიურ ურთიერთობებს ამყარებენ, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაჭრაში.

დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში საჭიროა შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- არიან თუ არა მშობლები ჩართული სასკოლო საქმიანობაში? როგორ არიან ისინი ჩართული?

- როგორ შეიძლება მშობლებმა და ფართო საზოგადოების წევრებმა მიიღონ მონაწილეობა სკოლის პროექტებსა და აქტივობებში?
- როგორ შეიძლება დაამყარონ ურთიერთობები სკოლამ და ფართო საზოგადოების წევრებმა?
- არის თუ არა სკოლასა და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობებები ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპზე აგებული?

სკოლას, მშობლებსა და ფართო საზოგადოებას შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარების შესაძლო აქტივობებია:

- სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის პროექტებთან დაკავშირებულ შეკრებებზე, დღესასწაულებზე მოიწვიეთ მშობლები და ფართო საზოგადოების წევრები. ჩართეთ ისინი დისკუსიაში, სთხოვეთ, გამოთქვან მოსაზრებები, რა დახმარების გაწევა შეუძლია სკოლას საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში და პირიქით, როგორ შეიძლება საზოგადოება დაეხმაროს სკოლას.
- გამოეცით გაზეთი, რომელიც იქნება სკოლის სპეციალური გამოცემა, მასში განთავსდება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა კეთდება სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშესაწყობად. მისი გაცნობა მშობელთა და ფართო საზოგადოების ინფორმირებას შეუწყობს ხელს.
- მოიფიქრეთ და განახორციელეთ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის აქტივობები.
- თუ სკოლას აქვს ვებგვერდი, მიეცით საზოგადოების წევრებს უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა.
- მოსწავლეებს სთხოვეთ იმსჯელონ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩართონ სასკოლო საქმიანობაში და სასკოლო პროექტებში ფართო საზოგადოების წევრები.
- შეგიძლიათ მოაწყოთ კონფერენციები, კონცერტები ადამიანთა უფლებების დაცვის თემებზე (Amnesty...2012).

§3.6. პარტნიორობა - ადგილობრივი და გლობალური ურთიერთობები

სკოლის დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა არის გრძელვადიანი მიზანი. ის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სკოლებთან და სხვა დაწესებულებებთან სკოლის პარტნიორობას გულისხმობს. სკოლამ უნდა გაიზიაროს სხვისი გამოცდილება და გაკვეთილები, წაახალისოს სხვა სკოლები, ჩაერთონ ადამიანთა უფლებების დაცვის გლობალური კულტურის განვითარებაში.

ა) პარტნიორობა სხვა სკოლებთან

რა უნდა გავითვალისწინოთ(მოვიფიქროთ):

- როგორ შეიძლება დავამყაროთ პარტნიორობა ქვეყნის შიგნით?
- პარტნიორობისთვის, რომელ სკოლებს შეიძლება დავუკავშირდეთ?

  სხვა სკოლებთან პარტნიორობის შესაძლო აქტივობებია:

  - მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება დაუკავშირდეთ სხვა სკოლებს;
  - ჰკითხეთ თანამშრომლებს და მოსწავლეებს, იციან თუ არა რომელიმე სკოლა, რომელსაც დაუკავშირდებით და ერთად განახორციელებთ პროექტს?
  - მოაწყვეთ სკოლის ღია დღეები, მოიპატიჟეთ სხვა სკოლები და გააცანით თქვენი სკოლის საქმიანობის შესახებ (Amnesty...2012).

ბ) პარტნიორობა ადგილობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებთან

სკოლამ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე უნდა მოიძიოს პარტნიორები, რომლებიც მას პროექტების განხორციელებაში დაეხმარებიან. მაგალითად, სკოლას შეუძლია ერთობლივი პროექტები განახორციელოს არასამთავრობო, ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვის ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ან ეროვნულ საპარლამენტო პარტიებთან. ასევე ამ საქმეში ჩართონ ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობის წინააღმდეგ აქტივობებს, ეხმარებიან გაჭირვებულებს, მოხუცებს, უსახლკარო ოჯახებს. მათთან პარტნიორობით სკოლამ შეიძლება ბევრი ისწავლოს და სარგებელი ნახოს. ისინი ტრენინგების, სემინარების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში დაეხმარებიან.

ადგოლობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამყარების შესაძლო აქტივობებია:

- სკოლის ყველა წევრთან ერთად ჩამოწერეთ ორგანიზაციები, რომლებთან პარტნიორობაც სასარგებლო იქნება სკოლისათვის.
- განსაზღვრეთ მკაფიო და ნათელი მიზნები, თუ რატომ გსურთ ამა თუ იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. დასვით შეკითხვა: რას უნდა მივაღწიოთ? რა მიზანი გვაქვს? როგორ შევძლოთ ამ მიზნის ხორცშესხმა? საამისოდ რა აქტივობების განხორციელებაა საჭირო?
- დაუკავშირდით ადგილობრივ მოხუცთა თავშესაფარს და მოაწყვეთ სკოლაში ბებია-ბაბუების დღეები, მოსწავლეთა ბებია-ბაბუებთან ერთად თავშესაფრის მობინადრეებიც მოიწვიეთ. ასეთი აქტივობა ხელს შეუწყობს ასაკის პატივისცემას, თაობების ინტეგრაციას, ჩამოაყალიბებს პატივისცემის გრძნობას და ღირსების დაფასებას (Amnesty...2012).

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობა

სკოლა უნდა იყოს დემოკრატიული განათლების მოდელი, რომლითაც ინტერესდებიან საგანმანათლებლო დაწესებულებები, უნივერსიტეტები, პროფესორები, განათლების ექსპერტები, განსაკუთრებით კი ის პროფესიონალები, რომლებიც განათლების სფეროში ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობენ.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- ვინ არის მთავარი ფიგურა ადგილობრივ ხელისუფლებაში, რომელიც შეიძლება დაინტერესდეს თქვენი პროექტით? როგორ შეიძლება ჩავრთოთ ისინი?
- როგორ შეიძლება, წარმოადგინოთ თქვენი სკოლა, როგორც დემოკრატიული განათლების მოდელი, რითაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს დააინტერესებთ.

შესაძლო აქტივობები:

- მოიწვიეთ სკოლის თანამშრომლები და განიხილეთ (ჩამოწერეთ) ადგილობრივ და ეროვნულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სია. სია მოსწავლეებს წარუდგინეთ და ჰკითხეთ, როგორ შეიძლება ამ დაწესებულებების ჩართვა.
- თქვენს სკოლაში იმის სანახავად მოიწვიეთ განათლების სპეციალისტები, თუ რას კეთდება ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშესაწყობად. ჩართეთ ისინი დისკუსიებში, ადამიანთა უფლებების დღეებზე მიძღვნილ აქტივობებში (Amnesty...2012).

დ) გლობალური პარტნიორობა

დემოკრატიული სკოლა ადამიანთა უფლებების გლობალური კულტურის შექმნაზე მომუშავე საერთაშორისო სკოლების ნაწილი უნდა იყოს. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის სხვა წევრთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ისწავლონ და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილებები იმ სკოლებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში იმყოფებიან.

გლობალური პარტიორობის დამყარების დროს საჭიროა, გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- როგორ შეიძლება მოვიძიოთ პარტნიორი სკოლები საზღვარგარეთ და მათთან რეგულარული კონტაქტი შევინარჩუნოთ.
- რა გამოწვევებს შეიძლება შევეჯახოთ სხვა ქვეყნის სკოლებთან გამოცდილებების გაზიარებისა და თანამშრომლობის დროს;
- როგორ ჩავრთავთ სკოლის საზოგადოების ყველა წევრს სხვა ქვეყნის სკოლებთან პარტნიორობაში.

გლობალური პარტიოროპობის დამყარების შესაძლო აქტივობებია:

- დაუკავშირდით სხვა ქვეყნების სკოლებს და შეთანხმდით პარტნიორობაზე. ერთად დაგეგმეთ პროექტები და გაუზიარეთ გამოცდილებები.
- სხვა ქვეყნის სკოლებთან ერთად განახორციელეთ საერთო პროექტები.
- ჩაატარეთ ერთობლივი ტრენინგები მასწავლებელთათვის, ერთმანეთს გაუზიარეთ გამოცდილებები.

- ჩაატარეთ მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენციები და სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვიეთ მასწავლებლები და მოსწავლეები. შესაძლოა, სხვა ქვეყანაში გამგზავრება ვერ შეძლოთ, ამიტომ კარგი იქნება ინტერნეტ/ონლაინ კონფერენციის მოწყობა (Amnesty...2012).

ამრიგად, დემოკრატიული სკოლა უნდა ზრუნავდეს პირველ რიგში, ამავე სკოლის საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარებაზე, შემდეგ კი ადგილობრივი და გლობალური პარტნიორების მოზიდვაზე, საერთო პროექტების განხორციელებაზე. სწორედ ასეთი ურთიერთობები უწყობს ხელს მოსწავლეებში დემოკრატიული უნარ-ჩვევების განვითარებას და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაფასებას.

§4. კურიკულუმი

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, ენერგიის ჭარბი გამოყენება, კლიმატური ცვლილებები, გლობალური მობილობა, შიმშილი, მიგრაცია, საერთაშორისო კონფლიქტები, ომები, ტერორიზმი და ა.შ., საჭიროა მომავალი მოქალაქის ძირითადი კომპეტენციების ხელახალი განსაზღვრა, მათი სასკოლო კურიკულუმში ტრანსფორმირება და დანერგვა/განვითარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე სამყარო მოითხოვს სასკოლო კურიკულუმის სოციალიზაციას და ლიბერალიზაციას.

სასკოლო კურიკულუმი არის თანმიმდევრული, ორგანიზებული ინსტრუქციების და გამოცდილებების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება იმ იდეების, კონცეფციების, პრინციპების, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას მოსწავლეებში, რასაც მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

კურიკულუმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სირბილს, მოძრაობას, შეჯიბრებას. გამოყოფენ მის შემდეგ სახეობებს:

- ✓ პირდაპირი კურიკულუმი - სავალდებულო საგნები, რომლებიც სკოლის მისიის მიხედვით განსაზღვრული ცოდნის და უნარების ასათვისებლად ისწავლება.
- ✓ ირიბი კურიკულუმი - გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობს სკოლის კულტურიდან, ამ კულტურის ქცევების, დამოკიდებულებების და მოლოდინის მიხედვით.
- ✓ ფარული კურიკულუმი - მოიცავს სკოლის ფიზიკურ და ემოციურ გარემოს, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების კულტურას.
- ✓ არასავალდებულო კურიკულუმი - თემები და საკითხები, რომლებიც ამოღებულია კურიკულუმიდან.
- ✓ დამატებითი აქტივობები - სკოლის მიერ დაფინანსებული დამატებითი აქტივობები, პროგრამები, პროექტები, თეატრალური, სპორტული თუ სხვადასხვა მიმართულების ჯგუფების კლუბები.

კურიკულუმის სოციალიზაცია და ლიბერალიზაცია ნიშნავს მოსწავლის გათავისუფლებას ვიწრო და შეზღუდული აზროვნებისაგან და ტრადიციების მიჯნაზე ახალი შესაძლებლობებისათვის გზის მიცემას, მისი ნიჭის და შესაძლებლობების ჰუმანიზაციას და დემოკრატიზაციას, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციების გაცნობას და ამ ტრადიციების გაგრძელების შესახებ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადებას, მოსწავლეებისთვის თანაცხოვრების და საერთო სამსახურში ყოფნის სწავლებას.

სოციალური და ლიბერალური კურიკულუმის მთავარი საკითხია აქტიური და დემოკრატი მოქალაქის აღზრდა, შესაბამისად, ასეთი კურიკულუმის ძირითადი მიზნებია, მოსწავლეებმა გაიგონ და დააფასონ შემდეგი:

- დემოკრატიის ძირითადი პრინციპები;
- მოქალაქის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები და პასუხისმგებლობები;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- ყველანაირი განსხვავებულობა (კულტურული, რასობრივი, სქესობრივი და რელიგიური), რომელიც არსებობს როგორც ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში;
- მოხალისე და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქცია და საქმიანობა.
- მედიის როლი პიროვნულ და სოციალურ ცხოვრებაში;
- იცოდნენ საზოგადოებრივი პრობლემები, მიმდინარე მოვლენები ეროვნულ და გლობალურ საზოგადოებაში;
- მონაწილეობის/ჩართულობის ფორმები;
- საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობა;
- დემოკრატიული ღირებულებები და დამოკიდებულებები, კერძოდ, სხვისი უფლებების და კეთილდღეობის დაფასება, სოციალური პასუხისმგებლობა, ტოლერანტობა, განსხვავებულობის/მრავალფეროვნების დაფასება, ადამიანთა უფლებების და კანონის დაცვა, მშვიდობის და დემოკრატიის რწმენა.

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:

- ღია და კრიტიკული აზროვნება;
- ინფორმაციის მიღება სხვადასხვა წყაროიდან, მისი კრიტიკული შეფასება, კრიტიკული ფიქრი, კრიტიკულ შეფასებებზე დაყრდნობით პრობლემების გადაჭრა, დიალოგში მონაწილეობა მიღება.
- პოლიტიკური მოქმედება, პრობლემების ჯგუფური გადაჭრა, სახალხო საუბარი, პროტესტი, ხმის მიცემა;
- საზოგადოებაში ჩართულობა;
- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

კურიკულუმის სოციალიზაციის და ლიბერალიზაციის საჭიროების შესახებ დავა იწყება ანტიკური პერიოდიდან, რომლის სათავეებთან დგანან უდიდესი სწავლულები: ძველი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი, არისტოტელე, ქრისტიანული სამყაროს განათლების ფილოსოფოსები: წმინდა აუგუსტინი და ჯონ ამოს კომენიუსი.

ჯონ დიუი ამტკიცებს, რომ კარგი მოქალაქეობა უფრო მეტია, ვიდრე სრულყოფილი, ქმედითუნარიანი, კვალიფიციური ადამიანი. მოსწავლე არის დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოების წევრი, ამიტომ კურიკულუმი მიზნად უნდა ისახავდეს როგორც ლიდერობის, ისე მორჩილების სწავლებას. მოსწავლეებს თვითმმართველობაც უნდა შეეძლოთ და სხვისი მართვაც, ასევე ადმინისტრირებაც, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაც. ჯ. დიუი მიიჩნევს, რომ ყოვედღიურად განვითარებად სამყაროში შეუძლებელია კურიკულუმი მიზნად უნდა ისახავდეს, ასწავლოს მოსწავლეებს რომელიმე კონკრეტული ცხოვრების წესი, აღზარდოს ისეთი მოქალაქე, რომელიც მუდმივი ცვლილებების ფონზე შეძლებს არა მარტო საკუთარი თავის ადაპტირებას, ამ ცვლილებების მართვას და განხორციელებასაც (დიუი 1909: 11).

ჯ. დიუის აზრით, სასწავლო კურსის ვალიდურობის შეფასების აუცილებელი საზომია სოციალური და დემოკრატიული კრიტერიუმები, ასეთი სასწავლო კურსი არ არის შედეგზე ორიენტირებული. ის ამტკიცებს, რომ სასკოლო საგნები: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა თუ სხვა უნდა ისწავლებოდეს სოციოლოგიური გადასახედიდან. ჯ. დიუის მოსაზრებით, მდინარეები, ტბები, მთები არა

ფიზიკური, არამედ სოციალურია, ადამიანთა ურთიერთობებისთვის მოდიფიცირების და მიმართულების მიმცემია. თუ ისტორიას, როგორც წარსულს ვასწავლით, მაშინ მოსწავლეთა მოტივაციაც დაბალი იქნება. „ისტორიის სწავლების ეთიკური ღირებულება წარსული ფაქტების შესწავლით ახლანდელის გაგებაა“ - ამბობს დიუი (დიუი 1909: 7).

ჯ. დიუი ნაშრომში „ბავშვი და კურიკულუმი“ (The child and the curriculum, 1902) აღწერს მოსწავლეების პირად ინტერესებსა და კურიკულუმს შორის არსებულ სიცარიელეს: „ბავშვი ცხოვრობს პირადი კავშირების ვიწრო სამყაროში, ის ძნელად იგებს იმას, რასაც ვერ ეხება და აშკარად ვერ ხედავს. მისი სამყარო მოიცავს პირად ინტერესებს და არა სახელმწიფო ფაქტებსა და კანონებს. სკოლაში ბავშვს მოსწყვეტენ ხოლმე მისთვის ნაცნობ ფიზიკურ გარემოს და გადაჰყავთ ფართო სივრცეში, ზოგჯერ კოსმოსშიც კი“ - ამბობს ჯ. დიუი (დიუი 1902 : 8-10).

ჯ. დიუი გამოყოფს ბავშვსა და კურიკულუმს შორის არსებულ სამ უმთავრეს წინააღმდეგობას:

1. ბავშვის პირად, ვიწრო სამყარო სივრცესა და დროში გაშლილ უსასრულო სამყაროს შორის;
2. ბავშვის სამყაროს, როგორც მთლიანის აღქმას და დანაწევრებულ, სპეციალიზებულ კურიკულუმს შორის;
3. ბავშვის ემოციური და პრაქტიკული ცხოვრების ლოგიკური კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აბსტრაქტულ პრინციპს შორის.

პაულო ფრეირი „ჩაგრულთა პედაგოგიკაში“ ამტკიცებს კურიკულუმის ჰუმანიზაციის აუცილებლობას. მისი აზრით, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსწავლეთა გათავისუფლება მონური და ჩაგრული ცხოვრებისაგან, მათში მაღალი თვითშეფასების განვითარება, დიალოგის, კრიტიკული მსჯელობის და შემოქმედებითი უნარების გამომუშავება, მოსწავლეთა სამყაროსთან და ერთმანეთთან დაკავშირება.

ფრეირის აზრით, კურიკულუმი მიზნად ისახავს დიალოგის წარმართვას მოსწავლეებთან, რომლის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებია: კრიტიკული აზროვნება, წარმატების მიღწევის იმედი, ნდობა, სიყვარული, მოკრძალება და რწმენა.

ფრეირი მოითხოვს თემატურ სწავლაზე გადასვლას, სადაც თემები არ უნდა იყოს „იზოლირებული, დამოუკიდებელი ან სტატიკური“. ისინი ყოველთვის დიალექტიკურ კავშირში უნდა იყოს საპირისპირო თემებთან“. თემატური კვლევა „მკვლევრებისგან მოითხოვს, აღმოაჩინონ პრობლემების ურთიერთშეღწევადობა, რაც აზრობრივი თემები უკავშირდება ერთმანეთს (ფრეირი, 2005: 72 -78).

ჩვენ ვეთანხმებით ფრეირს და ვთვლით, რომ სასკოლო საგნები უნდა გადავაქციოთ სასკოლო თემებად, ანუ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა შეარჩიონ საკვლევი თემა და ერთად იკვლიონ არა მარტო ერთი რომელიმე კუთხით, არამედ ყოველმხრივ, ყოველ გარემოში, ეპოქალური ცვლილებების ჭრილში.

„მე არ შემიძლია ფიქრი სხვების ნაცვლად ან სხვების გარეშე და არც სხვებს შეუძლიათ ფიქრი ჩემს ნაცვლად,“ - ამბობს ფრეირი. დღეს ჩვენ მოსწავლეებს ვაწვდით მზა ინფორმაციას, ისინი სწავლობენ თხრობით და წარმოადგენენ. ასეთი მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს თავისუფალი, დემოკრატი მოქალაქის ჩამოყალიბებას. გამოდის, რომ ვიღაცამ იფიქრა მოსწავლის ნაცვლად, მოიძია ინფორმაცია, მიაწოდა და მოსწავლემ უბრალოდ დაიმახსოვრა, რაც ხშირ შემთხვევაში, მალე ავიწყდება.. ამის სანაცვლოდ „მასწავლებელმა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლენილ თემატურ სამყაროზე მუშაობს, ეს სამყარო ხელახლა უნდა წარუდგინოს ხალხს, რომლისგანაც თავად მიიღო ის, თანაც ეს წარდგენა ლექციის კი არა, პრობლემის დასმის ხასიათს უნდა ატარებდეს“ (ფრეირი, 2005: 80).

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავებული კურიკულუმის რეალურ სამყაროსთან დაკავშირების რეკომენდაციების მიხედვით მნიშვნელოვანია საკვლევი საკითხების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა და მათ გამოცდილებებთან დაკავშირება; უნდა შეირჩეს აქტუალური პრობლემები, მაგალითად, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობას, რასიზმს, სიღარიბეს და ა.შ; მოსწავლეები უნდა ჩავრთოთ რეალურ სამყაროში, რათა ეს სამყარო შევცვალოთ, ასევე საჭიროა ისეთი მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს დიალოგის კულტურის, ფიქრის, ფინანსური მართვის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, პოლიტიკურ მმართველობაში აქტიური მონაწილეობის მიღების, საოჯახო ცხოვრების წარმართვის, კულინარიისა და

კვების ჰიგიენის, 21-ე საუკუნეში საჭირო ტექნიკის მოხმარებისა და თუ სხვა უნარ-ჩვევების განვითარებას.

ბირმინგემის უნივერსიტეტის საერთაშორისო განათლების ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორმა კლივ ჰარბერმა და დოქტორმა ბერნარდ ტრაფორდმა (1999) დაადგინეს, რომ მოსწავლეების სასწავლო პროგრამის შედგენაში ჩართულობამ უკეთესი სასწავლო შედეგები განაპირობა. ტაივანში ზოგიერთმა სკოლამ მშობლებს უფლება მისცა, დაესწრონ სასწავლო პროგრამის განხილვას და გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩაერთონ. ამან შედეგები კიდევ უფრო გააუმჯობესეს (Lo…2008). ყოველივე ამის რეალობაში განხორციელება საკმაოდ ძნელია, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ქვეყნებში. მაგალითად, ესტონეთში სკოლებს მათთვის სასურველი სასწავლო პროგრამის არჩევა შეუძლიათ, მაგრამ მშობლებიც და სკოლებიც ორმხრივი თანამშრომლობისთვის მზად არ არიან. ამის უმთავრესი მიზეზი ისიცაა, რომ მათ წარსულში მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ (Stevick, 2009).

ამგვარად, საჭიროა სასწავლო პროგრამების, კურუკულუმის შინაარსის, მისი მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების და სწავლების მეთოდებისა თუ მიდგომების ხელახალი გადახედვა და მისი რეალურ სამყაროსთან, მოსწავლეთა ინტერესებთან, გამოცდილებებთან დაკავშირება, მისი სოციალიზაცია - დემოკრატიზაცია. სწორედ სასწავლო პროგრამის და კურუკულუმის მოსწავლეთა რეალურ სამყაროსთან დაკავშირება არის სასკოლო განათლების წარმატების გარანტი.

IV თავი

ემპირიული კვლევა - თანამედროვე ქართული სკოლები დემოკრატიული მმართველობის ჭრილში

ზემოთ მოყვანილმა თეორიულმა განხილვამ და სკოლის დემოკრატიული მმართველობის სფეროებისა და პრინციპების შესწავლამ ჩვენში გამოიწვია ინტერესი, გამოგვეკვლია, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში სკოლის დემოკრატიული მმართველობის თვალსაზრისით. ამ თავში განხილულია კვლევის ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია, მეთოდები, შერჩევა და ემპირიული კვლევის შედეგები, რასაც მოსდევს შედეგების ინტერპრეტაცია, იმის ახსნა-განმარტება, თუ რა კავშირი აქვს მოპოვებულ ინფორმაციას დისერტაციის დასაწყისში დასახულ მიზნებთან.

კვლევის ონტოლოგია

თავდაპირველად აუცილებელია, განვმარტოთ, თუ რა არის ონტოლოგია და რა გავლენას ახდენს კვლევის ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაზე. როგორც ფრამინგამის (მასაჩუსეტსის) სახელმწიფო უნივერისტეტის ფილოსოფიის დოქტორი მარკ ნიკოლასი და ჯეიმს მედისონის უნივერსიტეტის ფსოქოლოგიის ასისტენტ პროფესორი ჯონ ჰათქოთი (2014) აღნიშნავენ, ონტოლოგია კონკრეტული რეალობის არსის გაგებისთვის გამოიყენება. მისი რეალისტური პერსპექტივა ამტკიცებს, რომ რეალობა ადამიანის გონებისგან დამოუკიდებლად არსებობს და განმაპირობებელი კანონებითა და მექანიზმებით იმართება. იმის მიუხედავად, რომ რეალიზმისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია, ძირითადი შეხედულებით მოვლენების მსვლელობისას რეალობა პირდაპირი დაკვირვებით აღიქმება.

მ. ნიკოლასისა და ჯ. ჰათქოთის (2014) მიხედვით, რელევანტური ონტოლოგიური თვალსაზრისით რეალობას ის ქმნის, ვინც მას განიცდის. ეს განაპირობებს „რეალობების“ უნიკალურ ხასიათს, რაც სიტუაციის არსის ინდივიდუალური განცდის შედეგად წარმოიშობა. ინდივიდის გარემოზე დაკვირვებით და მისი შემდგომი რეაქციით შეძენილი გამოცდილება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მდგომარეობაზე. ამ მიდგომის მიხედვით,

მკვლევრის როლია, ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს კონსტრუქციული რეალობა ადამიანის ცნობიერებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ რელევანტური ონტოლოგიური პერსპექტივა მნიშვნელოვნად შეესაბამება განათლების სფეროს, სკოლის დემოკრატიული მმართველობის მდგომარეობის შესწავლისთვის სწორედ ეს მიდგომა ავირჩიეთ.

დემოკრატიული სკოლის მმართველობის მდგომარეობის შესასწავლად საჭიროა მონაწილეების ძირითად აღქმათა, აზრებისა და რწმენის გაგება. მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი სრული სურათის წარმოჩენა.

კვლევის ეპისტემოლოგია

ეპისტომოლოგია ფართო გაგებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოდნის ძიება (Walton..2013). უინსორის უნივერისტეტის პროფესორი დუგლას ვალტონი და ჩინეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამართლის უნივერისტეტის პროფესორი ნანინგ ზენგი (2013) აღნიშნავენ, რომ მეცნიერება არის „სისტემატიზებული ცოდნა, რომელიც საკვლევი პრინციპების არსის გაგების მიზნით შესრულებული დაკვირვებიდან, კვლევიდან და ექსპერიმენტირებიდან გამომდინარეობს“ (Walton..: 176). ისინი თვლიან, რომ სამეცნიერო ფაქტის ნამდვილობის ძიება მიმდინარე პროცესია და ხშირ შემთხვევაში დაუსრულებლად გრძელდება, ვიდრე კონკრეტული საკითხის კვლევაში ჩართული მხარეები საბოლოოდ არ შეთანხმდებიან. სამეცნიერო ეპისტემოლოგიური მიდგომის მიზანია შემდგომი სისტემატიური ანალიზისა და დაკვირვებისათვის ან გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე საბოლოო დასკვნების დასადგენად რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეკრიბოს.

საქართველოში არსებული სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოცდილების და ამ დროისთვის სასკოლო მმართველობებში დემოკრატიული პრინციპების არსებული დონის განსასაზღვრად კვლევის ამოსავალია საბაზისო ეპისტემოლოგიური მიდგომა. შესაბამისად, შევეცადეთ დაგვედგინა საქართველოს სკოლების ამჟამინდელი მდგომარეობა მისი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

ანალიტიკური მეთოდები, გამოკითხვები, ღია კითხვარების მონაცემების დამუშავება საქართველოში დემოკრატიული სასკოლო მმართველობის მდგომარეობის ნაწილობრივ სურათს წარმოაჩენს.

კვლევაში გამოვიყენეთ ინტერპრეტიული მიდგომა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეკვლია და აღგვეწერა, თუ რას ფიქრობენ სასკოლო საზოგადოების წევრები ქართულ სკოლებში დემოკრატიული მმათველობის პრინციპების შემოღებაზე და რა შემაფერხებელ ფაქტორებს ხედავენ ისინი.

კვლევის აქტუალობა

დღევანდელი მდგომარეობით სკოლის მმართველობის პედაგოგიური სისტემა ძირითადად ხასიათდება ავტოკრატული ორიენტაციით, რაც პედაგოგისა და მოსწავლის, როგორც პიროვნების შემოქმედებითი თვითმმართველობის დაკნინებას იწვევს. ეს არ ეთანხმება თანამედროვე ეპოქის საერთო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს. საბაზრო პრიორიტეტები მოითხოვს, პიროვნებას განუვითარდეს შემდეგი სოციალური თვისებები: საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა, ინიციატივა, შემოქმედებითობა, ინდივიდუალური თავისუფლება და პასუხისმგებლობა, გაიზარდოს პედაგოგთა და მასწავლებელთა პირადი წარმარტებების მნიშვნელობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭირო ხდება ისეთი ემპირიული მასალის მოპოვება, რომლებიც სწორ წარმოდგენას შეგვიქმნის საქართველოს სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა, სკოლის ადმინისტრაციის და მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულებებზე, განწყობებისა და პრაქტიკულ გამოცდილებებზე სკოლის დემოკრატიული მმართველობის მიმართ.

მეთოდოლოგია და მეთოდები

საკვლევი საკითხის ფართოდ გაანალიზების მიზნით გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ, გავაერთიანეთ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები. ნებრასკას უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის პროფესორი ქრესველი (2009) მიიჩნევს, რომ როდესაც თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციები ერთდროულად გროვდება და თანაბრად განიხილება, შედეგებიდან ყველაზე რეალური თეორიები წარმოიშობა (Creswell, 2009).

იმის მიუხედავად, რომ თვისებრივი ინფორმაცია ციფრებით არ იყო გამოსახული, მოვახდინეთ მისი რაოდენობრივ ფორმაში გადატანა და გამოკითხვის პასუხების კოდირება. გამოვთვალეთ ღია კითხვების პასუხებში რამდენჯერ აისახა ერთი და იგივე თემა. რაოდენობრივი კვლევით მიღებული მონაცემები თვისებრივი კვლევის ნაწილს შევუდარეთ. დადასტურდა კვლევაში მოცემული ინფორმაციის ნამდვილობა.

ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, საკვლევი თემა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

კვლევის პირველი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება სკოლის დემოკრატიული მმართველობის საწყისებს საქართველოში, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დადგენას:

- არის თუ არა დემოკრატიული მმართველობის საწყისები საქართველოს სკოლებში და რით გამოიხატება ეს;
- სკოლის მმართველობაში მონაწილეობენ თუ არა მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები;
- სკოლაში ეწყობა თუ არა დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის ხელისშემწყობი ღონისძიებები;
- ისწავლება თუ არა ადამიანთა უფლებები და არღვევენ თუ არა მათ;
- სკოლაში არის თუ არა მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა/მასწავლებელთა საბჭოები და რამდენად აქტიურად არის სკოლის საზოგადოება მასში ჩართული;
- არის თუ არა სკოლაში უსაფრთხო გარემო, სადაც ყველა მოსწავლე თანასწორუფლებიანია და არ ხდება მათი დისკრიმინაცია;
- სკოლაში არის თუ არა მეგობრული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

კვლევის მეორე ნაწილი უკავშირდება სკოლის დემოკრატიული მმართველობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და შეხედულებების დადგენას, რაც თავისთავად მოიცავს შემდეგს:

- რას ფიქრობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები სკოლის ავტოკრატიული მმართველობიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის შესახებ;
- რა აზრის არიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები მოსწავლეთა ჩართვაზე სკოლის სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების შედგენაში, სკოლის მმართველობაში, სკოლის წესებისა და კანონების შედგენაში, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეფასებაში.

შერჩევა

რესპონდენტები განსაკუთრებული წესით არ შეგვირჩევია. გამოვიყენეთ ხელმისაწვდომი მეთოდი, რადგანაც ის შერჩევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, სადაც არ არის საჭირო მოსახლეობის კომპლექსური სიების გამოყენება და გაცილებით იაფიცაა. კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, ბევრ სკოლაში არ სურდათ გამოკითხვაში მონაწილეობა, ვფიქრობთ, შიშობდნენ, რომ მიღებული შედეგები მათ უარყოფით ხედვას წარმოაჩენდა და ეს იმის მიუხედავად, რომ აღვუთქვით ანონიმურობის დაცვა. შესაძლოა, დიდ როლს უნდობლობის ფაქტორიც თამაშობდა.

შერჩეული 10 სკოლიდან გამოკითხვას მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ექვსი სკოლა (ბათუმის 3 საჯარო და 1 კერძო სკოლა; ქუთაისის 1 კერძო სკოლა; ქობულეთის 1 საჯარო სკოლა) დათანხმდა. გამოიკითხა 105 მასწავლებელი, 123 მოსწავლე და 112 მშობელი.

კითხვარის დიზაინი და პროცედურები

მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები ადაპტირებულია ალბანეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (AMoES, 2009). ალბანეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კითხვარი შექმნეს დარგის ექსპერტებმა, რომლებიც ეძებდნენ კლასში ბავშვთა უფლებების დაცვის და დემოკრატიული საგანმანათლებლო პრაქტიკის გაუმჯობესების გზებს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დროს მივმართეთ კითხვარის ადაპტირება/რედაქტირებას. კითხვარში გამოყენებული იყო ფრენსის ლიკერტის

მიერ შემუშავებული სკალა, „ძალიან კარგად, კარგად, ცუდად, არ ვიცი“(AMoES, 2001: 2). როგორც ეკონომიკისა და მეცნიერების მენეჯმენტის მალაიზიელი მკვლევარი, დოქტორი სამარ რაჰი (University Sultan Zeinal Abidini, Economy and Science Management Research scholar) აღნიშნავს, ლიკერტის ტიპის სკალები გავრცელებული მეთოდია პირადი დაკვირვებებისა და დამოკიდებულებების გასაზომად (Rahi, 2017).

მასწავლებელთა კითხვარი 17 ღია შეკითხვას მოიცავდა. ისინი კვლევისთვის სპეციალურად შევიმუშავეთ. მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მსგავსად მასწავლებელთა კითხვარის მიზანი იყო სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიული მმართველობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

კვლევის ჰიპოთეზები

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და პედაგოგიური დაკვირვების საფუძველზე შემუშავდა რამდენიმე ზოგადი ჰიპოთეზა, რომელთა შემოწმებაც წინამდებარე კვლევით დავისახეთ მიზნად. კერძოდ, ვივარაუდეთ, რომ:

- საქართველოს ზოგიერთ სკოლას არ აქვს დემოკრატიული მმართველობის რეალური გამოცდილება;
- სასკოლო საზოგადოების ზოგიერთი წევრი არ იცნობს სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს და, შესაბამისად, ვერც პრაქტიკაში იყენებს;
- სკოლებში, ზოგადად, უსაფრთხო გარემოა, მაგრამ გვხვდება გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ითხოვს ღრმა კვლევას.

მონაცემთა დამუშავება

რაოდენობრივი კვლევა დამუშავდა SPSS 21 სტატისტიკური ანალიზის პროგრამით. ღია შეკითხვების პასუხები კატეგორიების გარკვეულ რაოდენობამდე იყო დაყვანილი. პასუხების გაანალიზების დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი თემა მეორდებოდა. თემებს მივანიჭეთ კოდები, როგორც კვლევის მნიშვნელოვან საკითხებს და როცა მათ პასუხებში ვხვდებოდით, პასუხებსაც შესაბამისი თემების კოდებით აღვნიშნავდით.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ზოგადი სურათის გარდა, გაიმიჯნა შემდეგი თემები:

1. ცოდნა/ინფორმირებულობა სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესახებ;
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მდგომარეობა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების მიხედვით;
3. სკოლის დემოკრატიული მმართველობის ახალი პრინციპების დამკვიდრების მიმართ სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება.

კვლევის ზოგადი სურათი

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არის დემოკრატიული მმართველობის საწყისები - გარკვეულწილად დაცულია ადამიანთა უფლებები, სკოლის ფიზიკური და სოციოემოციური გარემოს გაუმჯობესებისთვის გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, გარკვეული მცდელობებია სკოლის მმართველობაში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობისა, თუმცა გამოვლინდა სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრების უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორიც:

1. გამოკითხულ სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობა, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს, უმრავლესობა სკოლის მმართველობაში არ მონაწილეობს. დაკნინებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები. რაც თავისთავად ხელს უშლის სკოლაში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებას. მოსწავლე ჯერ კიდევ ავტორიტარული მმართველობის ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული. ყოველივე ეს კი მასში დამოუკიდებლობის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას აფერხებს;
2. გამოკითხულ სკოლის მმართველობაში რეალურად არ მონაწილეობენ მოსწავლეები და მშობლები. ეს იმის დასკვნის საფუძველს გვაძლევს, რომ საქართველოს ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ არის გათვალისწინებული დემოკრატიული მმართველობის პრინციპები;

3. ზოგიერთ მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს არა აქვს შესაბამისი ცოდნა და არც იმის შესახებ არის ინფორმირებული, თუ რა არის სინამდვილეში დემოკრატიული მმართველობა და როგორ უნდა იმართებოდეს სკოლა, როგორ შეიძლება მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში, გადაწყვეტილებების მიღებაში და ა.შ.;

4. ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიული მმართველობის სტილზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორი ისიცაა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას არ სჯერა მოსწავლეთა შესაძლებლობების, იმისა, რომ ისინი შეძლებენ სკოლის მმართველობაში მონაწილეობას, ვერც გაკვეთილის დაგეგმვას, შეფასებას მოახერხებენ და ვერც სხვა ხელისშემწყობი მომენტების გათვალისწინებას, რომლებზეც ნაშრომში გვაქვს საუბარი;

5. სკოლის მმართველობისადმი ტრადიციული მიდგომა და სტერეოტიპული დამოკიდებულება მოსწავლეებზეც აისახება. ზოგიერთ მოსწავლეს არა აქვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რწმენა იმისა, რომ შეძლებს სკოლის მმართველობაში აქტიურ მონაწილეობას. ისინი თვლიან, რომ ეს ძალიან რთული საქმეა და მათ არ ეხება. სინამდვილეში კი, სკოლის დემოკრატიზაციასა და სკოლის დემოკრატიულ მმართველობაზე თუ გვაქვს პრეტენზია, წარმოუდგენელია, ამ მმართველობაში მონაწილეობას არ იღებდნენ მოსწავლეები;

6. პრობლემა ისიცაა, რომ გამოკითხულ მოსწავლეებს არა აქვთ გააზრებული საკუთარი უფლება - მოვალეობანი. ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლაში მათ წესებს დირექტორი უწესებს, შესაბამისად, ხშირია მოვალეობების დარღვევა, რადგანაც ამ მოვალეობების მიღებასა და დამტკიცებაში მოსწავლეებს მონაწილეობა არ მიუღიათ;

7. კვლევაში ჩართულ სკოლებში ნაკლებად ისწავლება ცხოვრება, მოსწავლეებს ნაკლებად უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სასკოლო განათლება ნაკლებად ემსახურება მოსწავლეების „გათავისუფლებას“ და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

8. სასწავლო მასალა, სწავლების მეთოდები და მიდგომა არაა დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან და მოსწავლეებს რეალურ გამოცდილებებს ვერ აძლევს.

შედეგების განხილვა

1. **ცოდნა/ინფორმირებულობა სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესახებ.**

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის საზოგადოების წევრებს არ აქვთ გაცნობიერებული, თუ სინამდვილეში რა არის სკოლის დემოკრატიული მმართველობა და როგორ შეიძლება ჩაერთონ ამ მმართველობაში. ამის ნათელი დასტურია ის, რომ შეკითხვაზე - მონაწილეობთ თუ არა სკოლის მმართველობაში მოსწავლეთა უმრავლესობა (74,8%) უარყოფითად პასუხობს (იხ. ცხრილი №1), ხოლო ამის საპირისპიროდ, დემოკრატიულ მმართველობას ადასტურებენ, მაგრამ ღია შეკითხვებზე პასუხებში მაგალითებს ვერ ასახელებენ ან ძირითადად მოჰყავთ არგუმენტი, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი (იხ. ცხრილი № 2). სინამდვილეში, სკოლის დემოკრატიული მმართველობა მხოლოდ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვით არ შემოიფარგლება.

ცხრილი №1. მონაწილეობთ თუ არა სკოლის მმართველობაში? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	27	22,0
	არა	92	74,8
	სულ	119	96,7
სისტემური	გამოტოვება	4	3,3
სულ		123	100,0

ცხრილი № 2. არის თუ არა თქვენს სკოლაში დემოკრატიული მმართველობა? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი, მაგრამ ვერ ასახელებს მაგალითებს	17	13,8
	კი, მოჰყავს მწირი მაგალითები	56	45,5
	არა	26	21,1
	არ ვიცი	10	8,1
	სულ	109	88,6
სისტემური	გამოტოვება	14	11,4
სულ		123	100,0

თვისებრივი კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეებმა ისიც კი არ იციან, აქვთ თუ არა სკოლის მმართველობაში მონაწილეობის უფლება. ზოგიერთი მოსწავლე წერს: *,,სკოლის მმართველობაში მონაწილეობის მიღება არ შედის მოსწავლეთა უფლებებში, შესაბამისად, არ ვმონაწილეობთ“.*

დავინტერესდით, გაგვერკვია, თუ რამდენად ინფორმირებული არიან მასწავლებლები სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებში. მათი განმარტებები ასეთია:

„როდესაც ადამიანი გრძნობს პიროვნულ თავისუფლებას, არ იზღუდება არც თანამდებობრივად მასზე მაღლა მდგომი პირისა და არც თანასწორი პოზიციიდან. როდესაც ფიქრობ, ცხოვრობ, საქმიანობ, საუბრობ ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და შენი ქმედებით არ აზარალებ სხვებს“.

„ადამიანს აქვს არჩევანის უფლება. სკოლის დემოკრატიული მმართველობა ნიშნავს, რომ ჩემს საგანში არ მაქვს შეზღუდვები, ნებისმიერ გზას ვიყენებ შედეგზე გასასვლელად“.

„სკოლის დემოკრატიული მმართველობა, ჩემი აზრით, არის, როცა სკოლის მასწავლებლები და ბავშვები თავისუფლად და თანაბრად არიან. ორივე თანაბარი და თავისუფალია მმართველობაში“.

„დემოკრატიული მმართველობაა, როცა სკოლის ადმინისტრაცია ითვალისწინებს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობლეთა მოთხოვნებს“.

,,სკოლას არ მართავს ერთი ადამიანი. სკოლას მართავს თითოეული მისი წევრი. თუ ქვეყანაში არ არის დემოკრატიული მმართველობა, მაშინ სკოლა ვერ იქნება დემოკრატიული“.

კითხვებს, თუ რა უნდა გაკეთდეს სკოლაში იმისათვის, რომ სკოლის კლიმატი შეიცვალოს უკეთესობისაკენ და არ დაირღვეს ბავშვთა უფლებები; რა აქტივობები უნდა დაიგეგმოს სკოლაში, რათა სკოლა გახდეს უფრო დემოკრატიული ადგილი, სადაც იცავენ ბავშვთა უფლებებს,- მშობელთა უმრავლესობა უპასუხოდ ტოვებს, ხოლო 22 მშობლის პასუხი კი, შეხედულებების მიხედვით, ტენდენციურად შემდეგია:

- ✓ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მეტი უფლება, დამოუკიდებლად აირჩიოს სასწავლო საგანი - თავისი ნიჭის და მიდრეკილებების მიხედვით;
- ✓ სკოლაში უნდა იცავდნენ სკოლის წესებს;
- ✓ სკოლაში უნდა მუშაობდნენ კომპეტენტური მასწავლებელები;
- ✓ სკოლაში დაცული უნდა იყოს ბავშვთა უფლებები, მოსწავლეებს არ უნდა მიაყენონ შეურაცხყოფა;
- ✓ სკოლაში მანდატურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვები არ დაიჩაგრონ;
- ✓ სკოლაში უნდა იყოს მორიგე მასწავლებელი, რომელიც გააკონტროლებს ბავშვთა უფლებების დაცვას;
- ✓ სკოლა უნდა გარემონტდეს;
- ✓ სკოლაში უნდა შეიქმნას საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოსწავლეებს ასევე მათ მშობლებს, ბავშვთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სრულ ინფორმაციას მიაწოდებს.

- ✓ სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა ჩატარდეს სასკლასო, სასკოლო და სკოლის გარე ღონისძიებები, სემინარები, დისკუსიები, ტრენინგები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ხელმძღვანელები და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები;
- ✓ მოსწავლეები ჩართული უნდა იყვნენ სკოლის მართვაში;
- ✓ სკოლაში უნდა შეიქმნას პატარა ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს ბავშვთა უფლებების დაცვაზე;
- ✓ სკოლას უნდა მიეცეს მეტი დამოუკიდებლობა;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგებს უნდა მიეცეს მეტი სახელფასო ანაზღაურება და შემცირდეს მასწავლებელთა სამუშაო განაკვეთი;
- ✓ სადამრიგებლო საათისთვის პედაგოგების დანამატი უნდა გაიზარდოს;
- ✓ სკოლაში უნდა ეწყობოდეს სხვადასხვა სპორტული აქტივობები;
- ✓ მოსწავლეები უნდა იღებდნენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს ნარკოტიკების, სიგარეტის, ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესახებ.

აღნიშნული პასუხებიდან თვალსაჩინოდ იკვეთება, რომ გამოკითხულ მშობელთა დაახლოებით 24%-ს გარკვეული წარმოდგენები აქვს სკოლის დემოკრატიული მმართველობის შესახებ, ხოლო დანარჩენ ნაწილს, თითქმის 76%-ს ან არა აქვს სურვილი კითხვას უპასუხოს, ან არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას სკოლის დემოკრატიზაციის ხელშეწყობის შესაძლო აქტივობების შესახებ. ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ, მშობელთა სკოლის შექმნას, სადაც მოხდება მათი გადამზადება, დატრენინგება და ინფორმირება.

შეკითხვაზე, **რა პრინციპებით უნდა იმართებოდეს სკოლა და ვინ უნდა მართავდეს მას,** მასწავლებელთა აზრი სხვადასხვაგვარია:

„თანამედროვე სკოლა უნდა იმართებოდეს დემოკრატიული პრინციპებით. დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, თანასწორობა, ტოლერანტობა. სკოლას უნდა მართავდეს სამეურვეო საბჭო, რომელსაც კონტროლს უნდა უწევდეს პედაგოგიური საბჭო და <u>არჩეული და არა დანიშნული დირექტორი“.</u>

„სკოლაში უნდა იყოს დემოკრატიული მმართველობა. საკითხები უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს გუნდურობის და თანამშრომლობის პრინციპით. სკოლას უნდა მართავდეს მცოდნე, გამოცდილი დირექტორი. ის, უპირველესად, უნდა იყოს სამართლიანი და კარგი მენეჯერი. <u>სკოლებში უნდა შეიცვალოს საბჭოს მუშაობის პრინციპი“</u>

„სკოლა უნდა იმართებოდეს დემოკრატიულად, სადაც დაცულია ყველას უფლებები“.

„სკოლის მართვის პრინციპები, ვფიქრობ, ყველასთვის ერთნაირი არ უნდა იყოს. განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის სკოლები. სკოლას უნდა მართავდეს მცოდნე და ენერგიული მენეჯერი <u>მოქმედ</u> სამეურვეო საბჭოსთან ერთად. „მოქმედში“ ვგულისხმობ დაინტერესებული და მიუკერძოებელი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობას, რომელიც ობიექტურად ჩაერთვება სკოლის მართვაში“.

„სკოლას დემოკრატიული აღზრდის პრინციპებით უნდა მართავდეს კომპეტენტური მასწავლებლებისგან შემდგარი რამდენიმეკაციანი ჯგუფი“.

„სკოლას უნდა მართავდეს ის, ვისაც უმუშავია სკოლაში და იცის სკოლაში არსებული პრობლემები“.

„სკოლა უნდა იმართებოდეს დემოკრატიული პრინციპებით, <u>სკოლას უნდა მართავდეს დირექტორი“.</u>

ზემოთ მოყვანილი მასწავლებელთა პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლებმა იციან, რომ სკოლა დემოკრატიული პრიბციპებით უნდა იმართებოდეს, მაგრამ ნაკლები წარმოდგენა აქვთ ამ პრინციპების შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ სკოლას უნდა მართავდეს დირექტორი და პედაგოგები, კომპეტენტური პირები. ისინი არაფერს ამბობენ მოსწავლეთა და მშობლეთა აქტიურ ჩართულობაზე. იმის მიუხედავად, რომ მასწავლებელთა აზრით, მოსწავლე ან მშობელი ამ შემთხვევაში შეიძლება არაკომპეტენტური პირები აღმოჩნდნენ, მათ აქვთ მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება. ამიტომ საჭიროა დაინერგოს გრელვადიანი კურსი/ტრენინგი სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების და მეთოდების შესახებ, სადაც მოწვეული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები ერთად და განიხილავენ მათი სკოლისათვის შესაფერის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს და მეთოდებს,

შეიმუშავებენ სკოლის წესებსა და რეგულაციებს და ა.შ. რაზეც უფრო ვრცლად გვაქვს დისერტაციის ყოველ თავსა და პარაგრაფში საუბარი.

კითხვაზე, ,,რას ნიშნავს სკოლის დემოკრატიული მმართველობა, რა კავშირი აქვს ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობასა და სკოლის დემოკრატიულ მმართველობას?“ მასწავლებლები ძირითადად არ პასუხობენ. წარმოგიდგენთ ზოგიერთი მათგანის პასუხებს:

„დემოკრატია სიტყვის თავისუფლებაა. სკოლას არ მართავს ერთი ადამიანი, სკოლას მართავს თითოეული მისი წევრი. თუ ქვეყანაში არ არის დემოკრატიული მმართველობა, მაშინ სკოლა ვერ იქნება დემოკრატიული“.

„როდესაც ადამიანი გრძნობს პიროვნულ თავისუფლებას, არ იზღუდება არც თანამდებობრივად მასზე მაღლა მდგომი პირისგან და არც თანასწორი პოზიციიდან. როდესაც ფიქრობ, ცხოვრობ, საქმიანობ, საუბრობ ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და შენი ქმედებით არ აზიანებ სხვებს“.

დემოკრატიულ სკოლაში გაკვეთილებიც დემოკრატიული პრინციპების დაცვით უნდა ტარდებოდეს. სიტუაციის გასარკვევად მასწავლებლებს ვკითხეთ, თუ როგორ წარმოუდგენიათ „დემოკრატიული გაკვეთილი.“ ამ კითხვას უმეტესობა უპასუხოდ ტოვებს. წარმოგიდგენთ რამდენიმე მასწავლებლის აზრს:

„დემოკრატიული გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლის ინტერესებზე აგებული, თითოეული მოსწავლის პასუხი მისაღებია“.

„ინფორმაციის სიღრმისეულ გაგებას უნდა მოიაზრებდეს და მოსწავლე უნდა მსჯელობდეს, საკუთარ აზრს თავისუფლად გამოხატავდეს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მისი მოსაზრება ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს“.

როგორც ვხედავთ, სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ცოდნა ზერელე და ბუნდოვანია, მოსწავლეებს კი ამის თაობაზე წარმოდგენაც არა აქვთ. რაც შეეხება მასწავლებლებსა და მშობლებს, მათი ცოდნა/ინფორმირებულობა მწირია და მოკლებულია პრაქტიკულ გამოცდილებას.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მდგომარეობა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების მიხედვით.

დემოკრატიული მმართველობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, სკოლის მმართველობაში ჩართული იყოს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. დავინტერესდით, ამ მხრივ როგორია მოსწავლეების და მშობლების ჩართულობა, რადგანაც მასწავლებლები სკოლის მმართველობაში ასე თუ ისე მონაწილეობენ, ჩართული არიან სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ადგენენ სასწავლო გეგმებს, ატარებენ გაკვეთილებს და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში სკოლებს, ძირითადად, დირექტორები მართავენ, პედაგოგიურ საქმიანობას კი მასწავლებელი ერთპიროვნულად განახორციელებს (მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის გარეშე).

განვიხილოთ საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობა. მოსწავლეთა თვითმმართველობა უდიდეს როლს უნდა თამაშობდეს სკოლაში დემოკრატიული პროცესების წარმართვასა და განვითარებაში. სკოლის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მოსწავლეები თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ ჩართული. საკითხის გასარკვევად, გამოვკითხეთ VII-XII კლასის მოსწავლეები.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი №3), გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა(67.5%) მოსწავლეთა თვითმმართველობაში არ მონაწილეობს, მათგან 28.5%-მა იცის, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მაგრამ თვითონ არ არის ჩართული, 17.9% დარწმუნებულია, რომ სკოლაში არ არის მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხოლო 21.1 %-მა არ იცის, არის თუ არა. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობაში რესპონდენტთა მხოლოდ 21.1% მონაწილეობს აქტიურად, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციების შესახებ მათ წარმოდგენა არ აქვთ. ისინი, ძირითადად კლასგარეშე აქტივობების, ექსკურსიების დაგეგმვით შემოიფარგლებიან. ერთ ერთი რესპონდენტი აღიარებს, რომ ის არის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და არც ერთხელ არ ყოფილა თვითმმართველობის შეკრებაზე. ფაქტობრივად, მოსწავლეთა თვითმმართველობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ცხრილი № 3. არის თუ არა თქვენს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი, არის, მაგრამ მე არ ვმონაწილეობ;	35	28,5
	არა, არ არის;	22	17,9
	კი, არის და აქტიურად ვმონაწილეობ;	26	21,1
	არ ვიცი	26	21,1
	სულ	109	88,6
სისტემური	გამოტოვება	14	11,4
სულ		123	100,0

შეკითხვებზე - „არის თუ არა მოსწავლეთა თვითმმართველობა თქვენს სკოლაში და თუა საჭირო მისი არსებობა? რა ფუნქციები აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობას თქვენს სკოლაში“ - მასწავლებლები გვპასუხობენ:

„მოსწავლეთა თვითმმართველობა არის სკოლაში, მაგრამ მას აკლია ქმედითუნარიანობა. საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება“.

„არის და საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა“.

„სკოლაში დიდი მონდომებით მიმდინარეობს თვითმმართველობის არჩევნები, თუმცა მხოლოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ წევრს აქვს ფუნქცია, დანარჩენი უფუნქციოდ რჩება“.

,,არის თვითმმართველობა სკოლაში, მაგრამ მოსწავლეები ნაკლებად აქტიურები არიან“.

„თვითმმართველობა არის, თუმცა საჭიროდ არ მიმაჩნია მისი არსებობა“.

„ჩვენს სკოლაში არის მოსწავლეთა თვითმმართველობა, მაგრამ მე არ ვარ ინფორმირებული მისი მუშაობის სტილზე“.

„საგანგებო სიტუაციებში იკრიბებიან მოსწავლეები და დირექციასთან ერთად განიხილავენ საკითხს. მოსწავლეთა თვითმმართველობა არ არსებობს, კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს, ექნებათ ამის სურვილი. ძალდატანებით - არა“.

შეკითხვაზე: - თქვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობთ თუ არა სკოლის წესებისა და რეგულაციების შედგენაში, მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 19.5% ეთანხმება, 43.1% ნაწილობრივ ეთანხმება, 37.4 % კი არ ეთანხმება (იხ. ცხრილი № 4).

ცხრილი №4. (მოსწავლეთა პასუხები):



იმითაც დავინტერესდით, თუ რამდენად არიან ჩართული მშობლები სკოლის მმართველობის პროცესში. როცა მათ ვკითხეთ, მონაწილეობენ თუ არა სკოლის განვითარების დაგეგმვასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, 14,3% პასუხობს, რომ ხშირად მონაწილეობს, 28,6% ამბობს, რომ მონაწილეობს, მაგრამ ძალიან იშვიათად, მშობელთა 50% კი პასუხობს, რომ ასეთი რამ არ ახსოვს. 7, 1% კი უპასუხოდ ტოვებს კითხვას(იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5. მშობელთა პასუხები:



დემოკრატიულ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები უნდა იწვევდნენ მშობლებს მშობელთა ჩართულობის ხელისშემწყობი აქტივობების დასაგეგმად. ჩვენს ამ წინადადებას გამოკითხულ მშობელთა 39,3% ეთანხმება, 21,4 % ნაწილობრივ, ხოლო 35,7% საერთოდ არ ეთანხმება (იხ. ცხრილი №.6).

ცხრილი №6. სკოლაში ხშირად მიწვევენ, რათა ერთად დავგეგმოთ მშობელთა ჩართულობის ხელისშემწყობი აქტივობები:

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები	44	39,3
	ნაწილობრივ ვეთანხმები	40	21,4
	არ ვეთანხმები	24	35,7
	სულ	108	96,4
სისტემური	გამოტოვება	4	3,6
სულ		112	100,0

ცხრილიდან (№6) ჩანს, რომ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში არ ზრუნავენ იმისთვის, რომ მოიწვიონ მშობლები და ერთად დაგეგმონ მშობელთა ჩართულობის ხელისშემწყობი აქტივობები.

დემოკრატიულ სკოლაში უნდა არსებობდეს მშობელთა გაერთიანება/კომიტეტი თუ საბჭო (არ აქვს მნიშვნელობა რა სახელწოდებით იქნება ის წარმოდგენილი), რომელიც უნდა აგვარებდეს გარკვეულ საკითხებს, აქტიურად მონაწილეობდეს სკოლის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში და ა.შ.

კითხვაზე, არის თუ არა თქვენს სკოლაში მშობელთა კომიტეტი/საბჭო და მასში მონაწილეობთ თუ არა, მშობელთა 46,4 % პასუხობს, რომ არის და მონაწილეობს კიდეც, 32,1% აღიარებს, რომ ისინი არასოდეს ყოფილან მშობელთა საბჭოზე/კომიტეტზე, 10,7%-ს კი საერთოდ არ სმენია მშობელთა კომიტეტის შესახებ. 75,0 % თვლის, რომ მშობელთა კომიტეტი კარგად მუშაობს, 7,1% ხოლო 14,3% კი არ არის ინფორმირებული მშობელთა კომიტეტის მუშაობის ხარისხიანობის შესახებ (იხ. ცხრილი №7 და ცხრილი №8).

ცხრილი №7. არის თუ არა თქვენს სკოლაში მშობელთა კომიტეტი/საბჭო და მასში მონაწილეობთ თუ არა?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი არის და ვღებულობ მონაწილეობას.	52	46,4
	კი, არის მაგრამ მე არასოდეს ვყოფილვარ.	36	32,1
	არ ვიცი, არ მსმენია ამის შესახებ	12	10,7
	სულ	100	89,3
სისტემური	გამოტოვება	12	10,7
სულ		112	100,0

ცხრილი №8. მშობელთა კომიტეტი/საბჭო მუშაობს (მშობელთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	კარგად	84	75,0	77,8	77,8
	მხოლოდ ფორმალურად	8	7,1	7,4	85,2
	არ ვიცი	16	14,3	14,8	100,0
	სულ	108	96,4	100,0	
სისტემური	გამოტოვება	4	3,6		
სულ		112	100,0		

ზემოთ მოცემული ცხრილიდან, ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულ მშობელთა 46, 4% აქტიურადაა ჩართული სკოლის მმართველობაში, ხოლო დანარჩენს მიაჩნია, რომ ეს 46,4% ყველას მაგიერ მუშაობს და არ ერევა მათ საქმიანობაში, რაც სერიუზული შემაფერხებელი ფაქტორია სკოლების დემოკრატიზაციის პროცესში.

სკოლის დემოკრატიული მმართველობის დროს მნიშვნელოვანია, მშობელი ჩართული და ინფორმირებული იყოს იმის შესახებ, თუ რომელ გაკვეთილებს უნდა ესწრებოდეს მისი შვილი; მას უნდა ჰქონდეს უფლება, შვილთან ერთად აირჩიოს სასწავლო საგანი, პროგრამა; უნდა ეკითხებოდნენ შვილის ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ სასწავლო მეთოდების არჩევის დროს; ითვალისწინებდნენ მის შენიშვნებს. მშობელმა უნდა იცოდეს წლის განმავლობაში შესასწავლი მასალა და მისაღწევი შედეგები. კარგი იქნება, თუ მისაღწევ შედეგებს მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე ერთად განიხილავენ. სწორედ ასეთი ინფორმაციის მისაღებად მშობლებს დავუსვით შემდეგი კითხვები და მივიღეთ შემდეგი პასუხები:

1. გეკითხებიან თუ არა მასწავლებლები, რის ნიჭი აქვს თქვენს შვილს, რომ იგი შესაბამისი მიმართულებით განავითარონ? მშობელთა 32,1% პასუხობს, რომ ეკითხებიან და ითვალისწინებენ რჩევებს. 64,3% კი პასუხობს, რომ მასწავლებლები თვითონ უკეთ ხვდებიან, ვის რა ნიჭი აქვს და ამიტომაც არ ეკითხებიან მათ (იხ. ცხრილი №9).
2. კითხვაზე, გითანხმდებიან თუ არა მასწავლებლები და გატყობინებენ ინფორმაციას, თუ რას შეისწავლის თქვენი შვილი მთელი წლის განმავლობაში და რისი გაკეთება შეეძლება მას წლის ბოლოს, მშობელთა 75% პასუხობს, რომ მათ მასწავლებლები უთანხმდებიან და ატყობინებენ ინფორმაციას, თუ რა შედეგებს მიაღწევს, მისი შვილი წლის ბოლოს. 17,9 % პასუხობს, რომ მხოლოდ ზოგიერთი მასწავლებელი აკეთებს ამას, 7,1% ის აზრით კი, მასწავლებლები ერთპიროვნულად წყვეტენ ყველაფერს და მათ არაფერს არ უთანხმებენ (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №.9. გეკითხებიან თუ არა მასწავლებლები, რის ნიჭი აქვს თქვენს შვილს, რომ იგი შესაბამისი მიმართულებით განავითარონ?

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	კი;	36	32,1	33,3	33,3
	არა, მასწავლებლები თვითონ უკეთ ხვდებიან ვის რა ნიჭი აქვს;	72	64,3	66,7	100,0
	სულ	108	96,4	100,0	
სისტემური	გამოტოვება	4	3,6		
სულ		112	100,0		

ცხრილი №10. გითანხმდებიან თუ არა მასწავლებლები და გატყობინებენ ინფორმაციას, თუ რას შეისწავლის თქვენი შვილი მთელი წლის განმავლობაში და რისი გაკეთება შეეძლება მას წლის ბოლოს? (მშობელთა პასუხები):

	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება კი;	84	75,0	75,0	75,0
ძალიან იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთი მასწავლებელი აკეთებს ამას;	20	17,9	17,9	92,9
არა, მასწავლებლები ერთპიროვნულად წყვეტენ ყველაფერს	8	7,1	7,1	100,0
სულ	112	100,0	100,0	

აღნიშნული ცხრილებიდან თვალსაჩინოა, რომ მშობლების აზრით, მასწავლებლები არ არიან ვალდებული შეეკითხონ მშობლებს მათი შვილების ნიჭისა და უნარების შესახებ და ერთპიროვნულად შეუძლიათ გადაწყვიტონ სასწავლო პროცესის დაგეგმვის ამოცანები. ამასთანავე, აშკარაა, რომ გამოკითხული მასწავლებლები მშობელთა უმრავლესობას ატყობინებენ ინფორმაციას საკუთარი „ერთპიროვნული“ გადაწყვეტილებების შესახებ, რაც იმის

დამადასტურებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი დემოკრატიული მმართველობისაკენ მიმავალ გზაზე, კერძოდ, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გადამზადება და ცნობიერების ამაღლება სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესახებ.

სკოლა და სახელმწიფო ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ მშობელთა ინფორმირებულობაზე. სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს, ხოლო სკოლა ორგანიზებას უწევდეს მშობელთა ტრენინგებს იმის თაობაზე, როგორ დაეხმარონ საკუთარ შვილებს, როგორ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, როგორ მართონ თავიანთი შვილების ქცევა. როგორც ვიცით, ყველა მშობელი არ არის პედაგოგი, სწორედ ამიტომ საჭიროა მათი სწავლება, კონსულტაციების გაწევა.

ჩვენ გამოვკითხეთ მშობლები იმის გასარკვევად, ტარდება თუ არა ტრენინგები სკოლებში. გამოკითხულთა 78,6% პასუხობს, რომ ასეთი ტრენინგები არ ტარდება, 3,6% ამბობს, რომ ესწრება ასეთი სახის ტრენინგებს, ხოლო 14,3% ამბობს, რომ სკოლაში ტარდება ასეთი ტრენინგები, მაგრამ ისინი დაკავებული არიან და ვერ ახერხებენ დასწრებას (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11. სკოლისა და სახელმწიფოსაგან მე ვიღებ ინფორმაციას, თუ როგორ ჩავერთო სკოლის მმართველობაში, როგორ დავეხმარო ჩემს შვილს სწავლაში, კარიერის განვითარებაში და როგორ ვმართო მისი ქცევა.

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი, მშობლები ხშირად გავდივართ ტრენინგებს;	4	3,6
	ჩვენი სკოლა გვთავაზობს ასეთ ტრენინგებს, მაგრამ მე დაკავებული ვარ და ვერ ვესწრები;	16	14,3
	არა	88	78,6
	სულ	108	96,4
სისტემური	გამოტოვება	4	3,6
სულ		112	100,0

დემოკრატიულ სკოლაში უმცირესობებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, არც ერთი მოსწავლე არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, არ გამოგვრჩეს არც ერთი მშობელი თუ მეურვე, ინფორმაცია ყველას დროულად უნდა მივაწოდოთ და ვეძებოთ ურთიერთკავშირის გზები.

კითხვაზე, თუ რამდენად ცდილობენ მასწავლებლები, მიაწოდონ დროული ინფორმაცია მშობლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, მშობელთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მასწავლებლები ცდილობენ, წელიწადში ორჯერ მაინც მოიწვიონ მშობლები სკოლაში შვილების აკადემიურ მოსწრებაზე სასაუბროდ. რაც შეეხება სისტემატიურ კონტაქტს მშობლებთან ტელეფონით, ფოსტით თუ წერილით, ამას მხოლოდ 82,1%-თან ახერხებენ, 7,1%-ს ვერ უკავშირდებიან სისტემატურად, ხოლო 10,7%-ს იშვიათად უკავშირდებიან (იხ. ცხრილი №12). ეს

წინ გადადგმული ნაბიჯია და მიგვანიშნებს, რომ ამ მიმართულებით საკითხი უფრო მეტად მოწესრიგებულია, მაგრამ სასურველია დანარჩენ 7,1% და 10,7% - თანაც გამოინახოს საკომუნიკაციო საშუალებები.

ცხრილი №12 თქვენი შვილის მასწავლებელი თუ ითხოვს წელიწადში ორჯერ მაინც სკოლაში მოსვლას თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებაზე სასაუბროდ?

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	კი	104	92,9	96,3	96,3
	არა	4	3,6	3,7	100,0
	სულ	108	96,4	100,0	
სისტემური	გამოტოვება	4	3,6		
სულ		112	100,0		

ცხრილი №13. ახერხებენ თუ არა თქვენი შვილის მასწავლებლები თქვენთან სისტემატიურ კონტაქტს (ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, წერილობით)?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი, ხშირად	92	82,1
	იშვიათად	12	10,7
	არა	8	7,1
	სულ	112	100,0

კვლევის თემატიკიდან გამომდინარე დავინტერესდით, გაგვეგო თუ როგორ რეაგირებს სკოლა მშობელთა შენიშვნებზე, კომენტარებზე, შეკითხვებზე, სკოლის

ადმინისტრაცია და მასწავლებლები თუ უკავშირდებიან მშობლებს და მათი შეკითხვებით ინტერესდებიან.

გამოკითხულ მშობელთა 85,7 % პასუხობს, რომ მათ დროულად უკავშირდებიან და აწვდიან შესაბამის ინფორმაციას, 10,7% პასუხობს, რომ მათ იშვიათად უკავშირდებიან, ხოლო 3,6% პასუხობს, რომ მათ დროულად არ უკავშირდებიან და ბუნებრივია, არც მათი შენიშვნები, კომენტარები, თუ შეკითხვები აინტერესებთ, რაც იმის დასტურია, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები დროულად რეაგირებენ მშობელთა შენიშვნებზე, მაგრამ საჭიროა დანარჩენი 10,7%-სა და 3,6%-ის პრობლემებით და კომენტარებით დაინტერესება და დროული მოქმედება.

ცხრილი №14. დროულად გიკავშირდებიან თუ არა თქვენი სკოლის მასწავლებლები, დირექტორი, დამრიგებელი და ინტერესდებიან თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, შენიშვნა ან კომენტარი?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი, ხშირად	96	85,7
	იშვიათად	12	10,7
	არა	4	3,6
	სულ	112	100,0

დემოკრატიულ სკოლაში თითოეულ მოსწავლეს მასწავლებელი და სკოლა ინდივიდუალურად უნდა მიუდგნენ. მოსწავლე თავისი ინტერესების და სამომავლო გეგმების შესაბამისად თავად უნდა ირჩევდეს სასწავლო მასალას და სწავლების მეთოდებს თუ მიდგომებს, რომ კარგად დაეუფლოს ამა თუ იმ საგანს, საკითხს. ყველა მოსწავლეს არ აქვს ერთნაირი ნიჭი და ერთნაირად ვერ ითვისებს ახალ მასალას, ზოგს კეთებით სწავლა ურჩევნია, ზოგს - მოსმენით და ა.შ.

საინტერესოა, რას ფიქრობენ მშობლები იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან მასწავლებლები, როდესაც მათი შვილები ვერ იგებენ ახალ მასალას ან მათთვის ესა თუ ის სწავლების მეთოდი უშედეგოა. გამოკითხულ მშობელთა 60, 7 % თვლის,

რომ მასწავლებელი ასეთ შემთხვევაში ცვლის სწავლების მეთოდს და ცდილობს, ის მოსწავლეებს ინდივიდუალურად მოარგოს, მშობელთა 17,9% არ არის ინფორმირებული ამის შესახებ, 21,4%-ის აზრით კი მასწავლებელი ამ დროს არაფერს აკეთებს, რადგანაც მოსწავლეთა უმრავლესობა გაკვეთილს თუ იგებს, ამას დადებით შედეგად თვლის (იხ. ცხრილი №15). სინამდვილეში ასე არ უნდა იყოს. მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მათ ინდივიდუალურად უნდა უდგებოდეს.

ცხრილი №15. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შვილი ვერ იგებს ახალ მასალას ან მისთვის ესა თუ ის სწავლების მეთოდი უშედეგოა, რას აკეთებენ მასწავლებლები?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	არაფერს;	24	21,4
	მასწავლებელი ცვლის სწავლების მეთოდს და ცდილობს მოარგოს ჩემს შვილს ინდივიდუალურად;	68	60,7
	არ ვიცი, არ ვარ ინფორმირებული.	20	17,9
	სულ	112	100,0

მასწავლებელს უნდა სწამდეს აღსაზრდელთა შესაძლებლობების, იმედი უნდა ჰქონდეს, რომ თითოეული მოსწავლე შეძლებს წარმატების მიღწევას და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით თავისი დადებითი დამოკიდებულება მშობლებსაც აგრძნობინოს. ამის გასარკვევად მშობლებს დავუსვით შემდეგი კითხვა: - როგორ ფიქრობთ, მასწავლებლები დიდ იმედებს ამყარებენ თქვენს შვილზე? გამოკითხულ მშობელთა 46,4% დარწმუნებულია, რომ მასწავლებლები

დიდ იმედებს ამყარებენ მის შვილზე, 3,6% თვლის, რომ მასწავლებლებს არა აქვთ მისი შვილის იმედი, ხოლო 42,9 % -მა არ იცის, აქვთ თუ არა მასწავლებლებს მისი შვილის იმედი. სამწუხაროდ, გამოდის, რომ გამოკითხულ მშობელთა დიდი ნაწილი არ არის მასწავლებელთან ხშირ კავშირში, ისინი ერთმანეთს არ ესაუბრებიან მოსწავლეთა მიღწევებზე, შესაძლებლობებზე, იმედებზე.

ცხრილი №16. როგორ ფიქრობთ, მასწავლებლები დიდ იმედებს ამყარებენ თქვენს შვილზე? (მშობელთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ყოველთვის	52	46,4
	არასოდეს	4	3,6
	არ ვიცი	48	42,9
	სულ	104	92,9
სისტემური	გამოტოვება	8	7,1
სულ		112	100,0

საინტერესოა, რას ფიქრობენ მასწავლებლები მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობაზე სკოლებში.

კითხვაზე, **რამდენად არის მოსწავლე ჩართული სასკოლო საქმიანობაში? და თუ არის რაში გამოიხატება ეს?** მასწავლებლები პასუხობენ:

„აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საქმიანობაში, მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტში“

„ჩვენთან პრიორიტეტი ბავშვია. ამიტომ სიახლის დანერგვის წინ გამოკითხვა ტარდება მოსწავლეებში და ყველაფერი კეთდება მათი სურვილების გათვალისწინებით“.

„მოსწავლეები ჩართული არიან სასკოლო საქმიანობაში, იქნება ეს კონფერენციები, ოლიმპიადები, ტრენინგები, გარემოს დაცვა, საქველმოქმედო აქციები თუ სხვა“.

„ტარდება ღონისძიებები, დებატები, დისპუტები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა.შ“.

„მოსწავლეები ჩართული არიან სკოლის საქმიანობაში. კერძოდ, სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში. ისინი იცავენ და აკონტროლებენ მოსწავლეთა საქმიანობას“.

- კითხვაზე, თუ **რამდენად არიან ჩართული მშობლები სასკოლო საქმიანობაში და რა შედეგი მოაქვს ამას, - პასუხები ასეთია:**

„დაწყებით კლასებში უფრო აისახება მშობელთა ჩართულობა სასკოლო საქმიანობაში, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს“.

„ზოგიერთი მშობელი ჩართულია და დირექციასთან თანამშრომლობის საფუძველზე ცდილობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას, ეს შეიძლება იყოს საკუთარი გამოცდილების გაზიარება, სიტუაციის კონტროლი თუ უშუალო მონაწილეობა (ძირითადად ღონისძიებებში)“.

„მშობლები არ არიან ჩართული და შედეგიც ცუდია“.

„მშობლები ნაკლებად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ეს კი მათი შვილების ცოდნაზე უარყოფითად აისახება.“

როგორც ვხედავთ, ძირითადად მასწავლებლები არ უჩივიან მოსწავლეთა ჩართულობის პრობლემებს, ისინი თვლიან, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად ჩართული არიან სასკოლო საქმიანობაში, ამის მაგალითად კი ასახელებენ სხვადასხვა პროექტში, კონფერენციაში, ოლიმპიადაში, საქველმოქმედო აქციებში, დებატებში, სამეურვეო საბჭოში ჩართულობას და ა.შ. რაც შეეხება მშობელთა მონაწილეობას, კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში ზოგიერთ სკოლაში ეს ერთი ძირითადი პრობლემაა.

კითხვაზე, -„არის თუ არა დემოკრატიული მმართველობის საწყისები თქვენს სკოლაში და რაში გამოიხატება ეს?“ მასწავლებლები ასე პასუხობენ:

„მნიშვნელოვანი საკითხები მიიღება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სადაც ყველა პედაგოგის აზრი არის გათვალისწინებული“ (რესპონდენტი არც კი ახსენებს მოსწავლეს და მშობელს, რომლებიც აქტიური მონაწილე უნდა იყვნენ სკოლის მმართველობაში, თუ დემოკრატიაზეა საუბარი).

„რა თქმა უნდა, არის დემოკრატიული მმართველობის საწყისები, ეს გამოიხატება გუნდურობაში, თავისუფლად აზრის გამოხატვასა და კრიტიკულ აზროვნებაში“.

-„არის, რადგან ჩვენ ყველანი ერთად მაღალი ურთიერთთანამშრომლობის კულტურით, ურთიერთპატივისცემით, გუნდურად ვართ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში“.

„სკოლაში მუშაობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები, სამეურვეო საბჭო, ინკლუზიური განათლება. ყველა პედაგოგი მონაწილეობს სკოლის სასწავლო გეგმის შედგენაში“.

,,ჩვენს სკოლაში არის დემოკრატიული მმართველობის საწყისები. გვაქვს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება“.

„ჩვენი სკოლა დემოკრატიულია. თითოეული თანამშრომლის და მოსწავლის საღი აზრი გათვალისწინებულია“.

„დიახ, თითოეული ადამიანი ახერხებს პიროვნული თავისუფლების შენარჩუნებას და ურთიერთობის ფორმები ძალიან ღია და მეგობრულია. ჩვენს სკოლაში ადამიანები ერთმანეთის აზრებს და მდგომარეობას პატივს სცემენ და გაგებით ეკიდებიან“.

როგორც კვლევა ადასტურებს, მასწავლებლებში თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა არასწორადაა გაგებული. რა თქმა უნდა, ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის დროს უმნიშვნელოვანესია, მაგრამ რეალურად თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა სულ სხვა საქმიანობას მოიცავს. იგი გულისხმობს სკოლის ერთობლივ მართვას, გადაწყვეტილებების დემოკრატიული გზით მიღებას, გამოცდილების გაზიარებას, დისკუსიას, კომუნიკაციას, საერთო მიზნის ქონას და ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივი გეგმის შემუშავება/განხორციელებას, ერთმანეთის წარმატების გაზიარებას და ბედნიერებას.

სკოლებში დემოკრატიული პროცესების უკეთ აღსაწერად საჭიროდ მივიჩნიეთ, გაგვერკვია, ითვალისწინებენ თუ არა ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპს მმართველობის დროს.

კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანთა უფლებები სკოლებში გარკვეულწილად დაცულია. გამოკითხულ მშობელთა 96,4% თვლის, რომ სკოლაში მისი შვილის უფლებებს არ არღვევენ, მხოლოდ 3,6% მიიჩნევს, რომ მისი შვილის უფლებები სკოლებში ხშირად ირღვევა, ეს არ არის საგანგაშო მაჩვენებელი, მაგრამ პრობლემა

მოსაგვარებელია და საჭიროა იმ უმცირესობების უფლებების დაცვაც, რომლებიც მათი უფლებების დარღვევას უჩივიან (იხ. ცხრილი №17).

ცხრილი №17. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენი შვილის უფლებებს არ არღვევენ იმ სკოლაში, რომელშიც ის სწავლობს?



ცხრილი №18. სასწავლო გარემო არის ყოველგვარად უზრუნველყოფილი (მშობელთა პასუხები):



ცხრილი №19. ჩემი შვილის სკოლაში არის მეგობრული გარემო, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისათვის (მშობელთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	ყოველთვის	100	89,3	89,3	89,3
	ნაწილობრივ	12	10,7	10,7	100,0
	სულ	112	100,0	100,0	

ცხრილი №20. ჩემი შვილის სკოლა არის უსაფრთხო ადგილი, სადაც შესაძლებელია განათლების მიღება (მშობელთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	არა, რადგანაც სკოლაში ხშირია ჩხუბი, ქურდობა, დამცირება და დისკრიმინაცია;	4	3,6
	კი, ნამდვილად;	104	92,9
	არ ვიცი, არ ვარ ინფორმირებული.	4	3,6
	სულ	112	100,0

ცხრილი №21. ჩემი შვილის სკოლა აფასებს მრავალფეროვნებას, რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ განსხვავებულობას

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	100	89,3
	არ ვიცი	12	10,7
	სულ	112	100,0

სკოლებში დემოკრატიული პროცესები წარმატებით რომ წარიმართოს, აუცილებელია, ისწავლებოდეს ადამიანთა უფლებები, ეწყობოდეს ადამიანთა უფლებების დაცვის ხელისშემწყობი ღონისძიებები და, რაც მთავარია, ამ ღონისძიებებში ყველა მოსწავლე უნდა მნაწილეობდეს.

ჩემი პედაგოგიური დაკვირვებიდან შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეთა კლუბები, რომლებიც სკოლებში მოქმედებს, ძალიან დიდ როლს ასრულებს სკოლების დემოკრატიზაციის პროცესში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კლუბებში აქტიურად ძირითადად 5-6 მოსწავლე მონაწილეობს, დანარჩენი კი ამ საქმეში ჩართული არ არაა.

საჭიროდ ჩავთვალეთ, მოსწავლეებისთვის გვეკითხა, განიხილავენ თუ არა ადამიანთა უფლებებს სკოლაში და თუ ეწყობა ადამიანთა უფლებების დაცვის ხელისშემწყობი ღონისძიებები. კველვამ აჩვენა, რომ გამოკითხულ სკოლებში ასეთი ღონისძიებები ზოგადად ტარდება, მაგრამ ამის შესახებ ყველა მოსწავლე ინფორმირებული არ არის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულ სკოლებში ადამიანთა უფლებების სათანადოდ არ ისწავლება და ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული.

ცხრილი № 22. განიხილავთ ან სწავლობთ თუ არა, ადამიანთა უფლებებს სკოლაში? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	82	66,7
	არა	39	31,7
	სულ	121	98,4
სისტემური	გამოტოვება	2	1,6
სულ		123	100,0

ცხრილი №23. ეწყობა თუ არა ღონისძიებები თქვენს სკოლაში ადამიანთა უფლებების დაცვის ხელისშესაწყობად?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	67	54,5
	არა	16	13,0
	არ ვიცი	40	32,5
	სულ	123	100,0

ცხრილი № 24. ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანთა უფლებები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	120	97,6
	არა	2	1,6
	სულ	122	99,2
სისტემური	გამოტოვება	1	,8
სულ		123	100,0

აღსანიშნავია, რომ სკოლაში უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. დაწესდა მანდატურის სამსახური, დამონტაჟდა ვიდეოთვლები.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს და კონფლიქტები ძირითადად, მშვიდობიანი გზით გვარდება. გამოკითხულ მშობელთა 92,9%-ის აზრით, მათი შვილის სკოლა არის უსაფრთხო ადგილი, სადაც შესაძლებელია განათლების მიღება. მხოლოდ 3,6% თვლის, რომ სკოლებში ჯერ კიდევ ხშირია ჩხუბი და უსაფრთხოება არ არის დაცული. ზოგიერთი მშობელი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მისი შვილი არ არის დაცული სკოლაში, ხშირად სცემენ თანაკლასელები, ბავშვი დაჩაგრულია და ვერ ახერხებს თავის დაცვას, სკოლა კონფლიქტების მოსაგვარებლად არაფერს აკეთებს.

გამოვკითხეთ მოსწავლეებიც. მოსწავლეთა 68,3% თავს დაცულად გრძნობს, 22% ნაწილობრივ გრძნობს თავს დაცულად და უსაფრთხოდ, ხოლო 9,8%-ის აზრით კი სკოლაში უსაფრთხო გარემო არ არის შექმნილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სკოლებში გასატარებელი და გასამკაცრებელია უსაფრთხოების ზომები.

ცხრილი № 25. ჩემი სკოლა არის ადგილი, სადაც ყოველი მოსწავლე თავს მშვიდად და დაცულად გრძნობს (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები	84	68,3
	ნაწილობრივ ვეთანხმები	27	22,0
	არ ვეთანხმები	12	9,8
	სულ	123	100,0

გამოკითხულ მოსწავლეთა 67,5% აცხადებს, რომ ისინი სკოლაში კონფლიქტებს მშვიდობიანი გზით აგვარებენ, 19,5%-ის აზრით, მათ სკოლაში კონფლიქტები მშვიდობიანი გზით არ გვარდება, 10% კი კონფლიქტებს ზოგჯერ მშვიდობიანი გზით აგვარებენ, ზოგჯერ კი ძალადობის მიმართავენ.

ცხრილი №26. კონფლიქტებს ჩვენ მშვიდობიანი გზით ვაგვარებთ (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები	83	67,5
	ნაწილობრივ ვეთანხმები	13	10,6
	არ ვეთანხმები	24	19,5
	სულ	120	97,6
სისტემური	გამოტოვება	3	2,4
სულ		123	100,0

დემოკრატიულ სკოლაში სასტიკად არავის უნდა სჯიდნენ და ცუდად არ ექცეოდნენ. გამოკითხულ მოსწავლეთა 80,5% თვლის, რომ სკოლაში სასტიკად არავის სჯიან და არც ცუდად ექცევიან, 13,8% ნაწილობრივ ეთანხმება ამ დებულებას, ხოლო 2,4% კი მიიჩნევს, რომ სკოლაში სასტიკად სჯიან ადამიანებს და ცუდადაც ექცევიან (იხ. ცხრილი №27).

ცხრილი №27. ჩვენს სკოლაში არავის არ სჯიან სასტიკად ან ექცევიან ცუდად (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები;	99	80,5	83,2	83,2
	ნაწილობრივ ვეთანხმები;	17	13,8	14,3	97,5
	არ ვეთანხმები	3	2,4	2,5	100,0
	სულ	119	96,7	100,0	
სისტემური გამოტოვება		4	3,3		
სულ		123	100,0		

კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა არ არის დისკრიმინაციის მსხვერპლი, მათ არ არჩევენ ჩაცმულობის, სამეგობრო წრის თუ ცხოვრების სტილის გამო. შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი და შეხედულებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი მოსწავლეებიც არიან, რომლებიც ასე არ ფიქრობენ, ამიტომაც ამ სფეროში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, თუ მოსწავლეთა 77,2 % თავისუფლად გამოხატავს საკუთარ

აზრს და შეხედულებებს, დარჩენილი 22,8% კი თვლის, რომ მას საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება არ აქვს, ეს იმის დასტურია, რომ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში აზრის თავისუფლება სრულყოფილად უზრუნველყოფილი არ არის, შესაბამისად, სკოლის დემოკრატიზაციისათვის ბევრი ღონისძიების და აქტივობის დაგეგმვაა საჭირო. ასევე, გამოკითხულ მოსწავლეთა 61% მიიჩნევს, რომ სკოლაში ჩაცმულობას, სამეგობრო წრეს თუ ცხოვრების წესს არავის უწუნებთ, თუმცა 39% ასე არ ფიქრობს, ასე, რომ ამ მხრივაც გასაკეთებელი ბევრია და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში სკოლები მთლიანად დემოკრატიულია და დემოკრატიულად იმართება. იკვეთება სერიოზული პრობლემები, კერძოდ, დისკრიმინაცია, თავისუფალი აზრის გამოხატვის შეზღუდვა და ა.შ.

ცხრილი №.28. ჩემს სკოლაში არაა მოსწავლეთა დისკრიმინაცია ჩაცმულობის, სამეგობრო წრის თუ ცხოვრების სტილის გამო (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები	75	61,0
	ნაწილობრივ ვეთანხმები	27	22,0
	არ ვეთანხმები	18	14,6
	სულ	120	97,6
სისტემური	გამოტოვება	3	2,4
სულ		123	100,0

ცხრილი №29. მე მაქვს უფლება, თავისუფლად გამოვხატო ჩემი აზრი და შეხედულებები (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ვეთანხმები	95	77,2
	არ ვეთანხმები	10	8,1
	ნაწილობრივ ვეთანხმები	17	13,8
	სულ	122	99,2
სისტემური	გამოტოვება	1	0,8
სულ		123	100,0

დაგვაინტერესა მშობელთა და მოსწავლეთა ურთიერთობებმა, თუ კერძოდ რამდენად უწყობენ ხელს მშობლები თავიანთ შვილებს, იცოდნენ ადამიანთა უფლებები, რამდენად აფასებენ და ითვალისწინებენ შვილების აზრებს, ენდობიან თუ არა მათ შვილებს, როგორ იქცევიან მაშინ, როდესაც შვილები შეცდომებს უშვებენ, უწყობენ თუ არა ხელს შვილებს, გახდნენ დამოუკიდებელნი.

კითხვაზე - „როდესაც ცუდად იქცევით, რას აკეთებენ თქვენი მშობლები?“ გამოკითხულ მოსწავლეთა 60,2% აცხადებს, რომ მშვიდად ესაუბრებიან და უხსნიან, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება; მოსწავლეთა 1,6% აცხადებს, რომ მათ ძირითადად, მკაცრად სჯიან (სცემენ, ხელს ურტყამენ); მოსწავლეთა 38,2 % აღიარებს, რომ ხან მშვიდად ესაუბრებიან, ზოგჯერ კი ძალადობენ მათზე, გააჩნია სიტუაციას.

ცხრილი №30. როდესაც ცუდად იქცევით, რას აკეთებენ თქვენი მშობლები? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	ძირითადად მკაცრად მსჯიან (მცემენ, ხელს მირტყამენ);	2	1,6	1,6	1,6
	მშვიდად მესაუბრებიან და მიხსნიან, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება;	74	60,2	60,2	61,8
	გააჩნია სიტუაციას	47	38,2	38,2	100,0
	სულ	123	100,0	100,0	

კითხვაზე - „აფასებენ თუ არა თქვენი მშობლები თქვენს აზრს?“ მოსწავლეთა 69,1% მიიჩნევს, რომ მშობლები აფასებენ მათ აზრს, 3,3% თვლის, რომ მათ აზრს არ აფასებენ, 27,%-ის თქმით კი მშობლები მათ აზრს ხან აფასებენ, ხან - არა, გააჩნია სიტუაციას.

ცხრილი №31. აფასებენ თუ არა თქვენი მშობლები თქვენს აზრს?
(მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	85	69,1
	არა	4	3,3
	გააჩნია სიტუაციას	34	27,6
	სულ	123	100,0

კითხვაზე - „გენდობიან თუ არა მშობლები," გამოკითხულ მოსწავლეთა 82,9% თვლის, რომ მშობლები მათ ენდობიან, 2,4%-ის აზრით, არ ენდობიან, ხოლო 14,6% აღირებს, რომ მშობლები ხან ენდობიან, ხან - არა, გააჩნია სიტუაციას.

ცხრილი №32. გენდობიან თუ არა თქვენი მშობლები?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	102	82,9
	არა	3	2,4
	გააჩნია სიტუაციას	18	14,6
	სულ	123	100,0

კითხვაზე - „ესაუბრებით თუ არა მშობლებს თქვენი უფლებების შესახებ?" გამოკითხულ მოსწავლეთა 48% ამბობს, რომ ესაუბრებიან, 29,3%-ის პასუხი უარყოფითია, ხოლო 22,8% აცხადებს, რომ ხან ესაუბრებიან, ხან - არა, გააჩნია სიტუაციას.

ცხრილი № 33. ესაუბრებით თუ არა მშობლებს თქვენი უფლებების შესახებ? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	59	48,0
	არა	36	29,3
	გააჩნია სიტუაციას	28	22,8
	სულ	123	100,0

კითხვაზე - „ესაუბრებით თუ არა მშობლებს თქვენი აკადემიური მოსწრების/ნიშნების შესახებ?“ მოსწავლეთა 56,1% პასუხობს, რომ ესაუბრებიან, 6,5% არ ადასტურებს, 36,6% კი ამბობს, რომ აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლებს, მხოლოდ მაშინ ესაუბრებიან თუ ჰკითხავენ, თავისით ინიციატივას არ იჩენენ.

ცხრილი №.34. ესაუბრებით თუ არა მშობლებს თქვენი აკადემიური მოსწერების/ნიშნების შესახებ? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	69	56,1
	არა	8	6,5
	მხოლოდ მაშინ თუ შემეკითხებიან	45	36,6
	სულ	122	99,2
სისტემური	გამოტოვება	1	0,8
სულ		123	100,0

კითხვაზე - „რას აკეთებთ, როდესაც ოჯახში უსამართლოდ გექცევიან?“ პასუხი ასეთია: გამოკითხულ მოსწავლეთა 53,7% ყოველთვის იბრძვის საკუთარი უფლებების დასაცავად, 4,9% მალავს გაბრაზებას, 2,4% შეჩვეულია და ეგუება სიტუაციას, 35,8% თავისი უფლებების დასაცავად ხან იბრძვის, ხან - არა, გააჩნია სიტუაციას.

ცხრილი №. 35. რას აკეთებთ, როდესაც ოჯახში უსამართლოდ გექცევიან?

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	ყოველთვის ვიბრძვი ჩემი უფლებების დასაცავად;	66	53,7
	ვმალავ ჩემს გაბრაზებას;	6	4,9
	შეჩვეული ვარ და ვეგუები სიტუაციას;	3	2,4
	გააჩნია სიტუაციას.	44	35,8
	სულ	119	96,7
სისტემური	გამოტოვება	4	3,3
სულ		123	100,0

მოსწავლეებში დემოკრატიული უნარების განვითარებისათვის სკოლასთან ერთად ოჯახიც უნდა ზრუნავდეს. როცა მშობლებს ვკითხეთ, აძლევენ თუ არა თავიანთ შვილებს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებაში, გამოკითხულთა 31,1 %-მა აღნიშნა, რომ შვილებს აძლევენ უფლებას, ჩაერთონ ოჯახური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, 17,9 % შვილებს ამის

საშუალებას არ აძლევს, დანარჩენი კი (50%) ხან აძლევს, ხან - არა, გააჩნია სიტუაციას (იხ. ცხრილი №36).

ცხრილი №36. აძლევთ თუ არა თქვენს შვილს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებაში? (მშობელთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	9	32,1
	არა	5	17,9
	გააჩნია სიტუაციას	14	50,0
	სულ	28	100,0

იმავე კითხვაზე მოსწავლეები შემდეგნაირად პასუხობენ:

ცხრილი №37. გაძლევენ თუ არა უფლებას მშობლები, ჩაერიოთ ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებაში? (მოსწავლეთა პასუხები):

		სიხშირე	პროცენტი
დაშვება	კი	54	43,9
	არა	9	7,3
	გააჩნია სიტუაციას	58	47,2
	სულ	121	98,4
სისტემური	გამოტოვება	2	1,6
სულ		123	100,0

ცხოვრებისათვის მზადება ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რაც სკოლების მმართველობის დაგეგმვის დროს უნდა გავითვალისწინოთ.

დავინტერესდით, რას ფიქრობენ მასწავლებლები დღევანდელ სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაზე, მათი აზრით, ისწავლება თუ არა სკოლაში ცხოვრება.

კითხვაზე, -***როგორ ფიქრობთ, ჩვენს სკოლებში უვითარდებათ თუ არა მოსწავლეებს პრაქტიკული უნარ - ჩვევები, ისწავლება თუ არა ცხოვრება,*** მასწავლებლები პასუხობენ:

„კლასსაათები და კლასგარეშე ღონისძიებები ემსახურება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს“.

„ჩვენი მოსწავლეები გადიან სამოქალაქო განათლების კურსს, რომელიც ეხმარება მათ, განავითარონ აქტიური მოქალაქეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ამის გათვალისწინებით სასწავლო მასალა ისეა შედგენილი, რომ მათ შესძლონ, დაინახონ აქტიური მოქალაქეობის აუცილებლობა და დადებითი შედეგები”.

„ბევრი პრაქტიკული უნარ-ჩვევა უვითარდებათ, თუმცა, ზოგადად. პროფორიენტაციის სკოლებში უფრო კონკრეტული საკითხები ისწავლება“.

,,მოსწავლეთა ნაწილი კარგად ფლობს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აკეთებენ სასკოლო პროექტებს და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურებსა თუ კონფერენციებში, თუმცა, ამ მიმართულებით მაინც ბევრია გასაკეთებელი და სკოლის უმთავრესი მიზანი- მოსწავლემ მიზნობრივად გამოიყენოს სკოლაში მიღებული ცოდნა- ჯერ კიდევ მიუღწეველია”.

„მეტ-ნაკლებად, საგნის სწავლების სპეციფიკის მიხედვით -კი, მაგრამ გადატვირთულია ზოგიერთი საგნის (მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია) პროგრამა ისეთი საკითხებით, რომლებიც არავითარ პრაქტიკულ უნარ-ჩვევას არ უვითარებს მოსწავლეს“.

„საგნები, რომლებიც ისწავლება სკოლებში, ნაკლებად ავითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს“.

„ჩვენს სკოლებში არ ისწავლება ცხოვრება“.

„არა!“.

„ჩემი აზრით, ჩვენი სკოლა მოსწავლეებს აძლევს საკმაო პრაქტიკულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს ცხოვრებაში გამოსაყენებლად“.

„რა თქმა უნდა, ყოველდღიურად უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ვასწავლით სამოქალაქო განათლებას და ეკოლოგიას, რაც მოსწავლეებში აისახება ადამიანთა ურთიერთობებში და გარემოს დაცვაში. უფრთხილდებიან ბუბებას და ა. შ.“.

„დიახ. მოსწავლეთა პირადი მაგალითების ჩვენებით, საგნობრივი სწავლებისას ცხოვრებისეული პარალელების ჩვენებით. საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით“.

„იმ დროის განმავლობაში, რასაც მოსწავლე სკოლაში ატარებს მშობლის გარეშე ხდება უფრო დამოუკიდებელი და თანატოლებთან ურთიერთობისას უვითარდება პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მაგ: ბავშვები ულოცავენ და აღნიშნავენ ერთმანეთის დაბადების დღეებს“.

„ჩვენს სკოლაში კონკრეტულად ვმუშაობთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მაგალითად, მათემატიკაში ფართობის შესწავლისას მასწავლებელი ავალებს მართკუთხედის ან კვადრატის ფორმის საკლასო ოთახის ფართობის გამოთვლას, საბუნებისმეტყველო საგნებში თეორიასთან ერთად იგეგმება მრავალფეროვანი პრაქტიკული აქტივობები“.

„პრაქტიკული უნარ-ჩვევები ცდების ჩატარების დროს უვითარდებათ, ისიც უმნიშვნელოდ. ცხოვრებას ნამდვილად ვერ სწავლობენ გაკვეთილებზე“.

„პრაქტიკული უნარ-ჩვევები ნაკლებად უვითარდებათ“.

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენს მოსწავლეებს ნაწილობრივ უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ისინი ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობაში, დებატებში, ტრენინგებში.. თუმცა ნაწილი მაინც არ მონაწილეობს“.

„ჩემი საგნიდან გამომდინარე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის აუცილებელია ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვა რეაქტივებით“.

როგორც ვხედავთ, მასწავლებელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სკოლაში მოსწავლეებს უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ისწავლება ცხოვრება, ხოლო ნაწილის აზრით კი, არ ისწავლება ცხოვრება, ხოლო პრაქტიკული უნარ-ჩვევები ნაწილობრივ უვითარდებათ.

3. სკოლის დემოკრატიული მმართველობის ახალი პრინციპების დამკვიდრების მიმართ სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებები

საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეგო სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება იმ სიახლეების მიმართ, რომლებიც სკოლაში უნდა დაინერგოს. მაგალითად, სკოლის მმართველობის საკითხებში რეალური მონაწილეობა, მასწავლებლებზე მოსწავლეების მიერ სასწავლო თუ თემატური გეგმების შედგენაში დახმარება/მონაწილეობის მიღება და ა.შ. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა საჭიროდ და აუცილებლადაც კი მიიჩნევს სკოლის მმართველობაში ჩართულობას (იხ. ცხრილი №38). ისინი ამბობენ, რომ მათ უფრო ესმით თანატოლების და შესაბამისად, უკეთ წარმართავენ სასწავლო პროცესს.

ცხრილი №38. თქვენი აზრით, მმართველობის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეებს რომ გადმოგცენ, შეძლებთ თუ არა ამას? შეძლებთ, თუ რომ დაეხმაროთ მასწავლებელს სასწავლო გეგმის/თემატურ-კალენდარული გეგმის შედგენაში, სკოლის დირექტორს კი სასკოლო საკითხების მოგვარებაში?

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
დაშვება	კი, თავისუფლად შევძლებ;	73	59,3	64,0	64,0
	კი, შევეცდები მაინც;	11	8,9	9,6	73,7
	არ ვიცი;	6	4,9	5,3	78,9
	ვერა, ვერ შევძლებ	24	19,5	21,1	100,0
	სულ	114	92,7	100,0	
სისტემური	გამოტოვება	9	7,3		
სულ		123	100,0		

ამავე თემაზე მასწავლებელთა აზრიც საინტერესოა. ერთი ნაწილი თვლის, რომ მოსწავლეებს გაუჭირდებათ საკუთარი სწავლის დაგეგმვა და ორგანიზება, სილაბუსების, საგაკვეთილო გეგმების მომზადება არ შედის მათ კომპეტენციაში და რომ ეს მასწავლებლის მოვალეობაა.

მასწავლებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტულ შემთხვევაში, ამ უფლებების მოსწავლეებისთვის სისტემურად გადაცემა გამოიწვევს ქაოსს.

დანარჩენი მასწავლებლები გამოთქვამენ აზრს, რომ მოსწავლეთა ჩართულობა სილაბუსების, საგაკვეთილო გეგმების და სასკოლო საკითხების მოგვარებაში საინტერესო და სახალისო იქნება. მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეს, რომ ენდობა. ნდობა გაზრდის მათ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას. მასწავლებელი ამ შემთხვევაში იქნება მიმართულების მიმცემი, კომპეტენტური პირი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი სწავლის სწორად დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

ასევე გასათვალისწინებელია მასწავლებელთა შეხედულება, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეს არ აქვს იმდენი ცოდნა, დაეხმაროს მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვაში, ხოლო სკოლის დირექტორს - სასკოლო საკითხების მოგვარებაში. მაღალ კლასებში კი ეს შესაძლებელია.

ზოგიერთი მასწავლებელი აცხადებს, რომ ის ზოგჯერ უთანხმებს კიდეც მოსწავლეებს გაკვეთილის გეგმას და რთავს მათ სწავლის ორგანიზებაში, მათი აზრით, მოსწავლეებს კარგად შეუძლიათ საკუთარი სწავლის დაგეგმვა და ორგანიზება.

აღნიშნული გამოკითხვის შედეგები, ცხადყოფს, რომ მასწავლებლები არ არიან მზად დაეხმარონ მოსწავლეებს ჩაერთონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ ასეთი ტიპის ჩართულობის შესახებ. ამის მიუხედავად, მოსწავლეები დიდ იმედებით არიან აღსავსე და მიიჩნევენ, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, და დიდი სურვილიც აქვთ ჩაერთონ ამ საკითხებში. მიგვაჩნია, რომ საჭიროა, მასწავლებელთა მომზადება ამ საკითხში და მოსწავლეთა საკუთარი სწავლის დაგეგმვაში ჩართვის

სტრატეგიების შეთავაზება. ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე, რაც ქართულ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში დაინერგება და დიდ წარმატებასაც მოგვიტანს, რადგანაც მოსწავლე, რომელიც დაგეგმავს საკუთარ სასწავლო პროცესს, აირჩევს შესასწავლ საგანს, თემას, საკითხს, პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ გადაწყვეტილებას და სასწავლო პროცესი უფრო შედეგზე ორიენტირებული გახდება.

კვლევის ძირითადი შედეგები

1. საქართველოს სკოლებში დემოკრატიული მმართველობის ამჟამინდელი მდგომარეობა

დემოკრატიული მმართველობა. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სკოლებში დემოკრატიული მმართველობა საწყის ეტაპზეა. კერძოდ, ზოგიერთ სფეროში დემოკრატიული მმართველობა იკიდებს ფეხს, ზოგიერთში კი საერთოდ არ იგრძნობა. მაგალითად, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს ჯერ კიდევ დირექტორი წყვეტს. როცა საქმე პედაგოგიურ საკითხებს ეხება, მასწავლებლები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას. კერძოდ, თუ როგორ ჩაატარონ გაკვეთილი, რა სასწავლო მეთოდებით იხელმძღვანელონ და რა წესები დაადგინონ. ეს ძირითადად მოსწავლეებისა და მშობლების ჩარევის გარეშე ხდება.

ურთიერთობები. სკოლაში არსებული ურთიერთობები გარკვეულწილად დემოკრატიულია, თუმცა მათი განვითარებისათვის გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, ზოგიერთი სკოლის დირექტორის მენეჯმენტის სტილი ზემოდან-ქვემოთ მმართველობის პრინციპს ემყარება, ანუ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს და მასწავლებლებს გადასცემს შესასრულებლად. პედაგოგები მოსწავლეებთან ან მშობლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების გარეშე მუშაობენ. არადა, ეს ურთიერთობები მათ კომფორტულ გარემოს შეუქმნიდა და ახალი იდეების განხილვას და ცვლილებების

განხორციელებას გაუადვილებდა, თუმცა სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობა არსებობს, გამოკითხულთა პასუხების თანახმად, ფიქტიურ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვან სასკოლო მიმართულებებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებზე/პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უნარი არ შესწევს.

სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი. გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით, რომელსაც თავის მხრივ სახელმწიფო გასცემს, მასწავლებლები განსაზღვრავენ, თუ როგორ მოხდება პროგრამის კლასში განხორციელება და გაკვეთილების გეგმის შედგენა. ამას მასწავლებლები მოსწავლეებთან ან მშობლებთან კონსულტაციების გარეშე განსაზღვრავენ.

სასკოლო გარემო. მოსწავლეების მიერ გაცემული პასუხების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო გარემო უსაფრთხოა და მცირეა ძალადობის ნიშნები ან ძალადობის შიში. რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევს, რომ მაღალია ბავშვთა უფლებების დარღვევის დონე, ძალიან მცირეა (3.6%).

2. დემოკრატიული მმართველობის შესახებ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში არსებული მოსაზრებები

დემოკრატიული მმართველობა. არსებული მოსაზრებების თანახმად, სკოლების უმრავლესობაში სურთ დემოკრატიული მმართველობის დანერგვა, ზოგისთვის კი სულერთია, ან ფიქრობენ რომ არ არის საჭირო. მაგალითად, რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ დემოკრატიული მმართველობა ნიშნავს ყველასთვის თანაბარი ხმის უფლებას, სკოლის დირექტორის ჩათვლით და უთითებდნენ, რომ მათ უფრო მეტი წვლილი უნდა შეჰქონდეთ სასკოლო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. მოსწავლეების 78.6% თვლის, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათი აზრი საერთოდ ან იშვიათად უკითხავთ. მოსწავლეთა მმართველობის შესახებ ღია კითხვების შედეგების მიხედვით გამოკითხულნი მიიჩნევენ, რომ ეს არაეფექტური და ძალაუფლების გარეშეა, ზოგი თვლის, რომ სკოლას საერთოდ არ სჭირდება მსგავსი მმართველობა. მშობლების უმრავლესობამ იცის მშობელთა საბჭოების არსებობის შესახებ და ფიქრობენ, რომ ისინი ზოგადად კარგად მუშაობენ. კითხვაზე, თუ რამდენად არიან ისინი პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღების, მაგალითად, მათი შვილების

სწავლებაში, ან სასწავლო შინაარსში ცვლილებების შეტანის პროცესებში ჩართული, მშობლების უმრავლესობა პასუხს აყოვნებდა და აღნიშნავდა, რომ ამ საკითხებში მასწავლებლები უფრო კვალიფიციურნი იყვნენ.

ურთიერთობები. ზოგადად, მშობლებს კარგი ურთიერთობები აქვთ მასწავლებლებთან და ნეგატიურობა ნაკლებად შეიმჩნეოდა. მშობლები მიიჩნევენ, რომ მასწავლებლები პოზიტიურად არიან განწყობილნი მათი შვილების მიმართ და სამუშაოსაც კარგად ასრულებენ. მასწავლებლები კი წუხან, რომ მშობლები სასკოლო საქმიანობაში ნაკლებად არიან ჩართული, არადა ამ საქმეში მათი აქტიური მონაწილეობა მათ შვილებზე დადებით გავლენას მოახდენდა. მშობელთა ჩართულობა მხოლოდ ოლიმპიადების, გასვლებისა და მოსწავლეთა ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობით შემოიფარგლება.

სასწავლო პროგრამა. როგორც აღვნიშნეთ, მშობლები მიიჩნევენ, რომ მათი შვილების სწავლაზე მხოლოდ მასწავლებლები არიან პასუხისმგებელი. ისინი სასწავლო პროცესში ჩართვას თავს არიდებენ, მოსწავლეები კი, პირიქით, ფიქრობენ - გამოკითხულთა უმეტესობა ამ პროცესში თავიანთ ჩართულობას აუცილებლად თვლის. სასწავლო პროგრამის შემუშავებაში ან სასკოლო პოლიტიკის საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობისადმი ზოგიერთი პედაგოგის დამოკიდებულება განსხვავდებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მაღალი კლასების მოსწავლეები (და არა დაწყებითის) საკმაოდ მომწიფებულნი არიან იმისთვის, რომ მსგავს გადაწყვეტილებებში წვლილი შეიტანონ, მაგრამ სხვები ფიქრობდნენ, რომ ეს სკოლას ქაოსის მდგომარეობაში ჩააყენებდა, ვინაიდან მოსწავლეებს აკლიათ სიმწიფე და მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ.

სასკოლო გარემო. ზოგადად, მოსწავლეები დადებითად არიან განწყობილი სასკოლო გარემოს მიმართ, ფიქრობენ, რომ ის უსაფრთხოა და მათ შესაბამისად ეპყრობიან. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცოდა, სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის უფლება თუ ჰქონდა. მშობლები მშობელთა საბჭოებს/კომიტეტებს დადებითად აფასებდნენ, მაგრამ ამის შესახებ არ ჰქონდათ სპეციფიკური ცოდნა. მასწავლებლები ზოგადად დადებითად იყვნენ განწყობილი სასკოლო გარემოს მიმართ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მიიჩნევდა, რომ

მათ უფრო დიდი როლი უნდა ჰქონოდათ საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

3. დემოკრატიული მმართველობის დაბრკოლებები საქართველოს სკოლებში

დემოკრატიული მმართველობა. როგორც გამოკითხვიდან გაირკვა, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი დაბრკოლება სკოლის მენეჯმენტშია, რომელიც ზემოდან-ქვემოთ მართვის პრინციპით ხორციელდება და რჩება ავტოკრატიული მმართველობის ფორმატში. ეს, შესაძლოა, იმით იყოს განპირობებული, რომ შესაბამისი ტრენინგები ნაკლებად ტარდება. ზოგადი თვალსაზრისით მასწავლებლები კმაყოფილი არიან, თუმცა მოსწავლეებისადმი ნდობის ნაკლებობამ და მშობლებისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

ურთიერთობები. დემოკრატიული მმართველობა ეფექტიანად რომ წარიმართოს, სკოლის საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთნდობის ატმოსფერო სუფევდეს. გამოკითხვის შედეგების გაანალიზებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას ნაკლებად ანდობენ, დირექტორებიც შიდა სასკოლო საქმიანობაში სასკოლო საზოგადოების წევრებს ნაკლებად ირევენ, არ ენდობიან მათ. ზოგიერთი მშობელი კი საკუთარ შესაძლებლობებში არ არის დარწმუნებული, რომ სასკოლო საქმიანობაში აქტიურად ჩაერთოს.

სასწავლო გეგმა. ამ დროისთვის, სასწავლო პროგრამას მთლიანად მასწავლებლები აკონტროლებენ. როგორც ეს პასუხებიდან ჩანს, ისინი მიიჩნევენ, რომ ეს „მათი“ სფეროა და სავარაუდოდ, მოსწავლეების ან მშობლების ჩართულობის წინააღმდეგნი იქნებიან. მასწავლებლები მოსწავლეებს იმდენად არ ენდობიან, რომ ამ სფეროში ჩართონ.

სასკოლო გარემო. ეს ის სფეროა, სადაც შეზღუდული დემოკრატიული მმართველობა ყველაზე ნათლად ჩანს. სკოლებში შეზღუდულია ტრენინგები, არ აცნობენ ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ კანონებს და ფაქტობრივად მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ერთიანი სულისკვეთება არ

იგრძნობა. თუ სკოლას დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა სურს, ეს მიდგომა აუცილებლად უნდა შეცვალოს.

კვლევის შეზღუდვები

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენ მხოლოდ ექვსი სკოლა გამოვიკვლიეთ, ამიტომაც შედეგების ფართოდ განზოგადება საქართველოს სკოლებში არსებული მდგომარეობის სრულ სურათს ვერ მოგვცემს. თუკი მსგავსი კვლევა მომავალში ჩატარდება, სასურველი იქნება სხვა დიზაინის გამოყენება ან მეტი სკოლის გამოკითხვა. ჩვენი კვლევის უპირატესობას კი წარმოადგენს ექვსი სხვადასხვა ტიპის სკოლის მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების დონეზე იდეების, ფიქრების და მოსაზრებების წარმოჩენა. უფრო მსხვილი კვლევა მოგვცემს სრულყოფილ შედეგებს, რომელიც დაეთანხმება ან განავრცობს ჩვენი კვლევის მონაცემებს.

დასკვნა

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, სკოლების მმართველობის დემოკრატიულ პროცესზე გადასვლა დიდ იმედებს იძლევა. ვინაიდან ბავშვები სოციალურ გარემოში სწავლობენ, დემოკრატიული მმართველობის სკოლის ნაწილად ქცევა დაფარულ სასწავლო პროგრამას ქმნის. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, უფრო ფართო წარმოდგენა იქონიონ დემოკრატიაზე, სკოლისავე მაგალითით შეისწავლიან და კიდევაც გამოცდიან მას. მშობლების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა უზრუნველყოფს, იმას, რომ ეროვნული უმცირესობები არ იქნებიან დაჩაგრული ან იგნორირებული, რომ მათაც შეეძლებათ სასწავლო პროცესში მონაწილეობა. როცა სკოლის დირექტორები სამეურვეო საბჭოებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევენ წვლილი შეიტანონ გადაწყვეტილებებში, იმასთან ერთად, რომ ეს მათ პასუხისმგებლობას ამსუბუქებს, ყველა მონაწილე მხარის მოვალეობებსაც ზრდის. ამ ჯგუფების წესების და პოლიტიკის განხორციელების პროცესებში მონაწილეობით იზრდება მათი პასუხისმგებლობა წარმატების მიღწევისათვის. ვიმედოვნებთ, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება საქართველოს სკოლებს, დაინახონ არსებული გამოწვევები და გამოიყენონ

რეკომენდაციები, რომ გააუმჯობესონ და უფრო განავითარონ დემოკრატიული მმართველობა სკოლებში, რაც საბოლოო ჯამში სარგებლობას არა მარტო სკოლის მოსწავლეებს, არამედ მთელ საზოგადოებასაც მოუტანს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომში განხილულ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით და ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. დისერტაციაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ეპოქაში, სადაც სამყარო გამუდმებით იცვლება, საჭიროა სკოლამ აღზარდოს მოსწავლეები, რომელთაც შეეძლებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, სწორი და თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თანაცხოვრება, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაფასება, ცვალებად სამყაროში ცხოვრება და ამ ცვალებადობის მართვა. სწორედ ამიტომ სკოლა უნდა გადავიდეს დემოკრატიული მმართველობის სისტემაზე, რაც გულისხმობს სკოლაში დემოკრატიული პრინციპების შემოღებას და დაცვას.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპის გათვალისწინება. იგი გულისხმობს სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის პირადი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური უფლებების დაცვას; სკოლის მმართველობაში სკოლის საზოგადოების წევრებისთვის თანაბარი ჩართულობის უფლებას, გამჭვირვალობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მრავალფეროვნების დაფასებას, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას, სწავლება/სწავლის პროცესის ადამიანთა/ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით წარმართვას; სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის მიერ ადამიანთა უფლებების შესახებ ცოდნას, გაგებას და ყველანაირ სიტუაციაში მათ გამოყენებას.

3. სკოლაში უპირველესად ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები უნდა დამყარდეს, რომელიც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, აზრის თავისუფლად გამოხატვას, წარმატებისა და წარუმატებლობის შესახებ ღია და გულწრფელ მსჯელობას, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას, ცვლილებების გატარებას და ტრანსფორმაციას. სასკოლო საზოგადოების წევრებმა უნდა გაითვალისწინონ ნდობის მოპოვების

შემდეგი პრინციპები: სამართლიანობა, პატიოსნება და გულწრფელობა; პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, ჩართულობა, გადაწყვეტილებების დემოკრატიული გზით მიღება; ეფექტიანი კომუნიკაცია, ეთიკური ქცევა.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ერთი უნივერსალური მეთოდი. ყოველმა სკოლამ უნდა ითანამშრომლოს იმ საზოგადოებასთან, რომელსაც ემსახურება და მოიძიოს მისთვის შესაფერისი ნდობის მოპოვების სტრატეგიები. სასურველია, სკოლაში ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის ნდობის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, შეკრებილი ინფორმაციის სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრისთვის გაცნობა და სამომავლო მიზნების ერთობლივი დასახვა.

4. თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ეთიკური ქცევის პრინციპი უმნიშვნელოვანესია სკოლის დემოკრატიული მმართველობის წარმატებით განხორციელებისთვის. სკოლაში ეთიკური პრინციპების დაცვა გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ ეთიკურ-დემოკრატიული ქცევის წესების განსაზღვრას და დაცვას, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებას, ეფექტიან კომუნიკაციას, თანამშრომლობას, თანამონაწილეობას, გამჭვირვალობას, კორუფციის აღმოფხვრას, კეთილსინდისიერებას, ნდობას, სამართლიანობას, ადამიანთა უფლებების დაცვას და ა.შ.

ყოველ დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობით უნდა შემუშავდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ეთიკის კოდექსი, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნის კანონმდებლობის და საგანმანათლებლო კულტურიდან, რომელ ქვეყანაშიც იწერება და რომელზეც პასუხისმგებელია მთელი სკოლა. სკოლაში რეგულარულად უნდა განახლდეს ეთიკის კოდექსი, რადგანაც იგი ცოცხალი დოკუმენტია და მუდმივ გადახედვას მოითხოვს.

5. დემოკრატიული მმართველობის დანერგვას ხელს უწყობს დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრაზე სასკოლო საზოგადოების წევრების ერთობლივი ზრუნვა. სკოლაში საჭიროა ჩამოყალიბდეს დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის გუნდი, რომელსაც უხელმძღვანელებს დისკრიმინაციის და ძალადობის პრევენციაზე პასუხისმგებელი პირი. ასეთ გუნდში გაწევრიანებული უნდა იყოს ამავე სკოლის ფსიქოლოგი, მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია.

აღნიშნული გუნდის მიზანი უნდა იყოს სკოლაში დასაქმებული პირების დისკრიმინაციასა და ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვა, დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოვლინების დროული მიგნება, საქმის გამოძიება, აღმოფხვრა და დოკუმენტირება.

გუნდმა უნდა შეიმუშაოს დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოვლინებისა და პრევენციის დოკუმენტის ფორმა, რაც მათ და სხვა მასწავლებლებსაც გაუადვილებს მუშაობას. ასეთი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს: ა) დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევის აღწერას (მოსწავლეთა საქციელის აღწერა, მდებარეობა, თარიღი, თვითმხილველების შესახებ ინფორმაცია); ბ) „მოძალადე“ და „მსხვერპლი“ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას (კლასი, ჯგუფი, კლუბის წევრობა თუ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა); გ) გამოძიების ფაქტებს; დ) რეკომენდაციებს; ე) ,,მსხვერპლი“ და „მოძალადე“ ბავშვის მიმართ განხორციელებულ საპასუხო ქმედებებს (იქნება ეს დისციპლინური სახდელი, თავშესაფრის უზრუნველყოფა და ა.შ); ვ) რეფლექიას.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული გუნდის განხილვის და დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა.

ადმინისტრატორმა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა შეინახოს უსაფრთხო ადგილას, კაბინეტში, რომელიც გასაღებით იკეტება ან კომპიუტერში, რომელსაც ადევს კოდი. ზოგიერთ სიტუაციაში შეიძლება შემთხვევის კოდირებაც იყოს საჭირო, რათა მოსწავლის სახელი გვარი არ გამჟღავნდეს. საჩივრების შესახებ დოკუმენტაცია ცალკე უნდა ინახებოდეს, ხოლო დისკრიმინაციისა და ძალადობის

შესახებ გამოძიების ამსახველი დოკუმენტები ცალკე ფაილში უნდა ინახებოდეს და იყოს კონფიდენციალური.

6. სკოლა უნდა იმართებოდეს ჩართულობისა და გუნდური მუშაობის პრინციპით. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ჩართული უნდა იყოს სასწავლებლის სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, სტრატეგიული გეგმის, პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებაში, ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვაში და ა.შ.

7. დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში ღირებულებები სკოლის მორალურ კოდექსს უნდა წარმოადგენდეს და სასკოლო საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი გზამკვლევი უნდა იყოს. დემოკრატიული სკოლის ღირებულებები შეიძლება იყოს ადამიანთა უფლებების დაცვა, პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, საქმის ერთგულება, უსაფრთხოება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებმა ერთობლივად ჩამოაყალიბონ მათი სკოლის ღირებულებები. ეს ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ ამ ღირებულებების გააზრებას, გაზრდის ამ ღირებულებების დაცვაზე პასუხისმგებლობას.

8. ყოველ დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში უნდა არსებობდეს დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე შედგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა მიზანია სკოლის განვითარებაზე, სასწავლო გარემოსა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტები გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის გზით და ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპებით, თანაც სკოლის საზოგადოების ყოველი წევრის აქტიური ჩართულობით იყოს შემუშავებული. აღნიშნული დოკუმენტები ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები უნდა იყოს. დაუშვებელია ბუნდოვნება ან ორაზროვნება. სკოლის საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს, თუ რას უნდა ელოდეს სკოლისაგან და მასაც სკოლის მიმართ რა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აკისრია.

9. სკოლის დემოკრატიული მმართველობისთვის საჭიროა გადაწყვეტილებების მიღებაში თანაბრად მონაწილეობდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი,

რადგანაც ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება ვერ შექმნის დემოკრატიულ გარემოს.

10. თანამედროვე საგანმანათლებლო პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სკოლას კარგი ლიდერი მართავდეს. სკოლის დირექტორი უნდა იყოს ლიდერთა ლიდერი, რომელსაც შეეძლება ახალი ლიდერების დროულად შემჩნევა და დაჯილდოება, წახალისება. სკოლის ლიდერი დადებით მაგალითს უნდა აძლევდეს სკოლის საზოგადოების წევრებს და ცდილობდეს გუნდის გაუმჯობესებაზე, რათა სკოლის გუნდის თითოეულმა წევრმა როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით უმაღლესი პოტენციალის მიღწევა შეძლოს. სკოლის ლიდერს უნდა სჯეროდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ღირსების და შესაძლებლობების, მას უნდა შეეძლოს ცვლილებები შეიტანოს სხვების ცხოვრებაში, აღიაროს საკუთარი შეცდომები, ოპტიმისტურად განეწყოს წარმატების მიმართ და შექმნას ნდობითა და გულღიაობით გამსჭვალული სასწავლო გარემო.

11. დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში სასურველია ჩამოყალიბდეს ლიდერთა გუნდი, რომლის წევრების შერჩევის კრიტერიუმები ჩამოყალიბდება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური ჩართულობით. გუნდმა სკოლის საზოგადოების სხვა წევრებს ხშირად უნდა გაუზიაროს გუნდის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, გააცნოს საქმიანობის შედეგები, რეფლექსია და ა.შ. გაზიარება გუნდის წევრებს შორის ჩამოაყალიბებს ნდობასა და პატივისცემას.

12. დემოკრატიული სკოლის კულტურის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა სკოლაში შეიქმნას პოზიტიური სასკოლო გარემო, რაც აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ავითარებს პოზიტიურ დამოკიდებულებებს და ქცევებს. დემოკრატიულ სკოლაში მასწავლებლები სამართლიანად უნდა ექცეოდნენ და აფასებდნენ მოსწავლეებს, აფასებდნენ მათ პიროვნებას, ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური უსაფრთხოების დაცვას.

13. დემოკრატიულ სკოლაში სკოლის ფიზიკური გარემო დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით უნდა იყოს მოწყობილი და დადებით გავლენას ახდენდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ქცევაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

14. დემოკრატიულ სკოლაში უნდა არსებობდეს უსაფრთხოების დაცვის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დაცვას, მაგალითად, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას, ხანძრის თავიდან აცილების სტრატეგიების დანერგვას, სასწრაფო დახმარების დროულ გამოძახებას, სკოლის შენობის სისუფთავის დაცვას, აბაზანების, საპირფარეშოების თუ სხვა ადგილების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას, სკოლის ეზოსა და შენობის მოპირკეთებას და ა.შ.

15. დემოკრატიულად ორგანიზებული სკოლის საზოგადოების წევრებს შორის უნდა იყოს პოზიტიური ურთიერთობები. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ მეგობრული და კეთილგანწყობილი. სკოლის საზოგადოების წევრები უნდა ფლობდნენ ადამიანური ურთიერთობების მართვის ხელოვნებას და წარმატებით იყენებდნენ სასწავლო პროცესში.

16. დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში სასკოლო პროგრამაც/კურიკულუმიც დემოკრატიული პრინციპებით უნდა იყოს შემუშავებული. მის შემუშავებაში კი აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მშობლები. სასკოლო კურიკულუმი მოსწავლეს უნდა ათავისუფლებდეს ვიწრო და შეზღუდული აზროვნებისგან და ტრადიციების მიჯნაზე ახალი შესაძლებლობების გზას აძლევდეს. იგი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის ნიჭის და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლინებას, აცნობდეს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციებს და ამ ტრადიციების გაგრძელების შესახებ თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებისათვის ამზადებდეს, მოსწავლეებს თანაცხოვრებას და საერთო სამსახურში ყოფნას ასწავლიდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ადამიანის...1948:** ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 1948 წლის 10დეკემბერი.
2. **არისტოტელე 1979:** არისტოტელე, „პოეტიკა“, თარგმანი სერგი დანელიასი, თბილისი 1979.
3. **არისტოტელე 2003:** არისტოტელე, „ნიკომაქეს ეთიკა“, თარგმანი თამარ კუკავასი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
4. **არისტოტელე ძვ.წ. 350:** არისტოტელე. „პოლიტიკა“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა შესავალი და განმარტებები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ, თბილისი, 1995.
5. **ადამიანის……2008:** „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, გამომცემლობა, გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის საქართველოს ოფისი, ამოღებულია 20.12.2016, მის.: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf
6. **ბავშვის....1994:** „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამოღებულია 20.12.2016, მის.: http://tpdc.ge/images/stories/pdf/convchild_geo.pdf
7. **ბარბაქაძე 2014:** ბარბაქაძე შორენა, „სინდისის ფენომენი ძველბერძნულ ლიტერატურაში“, დისერტაცია ფილოლოგიის (კლასიკური ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.
8. **ბეკმენი....2013:** ბეკმენი, ე., ტრაფორდი, ბ. „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“, გამომცემლობა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.
9. **ბუაჩიძე 2013:** ბუაჩიძე თ., „თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან“, გამომცემლობა „Carpe diem”.
10. **გოგლიჩიძე 2011:** მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში, მოსწავლეთა წიგნი, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო (X – XII კლასებისთვის), ალუდა გოგლიჩიძე, USAID GEORGIA Ph International, Project Harmony, Inc, 2011.
11. **გოგლიძე...2011:** გოგლიძე ა., კობახიძე მ., ლაცაბიძე გ., „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისათვუს“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,თბილისი, გვ 120-151.
12. **გოლობი...2013:** გოლობი, რ., კრაფი, პ., ოლაფსდოტირი, ო., ვეიდინგერი, ვ. „განათლება დემოკრატიისათვის“, გამომცემლობა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.

13. **გორტონი... 2010:** რიჩარდ ა . გორტონი, ჯუდი ა. ალსტონი, პეტრა ი. სნოუდენი, „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში“.
14. **დიმიტრიადისი...2010:** დიმიტრიადისი გ., კამბერელისი ჯ., „თეორია განათლებისათვის“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
15. **დიუი 1916:** დიუი, ჯ. „დემოკრატია და განათლება“, გამომცემლობა: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი -„შესავალი განათლების ფილოსოფიაში“, თბილისი, 2010.
16. **დიუი 1938:** დიუი, ჯ. „გამოცდილება და განათლება“, გამომცემლობა: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, წიგნი III. თბილისი. 2015.
17. **თევზაძე 2010:** თევზაძე გ., „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, ნაწილი I. განმანათლებლობა, გამომცემლობა Carpe Diem, თბილისი.
18. **თერნბული 2009:** პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი : პრაქტიკული გზამკვლევი პროფესიული წარმატებისთვის = 9 habits of highly effective teachers / ჯეკი თერნბული; რედ.: ნათია ნაცვლიშვილი; მთარგმ.: თეო ნეფარიძე.
19. **ჰაბერმასი 2003:** იურგენ ჰაბერმასი, მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები, ქუთაისი, 2003.
20. **ჰოფსტედე.....2011:** გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე, „კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი , თბილისი.
21. **კანტი 1979 :** იმანუელ კანტი, „წმინდა გონების კრიტიკა“, თბილისი.
22. **ღლონტი 2008:** ლ. ღლონტი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, თბილისი.

23. **მარზანო 2009:** მარზანო რ.ჯ, კლასის მართვა, 2009.
24. **მარზანო 2009:** მარზანო რ. ჯ, ეფექტური სწავლება სკოლაში, 2009.
25. **მშობელთა...2015:** „მშობელთა ჩართულობა“, რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის, USAID, თბილისი, 2015. ნანახია 15.05.2017.
http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
26. **პოსტმანი 2007:** პოსტმანი ნ., „განათლების მიზანი“, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
27. **პლატონი ძვ.წ. 380:** პლატონი. „სახელმწიფო“, გამომცემლობა: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, წიგნი I. თბილისი. 2010.
28. **პლატონი ძვ.წ. 380:** : პლატონი, „ადრეული დიალოგები“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბილისი, 2013.

29. **ჟვანია....2011:** ია ჟვანია, გიორგი კიკნაძე „ლიდერი და ლიდერობა", თბილისი, 2011.
30. **რუსო 1762:** ჟან ჟაკ რუსო, „ემილი ანუ აღზრდის შესახებ", გამომცემლობა: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში", წიგნი I. თბილისი, 2010.
31. **რორტი 1980**: Rorty A. O. (ed.) (1980), Esseys on Aristotles's Ethics, Berkley.
32. **რორტი 1992**: Rorty A. O. (ed.) (1992), Esseys on Aristotles's Poetics, Princeton.
33. **რუსიშვილი.... 2014:** რუსიშვილი, ნ., ღლონტი, ნ. „ადამიანის უფლებების ისტორია", მოსწავლის სახელმძღვანელო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, ამოღებულია 11.11.2016. მის.: http://conlaw.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/10/gakvethili-1-adamianis-uphlebatha-istoria.pdf
34. **საქართველოს.....2005:** „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ", 08.04.2005; მის. : http://mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf **მუხლი 2**, პუნქტი მ, გვ.2; **მუხლი 3**, პუნქტი 1, ა,ბ, გვ.5
35. **ტორესი 1998:** ტორესი, კ. ა., „დემოკრატია, განათლება და მულტიკულტურალიზმი", აშშ.
36. **უზნაძე 2009:** უზნაძე დ., „განწყობის ფსიქოლოგია", გამომცემლობა „საქართველოს მაცნე".
37. **უზნაძე 1915-1916:** უზნაძე, დ. „სინათლის" საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში - გვ 38).
38. **უზნაძე 1995:** უზნაძე, დ. სკოლის რეფორმების შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება" # 5, გვ 50).
39. **ფრეირი 1970** : ფრეირი, პ. "ჩაგრულთა პედაგოგიკა", თბილისი, 2005.
40. **ფრენე 2010:** სელესტენ ფრენე, „პედაგოგიური ინვარიანტები", ქართული გამოცემის რედაქტორი პედაგოგიკის დოქტორი კახმეგ კუდავა, გამომცემლობა: ინტელექტი, თბილისი.
41. **შერვაშიძე....2013**: გული შერვაშიძე, ლელა თავდგირიძე - დიალოგი, როგორც კომუნიკაციის საშუალება. გვ. 32-35. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, ISBN: 978-9941-432-99-6, ქუთაისი, 2013.
42. **ცქიტიშვილი....2007:** დალი ცქიტიშვილი ლალი ქადაგიძე, „სკოლის მართვის სახელმძღვანელო", თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, გამოცემა მომზადებულია ფონდების „ღია საზოგადოება – საქართველო" და „ღია საზოგადოების ინსტიტუტი" ფინანსური მხარდაჭერით.
43. **ჩაჩხიანი... 2006:** ჩაჩხიანი ქ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., თუთბერიძე თ., ზურაბიშვილი თ., გაბისონია თ., მათიაშვილი ა., თურმანიძე კ.,

„სკოლის მართვის სახელმძღვანელო“, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი.

44. **ჩხარტიშვილი 1974:** ჩხარტიშვილი შ., „აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.
45. **ჯანაშია 2012:** ს. ჯანაშია, „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი“, გამომცემლობა: სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
46. **ჯიბლაძე 1974:** ჯიბლაძე გ., „პედაგოგიკა და მეთოდიკა“, გამომცემლობა: „განათლება“, თბილისი.
47. **ჭავჭავაძე 2012:** ჭავჭავაძე, ი. „პედაგოგიის საფუძვლები“(1888 დაიწერა) , თბილისი.
48. **ჭავჭავაძე 2012:** ჭავჭავაძე, ი. „წერილები სახალხო განათლების საკითხებზე“ თბილისი.
49. **ჭავჭავაძე 2012:** ჭავჭავაძე, ი. „ჩვენი ხალხი და განათლება“, თბილისი.
50. **ჭავჭავაძე 2012:** ჭავჭავაძე, ი. „ისევ განათლების საკითხებზე“, თბილისი.
51. **ჰეგელი 1984:** ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბილისი, 1984
52. **Acharya…. 2013:** Acharya, A. S., Prakash, A., Saxena, P., & Nigam, A. (2013). Sampling: Why and how of it? *Indian J Med Spec*, *4*(2), 330–333. https://doi.org/10.7713/ijms.2013.0032
53. **Albanian….2001:** Albanian Ministry of Education and Science. (2001). Parent Questionnaire.
54. **Albanian….2009:** Albanian Ministry of Education and Science. (2009). *Human rights and democracy education in schools: From curriculum to the "effective schools" approach*. Retrieved from http://tandis.odihr.pl/
55. **Altinyelken 2015**: Altinyelken, H. K. (2015). Democratising Turkey through student-centred pedagogy: opportunities and pitfalls. *Comp Educ*, *51*(4), 484–501. https://doi.org/10.1080/03050068.2015.1081794
56. **Amnesty .. 2012:** "Becoming a Human Rights Friendly School: A guide for schools around the world", Human Rights Education, Amnesty International, London, 2012.
    Retrieved on 25.04.2017,
    file:///C:/Users/user/Downloads/pol320012012eng%20(5).pdf
57. **Baier 1986:** Baier, Annette, "Trust and Antitrust" *Ethics*, 96: 231-60.
58. **Bass….1990:** Bernard M. Bass and Ralph M. Stogdill, Handbook of Leadership(New York: Free Press, 1990)m p. 411.
59. **Bennis 2000:** Warren Bennis, Managing the Dream(Cambridge MA: Perseus Publishing, 2000), p.135.

60. **Berkman…2005:** Berkman, M. B., & Plutzer, E. (2005). *Ten thousand democracies: Politics and policies in America's school districts*. Washington, D.C.: Georgetown University Press.
61. **Bernard 2012:** Bernard, J. (2012). *A place to learn: Lessons from research on learning environments*. Montreal, Quebec: UNESCO Institute for Statistics.
62. **Blake….1991:** R.R. Blake and A.A. McCanse, Leadership Dilemmas – Grid Solutions (Houston, TX: Gulf Publishing, 1991).
63. **Blasé…1995:** Blase, J., Blase, J., Anderson, G. L., & Dungan, S. (1995). *Democratic principles in action: Eight pioneers*. Thousand Oaks, CA: Corwin Press, Inc.
64. **Boyask 2015:** Boyask, R. (2015). The public good in English private school governance. *Eur Educ Res J*, *14*(6), 566–581. https://doi.org/10.1177/1474904115614010
65. **Brundrett…2011:** Brundrett, M., & Duncan, D. (2011). Leading curriculum innovation in primary schools project: A final report. *Education*, *25*(3), 119–124.
66. **Brundrett…2004:** Brundrett, M., & Terrell, I. (Eds.). (2004). *Learning to lead in the secondary school: Becoming an effective head of department*. London, UK: RoutledgeFalmer.
67. **Bryant…2011:** Bryant, M., & Khatiashvili, T. (2011). Belling the cat: Georgia's experiment in distributive leadership. *Int Stud Educ Adm*, *39*(2), 33–43. Retrieved from http://content.ebscohost.com/
68. **Bush 2007:** Bush, T. (2007). Educational leadership and management: theory, policy, and practice. *South African J Educ*, *27*(3), 391–406.
69. **Bysic….2015:** Bysik, N., Evstigneeva, N., Isaeva, N., Kukso, K., Harris, A., & Jones, M. (2015). A missing link? Contemporary insights into principal preparation and training in Russia. *Asia Pacific J Educ*, *35*(3), 331–341. https://doi.org/10.1080/02188791.2015.1056588
70. **Brewster….2003:** Brewster, C. and Railsback, J. "Building Trust with Schools and Diverse Families: A Foundation for Lasting Partnerships", Portland, OR: Northwest Regional Educational Laboratory. (www.nwrel.org) .
71. **Brewster….2003:** Brewster, C. and Railsback, J., "Building Trusting relationships for school improvement: Implications for Principals and Teachers".
72. **Brown….2007:** Brown, D. and Skinner, A., "*Brown- Skinner Model for Building Trust with At-Risk Students",* National Forum of applied educational Research Journal. Volume 20, Number 3.
73. **Brookfield 1990:** Stephen D. Brookfield, "*The Skillful Teacher: On Technique, Trust, and Responsiveness in the Classroom", 3rd Edition* . San Francisco: Jossey-bass, 1990. (Chapter 12, Building Trust with Students, pg. 163-178). http://www.stephenbrookfield.com/

74. **Cerna 2014:** Cerna, L. (2014). *Trust: What it is and why it matters for governance and education* (No. 108). *OECD Education Working Papers*. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/5jxswcg0t6wl-en
75. **Civil.....2016:** Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, retrieved on 20.11.2016, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=74
76. **CoE 2005:** Karlheinz Dürr Landeszentrale für politische Bildung , *The school – democratic learning community*, Baden -Württemberg, Germany, © Council of Europe, November 2005
77. **Coffey 1991:** Coffey, E. M. (1991). *A study of democratic leadership as a model for school governance* (Doctoral thesis). Fordham University.
78. **Cowley 1928:** W.H. Cowley, „Three Distinctions in the Study of Leaders", Journal of abnormal and social Psychology(April 1928), pp. 144-157.
79. **Crewswell 2009:** Creswell, J. W. (2009). *Research design: Qualitative, quantitative, and mixed methods appproaches*. Thousand Oaks, CA: Sage.
80. **Dewey, J. 1909:** Dewey, J. "Moral Principles in Education", The Riverside Press Cambridge, Project Gutenberg.
81. **Dewey, J. 1902:** Dewey, J. "The Child and the Curriculum", The University of Chicago Press, Chicago, Illinois.
82. **Dewey, J. 1915:** Dewey, J. "The School and Society", The University of Chicago Press, Chicago, Illinois. https://archive.org/details/schoolsociety00dewerich
83. **Dewey 2001:** Dewey, J. (2001). *Democracy and education*. Hazleton, PA: The Pennsylvania State University. https://doi.org/852
84. **Earthman 2002:** Earthman,G.I. "School Facility Conditions and Student Academic Achievement", Los Angeles: UCLA Institute for Democracy, Education, & Access. 2002.
85. **Ehman 1980:** Ehman, L. H. (1980). The American school in the political socialization process. *Rev Educ Res*, *50*(1), 99–119. https://doi.org/10.3102/00346543050001099
86. **Faulkner 2007:** Faulkner, Paul, "On Telling and Trusting", Mind 116: 875-902,
---- (2011): Knowledge on Trust, Oxford: Oxford University Press.
87. **Ferrao 2014:** Ferrão, M. E. (2014). School effectiveness research findings in the Portuguese speaking countries: Brazil and Portugal. *Educ Res Policy Prac*, *13*(1), 3–24. https://doi.org/10.1007/s10671-013-9151-7
88. **Forsyth 1983:** Donelson R. Forsyth, "An Introduction to Group Dynamics"(Monterey, CA: Brooks/Cole, 1983), part 4.
89. **Fletcher 2005:** Fletcher, A. "Meaningful student involvement" (guide to students as partners in school change). Second edition. 2005.

90. **Freire 1998:** Freire, P. 1998. Teachers as Cultural Workers. Boulder, CO: Westview Press. See "Fifth Letter."

91. **Fung…2003:** Fung, A., & Wright, E. O. (2003). Thinking about empowered participatory governance. In *Deepening Democracy: Institutional Innovations in Empowered Participatory Governance* (pp. 3–42). https://doi.org/10.1086/659440

92. **Gabriel….2009:** John G. Gabriel and Paul C. Farmer, "How to Help Your School Thrive Without Breaking the Bank".

93. **Guidelines …2007:** Guidelines for a coordinated Approach to school Health Connecticut State Department of Education, July 2007.

94. **Gorgodze 2016:** Gorgodze, S. (2016). Rise and fall of decentralized school governance — Decision-making practices in Georgia. *Int Educ Stud*, *9*(11), 25–39. https://doi.org/10.5539/ies.v9n11p25

95. **Grazian …..1995:** Frank Grazian and Don Bagin, "Communicating Better at Work, " in Communications Briefngs, vol. 15, no.1(1995), p.3.

96. **Gurova…2015:** Gurova, G., Piattoeva, N., & Takala, T. (2015). Quality of education and its evaluation: An analysis of the Russian academic discussion. *Eur Educ*, *47*(4), 346–364. https://doi.org/10.1080/10564934.2015.1107377

97. **Haggins...2005:** Higgins, Steve; Hall, Elaine; Wall, Kate; Woolner, Pam; McCaughey, Caroline, "The Impact of School Environments: A Literature Review", The Center of Learning and Teaching School of Education, Communication and Language Science, University of Newcastle.

98. **Harber…1999:** Harber, C., & Trafford, B. (1999). Democratic management and school effectiveness in two countries. *Educ Manag Adm*, *27*(1), 45–54. https://doi.org/10.1177/0263211x990271004

99. **Hawkes 2017:** Hawkes, T. E. (2017). Circles and parallels: Democratic governance in a small school. *Sch Stud Educ*, *14*(2), 191–218.

100. **Hawley 2012:** Hawley, K. "Trust, Distrust and Commitment", University of St. Andrews, retrieved on 12.08.2016, ðoȣ.: DOI: 10.1111/nous.12000 http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/nous.12000/abstract

101. **Hoerr 1996:** Thomas R. Hoerr, "Collegiality: A New Way to define Instructional Leadership, "Phi Delta Kappan (January 1996), p.381.

102. **Hoy .... 1999:** Wayene K. Hoy, Megan Tschannen Moran, „Five Faces of Trust: An empirical confirmation in Urban Elementary Schools", Journal of school leadership, volume 9, Technomic Publishing Co., Inc. http://mxtsch.people.wm.edu/Scholarship/JSL_FiveFacesofTrust.pdf

103. **Holcomb 2007:** Holcomb, E. L. (2007). *Students are stakeholders, too!: Including every voice in authentic high school reform*. Thousand Oaks, CA: Corwin Press, Inc.

104. **Holdsworth 2000:** Holdsworth, R. (2000). Schools that create roles of real value for young people. *Prospect Q Rev Comp Educ Issue 115*, *30*(3), 349–363. https://doi.org/10.1007/BF02754058
105. **Hollis 1998:** Hollis, Martin, "Trust Within Reason", Cambridge: Cambridge University Press.
106. **Johnson…2003:** David W. Johnson and Frank P. Johnson, *Joining Together: Group Theory and Group Skills*, 8th ed(Boston: Allyn and Bacon, 2003), pp.104-105.
107. **Kirkpatrick 2009:** Kirkpatrick, H. (2000). *Legitimacy and school reform: Implementing and sustaining democratic school governance*(Doctoral thesis). Stanford University. https://doi.org/10.16953/deusbed.74839
108. **Knoester 2001:** Knoester, M. (2011). Is the outcry for more pilot schools warranted? Democracy, collective bargaining, deregulation, and the politics of school reform in Boston. *Educ Policy*, *25*(3), 387–423. https://doi.org/10.1177/0895904809351691
109. **Komatsu 2012:** Komatsu, T. (2012). *Decentralized school governance and social cohesion in a post-conflict society: School leaders ' participatory democratic accountability in Bosnia and Herzegovina*(Doctoral thesis). University of Minnesota.
110. **Kopaliani …2013:** Kopaliani, B., Harnisch, D. L., Doliashvili, N., & Guettermann, T. C. (2013). Progressive education in Georgia: Tradition or reality? *Int J Progress Educ*, *9*(2), 12–21. Retrieved from https://www.ideals.illinois.edu/
111. **Liebman …2015:** Liebman, J. S., & Sabel, C. F. (2015). A public laboratory Dewey barely imagined: The emerging model of school governance and legal reform. *NYU Rev Law Soc Chang*, *28*(1), 8–23. https://doi.org/10.3868/s050-004-015-0003-8
112. **Lipham 1964:** James M. Lipham, "Leadership and Administration" Daniel Griffiths(Ed.), Behavioral Science and Educational Administration: 63rd Yearbook of National Society for the Study of Education(Chicago: University of Chicago Press, 1964), pp. 119-141.
113. **Leithwood 1992:** Kenneth A. Leithwood, "The Move toward Transformational Leadership", *Educational Leadership* (February 1992), pp. 8-12.
114. **Lo ….2008:** Lo, W. Y. W., & Gu, J. O. (2008). Reforming school governance in Taiwan and South Korea: Empowerment and autonomization in school-based management. *Int J Educ Manag*, *22*, 506–526. https://doi.org/10.1108/09513540810895435

115. **Long …2014:** Long, J. R. (2014). Democratic education and local school governance. *Willamette L Rev*, *401*(1), 8–23. https://doi.org/10.3868/s050-004-015-0003-8
116. **Mabovula 2009:** Mabovula, N. (2009). Giving voice to the voiceless through deliberative democratic school governance. *South African J Educ*, *29*(2), 219–233.
117. **Mabovula 2010:** Mabovula, N. (2010). Revisiting Jurgen Habermas's notion of communicative action and its relevance for South African school governance: can it succeed? *South African J Educ*, *30*(1), 1–12.
118. **Magno 2009:** Magno, C. (2009). Reimagining the school leadership paradigm in a postsocialist context. *Eur Educ*, *41*(3), 23–41. https://doi.org/10.2753/EUE1056-4934410302
119. **Marcus Tullius Cicero** – October-November 44 BC- "De Officiis"(ციცერონი - "მოვალეობების/ვალდებულებების შესახებ".
120. **Marinetto 2012:** Marinetto, M. (2012). Pessimism of the modernist intellect versus optimism of the democratic will: The interpretive school of governance. *Comp Eur Polit*, *10*(5), 616–624. https://doi.org/10.1057/cep.2011.32
121. **Maslow 1967:** Maslow, A. H. (1967). "Theory of Metamotivation: The Biological Rooting of the Value-Life". Journal of Humanistic Psycology. 7(2): 93-126 doi:10.1177/002216786700700201.
122. **Maxcy …2006**: Maxcy, B. D., & Nguyen, T. S. T. (2006). The politics of distributing leadership: Reconsidering leadership in two Texas elementary schools. *Educ Policy*, *20*(1), 163–196. https://doi.org/10.1177/0895904805285375
123. **Mestry …2009:** Mestry, R., & Naidoo, G. (2009). Budget monitoring and control in South African township schools. *Educ Manag Adm*, *37*(1), 107–125. https://doi.org/10.1177/1741143208098166
124. **Mihai …2017:** Mihai, M., McNay, L., Marchart, O., Norval, A., Paipais, V., Prozorov, S., & Thaler, M. (2017). Critical exchange: Democracy, critique and the ontological turn. *Contemp Polit Theory*, *16*(4), 501–531. https://doi.org/10.1057/s41296-017-0140-0
125. **Mintrom 2001:** Mintrom, M. (2001). Educational governance and democratic practice. *Educ Policy*, *15*(5), 615–643. https://doi.org/10.1177/0895904801015005001
126. **Moustakas 1996:** Moustakas, C., "The Authentic Teacher: Sensitivity and Awareness in the classroom", Cambridge, MA.: Howard A. Doyle.
127. **Mykhaylyshyn …2017:** Mykhaylyshyn, G., & Yakymiv, O. (2017). Current methods of professional management of the head of an educational institution. *J Vasyl Stefanyk Precarpathian Natl Univ*, *4*(2), 104–114. https://doi.org/10.15330/jpnu.4.2.104-114

128. **Neilson….2014:** Neilson, C.A & Zimmerman, S. D. 2014, "The effect of school construction on test scores. School enrollment and home prices", Journal of Public Economics, 120, pg: 18-31.

129. **Ng….2008:** Ng, P. T., & Chan, D. (2008). A comparative study of Singapore's school excellence model with Hong Kong's school-based management. *Int J Educ Manag*, *22*(6), 488–505. https://doi.org/10.1108/09513540810895426

130. **Nicholas …2014:** Nicholas, M. C., & Hathcoat, J. D. (2014). Ontology. In D. Coghlan & M. Brydon-Miller (Eds.), *The SAGE Encyclopedia of Action Research* (pp. 571–572). London: SAGE Publications Ltd. https://doi.org/10.4135/9781446294406

131. **Noe 2010:** Noe, R. A. (2010). *Employee Training and Development* (6th Ed.). New York, NY: McGraw-Hill/Irwin. https://doi.org/10.1016/j.gde.2010.06.002.Parallel

132. **OFFICE …2017:** OFFICE OF THE UNITED NATIONS HIGH COMMISSIONER FOR HUMAN RIGHTS - „FREQUENTLY ASKED QUESTIONS ON A HUMAN RIGHTS-BASED APPROACH TO DEVELOPMENT COOPERATION". New York and Geneva, 2006. Retrieved on 25.04.2017, http://www.ohchr.org/documents/publications/faqen.pdf

133. **Qureshi …2016**: Qureshi, S., Bradley, K., Rao Vishnumolakala, V., Treagust, D. F., Southam, D. C., Mocerino, M., & Ojeil, J. (2016). Educational reforms and implementation of student-centered active learning in science at secondary and university levels in Qatar. *Sci Educ Int*, *27*(3), 437–456.

134. **Rahi 2017:** Rahi, S. (2017). Research design and methods: A systematic review of research paradigms, sampling issues and instruments development. *Int J Econ Manag Sci*, *6*(2). https://doi.org/10.4172/2162-6359.1000403

135. **Ravitch 2010:** Ravitch, D. (2010). Why public schools need democratic governance. *Phi Delta Kappan*, *91*(6), 24–27. Retrieved from http://journals.sagepub.com

136. **Robinson ….2005:** Robinson, V., & Ward, L. (2005). Lay governance of New Zealand's schools: An educational, democratic or managerialist activity? *J Educ Adm*, *43*(2), 170–186. https://doi.org/10.1108/09578230510586579

137. **Rorty 2009:** Rorty R. "Philosophy and the mirror of nature", published by " "Princeton University Press";

138. ***School ….1977:*** *School district governance: How democratic?* (1977). (Research Action Brief No. 3). Eugene, OR.

139. **Schutz 2001:** Aaron Schutz, „John Dewey's Conundrum: Can Democratic Schools Empower?" 2001. Retrieved on 29.04.2014, http://web.pdx.edu/~abyron/peace_ed/Wk7/schutz.pdf

140. **Sharvashidze …2014:** Sharvashidze, N., & Bryant, M. (2014). A high-need Azeri school: A Georgian perspective. *Manag Educ*, *28*(3), 97–100. https://doi.org/10.1177/0892020614537663
141. **Shor….1987:** Shor, I. and Freire, P.A., "*Pedagogy for Liberation: Dialogues on Transforming Education",* Granby, MA: Bergin & Garvey.
142. **Smith 2003:** Smith, M. (2003). Authentic student voice in school governance: Developing responsible democratic citizens. *Am Second Educ*, *31*(3), 36–65.
143. **Sørensen 2003:** Sørensen, E. (1998). New forms of democratic empowerment: Introducing user influence in the primary school system in Denmark. *Statsvetensk Tidskr*, *101*(2), 129–143.
144. **Sørensen ….2009:** Sørensen, E., & Torfing, J. (2009). Making governance networks effective and democratic through metagovernance. *Public Adm*, *87*(2), 234–258. https://doi.org/10.1111/j.1467-9299.2009.01753.x
145. **Stevick 2009:** Stevick, D. (2009). Overlapping democracies, Europe's democratic deficit, and national education policy. *Eur Educ*, *41*(3), 42–59. https://doi.org/10.2753/EUE1056-4934410303
146. **Sui-chu Ho 2006**: Sui-chu Ho, E. (2006). Educational decentralization in three Asian societies: Japan, Korea and Hong Kong. *J Educ Adm*, *44*(6), 590–603. https://doi.org/10.1108/09578230610704800
147. **Teachers…2006:** Teachers ' code of professional practise, Australian Capital Territory, Canberra 2006. https://www.education.act.gov.au/__data/assets/pdf_file/0007/17692/TeachersCode_ofProfessionalPractice.pdf
148. **Theunynck 2009:** Theunynck, S. 2009, "School Construction Strategies for Universal Primary Education in Africa: Should Communities Be Empowered to Build Their Schools?", Washington, DC: The World Bank.
149. **Torney-Purta …2005:** Torney-Purta, J., & Barber, C. (2005). Democratic school engagement and civic participation among European adolescents. *J Soc Sci Educ*, *4*(3), 1–11. https://doi.org/10.4119/UNIBI/jsse-v4-i3-992
150. **UNESCO…2012:** UNESCO Institute of Statistics, 2012, "A Place to Learn: Lessons from Research on Learning Environments", Montreal.
151. **UNICEF…2009:** UNICEF, 2009, "Child Friendly Schools: Manual", New York.
152. **UNICEF …2009:** UNICEF. (n.d.). The United Nations convention on the rights of the child and HIV/AIDS, 14.
153. **Vieno …2005**: Vieno, A., Perkins, D. D., Smith, T. M., & Santinello, M. (2005). Democratic school climate and sense of community in school: A multilevel analysis. *Am J Community Psychol*, *36*(3/4), 327–341. https://doi.org/10.1007/s10464-005-8629-8

154. **Walton …2013:** Walton, D., & Zhang, N. (2013). The epistemology of scientific evidence. *Artif Intell Law*, *21*(2), 173–219. https://doi.org/10.1007/s10506-012-9132-9
155. **WHO….2015:** WHO. Acessed 2015, "The Physical School Environment: An Essential Component of a Health-Promoting School. The World Health Organization.
156. **Wright …2009:** Wright, C., Mannathoko, C., & Pasic, M. (2009). *Child friendly schools manual*. New York, NY: UNICEF. Retrieved from http://www.unicef.org